ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**გვანცა ალექსანდრეს ასული აბდალაძე**

# საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა

# (1206-1223)

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სპეციალობა _ 07. 00. 01 _ საქართველოს ისტორია

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*

აკადემიკოსი **მარიამ ლორთქიფანიძე**

თბილისი

2005

## შესავალი

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ აქტუალურ და საინტერესო საკითხს ეძღვნება, მეფეთა-მეფე გიორგი ლაშას მოღვაწეობას. ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა თავის დროზე, რომ “ქართლის ცხოვრების” წყალობით ჩვენ ვიცით მეფეთა ისტორია, მაგრამ არ ვიცით ხალხის, ქვეყნის ისტორია. ამ სიტყვებიდან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ჩანს, რომ ჩვენში არც მეფეთა ისტორია არის საკმარისი სისრულით შესწავლილი. თუ გადავხედავთ იმ მეფეთა სიას, ვისი მოღვაწეობაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი, ქართველ მონარქთა საერთო რაოდენობასთან შედარებით მწირ სურათს მივიღებთ. ბაგრატ III, გიორგი II, დავით IV, დემეტრე I, გიორგი III და თამარ მეფე, ვახტანგ VI, წარმოადგენდა აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძის და როინ მეტრეველის, პროფესორების გიორგი პაიჭაძის, გიორგი მჭედლიძის, გურამ გაბუნიას და ჯემალ სტეფნაძის, დოცენტ ჯაბა სამუშიას შესწავლის საგანს.

ჩვენი ინტერესი გიორგი IV ლაშას პიროვნებამ მიიპყრო იმიტომ, რომ მისი მეფობის ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი პერიოდი სათანადო ყურადღებას მოკლებული იყო. ამას თითქოს უიღბლო ეპოქაც უწყობდა ხელს. ორ რადიკალურად განსხვავებულ (“ოქროს ხანის” და მონღოლთა ბატონობის) პერიოდს შუა მოქცეული მეფე ისტორიამ თითქოს ვერცერთს ვერ მიაკუთვნა. თამარის დიდებულმა სახელმაც ხალხის ხსოვნაში დაჩრდილა მეფე, რომლის დროსაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებმა ყველაზე შორს გაიწია. მეტიც, მონღოლებთან დამარცხებამდე მუდამ გამარჯვებული გიორგი ლაშას ავტორიტეტი იმდენად შელახა XIII საუკუნის რთულმა მოვლენებმა, რომ შემდგომი თაობები მას მიიჩნევდნენ მიზეზად “უკუქცევა სუე-სჳანისა ბედისა”. ეს ტენდენცია ბოლო დრომდე განმაზოგადებელ შრომებში და სახელმძღვანელოებშიც აისახებოდა. თამარის ხანიდან მონღოლთა ბატონობის ხანაზე გადასვლისას გიორგი IV-ს ორიოდე სტრიქონი ეთმობოდა, ძირითადად უარყოფით კონტექსტში.

შუა საუკუნეებში მეფის როლი ერთიანი და მტკიცე სახელმწიფოს შექმნა-შენარჩუნებაში გადამწყვეტი იყო, მეფის პიროვნება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ქვეყნის ბედ-იღბალს, განვითარებას. ამდენად მედიევისტიკაში ისტორიული პროცესის, მოვლენების სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელია მეფის პიროვნების საფუძვლიანი შესწავლა. “ლაშა გიორგის მოღვაწეობა, ეს მოკლე, მაგრამ ფრიად საინტერესო პერიოდი საქართველოს ისტორიაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი” (178. 55), “გიორგი ლაშას რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრება, მისი ფრიად საინტერესო მოღვაწეობა ღრმა და საფუძვლიან შესწავლა-შეფასებას

მოელის" (180. 719). სწორედ ამ თვალსაზრისმა გაგვაბედინა ხელი მოგვეკიდა ამ თემისათვის და ჩვენი მოკრძალებული სიტყვა გვეთქვა გიორგი IV ლაშას მოღვაწეობაზე.

**ა) წყაროები:** საკითხის გარშემო არსებულ წყაროთა რაოდენობა არცთუ მწირია. უპირველესად უნდა დავასახელოთ ქართული ნარატიული წყაროები. მათ ახასიათებთ გარკვეული ტენდენცია, "მედასეობა". ერთის მხრივ გიორგი ლაშას მაძაგებელი წყაროები, როგორიცაა ჟამთააღმწერელი და მისი ცნობებით მოსარგებლე ვახუშტი ბატონიშვილი. მეორეს მხრივ ლაშას მაქებარი მატიანეები: ლაშას თანამედროვე მემატიანე, ფარსადან გორგიჯანიძე და იოანე ბატონიშვილი. ორი უკანასკნელი ავტორი მხოლოდ "ქართლის ცხოვრებას" არ ეყრდნობა და სხვა წყაროებიც აქვთ მოძიებული, რასაც ქვემოთ შევეხებით.

ქართული წყაროების შემდგომ მნიშვნელობის თვალსაზრისით სომხურ წყაროებს მთავარი ადგილი უკავია ლაშა გიორგის ისტორიის შესწავლისათვის. ესენია როგორც სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, აგრეთვე ნარატიული წყაროები: კირაკოს განძაკეცი, გრიგორ აკანცი, ვარდან არეველცი, მხითარ აირივანეცი, სტეფანოზ ორბელიანი.

აღმოსავლური წყაროები ძირითადად საქართველოსა და ისლამურ სამყაროს შორის ურთიერთობას და მონღოლთა შემოსევას შეეხება. ესენია არაბულენოვანი იბნ ალ-ასირის, იბნ-ბიბის, ან-ნასავის, იბნ ხალდუნის, აბუ ლ-ფიდას, აბდ ალ-ლატიფის; სპარსულენოვანი რაშიდ ედ-დინის, ჯუვეინის, ჰამდალაჰ ყაზვინის, "თარასსოლის" ცნობები.

ევროპულ წყაროთა შორის ყველაზე ღირებულია ეპისტოლარული წყაროები (რომის პაპთან მიმოწერა, დე ბუას წერილი) და მოგზაურთა ჩანაწერები (გიიომ რუბრუკვისი, პლანო კარპინი, მარკო პოლო).

თემაზე მუშაობისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დოკუმენტურ და ნივთიერ წყაროებს, კერძოდ ქართულ დიპლომატიკურ და ეპიგრაფიკულ მასალას, ფრესკულ მხატვრობას, ნუმიზმატიკურ ძეგლებს,

გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ფოლკლორული მასალა არაერთ ახალ საინტერესო ფაქტს სძენს გიორგი ლაშას ისტორიას და ახლებურად გააზრების აუცილებლობას იწვევს.

ინფორმაციის მოცულობით ჟამთააღმწერელი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენს მიერ გამოყენებულ მასალებს შორის. მის თხზულებას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებით სანდო წყაროდ მიიჩნევდა. მემატიანის ვინაობასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით თხზულების ეპიზოდებიდან გამომდინარე ჟამთააღმწერელი მესხეთიდან უნდა ყოფილიყო, პავლე ინგოროყვა სულაც თორელთა საგვარეულოს მიაკუთვნებდა და თვლიდა, რომ მატიანის წერისას იგი ოპიზის მონასტერში მოღვაწეობდა. კოტე გრიგოლია ჟამთააღმწერელს მაწყვერელად მიიჩნევდა (112. 66).

ჟამთააღმწერლის თხზულების შედგენის თარიღად ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად თვლიდა 1335-1345 წლების შუალედს (256. 247), რადგან მემატიანის თქმით "არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა, ვიდრე ჟამთამდე ჩუენთა" (20. 165). ამდენად ის ჩვენს საკვლევ პერიოდს მთელი საუკუნით არის დაშორებული, რაც მის მიმართ ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ჟამთააღმწერლის, როგორც მემატიანის იდეოლოგიური მრწამსი განსხვავდება წინამორბედი, თუნდაც თამარის ისტორიკოსების, როგორც სამეფო კარის იდეოლოგების, თვალსაზრისისგან. ჟამთააღმწერელი თავისი ეპოქისგან ბევრად დაშორებულ მოვლენებს აღგვიწერს, შესაბამისად ოფიციალური ცენზურისგანაც უფრო თავისუფალია და საკუთარ შეხედულებებს განავრცობს. ის, როგორც ჩანს, მართლაც სასულიერო პირია და სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა მისთვის ზოგადქრისტიანული ნორმები დგას. მართალია ჟამთააღმწერელი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტია და დიდებულთა შუღლსა და ქიშპობას ქვეყნისთვის დამღუპველად მიიჩნევს, თუმცა მაგალითად ლაშას და ივანე ათაბაგის განძაზე ლაშქრობისას კონფლიქტის დროს ათაბაგის მხარეს იჭერს, რაც მოვლენის თანამედროვე ოფიციალური მემატიანის მხრიდან ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა.

ჟამთააღმწერელს, როგორც პროვიდენციალისტური განწყობის მემატიანეს თავისებური წარმოდგენა აქვს მშვიდობასა და უბედურებაზე. იგი ლაშას და რუსუდანის "უწესოებას" თვლის იმ საღმრთო სასჯელის მიზეზად, რაც მონღოლთა შემოსევაში გამოიხატა_"ამისთჳს აღმოსცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა მოოჴრებისანი" (20. 157). მონღოლებთან პირველი დამარცხების შემდეგ კი დასძენს: "აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათჳს უსჯულოებათა ჩუენთასა და იქმნა უკუქცევა სუე-სჳანისა ბედისა,.. ვინათგან ჩუენ შევაწუხეთ ღმერთი საქმითა ბოროტითა, ეგრეთვე ღმერთმან აღავსო გული ჩვენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა ჩუენთა სირცხჳლეულ გვყო" (20. 165).

ჟამთააღმწერლის აზრით ლაშას მეფობა იყო უბედურება, სამეფო კარი მეფის მიბაძვით "განძღეს და იშუებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვათა შინა და მთრვალობათა" (20. 157), ხოლო მონღოლთა შემოსევამ ხალხი გონს მოიყვანა და "ესრეთ დამშვიდნა ქვეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშვიდობა... მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა მისთა და იყო უხვება პურისა და ღვინისა". შემდგომ ისევ მიდრკენ ბოროტებისკენ, დემეტრე II-მ და სადუნ მანკაბერდელმა 3-3 ცოლი მოიყვანეს, ეკლესიათა ქონება მიიტაცეს და "მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩუენთათვის"_ასკვნის ჟამთააღმწერელი.

ჟამთააღმწერლის ეს დამოკიდებულება გიორგი ლაშასადმი მისი მორალიზატორული ტენდენციის და ასკეტური სულისკვეთების შედეგი რომ არის და არა სინამდვილე ჩანს თვით მისი

თხზულებიდანაც, სადაც მეფის ამგვარ შეფასებამდე ამბობს, რომ გიორგი ლაშა იყო “უხჳ, არავისთჳს მოშურნე, მლოცველ, მმარხველ, განმკითხველ და მოწყალე” (20. 154).

1913 წელს ივანე ჯავახიშვილმა “ქართლის ცხოვრების” ანასეული ნუსხის აღმოჩენით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მანამდე უცნობი მოკლე ასწლოვანი მატიანე, რომელსაც პირობითად ლაშა-გიორგისდროინდელი მატიანე უწოდა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, მატიანე ლაშას გარდაცვალების მომდევნო წელს არის დაწერილი. მისივე აზრით ამ მატიანის ერთადერთ ღირსებად თარიღების შედარებითი სიუხვე უნდა მივიჩნიოთ. ნოდარ შოშიაშვილის აზრით ლაშასდროინდელი მატიანე გვიან არის შედგენილი თვით ანასეული ნუსხის გადამწერლის მიერ. თუნდაც რომ გვიანდელ ნუსხაში საიდანღაც შეეტანათ ეს შრომა, თვით ტექსტი მატიანისა აშკარად თანადროულია, რადგან მთავრდება ლაშას გარდაცვალებით და რუსუდანის დალოცვით (237).

ამ მატიანის ნაწილები ან ცალ-ცალკეა დაწერილი ან უფრო საფიქრებელია, რომ რაღაც თხზულებიდან არის შემოკლებით ამოღებული და გარკვეული სასწავლო ან რაღაც ამგვარი დანიშნულებითაა შედგენილი 1223/1225 წლისათვის. ამგვარად დათარიღების საფუძველს მატიანის ბოლო ფრაზა იძლევა, საიდანაც ჩანს, რომ რუსუდანი ორსულადაა ან რუსუდანის ასული თამარია ახლადდაბადებული: “დაიცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღმრთივ-გჳრგჳნოსანი რუსუდან, და ყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებელად თესლითი-თესლადმდე” (16. 371).

ლაშას და თამარის პერიოდი სხვადასხვა მემატიანის მიერ არის დაწერილი, რადგან “იგლოვა ამან სამეფომან ჟამსა ჯეროვანსა. დასუეს გიორგი ძე მისი მეფედ მასვე წელიწადსა, რომლისა წელნიცა მრავალ-ჟამეულ არიან და ცხოვრება მათი კეთილად წარმართებულ აქა ცვალებადსა თანა, მერმესაცა დაუსრულებელსა” (16. 369). ამ ფრაზას ლაშას მეფობის და მისი გარდაცვალების მომსწრე მემატიანე არ დაწერდა, ეს თამარის თანამედროვის სამომავლო სურვილებს გავს.

ქართულ ნარატიულ წყაროებს, განსაკუთრებით კი “ქართლის ცხოვრების” თხზულებებს, ზოგადად ახასიათებთ ფაქტობრივი აღწერილობის სისწორე, მაგრამ ხშირად თხრობის არათანმიმდევრულობა და არასანდო ქრონოლოგიური მონაცემები.

გიორგი IV-ისადმი ჟამთააღმწერლის და ლაშასდროინდელი მემატიანის განსხვავებული დამოკიდებულება ასახავს იმ დაპირისპირებას, რაც სამეფო კარზე, ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში შეიქმნა იმ ხანად. თუკი მანამდე ქართული ჟამთააღმწერლობა იცნობდა ცალკეულ საგვარეულოთა მატიანეებს, ე. წ. “ოპოზიციურ ისტორიოგრაფიას” და დევნიდა, ანადგურებდა მათ (“ქართლის ცხოვრებაში” იხსენიება “წიგნი ბაღვაშთა”). ამჯერად არაორდინალური ვითარება შეიქმნა, თვით ოფიციალური ისტორიოგრაფია გაიხლიჩა ორად, შესაბამისად დაპირისპირება არსებობდა სამეფო კარზეც.

ჩვენი აზრით რუსუდანის მეფობის დასაწყისში, როდესაც გიორგი ლაშას “თანამოჰასაკენი” დარბაზიდან გააძევეს ან ყოველ შემთხვევაში შეავიწროვეს, სამეფო კარზე უნდა ჩატარებულიყო

საისტორიო მწერლობის მასშტაბური რევიზია. პროვიდენციალისტურმა განწყობამ ადვილად გადააბრალა ჯალალ ედ-დინის შემოსევები და შემდგომი მონღოლთა ბატონობა ლაშა გიორგის ეპოქის უდარდელობას. ამგვარი პოზიცია ხელს აძლევდა რუსუდანს (გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება ტახტის კანონიერი მემკვიდრის დავით ლაშას ძის მიმართ. რუსუდანი ყველაფერს იღონებდა ლაშას სახელის დასაკნინებლად და შესაბამისად მოწინააღმდეგეთა დასასუსტებლად) და მით უმეტეს ივანე ათაბაგს.

წყაროს ამგვარი რევიზიის კვალი ნათლად ეტყობა თამარ მეფის დროინდელ "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანს", რომელიც ათაბაგის სახელოს შემოღებასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას გვაწვდის. პირველ შემთხვევაში "ისტ˜ნი და აზ˜ნი" მოგვითხრობს თამარის მიერ კარის აღებაზე და საუფლისწულო დომენად ქცევაზე. კარის გამგებელად თამარმა ივანე ახალციხელი დანიშნა და ათაბაგობა და ამირთ-ამირობა უბოძა (13. 92). ვინაიდან ახალციხელებსა და მხარგრძელებს შორის იმთავითვე არსებობდა მეტოქეობა სამეფო კარზე პირველობისთვის, ბუნებრივია საუფლისწულო დომენის გამგებლობა ახალციხელთა გვარის წარმატებად და მხარგრძელთა მარცხად ჩაითვლებოდა. ამიტომ ივანე მხარგრძელი ყოველი ღონით შეეცდებოდა ათაბაგის სახელოს დაუფლებას. უცნობია თუ როგორ და რა პირობებში მოხდა ეს. ფაქტია ის, რომ შემდგომში "ისტ˜ნი და აზ˜ნი" აღნიშნავს ივანე მხარგრძელის პირველ ათაბაგობას (13. 110), იმგვარად რომ აღარც კი ახსოვს ცოტა ხნის წინ უკვე ნახსენები პირველი ათაბაგი. წყაროში ჩანს გვიანდელი რევიზიის კვალი, რადგან ჩვენი აზრით ერთ ავტორს თხრობის მცირე მონაკვეთში არ აერეოდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორიც ათაბაგობის დაწესებაა.

შესაძლებელია იმდენად დიდი იყო სურვილი გაემართლებინათ ივანეს მიერ "ათაბაგობის" მოვერაგება, რომ ამის გულისთვის ზაქარია მხარგრძელი ნაადრევად გარდაცვლილად შერაცხეს (ლაშასდროინდელი მემატიანით და სომხური წყაროებით ზაქარია მხარგრძელი თამარის შემდგომ გარდაიცვალა), რათა ივანეს თამარისგან მიეღო ათაბაგობის პატივი და ამით თავად ივანეს "წვლილი" ამ საქმეში მიჩქმალულიყო. სინამდვილეში კი როგორც უკვე დავინახეთ ათაბაგის სახელო თამარმა გაცილებით ადრე შემოიღო, სულ სხვა პირობებში და თავდაპირველად ათაბაგობა საუფლისწულო დომენის გამგებლობას აღნიშნავდა.

რევიზიის კვალი, ჩვენი აზრით, ატყვია თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებასაც. აი ნაწყვეტი ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებიდან, რომელიც ჩვენი აზრით, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ მატიანის თანადროულობას: "ამას წინაშე იყო თამარ მაშინ, ვითარცა თჳსსა მამიდასა თანა, დითურთ თჳსით რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად. რომლისათჳს აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მითხრობად თუ რაოდენ შუენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული" (3. 115). თუ ამ

ცნობის ავთენტურობას დავუშვებთ, გამოდის, რომ "ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" XIII საუკუნის შუახანებშია შედგენილი. ალბათ უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ ეს ჩანართი სწორედ რევიზიის შედეგია და მთელი მატიანე არაფერ შუაშია.

ლაშას მატიანის შედგენისას ალბათ უკვე არსებობდა კარის მემატიანეთა ჯგუფი, რომელიც ლაშას მეფობის ისტორიას განსხვავებულად აღწერდა. ეს ჯგუფი სამეფო კარის და უშუალოდ ივანე ათაბაგის დავალებით მოქმედებს. სწორედ ამიტომ ხდება იძულებული ლაშას მემატიანე თავისი ვერსიის დასაცავად მანამდეართქმული სიტყვები წარმოთქვას: "არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდის". ეს სიტყვები სწორედ იმ მძაფრი დაპირისპირების კვალს ატარებს, რაც ძლიერი ცენტრალიზებული მონარქიის იდეოლოგიასა და "დიდებულთა ხელმწიფობის" იდეოლოგიას შორის სუფევს.

სრულიად ბუნებრივია, რომ პროვიდენციალისტური განწყობის და ღრმა მორალური სულისკვეთების ჟამთააღმწერელი ამგვარ წყაროთა დიდ გავლენას განიცდის. იგი მართალია იცნობს განსხვავებულ წყაროსაც, ახსენებს ვინმე "ყოველთააღმწერელს", სავარაუდოდ სწორედ ცენზურაგაუვლელი მატიანის ავტორს, მაგრამ არ შეიწყნარებს მის ცნობებს.

გიორგი ლაშას შესახებ არსებულ განსხვავებულ წყაროთა პრობლემის გადაჭრას და გიორგი ლაშას რეაბილიტაციას შეეცადა ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია, ჯერ ფარსადან გორგიჯანიძის და შემდეგ კი იოანე ბატონიშვილის სახით.

რევაზ კიკნაძის აზრით ფარსადან გორგიჯანიძეს ჟამთააღმწერლის ის ცნობები, სადაც გიორგი ლაშა უარყოფით კონტექსტშია წარმოჩენილი ჩაუნაცვლებია მეფის მაქებარი ფაქტებით, რომელთა წყაროსაც არ უთითებს. მაგალითად, ფარსადანს საერთოდ ამოღებული აქვს მეფის მიერ ივანე ათაბაგისადმი ბოდიშის მოხდის სცენა (147. 95). მას მეფის და ათაბაგის ურთიერთობა გაიდეალებული აქვს და მამაშვილურ დამოკიდებულებად მიიჩნევს. გიორგი ლაშას მიმართ გორგიჯანიძის ასეთი პოზიციის მიუხედავად იგი არ არის თავისუფალი პროვიდენციალიზმისგან, როგორც ტიპიური შუა საუკუნეების მემატიანე და მონღოლთა შემოსევას, ჟამთააღმწერლის მსგავსად, ჩადენილი ცოდვებისათვის თავს დატეხილ ღვთის რისხვად მიიჩნევს.

იოანე ბატონიშვილის ცნობები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მრავალ კონკრეტულ შემთხვევაში იგი უთითებს თავისი ინფორმაციის წყაროს. კერძოდ ლაშა გიორგის მიერ თვალის დაზიანების ფაქტს, რაც ჟამთააღმწერელთან ბრალდება რინდებს, იოანე ბატონიშვილი მიაწერს ვინმე ბარათაშვილს, რომელმაც ჩოგანბურთის თამაშისას თვალში მოარტყა მეფეს ჩოგანი. იოანე ბატონიშვილი ამ ინფორმაციის წყაროდ ასახელებს მღვდელმონაზონ იოსებ გამრეკლიძის ჩვენთვის უცნობ შრომას.

იოანე ბატონიშვილს მოჰყავს ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი დისპუტის ფაქტი გიორგი ლაშას მეფობის პერიოდშიც (თამარის დროინდელი დავის შემთხვევა აღწერილია თამარის

ისტორიკოსთან) და მის წყაროდ ასახელებს ბენედიქტეს “სიმბოლოს”, ძველ მატიანეებს (მათ შორის შესაძლებელია იყოს ჟამთააღმწერლის მიერ ნახსენები “ყოველთააღმწერელი”), კათალიკოზ ექვთიმეს (იგივე: ევთვიმე) და დანიელ ვართაპეტის ცნობებს. იოანეს აზრით, სწორედ დანიელ ვართაპეტმა, რელიგიურ დისპუტში დამარცხებით განაწყენებულმა “დაწერა მრავალი ძაგებანი ლაშასი და სხვა სომეხთა მეისტორიებმა აქედან გამოწერეს სჯულისა მტერობისა გამო” (138. 292).

იოანეს მიერ მოხსენიებულ წყაროთა შორის რეალური ჩანს “საულ-დავითიანის წიგნი”, რომელიც იხსენიება დავით რექტორის 1810 წლის კატალოგში. თუმცა უკვე 1838 წელს პლატონ იოსელიანი მარი ბროსესთან წერილში აღნიშნავს, რომ ეს წიგნი ვერ მოიძია და ფიქრობს, რომ იგი ბატონიშვილებს ექნებოდათ პეტერბურგში. იოანე ბატონიშვილი განსხვავებულ ცნობას იძლევა გიორგი ლაშას ქორწინებასთან დაკავშირებით. თითქოს მეფემ ჯვარი დაიწერა ხარჭაშოს “გუნბათიანსა და კეთილნაშენ ეკლესიაში” და ამ ჯვრისწერის მოწმენი ყოფილან ეფთვიმე კათალიკოსი და მეფის მოძღვარი გიორგი ხარჭოშელი. იოანე ბატონიშვილის ცნობები და მის მიერ გამოყენებული წყაროები ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს, მაგრამ არა ჰიპერკრიტიკულს. მართებულად შენიშნავს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, “ის გარემოება, რომ ლაშა გიორგის პიროვნების შეფასებაში ეს წყაროები, სავსებით უჭერენ მხარს ლაშას თანამედროვე მემატიანეს, გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ წყაროებში იმდენად ფანტაზიისა და ხალხური შემოქმედების ანარეკლი არ გვაქვს, რამდენადაც სინამდვილის გამომახილი და კვალი” (138. 299).

არაქართულ წყაროებში განსაკუთრებით ღირებულია მონღოლთა შემოსევასთან დაკავშირებული ცნობები, რომლებიც გვხვდება როგორც სომხურ, ისე აღმოსავლურ წყაროებში (ვარდან არეველცი, გრიგოლ აკანცი, მხითარ აირივანეცი, კირაკოს განძაკეცი, სტეფანოზ ორბელიანი, ჰამდალაჰ ყაზვინი, რაშიდ ედ-დინი, იბნ ალ-ასირი). არაბული და სპარსულენოვანი წყაროები ძვირფას მასალას გვაწვდიან ისლამურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ, როგორც ვასალურ ქვეყნებთან, ისე სამხრეთულ იმპერიებთან (ელდიგუზიანთა და აიუბიანთა სახელმწიფოები). ზოგადად არაქართული წყაროების მთავარი ღირსებაა ქრონოლოგიური სიუხვე და შედარებითი სანდოობაა. თუმცა მათ ცნობებში მეტია ტენდენციურობის ხარისხი.

ბ) ისტორიოგრაფია: საკითხის ისტორიოგრაფია საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, რადგან ჩვენ გიორგი IV ლაშას მოღვაწეობის მრავალ ასპექტს ვეხებით. პირველად გიორგი ლაშას შესახებ წყაროთა კრიტიკული ანალიზი მოახდინა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, მან დაამკვიდრა ქართულ ისტორიოგრაფიაში კრიტიკული დამოკიდებულება გიორგი IV-ის პიროვნების მიმართ. მოგვიანებით აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ ახალი წყაროების საფუძველზე დასვა რიგი პრობლემების გადახედვის საკითხი. გიორგი ლაშას პიროვნების შეფასებას და ისტორიული პორტრეტის შექმნას შეეცადნენ შემდგომი თაობის ისტორიკოსები:

დავით გვრიტიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ნოდარ ასათიანი, ჯემალ სტეფნაძე, ბიჭიკო დიასამიძე.

ეპოქის საზოგადოებრივი მენტალიტეტი, სოციალურ ფენათა შინაგანი ბუნება კარგად გააშუქეს შალვა ნუცუბიძემ და ვიქტორ ნოზაძემ. ბოლო დროს ამ საკითხებს შეეხო თავის მონოგრაფიაში გიორგი მჭედლიშვილი.

სამეფო ინვესტიტურის და რეზიდენციების საკითხებს შეეხნენ თავის შრომებში: ნიკო ბერძენიშვილი, სარა ბარნაველი, ნინო ჩოფიკაშვილი, რუსუდან დოლაბერიძე, ვლადიმერ ჩაკვეტაძე. გენეალოგიის საკითხები შეისწავლეს: ივანე ჯავახიშვილმა, მზია სურგულაძემ, დიმიტრი შველიძემ, ჯაბა სამუშიამ, გურამ კუტალაძემ.

ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემა გიორგი IV-თან დაკავშირებული ქრონოლოგიური საკითხებია, კერძოდ მეფობის ქრონოლოგია. წყაროთა განსხვავებული მონაცემები კიდევ უფრო აბუნდოვანებს ამ საკითხს. ივანე ჯავახიშვილმა მატიანეებში აღწერილი ფაქტების ქრონოლოგიური ინტერვალის გამოთვლის მეთოდით გიორგი IV-ის მეფობა 1213-1222 წლებით განსაზღვრა. სარგის კაკაბაძემ წყაროთა პირდაპირ მონაცემს_1207 წელს მიანიჭა უპირატესობა, ამ თარიღს ეპისტოლარული მასალის საფუძველზე მხარი დაუჭირა ზურაბ ავალიშვილმა. მოგვიანებით ჯუმბერ ოდიშელმა და ბენიამინ სილაგაძემ სომხურ, აღმოსავლურ წყაროებზე და კინკლოსურ ჩვენებაზე დაყრდნობით კიდევ უფრო არგუმენტირებული გახადეს ეს მოსაზრება. გასული საუკუნის 70-იან წლებში ახალ წყაროთა (ნუმიზმატიკური და ეპიგრაფიკული მასალა) სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისა და ძველი მონაცემების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე შანშე დარჩიაშვილმა, თამაზ ნატროშვილმა და გოჩა ჯაფარიძემ უფრო არგუმენტირებული _1210 წელი დაადგინეს თამარ მეფის გარდაცვალების და გიორგი ლაშას გამეფების თარიღად.

გიორგი ლაშას ეპოქის ხუროთმოძღვრება და ფრესკული მხატვრობა საფუძვლიანად არის განხილული გიორგი ჩუბინაშვილის, შალვა ამირანაშვილის, ვახტანგ ბერიძის, იგორ გინგელდორფის, პარმენ ზაქარაიას, გაიანე ალიბეგაშვილის, ზაზა სხირტლაძის ნაშრომებში.

ამ ხანის სახელმწიფო წყობილების და მმართველობის სტრუქტურის ცალკეული საკითხები ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტური კვლევის შემდგომ განავრცეს ნიკო ბერძენიშვილმა, პავლე ინგოროყვამ, შოთა მესხიამ, ილია ანთელავამ, დავით ნინიძემ, მიხეილ ბახტაძემ და სხვებმა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეების საქალაქო წყობილება და მმართველობა აღმოსავლური ქალაქის ტიპოლოგიის პარალელით შეისწავლა ვალერიან გაბაშვილმა. ქართული საქალაქო ყოფა ევროპული კომუნის ანალოგიას დაუკავშირა შოთა მესხიამ. შემდგომში ქართულ მედიევისტიკაში XII-XIII საუკუნის საქალაქო ცხოვრების საკითხები ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლეს შოთა მესხიამ, ლევან ჭილაშვილმა, დავით მუსხელიშვილმა, მანანა გაბაშვილმა, გია

ზერაძემ, პავლე თოფურიამ, გიორგი აფრასიძემ და სხვებმა. ამ პერიოდის ისტორიული გეოგრაფიის საკვანძო საკითხები განხილულია ნიკო ბერძენიშვილის, დავით მუსხელიშვილის, დევი ბერძენიშვილის შრომებში.

ეკლესიის ისტორიის შესწავლა, რომელსაც ჯერ კიდევ ნიკო მარმა, ივანე ჯავახიშვილმა და სარგის კაკაბაძემ დაუდეს სათავე, საბჭოთა პერიოდში დაკნინდა და მიიჩქმალა. აბსოლუტიზმის ხანის საეკლესიო ისტორიას მხოლოდ ნიკო ბერძენიშვილის, ვარლამ დონდუას და ბაბილინა ლომინაძის ნაშრომები შეეხება. მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იმატა ახალგაზრდა თაობის მკვლევართა ყურადღებამ საეკლესიო ისტორიის პრობლემატიკისადმი. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ნაშრომები გამოაქვეყნეს ზაზა აბაშიძემ, გრიგოლ ჯოხაძემ, ბუბა კუდავამ, თამარ ქორიძემ და სხვებმა.

ეკონომიკურ-საფინანსო ისტორიის საკითხებს ეძღვნება ცნობილი ნუმიზმატების: ევგენი პახომოვის, თამარ ლომოურის, დავით კაპანაძის, ნიკოლოზ ქოიავას, ირინა ჯალაღანიას, გოჩა ჯაფარიძის შრომები, სადაც განხილულია ე. წ. "ვერცხლის კრიზისის", სახელმწიფო საფინანსო აპარატის და საგადასახადო სისტემის ისტორიის საკითხები.

ლაშა გიორგის მოღვაწეობის შესწავლა წარმოუდგენელია მდიდარი ფოლკლორული მასალის გათვალისწინების გარეშე. ეს იმთავითვე ესმოდათ ქართველ მეცნიერებს და სათანადო ყურადღებასაც უთმობდნენ. მთის მოსახლეობასთან გიორგი ლაშას მჭიდრო კონტაქტების ამსახველი ფოლკლორული წყაროები გამოაქვეყნეს ივანე ბუქურაულმა, თედო ბეგიაშვილმა, სოლომონ ცაიშვილმა, ქსენია სიხარულიძემ,... მთასთან მეფის ურთიერთობის ხასიათი, მეფის კულტის მნიშვნელობა შესწავლილი აქვთ ვერა ბარდაველიძეს, ზურაბ კიკნაძეს, გიორგი ახვლედიანს და სხვებს.

გიორგი IV-ის მეფობის საფუძვლიანი შესწავლა წარმოუდგენელი იქნებოდა მრავალრიცხოვანი დოკუმენტური თუ უცხოენოვანი წყაროების პუბლიკაციის გარეშე. დიპლომატიკური და ეპიგრაფიკული მასალა გამოსცეს და შეისწავლეს: ზაქარია ჭიჭინაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, გიორგი ბოჭორიძემ, ვახტანგ ცისკარიშვილმა, ისიდორე დოლიძემ, ნუკრი შოშიაშვილმა, დევი ბერძენიშვილმა, ვალერი სილოგავამ, გიორგი ოთხმეზურმა.

სომხური წყაროები გამოსცეს და ქართულ-სომხური ურთიერთობის მრავალი საკითხი შეისწავლეს: ნიკო მარმა, ივანე ჯავახიშვილმა, ილია აბულაძემ, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, ალექსანდრე აბდალაძემ, ელენე ცაგარეიშვილმა, ლიანა დავლიანიძემ, შანშე დარჩიაშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ,... სპარსულენოვანი მასალების თარგმნა და პუბლიკაცია განახორციელეს: ვლადიმერ ფუთურიძემ, რევაზ კიკნაძემ, მაგალი თოდუამ,...

შუა საუკუნეების ევროპული ეპისტოლარული მასალა თარგმნეს, გამოსცეს და მათ საფუძველზე საშინაო და საგარეო პოლიტიკის არაერთი საკითხი შეისწავლეს მიხეილ თამარაშვილმა, ზურაბ ავალიშვილმა, ილია ტაბაღუამ,...

მრავალმხრივია გიორგი IV-ის საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიური საქმიანობის ის საკითხები, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლის საგანს წარმოადგენდნენ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხები შეისწავლეს ივანე ჯავახიშვილმა, ლოვარდ ტუხაშვილმა, შოთა ბადრიძემ, გოჩა ჯაფარიძემ, დავით ნინიძემ,...

საქართველოს სახელმწიფოს ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობას შეეხნენ თავიანთ შრომებში: ვალერიან გაბაშვილი, ვლადიმერ ფუთურიძე, ბენიამინ სილაგაძე, ნოდარ შენგელია, მაგალი თოდუა, გოჩა ჯაფარიძე, პავლე თოფურია,.. ჯვაროსნულ სამყაროსთან ურთიერთობას მიუძღვნეს თავისი ნაშრომები: ზურაბ ავალიშვილმა, გრიგოლ ფერაძემ, შოთა ბადრიძემ, მაია სტეფნაძემ. მონღოლებთან ურთიერთობის საწყის პერიოდზე გაამახვილეს ყურადღება იასე ცინცაძემ, რევაზ კიკნაძემ, ნუკრი შოშიაშვილმა,..

ქართული ისტორიოგრაფიის ამჟამინდელი წყაროთმცოდნეობითი და კვლევითი ბაზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გიორგი IV ლაშას მეფობის ყველა ასპექტს შევხებოდით და ჩვენეული დასკვნები გაგვეკეთებინა, რაც წინამდებარე ნაშრომშია მოცემული.

# თავი I: მეფე და პიროვნება

## # 1. გიორგი IV ლაშას მოღვაწეობის ქრონოლოგია

გიორგი ლაშას მოღვაწეობის ქრონოლოგია წყაროთა წინააღმდეგობრივი ცნობების გამო ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. ცნობების ნაწილი ნარატიულ წყაროებშია დაცული და უმეტესწილად ეპოქას დაშორებულია. მეორე ნაწილი, დოკუმენტური და მატერიალური წყაროები, მართალია თანამედროვეა, მაგრამ წინააღმდეგობა მათშიც დიდია.

**ა) დაბადება:** ლაშა გიორგის დაბადებას სამეფო კარი განსაკუთრებული სიხარულით შეეგება, რადგან როგორც თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს ლაშას დაბადებას დიდი მოლოდინი უძღოდა წინ: "ესევითართა წყალობათა შინა ღმრთისათა იშუებდა ერი ქრისტიანეთა, გარნა წუხდეს და იურვოდეს უნაყოფოებისათჳს თამარისა, არამედ ღმერთმან, რომელმან მოხედნა პირველ მანოეს და აბრაამს და მდედრთაცა ანნას და ელისაბედს, არა ყოვნა არცა აქა. რამეთუ შემდგომად მცირედისა ჟამისა დაორსულდა თამარ. და ცნეს რა ესე ყოველთა, იწყეს ლიტანიაობით ღმრთისა ვედრება, მარხვითა, ლოცვითა და ცრემლითა, რათა მისცეს ღმერთმან შვილი წული. რომელი-ესე იქმნაცა, და შვა შვილი ყოვლითურთ მსგავსი პაპისა. და დაარქუეს სახელი გიორგი. და განიხარეს ყოველთა სიხარულითა მიუთხრობელითა" (3. 124).

მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ტახტის მემკვიდრის ("შვილი წულის") დაბადებას განსაკუთრებული მოლოდინით ელოდა სამეფო კარი, ალბათ იმ სავალალო გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც გიორგი III-ის უძეობას მოჰყვა. აქვე ჩანს, რომ გარკვეული პერიოდი თამარი ვერ დაფეხმძიმდა ("წუხდეს და იურვიდეს უნაყოფოებისათვის თამარისა") და მხოლოდ მცირე დროის შემდგომ დაორსულდა. თუ გავითვალისწინებთ ტახტის მემკვიდრის განსაკუთრებულ მოლოდინსაც და იმასაც რომ თამარს პირველ ქმართან შვილი არ ჰყავდა, ამგვარი შეშფოთების საფუძველი შეიძლებოდა წარმოქმნილიყო თამარის მეორედ გათხოვებიდან მინიმუმ 2-3 წელიწადში.

სომხურ წყაროთა მონაცემებით (ვარდან არეველცი, სტეფანოზ ორბელიანი, მხითარ გოში) ირკვევა, რომ თამარი პირველად 1185 წლის გაზაფხულზე გათხოვდა. თამარის ისტორიკოსის ცნობით თამარს გიორგი რუსი ქმრად ესვა "ორ წლამდის, გინა უმეტეს", შემდგომ კი უქმროდ დაუყვია სულ ცოტა ორი სეზონი (ე. ი. 1187 წლის ზაფხული_შემოდგომა). მხითარ გოშის ანდერძ-მინაწერში აღნიშნულია, რომ 636 წელს (3. II. 1187-2. II. 1188) "ქართველთა სამეფო ბზბოქრობდა, რადგან თამარმა, გიორგი მეფის ასულმა, განიშორა პირველი ქმარი, რუსთა მეფის ძე, და შეირთო სხვა ქმარი, ალანთა სამეფოდან" (44. 42). ამდენად თამარის და დავით სოსლანის ქორწინება 1188

წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. პარუირ მურადიანის აზრით 1188 წლის გაზაფხულზე (284. 134).

გიორგი ლაშა ამ ამბიდან 3-4 წლის შემდეგ დაიბადა. პირდაპირ თარიღს გვაწვდის ლაშასდროინდელი მემატიანე: "ოდეს დაიბადა ქორონიკონი იყო ოთხას და ცამეტი" (16. 369). "აფხაზ მეფეთა ქრონიკის" მიხედვით: "ქ˜კს უიბ, დასაბამითგან ხღჟვ (1192 წ.) აქა შარვანს შამახა დაიქცა და თამარს ძე მიეცა გიორგი ლაშა" (199. 280). ორი თარიღის ამგვარი სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ ლაშა 1192 წლის ბოლოს ან 1193 წლის დასაწყისში უნდა დაბადებულიყო.

"ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გიორგი ლაშას დაბადებას შემდეგნაირად აღწერს: "ტაბაჴმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა, და უწოდა სახელი ახოვნისა მის მამისა თჳსისა გიორგისი" (13. 56).

მეფის მეორე სახელის "ლაშას" განმარტება მოტანილი აქვს "ისტ˜ნი და აზ˜ნის" მარიამისეულ ნუსხას: "განმანათლებელად სოფლისა ითარგმანა აფსართა ენითა" (13. 58). ამგვარი ცნობა აგრეთვე ჩართულია ჟამთააღმწერელთან ვახუშტისეულ ნუსხაში (20. 151).

XII საუკუნის ბოლოს თამარ მეფემ როგორც ჩანს გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა და სხვა ერისთავებთან ერთად დანიშნა აფხაზთა ერისთავი ოთაღო შარვაშისძე. ჩვენი აზრით, მართებული ჩანს ვახტანგისეული კომისიის კონიექტურა "ისტ˜ნი და აზ˜ნისა", რასაც ეთანხმება ვახუშტიც, რომ ცხუმის საერისთაო ცალკე გამოიყო და აქ ერისთავად დაინიშნა ამანელასძე. მისი საერისთავო შესაძლებელია ცხუმიდან ეგრისწყლამდე ტერიტორიას მოიცავდა, ხოლო შარვაშიძეთა სამფლობელო უფრო ჩრდილოეთით, ისტორიულ აბაზგთა სამთავროს ფარგლებს ფარავდა (მდ. კელასურიდან ჯიქეთამდე). ამასვე ადასტურებს ჟამთააღმწერლის ცნობა: "ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი", სადაც ერთმანეთისგან გამიჯნულია ცხუმის და აფხაზეთის საერისთავოები, როგორც სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულები. ჩვენი აზრით იმ ეპოქაში იქნებოდა ამგვარი გამიჯვნის აუცილებლობა, რადგან ეთნიკური აფხაზების კომპაქტურ სამოსახლოს ძირითადად ძველი აბაზგთა ქვეყანა (მდ. ბზიფსა და კოდორს შორის ტერიტორია) წარმოადგენდა, მათი ერისთავიც აფხაზი იყო (ჟამთააღმწერელი პირდაპირ მიუთითებს: "შარვაშიძე დარდან, აფხაზი"_20. 194). ნიკო ბერძენიშვილი წერს: "ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა, ხალხის ფართო მასები ინარჩუნებდა მშობლიურ ენას, გაქართველება მხოლოდ ზედა ფენას ეხებოდა" (94. 616). ამდენად ახლებურ პირობებში აფხაზთა, როგორც ეთნიკური უმცირესობის აუტოიდენტიფიკაციისთვის აუცილებელი იქნებოდა ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის ფორმირება.

სწორედ "აფსართა" ენაზე მოლაპარაკე ხალხად უნდა მივიჩნიოთ "ქართლის ცხოვრების" ის აფხაზები, რომლებიც წყაროში ლოკალური მნიშვნელობით გვხვდებიან. თამარს და დავით სოსლანს "მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი;

შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ" (13. 65). "მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა,.. ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს,.. აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა" (20. 182).

გიორგი ლაშას დაბადება, როგორც განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენა ბუნებრივია განსაკუთრებულადაც უნდა აღნიშნულიყო. დავით სოსლანის სარდლობით ქართულმა ლაშქარმა "ამის გიორგის შობასა ზედა გაილაშქრა და აიღო კარი: ესრე ჩნდა ბედნიერობა ამისი და თამარ მეფისა" (16. 369). კარი ამ შემთხვევაში კარინი ანუ არზრუმის საამიროა. "ისტ˜ნი და აზ˜ნი" აღნიშნავს, რომ ქართველთა ლაშქარმა ერთი თვის განმავლობაში დალაშქრა ბარდავი, არანი, არზრუმი, "პირველად შემკრებელთა ბედსა და სუესა ზედა" და უფლისწულის სახელით 30 ათასი ტყვეც გაათავისუფლეს (13. 58).

ბ) უფლისწულობის ხანა: ლაშა გიორგი ყრმობიდანვე აქტიურად ჩანს სახელმწიფო საქმეებში. 1195 წელს დევნილი უფლისწული ამირ-მირმანი და შირვანშაჰი აღსართანი თბილისს ეწვივნენ "და შეიქმნა დარბაზობა, და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თჳთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი" (13. 65).

უკვე 1201 წლის ჯუხტაკ ვანქის წარწერაში ლაშა გიორგი იხსენიება ამირად (115. 209). ეს ალბათ უნდა ნიშნავდეს მის უფლისწულობას განსაკუთრებული სტატუსით. ლაშა დომენის მფლობელია, ჭრის საკუთარ მონეტას "ჯავახთ უფლის" სახელით. ეს დომენი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა გადაჭიმული თბილისიდან არზრუმამდე, შეიცავს თრიალეთს, ჯავახეთს, კარის ქვეყანას (ეს უკანასკნელი 1204 წელს თამარმა სახასოდ აქცია). ამგვარი ზრდა სამეფო მიწებისა "დიდებულთა გახელმწიფების" (ერისთავთა გამთავრების) პირობებში ბუნებრივი ნაბიჯია სამეფო ხელისუფლებისაგან. გიორგი ლაშა, როგორც ყრმობიდანვე ჩართული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ამ დომენის მფლობელი ხდება. მას ამზადებენ ტახტის მემკვიდრედ და დავით სოსლანის გარდაცვალებისთანავე იგი ფაქტიურად თანამეფობას წევს.

ივანე ჯავახიშვილი "თანამოსაყდრეობას" ძველი "ლაზური" წესის აღდგენად მიიჩნევდა. უკვე გიორგი II-ის დროიდან ეს თითქმის ტრადიციად იქცა. პირველი პრეცედენტი დაახლოებით 1048/1049 წლით თარიღდება, როდესაც ბიზანტიასთან შეკრული ლიპარიტ ბაღვაშისგან თავის დასაცავად ბაგრატ IV თავის მცირეწლოვან მემკვიდრეს ტახტზე სვამს და თვითონ ბიზანტიას აფარებს თავს. მშვიდობიან ვითარებაში თანამოსაყდრეობის პრინციპი, გარდა ტახტის მემკვიდრისთვის მეფური თვისებების შეძენისა (ეს "მეფის" სტატუსის გარეშეც მოხერხდებოდა), უპირველესად სწორედ მეფის მიერ თავისი მემკვიდრისთვის "მეფის კურთხევის" ცერემონიალის

ზოგიერთი არასასიამოვნო რიტუალის (დიდებულების მიერ მეფისთვის ინვესტიტურის ნიშნების გადაცემა,...) თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად.

ლაშასდროინდელი მემატიანის ცნობით, ლაშა "თორმეტისა წლისა იყო, ოდეს მეფედ დაჯდა" (16. 370). მიუხედავად იმისა, რომ მემატიანე ლაშას დამოუკიდებელ მეფობას აღწერს, 1205 წლისთვის არცერთი ქრონოლოგიური მონაცემით ლაშა ერთპიროვნული მონარქი ვერ იქნებოდა და აქ ბუნებრივია თანამეფობის დაწყება უნდა იგულისხმებოდეს. ამას ჟამთააღმწერლის ცნობაც ადასტურებს: "იყო წლისა ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გჳრგჳნი მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა" (20. 151). ჟამთააღმწერელს ეთანხმება ფარსადან გორგიჯანიძეც (147. 95).

გიორგი ლაშას თანამოსაყდრედ დასმის თარიღის გასარკვევად მნიშვნელოვანია დავით სოსლანის გარდაცვალების თარიღის დაზუსტება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით დავით სოსლანი კონსტანტინოპოლის აღებიდან ერთი წლის შემდეგ (ე. ი. 1205 წელს) გარდაიცვალა. თედო ჟორდანიას მოყავს ქრონიკალური ცნობა, რომლის თანახმად დავით სოსლანი 1207 წლის 18 იანვარს, ოთხშაბათს გარდაიცვალა (199. 296). მეცნიერი უკეთებს კორექტივს, რადგან ოთხშაბათი 1206 წელს ემთხვევა და ასკვნის, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების ციტატი: "და ვისცა ათჩჳდმეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარისგან გემცრებიან" (3. 144), უნდა ეკუთვნოდეს არა თამარს, არამედ დავით სოსლანს (1206-17=1189 წელს ანუ დავითის გამეფების წელს) და დავითის 1206 გარდაცვალებას უნდა ადასტურებდეს (199. 299).

ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ვანის ქვაბების წარწერა გვამცნობს, რომ მას ზღუდე აუშენებია "მეოცესა წელსა მეფობისა მათისასა", ამდენად 1204 წლისათვის დავით სოსლანი ნამდვილად ცოცხალია და ლაშა ჯერ არ არის თანამოსაყდრე. "ისტ˜ნი და აზ˜ნის" მიხედვით დავით სოსლანი ბასიანის ბრძოლიდან მცირე ხანში გარდაიცვალა. ბასიანის ბრძოლის თარიღად ამჟამად 1202 წლის 27 ივლისია მიღებული. ვახუშტი ბატონიშვილი სოსლანის გარდაცვალებას ათარიღებს 1205 წლით. ვახტანგისეული კომისიის დასკვნით დავით სოსლანი მონაწილეობდა კარის აღებაში, მაგრამ ეს ცნობა თავდაპირველ ვარიანტში არ არის და საეჭვოა.

დავით სოსლანის გარდაცვალებას და ლაშას მეფედ კურთხევის თარიღს უფრო აკონკრეტებს სომხური ეპიგრაფიკის მონაცემები. სანაინის მონასტრის წარწერებიდან 1205 წლით დათარიღებულ წარწერაში იხსენიება მხოლოდ თამარის მეფობა, 1205/1206 წლით დათარიღებულ წარწერაში კი მხოლოდ გიორგის მეფობა (115. 212). 1206 წლის მარმეტის წარწერაშიც მხოლოდ ლაშას მეფობაზეა საუბარი (115. 216).

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით დავით სოსლანი დიდმარხვის დღეებში გარდაიცვალა გეგუთის სასახლეში. რევაზ კიკნაძემ შეისწავლა რამაზანის და აღდგომის დიდმარხვის დღეთა დამთხვევა და დაასკვნა, რომ დავით სოსლანი 1205 წლის მაისში უნდა გარდაცვლილიყო (279. 147).

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ დავით სოსლანი ნამდვილად 1205 წელს გარდაიცვალა და ლაშას თანამოსაყდრედ კურთხევის ცერემონიალი დავით სოსლანის გარდაცვალებიდან სავალდებულო ერთწლიანი გლოვის შემდეგ ჩატარდებოდა, მითუმეტეს არავითარი ექსტრემალური პირობები და მიზეზები არ არსებობდა ამ მოვლენის დასაჩქარებლად. კურთხევის ერთი წლის ინტერვალი ვფიქრობთ იკითხება ლაშასდროინდელი მემატიანის და ჟამთააღმწერლის განსხვავებულ ცნობებშიც. 1205 წლისთვის ლაშა ფაქტიურად მეფეა, მაგრამ მეფის გვირგვინი დაიდგა (ე. ი. ეკურთხა) და თამარმა მიულოცა მეფობა მხოლოდ 1206 წელს.

ის ფაქტი, რომ სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ლაშა ცალკე იხსენიება და მასთან ერთად არ არის ნახსენები თამარი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თამარი აღარ არის ცოცხალი. ლაშას თანამოსაყდრეობა განსხვავდება წინამორბედი შემთხვევებისგან და უფრო მომდევნო ხანის, კერძოდ რუსუდანის და დავით ნარინის თანამეფობას გვაგონებს. ლაშა სრულუფლებიანი მონარქია, იგი სტატუსით მამამისზე გაცილებით მაღლა დგას (სოსლანი არ იყო თანამეფე და არსად თამარისგან განცალკევებით მეფედ არ იხსენიება) და ამდენად მხოლოდ მისი მოხსენიება მეფედ არ არის მოულოდნელი. სახელმწიფო იდეოლოგია მას ქრისტეს ადარებს (13. 56) და ბუნებრივია უფლისწულობის დროიდანვე მისი განსაკუთრებული მდგომარეობა. ქართული და სომხური ეპიგრაფიკა (გუნიაყალას "ჴელი", ბარალეთის ეკლესიის წარწერა, სანაინის და მარმეტის წარწერები) ადასტურებს ლაშას და თამარის რამდენიმეწლიან თანასწორუფლებიან თანამოსაყდრეობას. მხოლოდ ფული არ იჭრება ამ პერიოდში ლაშას მეფობის სახელით და ისიც ალბათ იმიტომ, რომ ლაშა "ჯავახთ უფლის" სახელით უკვე ჭრის საკუთარ მონეტას.

თანამოსაყდრეობის საკმაო ხანგრძლივობას ადასტურებს ის მრავალი ფრესკა, სადაც თამარი და ლაშა ერთად არიან გამოსახულნი (ზეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ნათლისმცემელი). 1-2 წელიწადში მათი შექმნა ცოტა ძნელად დასაჯერებელია, სამაგიეროდ 4-5 წელი ოპტიმალური დროა როგორც მშენებლობისთვის, ისე მოხატვისათვის.

**გ) გამეფების თარიღი:** თამარის გარდაცვალების და გიორგი IV-ის ერთმეფობის დაწყების თარიღი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი რთული და წინააღმდეგობრივი საკითხია და ისტორიკოსები განსხვავებულ თარიღებს გვთავაზობენ. 1201 წ. (ვახუშტი ბაგრატიონი), 1207 წ. (სარგის კაკაბაძე, ბენიამინ სილაგაძე, რევაზ კიკნაძე, ჯუმბერ ოდიშელი), 1210 წ. (თამაზ ნატროშვილი, გოჩა ჯაფარიძე, შანშე დარჩიაშვილი), 1212 წ. (მარი ბროსე, პავლე ინგოროყვა), 1213 წ. (თედო ჟორდანია, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ივანე ლოლაშვილი), 1216 წ. (კორნელი კეკელიძე). თამარის გარდაცვალების თარიღს სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ საისტორიო წყაროებიც. თავდაპირველად მოვიტანოთ ყველა იმ ნარატიული თუ ქრონიკალური წყაროს მონაცემი, სადაც ამაზეა საუბარი.

ლაშასდროინდელი მემატიანე თამარ მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: “მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა,.. თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხას ოცდაშჳდსა, დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს” (16. 369). მიუხედავად ასეთი დაკონკრეტებული მონაცემებისა, თარიღი არაზუსტია. 1206-1213 წლების შუალედში 12 იანვარი ოთხშაბათი დღე ემთხვევა მხოლოდ 1211 წელს, თუ თორმეტის მაგივრად თვრამეტს წავიკითხავთ (თამარის ისტორიკოსთან: “თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თთუესა იანვარსა იჱ”), ამ შემთხვევაშიც დამთხვევა მხოლოდ 1212 წელზე მოვა. ყურადღებამისაქცევია ის გარემოებაც, რომ ლაშასდროინდელ მატიანეში ლაშას გარდაცვალების თარიღადაც აგრეთვე 18 იანვარი და ოთხშაბათი დღე არის დასახელებული. ეს ძალაუნებურად გვავარაუდებინებს გადამწერის შეცდომას თამარის გარდაცვალების თარიღთან.

თამარის ისტორიკოსის ცნობები წინააღმდეგობრივია. “ხოლო წარმოვთქუათ ესეცა, რამეთუ ოცდამესამედ გინა-თუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა” (3. 143). ბასილი ეზოსმოძღვარი სხვადასხვაგვარად გვაწვდის თამარის გამეფების თარიღს, ქორონიკონით_1183 წელი, ხოლო დასაბამიდან_1182 წელი გამოდის (3. 116). მის თხზულებაში კარის აღების ამბავს უშუალოდ მოსდევს თამარის გარდაცვალება, რაზეც მემატიანე აღნიშნავს: “თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწყუდია ყოველი გუარი კეთილ-მეფობისა” (3. 150). თუმცა მანამდე წერს: “და ვისცა ათჩჳდმეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარისგან გემცრებიან” (3. 144). ამდენად თუ პირველ შემთხვევაში იგი 1206/1207 წელს გულისხმობს თამარის გარდაცვალებას, მეორე შემთხვევაში 1201 წელს იღებს. ეს უკანასკნელი თარიღი გაიზიარა ვახუშტი ბატონიშვილმაც. ივანე ჯავახიშვილმა წინააღმდეგობის მოხსნა ქრონოლოგიური კორექტივით სცადა, “ათჩჳდმეტის” ნაცვლად “ოცდაათჩჳდმეტი” წაიკითხა და იგი თამარის ასაკად ჩათვალა. თედო ჟორდანია 17 წელს თამარის და დავით სოსლანის ერთობლივი მეფობის დროდ მიიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ გვიანდელ 1761 წლის ბარათაშვილისეული ნუსხის მინაწერში თამარის გარდაცვალების თარიღად ქ˜ნი 430 (ე. ი. 1210 წ.) არის მოტანილი.

“ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი” ეწინააღმდეგება ბასილი ეზოსმოძღვარს. ჯერ ერთი, თუკი ბასილისთან კარის აღების ამბავს უშუალოდ მოსდევს თამარის გარდაცვალება, “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” თხრობის თანმიმდევრობაში კარის აღება 1205 წლის ლორეს კრების და ბასიანის ომს შორის თავსდება. ბასიანის ომის შემდეგ კი მოთხრობილია დავით სოსლანის გარდაცვალება, არდაველზე და ირანზე ლაშქრობა, ზაქარია მხარგრძელის სიკვდილი და ივანე ათაბაგის მიერ მთის დამორჩილება. ამას კი მოსდევს თამარის გარდაცვალება. ანალოგიურად “ისტ˜ნი და აზ˜ნი” ჯერ ლაშას დაბადებასა და გიორგი რუსის მეორედ შემოჭრაზე საუბრობს (1193 წლის ამბები) და შემდეგ ყიზილ-არსლანის სიკვდილზე, მისი მემკვიდრეების ომსა და შემახის

მიწისძვრაზე (1191/1192 წელი). როგორც ჩანს "ისტ˜ნი და აზ˜ნი" და საერთოდ ამ პერიოდის თხზულებები თხრობის მაინცდამაინც ზუსტი მიმდევრობით არ გამოირჩევიან.

ზაქარია მხარგრძელის თამარის სიცოცხლეში გარდაცვალების ცნობაზე დაყრდნობით მარი ბროსე და ივანე ჯავახიშვილი თამარს 1212 წლის შემდგომ გარდაცვლილად მიიჩნევდნენ, არადა სომხურ წყაროთა მონაცემებით ზაქარია მხარგრძელი უეჭველად 1212 წელს გარდაცვლილად ჩანს, მორო ძორის წარწერაში ვკითხულობთ: "ოკბ წელს, გიორგის მეფობაში, ჩვენ ამირსპასალარ სარგისის შვილებმა ათაბაგმა ივანემ და ამირსპასალარმა ზაქარიამ ავიღეთ სომეხთა ეს ქვეყანა ურწმუნოთაგან,... ახლა, როდესაც შეიყვარა ღმერთმა იგი, მოუწოდა თავისთან და დაგვიტოვა ცრემლი მწუხარების" (115. 223). ზაქარია რომ ლაშას მეფობის დროსაც ცოცხალია ამაზე პირდაპირ მიუთითებს ლაშასდროინდელი მემატიანე: "და იყვნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან მჴარგრძელი ზაქარია, მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი და ივანე ათაბაგი" (16. 370). პირდაპირი ცნობა მოეპოვება ამასთან დაკავშირებით კირაკოს განძაკეცს: "სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულ ზაქარიას ავადმყოფობამ დარია ხელი და დიდხანს აღარ უცოცხლია, დიდად დამწუხრდა ქართველთა მეფე გიორგი, მეტსახელად ლაშა და ძმა მისი ივანე მთელ ქართველ ლაშქართან ერთად" (39. 186).

თამარის 1207 წელს გარდაცვალების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ლაშასდროინდელი მემატიანის ცნობა, რომ სპარსეთზე ლაშქრობა თამარის დროს მოხდა: "დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყჳდეს და ერანის ქუეყანა" (16. 369), ირანზე ლაშქრობას აგრეთვე თამარის მეფობის დროინდელ ამბად მიიჩნევს "ისტ˜ნი და აზ˜ნი".

ჟამთააღმწერელთან ლაშას პირველ დამოუკიდებელ ომად გამეფების შემდგომ სახელდება განძაზე ლაშქრობა, სადაც ივანე ათაბაგი სპასალარობს (20. 153). ზაქარია სპარსეთის ლაშქრობის შემდგომ მძიმედ ავადაა და მხოლოდ ფორმალურადღა რჩება ამირსპასალარის რანგში. ეს ფაქტი დასტურდება 1212 წლის ჰაღბატის წარწერით, სადაც ზაქარია და ივანე ერთდროულად იხსენიებიან ამირსპასალარად (115. 221). თუ დავუშვებთ, რომ გიორგი IV 1207 წელს გახდა ერთპიროვნული მმართველი, მაშინ განძაზე ლაშქრობა 1208 წელს უნდა გვეგულისხმა, რაც წარმოუდგენელია, რადგან ზაქარია საღსალამათია და მთავარსარდლობას ივანეს არ დაუთმობდა.

ლაშას გამეფება 1209 წლამდე არ არის სავარაუდებელი იმიტომაც, რომ ამ დრომდე იგი პოლიტიკური არასრულწლოვანების ასაკში იმყოფება და ქართული სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე მას "მზრდელი" ანუ რეგენტი უნდა ყავდეს. მსგავსი ინფორმაცია კი, მიუხედავად წყაროთა მრავალფეროვნებისა არსად გვხვდება.

ჟამთააღმწერლის მიხედვით "რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათრვამეტისა წლისა" (20. 151). თუკი მხედველობაში მივიღებთ ლაშას დროინდელი მემატიანის ცნობას ლაშას 1193 წელს

დაბადებაზე (ხოლო ერთი კინკლოსური ჩანაწერით_1192 წელს), მაშინ უფლისწული მეთვრამეტე წელში 1210 წლისთვის იქნებოდა.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი წერს: "ღმერთმა სიკვდილი გაუგზავნა ქართველთა დედოფალს 603 წელს (1206/1207 წ.), რის შემდეგაც გურჯებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა" (38. 131).

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი: "თამარის მეფობის დროს გაძლიერდნენ ქრისტიანები. მას ყავდა ერთადერთი ვაჟი, რომელსაც ლაშა დაარქვეს. თამარს ეპყრა გვირგვინი 23 წელიწადი და აღესრულა. ტახტზე ავიდა ლაშა, რომელსაც ჯარმა გიორგი უწოდა" (7. 157).

სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანეცი თამარის გარდაცვალებას 1201-1211 წლებში მომხდარ ამბებთან ათავსებს: "გარდაიცვალა თამარი და გამეფდა მისი ვაჟი ლაშა, რომელმაც არეშზე და ვარაგზე ილაშქრა, ხოლო სპარსელების ქვეყანაში ზრეხამდე მივიდა" (19. 82).

ქრონიკალური ცნობით: "ქ˜კს ულა (1211) თამარ დედოფალი მარიამობის თვეს მიიცვალა და მეორესა წელსა მეფედ დაჯდა გიორგი".

როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თამარის თანამედროვე "ქართლის ცხოვრების" სამივე თხზულება არაზუსტ ქრონოლოგიურ მონაცემებს გვაწვდის არა მარტო გარდაცვალების, არამედ სხვა თარიღების შემთხვევაშიც. წინააღმდეგობრივია ქრონიკალური თუ უცხოურ ნარატიულ წყაროთა ცნობებიც. ამდენად უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვა დოკუმენტურ და ნივთიერ წყაროებს, რომელთაც გადამწერის და სხვა მიზეზთა გამო არ განუცდიათ რაიმე ცვლილება.

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეპისტოლარული მასალაც. ფრანგი ჯვაროსანი რაინდის გრაი დე ბუას წერილი ბეზანსონის არქიეპისკოპოს ამედე დე ტრემლესადმი (1195-1220), რომელიც პირველად ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა ზურაბ ავალიშვილმა. ამ ეპისტოლეში მოცემული ფაქტების ქრონოლოგიური შესაბამისობა შეისწავლა გოჩა ჯაფარიძემ და დაასკვნა, რომ წერილი 1211 წლის შემოდგომაზე გაიგზავნა ევროპაში. რომის პაპის ინოკენტი III-ის 1211 წლის 7 ივნისის ეპისტოლეში საქართველოს მეფე მამაკაცია, რაც აგრეთვე ადასტურებს თამარის 1211 წლამდე გარდაცვალების ფაქტს.

თამარის გარდაცვალებას და გიორგი ლაშას გამეფებას 1210 წლით ათარიღებს თანამედროვე დოკუმენტური წყარო, რომელიც ბუნებრივია განსაკუთრებული ნდობის ღირსია. ეს არის 1210 წლის ჰაღბატის მონასტრის წარწერა: "ეს წიგნი, საუკუნო ანდერძი, ამოიკვეთა ღმრთისა მიერ მეფეთა მეფის გიორგის, დიდი მეფის თამარის ძის კურთხევის წელს, რომლის დროსაც მოგვცა ღმერთმა ორ ღვიძლ ძმას: ზაქარიასა და ივანეს საკუთარი სიმაგრე,... სომეხთა სათვალავით ოწთ" (115. 216). ზაგავანის 1210/1211 წლის მიჯნის წარწერაც აღნიშნავს: "ალაშას მეფობაში, კეთილმოქმედ

ღმერთის იმედით მე ამირსპასალარი ზაქარია მოვედი ხლათიდან ბაგავანის წმინდა ძმობაში" (115. 220).

ჩვენამდეა მოღწეული 1210 წლით (ქ˜ნი ულ-430 ანუ 1210 წ.) დათარიღებული უნიკალური მონეტა (137. 78), რომლის ავერსზე თამარის ლეგენდაა დატანილი (ისეთი, როგორიც გვხვდება თამარის ყველაზე ტირაჟირებულ, 1187 წლის ემისიის მონეტებზე), ხოლო რევერსზე ლაშა გიორგის 1210 წლის ემისიის მონეტის რევერსი.

1210 წელს, როგორც ჩანს, ორივე მონეტა იჭრებოდა სახელმწიფო ზარაფხანაში და ხელოსნებმა სიქები აურიეს. ამის მიზეზი კი მხოლოდ მონარქის ცვლილება შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც სამართლიანად შენიშნავენ თამაზ ნატროშვილი და გოჩა ჯაფარიძე ქართულ და საზოგადოდ აღმოსავლურ ნუმიზმატიკაში არ არსებობს პრეცედენტი მეფის სიცოცხლეში მის მემკვიდრეს თავისი სახელით მონეტა მოეჭრას (188. 164). ზემოთმოყვანილი უნიკუმი ეგზემპლიარი კი საბოლოოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 1210 წელს გარდაიცვალა თამარი და გიორგი IV ლაშა გახდა ერთპიროვნული მონარქი.

უფრო მეტიც, თამარის და ლაშას 1210 წლის ემისიის მონეტები იძლევა თამარის გარდაცვალების და ლაშას გამეფების ზუსტ თარიღს. თამარის 1210 წლის მონეტის ლეგენდა გვამცნობს: "სახელითა ღვთისაYთა იქნა ჭედაY ვერცხლისა ამის ქორონიკონსა ულ" (1210 წ.). გიორგი ლაშას სპილენძის მონეტა 2 განსხვავებული ტიპისაა (უწესოდ მოჭრილი-ადგილობრივი ბაზრისთვის და წესიერად მოჭრილი-კონვერტირებადი).

უწესოდ მოჭრილი მონეტის ავერსზე თამარის მონეტის ანალოგიური წარწერაა: "სახელითა ღვთისაYთა იქნა ჭედაY ვეცხლისი ამის ქორონიკონსა ულ" (1210 წ.). რევერსზე მოტანილია სპარსული წარწერა: "სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის 430 წელს", რაც თავისთავად უნიკალური ფაქტია, რადგან თარიღი მოტანილია არა ჰიჯრით, არამედ ქართული წელთაღრიცხვით.

ლაშას წესიერად მოჭრილი მონეტის ავერსზე დატანილია ემისიის თარიღი ქართული წელთაღრიცხვით: ულ (430 ანუ 1210 წ.). მონეტის რევერსზე განთავსებულ ორნამენტში აღნიშნულია პარალელური თარიღიც ჰიჯრით 606, რაც იძლევა 6. VII. 1209_24. VI. 1210 პერიოდს. მონეტა სხვადასხვა დროს, ერთნაირად აქვთ წაკითხული ევგენი პახომოვს (286. 101), დავით კაპანაძეს (137. 79), გოჩა ჯაფარიძეს (188. 161) და არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს.

ამდენად, თამარის გარდაცვალების თარიღი 1210 წლის I ნახევარია. ნარატიული და ქრონიკალური ცნობების შეჯერებით კიდევ უფრო შეიძლება ამ თარიღის დაზუსტება. ლაშასდროინდელი მემატიანე თამარის გარდაცვალების დღედ ოთხშაბათს მიიჩნევს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ არც 12 და არც 18 იანვარი (ეს უკანასკნელი რიცხვი თამარის ისტორიკოსთანაა მოტანილი) 1207 წლის კალენდარში არ ემთხვევა ოთხშაბათს. ჩნდება ვარაუდი, რომ ხელნაწერის

გადამწერმა დაუშვა შეცდომა რიცხვის გადატანისას, მაგრამ ოთხშაბათის გადაწერისას შეცდომის ალბათობა გაცილებით მცირეა.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კრებულმა თამარ მეფისთვის დააწესა კერძო სვინაქსარი, სადაც ჩაწერილია მხოლოდ მისი მოსახსენებლები ყველა საუფლო და დიდ დღესასწაულებზე და მისი გარდაცვალების დღეზე (27 იანვარს) (177. 57). მოსახსენებელში 27 იანვრის რიცხვით ნათქვამია: "ქ. ამასვე დღესა განცვალა აქაი ესე მეფობაი ცხორებად და სუფევად საუკუნოდ ნეტარებით მოხსენებულმან თამარ დედოფალმან, რომლისა ჴსენებაY და კურთხევაY საუკუნომცა არს". დავუშვათ რომ ეს სააღაპე ჩანაწერი რეალობას შეესაბამება, გავითვალისწინოთ მატიანის ცნობა და მივმართოთ უნივერსალურ კალენდარს. ვნახოთ 27 იანვარი რომელ წელს ემთხვევა ოთხშაბათ დღეს. 1205-1214 წლების შუალედში ამგვარი დამთხვევის ერთადერთი შემთხვევაა _ 1210 წელი.

ამგვარად ჩვენი აზრით, ზემოთმოყვანილ სხვა არგუმენტებთან ერთად ჩვენი ეს დასკვნა დამატებით საბუთს წარმოადგენს თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის განსაზღვრისათვის. 1210 წლის 27 იანვარი, ოთხშაბათი-თამარის გარდაცვალების დღე.

დ) გარდაცვალების თარიღი: გიორგი ლაშას გარდაცვალების კონკრეტულ თარიღს ერთადერთი ქართული ნარატიული წყარო-ლაშასდროინდელი მემატიანე გვაძლევს. შარვანშაჰის და რუსუდანის ნიშნობაზე მეფე ბაგავანს (ბაქოს) მივიდა, სადაც ათი დღე დაყო "დრო იყო წასლვისა მისისა. ხოლო მოგუაგო ღმერთმან პატიჟად ცოდვათა ჩუენთა: მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა. ქრონიკონი იყო ოთხას ორმოცდაორი" (16. 371). ეს თარიღი (1222 წელი) მიიღო ივანე ჯავახიშვილმა, შემდგომში კი გაიზიარეს სარგის კაკაბაძემ, ნიკო ბერძენიშვილმა, ლოვარდ ტუხაშვილმა.

ჟამთააღმწერლის თანახმად: "არა დასცხრა გულისწყრომა უფლისა, რომლითა განვარისხეთ მრავალმოწყალე იგი და სახიერი, და აღესრულა მეფე ლაშა,... და წარიყვანეს სამკჳდროსა მათსა გელათს" (20. 166).

ერთი ქრონიკალური მინაწერის მიხედვითაც "ქ˜კს უმბ, დასაბამითგან ხყკვ: აქა გიორგი ძე თამარისი მოკვდა და დაY მისი რუსუდან მეფედ დაჯდა" (200. 91).

აღსანიშნავია, რომ 18 იანვარი ოთხშაბათ დღეს ემთხვევა არა 1222 წელს, არამედ 1223 წელს. პირველად ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია მარი ბროსემ. მანვე დამატებით არგუმენტად მოიხმო არაბი ისტორიკოსების იბნ ალ-ასირის და აბუ ლ-ფიდას ცნობები. კერძოდ, იბნ ალ-ასირის მიხედვით ჰიჯრის 618 წელს (25. II. 1221_14. II. 1222) საქართველოს მეფე იყო მამაკაცი, აბუ ლ-ფიდას მიხედვით კი ჰიჯრის 620 წელს (დაიწყო 1223 წლის 4 თებერვალს) საქართველოს მეფის სიკვდილი ახალი ამბავია. მარი ბროსეს ეს არგუმენტაცია შემდგომში გაიზიარეს შოთა ხანთაძემ, როინ მეტრეველმა, გოჩა ჯაფარიძემ, ჯემალ სტეფნაძემ,... ქორონიკონულ შეცდომას თავისებური

ახსნა მოუძებნა კორნელი კეკელიძემ. მისი აზრით ქორონიკონული წელიწადი იწყებოდა 1 მარტს, ამდენად ქ˜ნი უმბ (442) დაიწყებოდა არა 1222 წლის 1 იანვარს, არამედ 1 მარტს. შესაბამისად ამ ქორონიკონის 18 იანვარი 1223 წელს მოუწევდა (138. 121).

ამ თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს 1223 წლის ნორავანქის წარწერაც, სადაც ლაშა ცოცხლად იხსენიება: "თამარის ძის ლაშას მეფობაში..." (115. 227). ლაშას გარდაცვალების თარიღად 1223 წელი ჩანს ჟამთააღმწერლის ირიბი ცნობითაც. კერძოდ აღნიშნულია, რომ ხვარაზმელნი მოვიდნენ საქართველოში ლაშას გარდაცვალებიდან მესამე წელს. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მესამე წელი 1225 წლის 18 იანვარს იწყება. მართლაც ჯალალ ედ-დინის შემოსევა 1225 წლის შემოდგომაზე ხდება. გოჩა ჯაფარიძის მიერ მიკვლეული არაბული წყაროს ცნობაც შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო პასუხს ცემს გიორგი ლაშას გარდაცვალების საკითხს. მუჰამად ალ-ჰამავის "თარიხ ალ-მანსურის" მიხედვით ჰიჯრის 619 წელს (15. II. 1222_4. II. 1223) გარდაიცვალა საქართველოს მეფე და ამის შესახებ აცნობეს ივანე მხარგრძელის სიძეს, ხლათის მფლობელ ალ-მალიქ ალ-აშრაფს (260. 506).

გიორგი IV ლაშას სულის საოხად იერუსალიმის ჯვრის მონასტერს სამი აღაპი განუწესებია: 25 ივლისს ("ამასვე დღესა აღაპი საუკუნოY მეფეთ-მეფისა გიორგისი, წირვითა გარდაიჴდებოდეს, დაუკლებელად. ვინცა შეცვალოს, შემცაიცვლების შჯულისაგან ქრისტიანეთაYსა. ამენ."), 6 აგვისტოს და 29 დეკემბერს ("დიდებულ ყავ, ქრისტე, სული გიორგი მეფისაY, თამარის ძისაY").

დასკვნის სახით პარაგრაფში მოყვანილი წყაროებისა და მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე გიორგი IV ლაშას მოღვაწეობის ძირითადი ქრონოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება. გიორგი ლაშა დაიბადა 1192/1193 წლის მიჯნაზე. 1201 წლისთვის ის უკვე "ჯავახთ უფალია" და საუფლისწულო დომენს ფლობს. მამამისის გარდაცვალებისთანავე, 1205 წლიდან შეუდგა თანამეფობას, მაგრამ მისი თანამოსაყდრედ კურთხევა მოხდა 1206 წელს. 1210 წლის 27 იანვრიდან გიორგი IV ლაშა საქართველოს მეფეა. 1223 წლის 18 იანვარს, ოთხშაბათ დღეს გიორგი ლაშა 30 წლის ასაკში აღესრულა ქალაქ ბაგავანს. წამოასვენეს და დაკრძალეს გელათის სამეფო საძვალეში.

## 2. მეფის სახლობა. ტახტისმემკვიდრეობის საკითხი

გიორგი IV-ის მეფედ და პიროვნებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდათ მისი სახლობის წევრებს, უპირველესად მშობლებს და გამზრდელთ. შემდგომში, როდესაც გიორგი ლაშა სრულუფლებიანი მონარქია, მის სახელმწიფო მოღვაწეობაში არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ მისი ოჯახის წევრები: და, მეუღლე,.. მეფის გარდაცვალების შემდგომ კი მის სახლობის წევრებსა და შთამომავალთა შორის მწვავედ დგება ტახტისმემკვიდრეობის საკითხი. პრობლემათა ეს წყება წარმოადგენს ჩვენს ინტერესს ლაშა გიორგის სახლობის საკითხის შესწავლისას.

ა) გიორგი IV ლაშას მშობლები: ლაშას დედას თამარ მეფეს ლაშასდროინდელი ისტორიკოსი განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებს: “იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სჯანი და ბედნიერი, ღმრთის-მოშიში, ტკბილი, სახიერი (და თავი ყოველთა კეთილთა ღმრთისმოშიშება არს და სიმდაბლე), ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე, გლახაკთა და მოჩივართა განმკითხველი” (16. 368). იგივე ისტორიკოსი ლაშას მამას დავით სოსლანს შემდეგნაირად ახასიათებს: “თამარის ქმარი დავით იყო ოვსთა მეფე, ტომით ბაგრატიონთა, ჭაბუკი და ლომი და მისათხრობელი, ამათ ყოველთა განმარჯუებათა და ნაქმართა თანადამხუდარი და თჳთმქონელი, შემმართებელი, მოლაშქრე მკჳრცხლი” (16. 369).

როდის შედგა ლაშას მშობლების ქორწინება? თამარის პირველი ქორწინება ვლადიმირ-სუზდალის მთავრის ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟთან იურისთან (რომელსაც ქართული წყაროები გიორგი რუსად იხსენიებენ) მამიდამისის რუსუდანის აქტიური ჩარევით უნდა მომხდარიყო მამამისის გიორგი III-ის გარდაცვალებიდან მინიმუმ ერთი წლის გასვლის შემდგომ. ცნობილია, რომ გიორგი III გარდაიცვალა 1184 წლის მარტში (254. 244), ამდენად თამარის პირველი ქორწინება 1185 წლის მარტამდე ვერ შედგებოდა. როგორც უკვე გავარკვიეთ პირველ პარაგრაფში, თამარის და დავით სოსლანის ქორწინება 1188 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

დავით სოსლანის შერჩევა თამარის საქმროდ, ისევე როგორც პირველი ქმრის შემთხვევაში, რუსუდან მამიდის ინიციატივით მოხდა. მისი კანდიდატურა ცხადია, გულდასმით იყო აწონილი და მოფიქრებული. ვინაიდან გიორგი რუსის კაზუსის შემდეგ, ახალი სასიძო მეტი სიფრთხილით უნდა შერჩეულიყო. მართლაც, დავით სოსლანს სხვა პრეტენდენტებთან შედარებით ბევრი უპირატესობა გააჩნდა. მართალია ის არ იყო ისეთი წარჩინებული გვარის, როგორც ალექსი კომნენოსი ან ფილიპ შვაბიელი, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ნაკლებ პრეტენზიული და სამეფო კარზე აღზრდილი, კარგად ნაცნობი ფიგურა უფრო მისაღები იქნებოდა.

დავითი და თამარი შორეული ნათესავები იყვნენ. საქართველოს მეფე გიორგი I-ს მეორე ცოლ ალდესგან დარჩა ვაჟი დემეტრე, რომელიც აქტიურად ებრძოდა ტახტისთვის ბაგრატ IV-ს. 1047 წელს, დემეტრეს გარდაცვალების შემდგომ, ალდემ შვილიშვილი დავითი გახიზნა ოვსეთს. აქ იგი დაქორწინდა მეფის ასულზე და მათი მემკვიდრე დავით უკვე "მამულით იწოდა მეფედ ოვსთა". ამ დავითს ცოლად შერთეს დავით აღმაშენებლის ასული თამარ მრწემი. ამ ქორწინებიდან დაიბადა ათონ, პაპა დავით სოსლანისა. საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თამარის დედის (ბურდუხან, ასული ხუდან ოვსთა მეფისა) მხრიდან დავითის სოსლანთან ნათესაობაზეც წერს.

კორნელი კეკელიძის მართებული ვარაუდით უკვე XI საუკუნეში საქართველოს სამეფო კარზე შეიქმნა ვერსია ბაგრატიონთა ამ შტოს (ოვსი ბაგრატიონები) ეფრემიანობაზე (ეფრემი_ბიბლიური იოსებ მშვენიერის, იუდას უმცროსი ძმის, ძე), რათა ამით ხელი შეეშალათ საქართველოს სამეფო ტახტზე დემეტრეს შთამომავალთა პრეტენზიისთვის. მათ იმთავითვე ოვსეთის მეფეებად მიუჩინეს ადგილი. ამრიგად დავით სოსლანსაც, როგორც უმცროსი შტოს წარმომადგენელს, ვერ ექნებოდა მეფობის პრეტენზია.

გიორგი ლაშა ყრმობიდანვე მშობლების გვერდითაა და სახელმწიფოს მართვის ცერემონიალში გარკვეულ მონაწილეობასაც ღებულობს. ჯერ კიდევ 3 წლის ლაშა შირვანშაჰისა და ამირ-მირმანის შესახვედრ დარბაზობას ესწრება. "და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თვით თამარ დავით და ძე მათი გიორგი" (13. 65).

თანამოსაყდრეობის პერიოდშიც გიორგი ლაშა დედის აქტიური შემწე და თანამმართველია. ირანზე ლაშქრობა, ეკლესიათა აღმშენებლობა, ერთობლივი სიგელები ამის დამადასტურებელია.

ბ) გამზრდელი დეიდა რუსუდან: ამ ეპოქის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია სახლობის წევრი გამზრდელის როლი და გავლენა მეფეზე, როგორც უფლისწულობის, ისე მეფობის დროსაც (185. 57). ასეთებად შეიძლება ჩაითვალონ: გურანდუხტ მამიდა გიორგი II-თვის, მარიამ მამიდა დავით აღმაშენებლისთვის, რუსუდან მამიდა თამარისთვის და სხვა. ანალოგიურად ლაშასთვის თამარის და რუსუდანი, გამზრდელი დეიდა (ლაშას შემთხვევაში გავლენიანი მამიდა შეიცვალა დეიდით, რადგან ლაშა თამარის ძეა) დიდი ავტორიტეტი და ზეგავლენის საფუძველია.

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებიდან აშკარად ჩანს, რომ თამარს ჰყოლია და რუსუდან, რომელსაც ღრმა მოხუცებულობამდე უცოცხლია და ბოლოს შემონაზვნებულა კიდეც. "ამას წინაშე იყო თამარ მაშინ, ვითარცა თჳსსა მამიდასა თანა, დითურთ თჳსით, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად, რომლისათჳს აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მითხრობად, თუ რაოდენ შუენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული" (3. 115).

მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დავით კარიჭაშვილი სკეპტიკურად უყურებდნენ რუსუდანის არსებობის ფაქტსაც კი. ხდებოდა რუსუდანის აღრევა თამარის ნახევარდაში (გიორგი III-ის უკანონო ასული, რომლის სახელიც უცნობია და ვინც არზრუმელ უფლისწულს მუტაფრადინს გააყოლეს ცოლად), ხოლო ვახუშტი ბატონიშვილს თამარის და რუსუდანი ეგონა მამიდამისის (აგრეთვე რუსუდანის) და.

რუსუდანის პიროვნება ნათლად იკვეთება გიორგი III-ის გარდაცვალებისა და თამარის ტახტზე ასვლის ეპიზოდში. აგრეთვე ლაშა გიორგის დაბადებისას, როდესაც "თჳთ დედოფალმან რუსუდან და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით და დამან თამარისმან და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგუთასა, ჴელ-ყვეს ძღუნებად და მინიჭებად" (13. 57).

რუსუდანს განსაკუთრებულად იხსენიებს ლაშასდროინდელი მემატიანეც, თამარის და დავით სოსლანის შემდგომ, რაც ამგვარი მცირე მოცულობის თხზულებისათვის შემთხვევითობად ვერ ჩაითვლება და გვაფიქრებინებს რუსუდანის განსაკუთრებულ როლზე უფლისწულ ლაშას აღზრდაში. "რუსუდან დედოფალი, იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინისმცემელი და შემხუეწელი დაჭირვებულთა, და მზრდელი ჩჳლთა და ობოლთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე მიუსხმიდიან. ჴელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზავნებოდა" (16. 369). ზემორე ხაზგასმული ფრაზა უფრო შორს მიმავალი დასკვნის გაკეთების საშუალებასაც იძლევა. მართალია აქ ზოგადად არის საუბარი მზრდელობა-გაზრდაზე, მაგრამ ჩვენი აზრით ეს წინადადება შეიძლება გულისხმობდეს ლაშას და რუსუდანის (ანუ "ღირსნი მათგან ზრდისანი") შთამომავალთა ("ნაშობთა მათთა") აღზრდის ხელმძღვანელობასაც ("წინაშე მიუსხმიდიან"). თუ ეს მოსაზრება მართებულია, მაშინ რუსუდანის სახით ჩვენს წინაშე უდაოდ გავლენიანი და დიდი პოლიტიკური მოღვაწე ჩანს, რომელსაც 30-35 წლის მანძილზე სამეფო კარზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

რუსუდანის განსაკუთრებული წვლილი საქველმოქმედო საქმეში, საეკლესიო მსახურებაში ჩანს სხვა წყაროდანაც. ესაა სოფ. ფხოტრერის მაცხოვრის ხატის ქვემო აშიაზე შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა: "ქრისტე არსო თჳთობით მყოფობისთვის ღმერთო სჯულთა შენთა მტკიცედ მპყრობლისა მეფეთა მეფისა დიმიტრის ასულისა, მეფისა და მეფეთა მზისა გიორგის დისა/ სულტანთა სძლისა რუსუდან დედოფლისა სამსახურებლად შენდა შემზადებულნი ნივთნი ვინათგან ჟამნ არ დარსცნა სრულებად ჩემ გაზრდილისა/ მათის და ლმობით მომგონებელის გიორგის ასულის დედოფლისა რუსუდანისგან სრულ ქმნილნი მიითვალენ მეოხმან მათმან მკვიდრ ყოფად სუფევისა" (125. 471).

ეს წარწერა პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა. მისი მართებული დასკვნით "სულტანთა სძალი რუსუდან დედოფალი" ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი III-ის და რუსუდანია, რომელიც 1147 წელს გათხოვდა ერაყის სელჩუკიან სულტან მასუდზე (1147-1152).

ქმრის სიკვდილის შემდეგ რუსუდანი მაზლმა-სულაიმან შაჰმა ითხოვა, მაგრამ იგი დაბრუნდა საქართველოში. თამარის ისტორიკოსი რუსუდანს იხსენიებს, როგორც "სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა" (3. 115). რუსუდანს ეკლესიისთვის შესაწირად გარკვეული ნივთები მოუმზადებია, მაგრამ აღარ დასცალდა, მოულოდნელად გარდაიცვალა და დაწყებული საქმე მის გაზრდილს დაუმთავრებია. ე. თაყაიშვილის აზრით აქ თამარ მეფე უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ ვარლამ დონდუას მართებული დაკვირვებით მესამე სტრიქონში ნათლად ჩანს, რომ გაზრდილი თამარის და დედოფალი რუსუდანია, რომელსაც "სრულ უქმნია" მამიდის მიერ დაწყებული საქმე. რუსუდანი სხვა წყაროშიც იხსენიება დედოფლად, ასე რომ ფხოტრერის წარწერის მეორე და მესამე სტრიქონში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი ერთი და იგივე პირი კი არ არის, არამედ მამიდა და ძმისწული (118. 79).

ჩვენი ვარაუდით რუსუდანი ცხოვრობდა XII საუკუნის 70-იან წლებიდან XIII საუკუნის 50-იან წლებამდე. ნაკლებად რეალური ჩანს კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ იგი გათხოვილი იყო ტრაპიზონის კეისარ მანოელზე (1238-1263). რუსუდანი უკვე XII საუკუნის 20-იანი წლებიდან უნდა შემონაზვნებულიყო და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებოდა.

გ) გიორგი ლაშას მეუღლე და ვაჟი: ლაშასდროინდელი ისტორიკოსი ამბობს "არა დარჩა ცოლსა თანა გჳრგჳნისა შვილი" (16. 371). უფრო მეტიც იგი საერთოდ უგულებელყოფს დავით ლაშას ძის რაიმე უფლებას და პრეტენზიას სამეფო ტახტზე და ტახტის ერთადერთ კანონიერ მფლობელად რუსუდანის მემკვიდრეს თვლის: "ხოლო ღმერთმან... დაიცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღმრთივ-გჳრგჳნოსანი რუსუდან და ყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებელად თესლითი თესლადმდე" (16. 371). მემატიანის ამგვარი პოზიცია შეიძლება მისი "მედასეობით" აიხსნას ან კლერიკალური წრეების ზეგავლენით, რომლებიც ლაშას ძეს საერთოდ არ ცნობდნენ.

ჟამთააღმწერელი ძუნწად მოგვითხრობს: "[ლაშამ] მისრულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულ-კეთილი, და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და დამვიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართისა საქმისამან მსწრაფლ თჳსად მიიყვანა და შეიყუარა ფრიად. და მუცლად იღო დედაკაცმან მან და შვა ყრმა, რომელსა უწოდეს სახელად დავით... ესე ყრმა აღზრდად მისცა დასა თჳსსა რუსუდანს, რომელი იგიცა მხოლო ესუა თამარსა, რომელთა ძმებრივისა და დებრივისა სიყვარულისა უმეტესობა აქუნდა ურთიერთას" (20. 155).

ლაშა გიორგის ცოლთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსია მოიპოვება იოანე ბატონიშვილის კალმასობაში შემავალ "ისტორია ქართლისაში". იგი ეყრდნობა "დავით-საულიანს", დღესდღეობით უცნობ წყაროს, რომელიც რეალურად არსებული ჩანს. ამასთან იოანე ბატონიშვილი ეყრდნობა თქმულებებსა და ხალხურ გადმოცემებს.

იოანე ბატონიშვილის ცნობით გიორგი ლაშა მცირე ამალით იმყოფებოდა კახეთში, სადაც დაესწრო ჭერემის ეკლესიის დღესასწაულს და "იხილა ქალი ვინმე მშვენიერი, რომელიცა სთნდა მეფესა". ლაშას ბრძანებით გაარკვიეს, რომ ამ ქალის ოჯახი ახაშენში ცხოვრობდა და ყოფილან "გაღარიბებულთა და ძველ თავადთა კლდეკარის ერისთავთა გუარისა მიწობლისძეთა მონათესავეთაგანნი, აწ გლეხად მცხოვრები". ამ ქალს კი სახელად რქმევია სუსანა. იმ დროს, როდესაც იგი მეფემ იხილა ჯერ არ იყო გათხოვილი და მას სარძლოდ თხოულობდა ერთი ველისციხელი გლეხი. ლაშამ ქალის მშობლებს თავისი მოძღვარი მიუგზავნა, მათ იუარეს. მაშინ მეფემ ძალით წამოიყვანა და ფარულად იქორწინა ხარჭაშოს გუნბათიანსა და კეთილნაშენ ეკლესიაში (ჯიბო ლომაშვილმა ხარჭაშოს ეტიმოლოგია დაუკავშირა ამ ქალს (ხარჭაშანი ანუ ხარჭის სამკვიდრებელი). ჯვრისწერის წესი აღუსრულებია მეფის მოძღვარს გიორგი ხარჭაშნელს. გიორგი ლაშას ახლადშერთული ცოლი თიანეთს დაუტოვებია და ტფილისს დაბრუნებულა. ყველაზე დიდი პროტესტით ამ ამბავს შეხვდა რუსუდანი, იგი ძმას საყვედურობდა: "ვითარ ეგების თამარ მეფის ძესა ესვას ცოლად გლეხთა ასული და ვიყვნეთ ხელსა ქუეშე მისსა და ვხადოდეთ დედოფლად". ლაშას კი დაუმშვიდებია: "მაცალეთ, ვყო სიტყვითამებრ თქვენთა!" (138. 293).

ჩვენი აზრით "ველისციხელი ქალი" გიორგი ლაშას საკმაო ხანს (3 წელი მაინც) ყავდა სამეფო კარზე. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჟამთააღმწერელი გარკვეულ შუალედს იჭერს მისი მოყვანისა და განტევების ფაქტებს შორის თხრობაში და ერთ მთლიან ამბად არ მოგვითხრობს. ამასთან, როგორც ჩანს თავდაპირველად "ველისციხელი ქალი" სამეფო კარსა და დიდებულებს მაინცდამაინც დიდი შეშფოთებით არ მიუღიათ და არც ბავშვი ჩაუთვლია ვინმეს ტახტის მემკვიდრედ. საქართველოს სამეფო ოჯახის სინამდვილეში ეს არ იყო გამონაკლისი და განსაკუთრებული შემთხვევა. ქართველ მეფეებს მანამდეც ყავდათ ხარჭები და ერთი ამგვარი ფაქტი ოფიციალურ მატიანეშიც კი დაფიქსირდა. გიორგი III ესუა "ხარჭა" და მისგან შვილიც ჰყავდა ("რეცა სახელდებული შვილად მეფისა").

ვითარება შეიცვალა გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც გიორგი ლაშამ აშკარად თქვა უარი კანონიერი ცოლის შერთვაზე, ფაქტიურად ხარჭა ცოლად აღიარა და პატარა დავითზეც ისე ზრუნავდა, როგორც ტახტის მემკვიდრეზე ანუ მისი აღზრდა ტრადიციის შესაბამისად დააკისრა რუსუდანს ("გამზრდელი მამიდა"). დიდებულებმა მეფის დასათანხმებლად ყველაზე დიდ ავტორიტეტს-ეკლესიას მიმართეს. საბოლოოდ, სწორედ გიორგი ლაშას უდიდესმა მორწმუნეობამ და ეკლესიისადმი პატივისცემამ განაპირობა ხარჭის გაშვება სასახლიდან, ხოლო ვაჟიშვილის მიმართ მეფეს დამოკიდებულება არ შეუცვლია და მას მემკვიდრედ ამზადებდა.

ჟამთააღმწერლის თქმით: "ამით განსუენებასა შინა მყოფმან არა ინება ქორწინება ცოლისა. ამისთჳს შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი და მოაჴსენებდეს: "არა ჯერ არს, რათა მჴევალი გესუას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული პირი ქრისტესი პავლე: "ქორწილი

წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ. ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან." ხოლო მეფესა არა ენება, არცა უსმინა. ამისთჳს წარგუარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს. ხოლო არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებელად" (20. 156).

იოანე ბატონიშვილის ვერსიაში არ ჩანს, რომ სამეფო კარზე შეკრებილ დიდებულებს აეძულებინათ მეფე გაეძევებინა სუსანა სასახლიდან. შესაძლებელია გიორგი ლაშას ფორმალურად არც გაუძევებია საყვარელი ქალი სასახლიდან, არამედ საპატიო და მნიშვნელოვანი მისიით გააგზავნა მთაში. მეფის თხოვნით ამ ქალს დაუწყნარებია "არეულობა მთასა შინა". ჯილდოდ მეფემ უბოძა სუსანას პირიქითა ფშავის ერთი სოფელი, დედოფლის ცხენის მომვლელად. 3 თვის მანძილზე მთაში ყოფნისას სუსანა გაციებულა (აქ გასათვალისწინებელია ახლად ნამშობიარები ქალის დასუსტებული ჯანმრთელობაც) და თიანეთში მობრუნებისას გზაში გარდაცვლილა. გადმოცემის თანახმად ამ ადგილზე XIX საუკუნეშიც კი ყოფილა 9 თუ 11 არყის ხე, სადაც "ფშავლები ყოველწლიურად იყრიან თავს, მიყავთ საკლავი, გადაიხდიან აღაპს, შესვამენ ღვინოსა და ლუდს და შეავედრებენ ღმერთს დედოფლის სულს" (138. 294).

იოანე ბატონიშვილის თქმით სუსანას გარდაცვალება რომ გაიგო, "ლაშა შეიქმნა დიდად მწუხარე, მივიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოის ეკლესიასა შინა 1207 წლის 20 აგვისტოს, ხოლო ყრმა იგი დავით წამოიყვანა და მიაბარა რუსუდანს.

იოანე ბატონიშვილის ვერსიაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მიუხედავად არასწორი ქრონოლოგიისა (1205 წ.-ქორწინება, 1207 წ. 20 აგვისტო_სუსანას გარდაცვალება), ფაქტების თანმიმდევრობა ლოგიკურია და ქრონოლოგიური 3-წლიანი ინტერვალიც მართებული ჩანს. თუ დავუშვებთ რომ ქორწინება 1215 წელს შედგა (სამველ ანეცის ქრონიკის გაგრძელების თანახმად, "1216 წელს დაიბადა დავით მეფე, ლაშას ძე"_46. 145), 1217 წელს სუსანას გარდაცვალება რეალური ჩანს. მართალია ჟამთააღმწერელი აღარ ახსენებს ამ ქალის შემდგომ ბედს, მაგრამ ვფიქრობთ იოანე ბატონიშვილის ცნობები ყურადსაღებია და მისი ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება.

შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ჯვრისწერა მართლაც შედგა და იგი ეკლესიური თვალსაზრისით კანონიერი იყო, მეფემ თავისი გაიტანა და მართალია ფარულად და მეფისთვის არასაკადრისი მასშტაბით (მეფის ჯვრისწერას არა მოძღვარი, არამედ კათალიკოსი უნდა წარუძღვეს), მაგრამ რიტუალი მაინც ჩატარდა და გიორგი ლაშამ სასურველ ქალზე მაინც იქორწინა. იოანე ბატონიშვილის ცნობით (138. 297) კათალიკოსი ეფთვიმე ცნობდა ამ ქორწინებას. ამ ინფორმაციიდან ის მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც საერო ისე სასულიერო წრეებში ლაშას ამ ნაბიჯს თანამგრძნობნი უნდა ჰყოლოდა. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ საბოლოოდ დავით ლაშას ძე სამეფო კარმა და დიდებულებმა (და არა მარტო "ლაშას მოდასეებმა") მიიღეს და საბოლოოდ მან გაიმარჯვა ტახტისთვის დავაში თავის მამიდაშვილზე. კანონიერების თუნდაც მცირე ელემენტი რომ არ ყოფილიყო დავით ლაშას ძის ტახტისმემკვიდრეობით სტატუსში, მას არც

მხარდამჭერნი ეყოლებოდა და ვერც გამეფებას შეძლებდა. საფიქრებელია, რომ გიორგი ლაშაც (თუკი დაბეჯითებით აღარ აპირებდა სხვა ცოლის შერთვას) იმთავითვე იზრუნებდა თავისი შთამომავლობისათვის ყველანაირი ფორმალური წინააღმდეგობა აეცილებინა თავიდან და "ველისციხელ ქალთან" თავის კავშირს ეკლესიურადაც დააკანონებდა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ლაშამ თავის ცოლსა და უკანონო შვილს სასახლიდან წასვლის შემდეგ მისცა და უანდერძა ალასტანი "საკუთრებად და სარჩომად". დავით ულუს ალასტანელის შვილი შეიძლება იმიტომაც უწოდეს, რომ მიიღო ალასტანი ანდა ის ქალი ალასტანელი იყო და ველისციხეში მხოლოდ გათხოვილი (255. 127).

პლანო კარპინის ცნობით "ამ უკანონო ვაჟს (დავით ულუს-გ. ა.) მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა" (14. 37). დავით ნინიძის აზრით სწორედ ეს ტერიტორია, როგორც საუფლისწულო, გამოეყო ჯავახეთის დომენს და შემდგომ მთელი XIII საუკუნის მანძილზე ალასტანის "მიკროქვეყანა" გამოცალკევებულია დანარჩენი ჯავახეთისგან და "პროვინციულ სამეფოდ" ყალიბდება (193. 31).

დ) ლაშას და რუსუდანი (1194-1245): იგი ძმაზე 2 წლით იყო უმცროსი. თამარ მეფე ლაშას დაბადების "შემდგომად წელიწდისა კუალად დაორსულდა და შვა ასული შემსგავსებული თჳსი და უწოდეს რუსუდან" (13. 57). "ხოლო იყო რუსუდან ხილვითა შუენიერი, ვითა სანატრელი დედა მისი, მდაბალი, უხჳ, პატივისმცემელი პატიოსანთა კაცთა, მოყუარე" (20. 168). სამეფო ოჯახის სხვა მანდილოსანი წევრების მსგავსად რუსუდანიც უნდა ყოფილიყო დინასტიური ქორწინების აქტიური სუბიექტი და უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და დიპლომატიური მისია. ჯერ კიდევ სრულიად პატარა რუსუდანისთვის შირვანშაჰი სთავაზობდა საქართველოს სამეფო კარს ადარბადაგანის ილდეგიზიანი ათაბაგის კილიჩ-არსლანის შვილის დევნილი ამირ-მირმანის კანდიდატურას საქმროდ. მას ქართველი მემატიანე მიიჩნევს "არა მაღირსს სიძობისა მათისა" (13. 63).

წყაროებიდან ჩანს, რომ ლაშა გიორგი ცდილობდა დისთვის და მთლიანად სახელმწიფო ინტერესებისთვის წარმატებული საქორწინო პირობები შეექმნა. ლაშა გიორგის მეფობაში რუსუდანის გათხოვების მინიმუმ სამი მცდელობა იკითხება წყაროდან. პირველად, ხლათზე ლაშქრობის შემდეგ ლაშასთვის არზრუმის ამირას შეუთავაზებია დამოყვრება: "და სხუა შემოიხუეწა კარნუ-ქალაქელი მოყურად და ერთგულად სახლისა მისისა" (16. 370). მართალია აქ მითითებული არ არის თუ კონკრეტულად ვინ უნდა ყოფილიყო სარძლო, მაგრამ ყველაზე რეალურად სწორედ რუსუდანი, როგორც მეფის და, გვესახება. ეს წინადადება არ იქნა მიღებული შესაძლებელია იმიტომ, რომ არზრუმის ამირა საქართველოს ვასალი იყო და უფრო უკეთეს ვარიანტზეც შეიძლებოდა ფიქრი.

წარუმატებელი აღმოჩნდა ქორწინების შემდეგი ორი მცდელობაც. პირველ შემთხვევაში (ხლათელ უფლისწულზე) მემატიანე მიზეზს არ ამხელს. მეორე შემთხვევაში (შირვანშაჰზე) კი უკვე შემდგარი ქორწინება ჩაიშალა გიორგი ლაშას მოულოდნელი გარდაცვალების გამო. საქართველოს ტახტზე ასულ რუსუდანს აღარ შეეფერებოდა ქმრად ვასალი უფლისწული.

დაახლოებით 1222 წლისთვის "ესრეთ წარმართებასა და ბედნიერობასა შინა მათსა დაY მათი რუსუდან ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგჳპტით ვიდრე ხლათამდის სპარსეთი ჰქონდა, და დაშალა მოწყალებამან ღმრთისამან და არა ყო ესრე" (16. 371). გოჩა ჯაფარიძის აზრით რუსუდანის და შიჰაბ ად-დინ ღაზის (ხლათის მფლობელის ალ-აშრაფის ძმა და მემკვიდრე) ქორწინების ჩაშლა პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა, ამ შემთხვევაში საქართველო ხლათს ტერიტორიულ პრეტენზიებს ვეღარ წაუყენებდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქორწინების ჩაშლის მიზეზად მეორე ვერსიის მიღება, რომ რუსუდანი ხლათში გათხოვების შემთხვევაში ფაქტიურად ალ-აშრაფის ცოლის თამთას (ივანე მხარგრძელის ასულის) დაქვემდებარებაში მოექცეოდა (265. 180). ეს კი არა მარტო პირადად მისთვის, არამედ გიორგი ლაშასთვისაც მიუღებელი უნდა ყოფილიყო.

1222 წლის ბოლოს საქართველოს სამეფო კარმა მორიგი შემოთავაზება მიიღო. რუსუდანის საქმრო შარვანშაჰის ძე აბუ-ლ მუზაფარი უნდა ყოფილიყო. "შემდგომად ამისსა დიდითა შემოხუეწითა სთხოვა შარვან-შაჰმან. უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი. გაგზავნა შარვანს ქართლისა ერისთავი და თჳთ გიორგი მეფე ბაგავანს მივიდა გაკაზმად და მიცემად დისა მისისა და ათ დღე დაყო, დრო იყო წასლვისა მისისა. ხოლო მოგუაგო ღმერთმან პატიჟად ცოდვათა ჩუენთა: "მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა. ქრონიკონი იყო ოთხას ორმოცდაორი" (16. 371). რუსუდანმა ძლიერ განიცადა ძმის სიკვდილი "უკეთუმცა ღმერთს წარწყმედისაგან არა დავეცვენით, აღარ საგონებელ იყო სიცოცხლესა ტკივილისაგან ძმისა მისისა" (16. 371).

რუსუდანმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძმისწულის დაბადებისთანავე (1216 წ.) იტვირთა ტრადიციული "გამზრდელი მამიდის" მოვალეობა. გიორგი ლაშამ, საფიქრებელია სუსანას გარდაცვალებამდეც, რადგან ძე სასახლეში დაიტოვა, ჩვილი დავითის აღზრდა დას დააკისრა. თუმცა გასათვალისწინებელია რუსუდანის მცირეწლოვნება (20-22 წლის იქნებოდა ამ დროს) და გამოუცდელობა, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფაქტიურად ყრმა დავითის აღზრდის საერთო ხელმძღვანელობას თავის თავზე აიღებდა ლაშას და რუსუდანის მამიდა რუსუდანი, როგორც ეს უნდა იკითხებოდეს ზემოთ მოტანილი ციტატიდან.

ტახტზე ასვლის პირველივე წელს რუსუდანმა ქმრად მოიყვანა თავისზე თითქმის 10 წლით უმცროსი არზრუმის ამირას მოღის ად-დინ ტუღრილ-შაჰის ძე ღიას ად-დინი, რომელიც გააქრისტიანეს და დიმიტრი უწოდეს. (265. 182). იბნ ალ-ასირი საშინელ და გაუგონარ ამბავს

უწოდებს მის მიერ ქრისტიანობის მიღებას (38. 150). რუსუდანს მისგან ორი შვილი შეეძინა: თამარი (დაბ. 1224 წ.), რომელიც რუმის სულტან ქეიხუსრევ II-ზე (1236-1245) გაათხოვეს და ისტორიაში გურჯი-ხათუნის სახელითაა ცნობილი; და დავითი (1225-1293) იგივე დავით VI ნარინი.

ე) ტახტისმემკვიდრეობის საკითხი: გიორგი ლაშას გარდაცვალებისთანავე მწვავედ დადგა ტახტის მემკვიდრის საკითხი. მაშინდელი საზოგადოების დამოკიდებულება ტახტისმემკვიდრეობის საკითხისადმი და ქალი-მეფის პრეცედენტისადმი ნათლად ჩანს “ვეფხისტყაოსნიდან”.

ინდოეთის და არაბეთის სახელმწიფოთა მოდელი აჩვენებს იმ აზრთა სხვადასხვაობას, რაც ქალის ტახტზე ასვლისადმი არსებობდა საქართველოში, როგორც თამარის, ისე რუსუდანის კორონაციის შემთხვევაში. როსტევანი წუხს უვაჟობას და სიცოცხლეშივე აკურთხებს თინათინს, ამდენად არაბეთის სახელმწიფოში მოქმედებს პრინციპი: “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”. ინდოეთში განსხვავებული ვითარებაა. ფარსადანი არც კი მიიჩნევს თავის ასულს ტახტის მემკვიდრედ და ისეთ ქმარს ეძებს მისთვის, რომელიც ღირსეულ მეფობას გასწევს. ტარიელიც არ თვლის ნესტან-დარეჯანს ტახტის მემკვიდრედ (სტროფი 509).

ეს თვალსაზრისები და საზოგადოებაში მათი დაპირისპირება ფარულად იქნებოდა თამარის და ლაშას მთელი მეფობის მანძილზე, სიტუაციის გამწვავებისთანავე კი სამეფო კარზე უკვე არსებული “დასები” ღიად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ იდეოლოგიურად “დემნაისტები” და “დავით ლაშას ძის მომხრენი” ერთი ბანაკია, მათ ერთი ტიპის არგუმენტები გააჩნიათ ზოგადად ტახტისმემკვიდრეობის ქალის ხაზით გაგრძელების წინააღმდეგ.

ჟამთააღმწერელის ცნობით გიორგი ლაშამ გარდაცვალებამდე მოასწრო ანდერძის დატოვება: “მაშინ ვითარცა ცნა აღსასრული თჳსი მეფემან ლაშა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოთა თჳსისათა, შევედრა დაY თჳსი რუსუდან ცრემლითა მომდინარემან,.. რათა შემდგომად ჩემსა მეფე ჰყოთ,... ერთგულობით მონებდით,.. ხოლო დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით, ხოლო რაჟამს ეძლოს მეფობა და მჴედრობა, რომელ დავით მეფე ყოს” (20. 166). ანალოგიური შინაარსის ტექსტი დაცულია ფარსადან გორგიჯანიძესთან: “აწე თქვენთვის მომიბარებია სახელმწიფო მამა-პაპათა ჩვენი, იქეც ტკბილად და ყველას პატივ ეც შეფერებითა, წყალობა უყავ უყვედრებელი. შეიბრალე გლახა და ქვრივ-ობოლნი და ერთგულნი გაამდიდრე, თავგამზიდავნი მოამშვიდე და ორგულნი შეაშინეთ” (147. 100).

ჟამთააღმწერლისავე ცნობით: “ვითარ აღსრულდა მეფე, შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოსნი ორნივე,.. და მეფე ყვეს რუსუდან” (20. 168). რუსუდანის გამეფებას იმთავითვე უნდა ჰყოლოდა მოწინააღმდეგენი. ამას მიუთითებს რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილები. ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის წერილში ჰონორიუს III-

ისადმი აღნიშნულია: "ჩემი უფალი მეფე გარდაიცვალა და წმინდა მადლით და თქვენი ლოცვა-კურთხევით ჩვენ მეფედ სხვა ავირჩიეთ" (27. 178). მეფის არჩევაზე ხაზგასმა უნდა გულისხმობდეს ალტერნატიული კანდიდატის არსებობასაც. ივანე მხარგრძელის "დასის" პოზიციას თვით მეფის ანდერძიც ამაგრებდა, რომლის თანახმადაც გარკვეული პერიოდი რუსუდანი უნდა ყოფილიყო მეფე.

ჩვენი აზრით, ამ "არჩევანისას" გიორგი ლაშას "დასმა" (ანუ შესაბამისად დავით ულუს მომხრეებმა) ოპონენტებისგან მნიშვნელოვან დათმობას მიაღწია. შემდეგდროინდელი ფაქტობრივი ვითარება და წყაროთა მონაცემების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ მხარეები პრინციპში შეთანხმდნენ რუსუდანის დროებით მეფობაზე (ანუ ფაქტობრივ რეგენტობაზე დავით ულუს სრულწლოვანებამდე).

1224 წლის სომხური სახარების ვანენ ხალბაკიანის ანდერძ-მინაწერში აღნიშნულია, რომ ის დაიწერა "თამარის ასულის, გიორგის შვილიშვილის მეფობაში" (47. 104), მაგრამ იმავე ვანენის მიერ შესრულებულ 1232 წლის სახარების მინაწერში ნათქვამია: "რადგან ქართველებს მეფე არ ყავდათ, მეფის მაგივრობას თამარის ასული ეწეოდა,... ათაბაგ ივანეს და მისი ძის ავაგის მთავრობის ჟამს, სომეხთა კათალიკოსი იყო კონსტანტინე" (47. 104). მინაწერის ავტორი პირველ შემთხვევაში რუსუდანს მეფედ თვლის, მეორე შემთხვევაში კი მეფის მოვალეობის შემსრულებლად.

ამის მიზეზად შესაძლებელია ის გარემოება მივიჩნიოთ, რომ ხვარაზმელთა გამუდმებული თარეშის გამო სამეფო კარი ქუთაისშია გახიზნული, მაგრამ ჩვენი აზრით მიზეზი უფრო სერიოზულია. რუსუდანის "მეფედ არჩევის" შემდგომ ივანე მხარგრძელის და მისი დასის პოლიტიკური გავლენა გაიზარდა. გრიგორ აკანცი პირდაპირ მიუთითებს: "რუსუდანს ეპყრა სამეფო ივანეს ზედამხედველობით" (6. 17). კირაკოს განძაკეცის თქმით, ქვეყანას ფაქტობრივად განაგებდნენ ივანე ათაბაგი, მისი ძე ავაგ, ზაქარიას ძე შაჰანშაჰი და ვარამ გაგელი. ჯალალ ედ-დინი სეპარატულ მოლაპარაკებას სწორედ ივანე მხარგრძელის ვაჟთან ავაგთან აწარმოებს, "შენ ხარ ვაზირთ-უხუცესი მეფისა და ითუალავ საქართველოს" (20. 172). ამასვე ადასტურებს იმავე აკანცის ცნობა, რომ მონღოლებს ზავი დაუდო არა მეფემ, არამედ ცალკეულმა დიდებულებმა.

ჩვენი აზრით რუსუდანის თავდაპირველ არამყარ მდგომარეობაზე უნდა მიანიშნებდეს ის ფაქტი, რომ რუსუდანი მხოლოდ 1227 წელს ჭრის თავის პირველ მონეტას. ამის ახსნა მარტოოდენ ჯალალ ედ-დინის შემოსევით არ უნდა იყოს საკმარისი. ტახტზე ასვლიდან 2-3 წლის მანძილზე თავისუფლად შეიძლებოდა მონეტის ემისია განხორციელებულიყო, რომ არა სამეფო კარზე გარკვეული ჯგუფის პოზიცია, რომელიც რუსუდანს არა მეფედ, არამედ რეგენტად მიიჩნევდა და დავით ლაშას ძის სრულწლოვანების მომლოდინე იყო. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ხვარაზმშას დამანგრეველი ლაშქრობის მომდევნო წელს ჭრის რუსუდანი საკუთარ ფულს. ერთის მხრივ ეკონომიკური კრიზისის მოსაგვარებლად, მაგრამ ამავე დროს შექმნილ ვითარებაში ქვეყანას

ძლიერი სრულუფლებიანი მონარქი სჭირდებოდა, სრულყოფილი საინვესტიტურო ნიშნებით (მათ შორის საკუთარი ფულით) და რუსუდანის ოპოზიცია ამ ვითარებაში წინააღმდეგობას ვერ გაბედავდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს 1961 წელს სოფ. ნიჩბისთან აღმოჩენილი განძიც, სადაც გიორგი ლაშას მიერ მოჭრილი მონეტების 10 % ხელახლაა გადადამღებული რუსუდანისეული დამღით. ასეთი უჩვეულო სიმრავლე გადადამღებული მონეტებისა დავით კაპანაძის მართებული ახსნით მიანიშნებს რუსუდანის რეგენტობას, იგი პირველ წლებში ვერ ბედავდა თავისი სახელით მონეტის ემისიას და იძულებული იყო თავისი წინამორბედის მონეტების რეემისია განეხორციელებინა (278. 83).

ლაშას მემკვიდრის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შემდეგი სურათი გვესახება: ლაშას მეფობაში და მისი გარდაცვალების შემდეგაც სამეფო კარზე არსებობდა ურთიერთ დაპირისპირებული ორი დაჯგუფება. ლაშას ანდერძი, რაზეც ჟამთააღმწერელთან არის საუბარი, რომც არ არსებულიყო დავით ლაშას ძის მომხრენი შეეცდებოდნენ მსგავსი პრეცედენტი შეეთხზათ და არგუმენტად გამოეყენებინათ (თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ანდერძი რეალურია. ეს დასტურდება ფარსადან გორგიჯანიძესთანაც, სადაც ვრცლად არის საუბარი ცალ-ცალკე რუსუდანის მიმართ და დიდებულებისადმი ანდერძზე, აგრეთვე პლანო კარპინის ირიბი ცნობითაც).

პლანო კარპინი, როდესაც ახსენებს 1246 წელს ყაენის კარზე გამართულ კამათს, აღნიშნავს დავით ლაშას ძის მომხრეთა არგუმენტს: ლაშამ სამეფო სწორედ თავის ძეს დაუტოვა და ამდენად კანონით მას ეკუთვნის ტახტი. საყაენოში ატეხილი კამათისას “ლაშას დასის” წევრი სარგის თმოგველი მოწინააღმდეგეებს მიუგებდა: “არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თჳთმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან”. ისინი კი პასუხობდნენ: “დაღათუ ნარინ დავით დედაკაცისა ნაშობი იყო, არამედ მეფევე იყო გჳრგჳნოსანი რუსუდან, ძმისა მისისაგან გიორგისაგან დატევებული და მეფისავე ძე არს ნარინ დავით” (20. 224).

ჯალალ ედ-დინის გახანგრძლივებულმა თარეშმა და რუსუდანის ხელისუფლების წარუმატებლობამ გააძლიერა სამეფო კარზე ლაშას ძის მომხრეთა დასი. რუსუდანისგან დედაქალაქის მიტოვება და ქვეყნის უპატრონოდ დაგდება მათთვის დამატებითი საფუძველი იქნებოდა მოეთხოვათ ლაშას ანდერძის შესრულება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვანენ ხალბაკიანის ანდერძ-მინაწერის შედგენისას (1232 წელს) დავით ლაშას ძე პოლიტიკური სრულწლოვნების ასაკს (16 წელს) უახლოვდებოდა და ეს დასმულ საკითხს კიდევ მეტ სიმძაფრეს შესძენდა.

ჟამთააღმწერლის თხზულებიდან ჩანს, რომ ძმისწულის მიმართ რუსუდანის დამოკიდებულება თავიდანვე როდი შეცვლილა. რუსუდანმა “შვა ასული სიტურფე_აღმატებული და უწოდა სახელი სანატრელისა დედისა მათისა თამარ. და კუალად მიუდგა და შვა ძე. და უწოდა სახელი დავით. და კუალად ზრდიდა ძმისწულსა მისსა, ძესა ლაშა-გიორგისსა დავითს” (20. 172). მამიდის შურისძიება

დავითის მიმართ და თავიდან მოშორების განზრახვა სწორედ სახელმწიფოში შექმნილ კრიზისს და გიორგი ლაშას დასის გააქტიურებას უკავშირდება. რუსუდანმა მისთვის და მისი ძისათვის ტახტის დაკარგვის საფრთხე რეალურად შეიგრძნო და ზომებიც მიიღო.

1236 წელს რუსუდანმა თავისი ასული თამარი (შემდგომში გურჯი-ხათუნად წოდებული) მიათხოვა რუმის სულთან ყიას ედ-დინ ქეიხუსრევ II-ს (1236-1246), მისი გარდაცვალების შემდგომ თამარი ცოლად შეირთო სულტნის პირველმა ვეზირმა მუინ ედ-დინ სულეიმან ფარვანამ. ქალიშვილს რუსუდანმა მზითევად უბოძა აწყური და გააყოლა ბიძაშვილიც დავით ლაშას ძე, ფაქტობრივად მძევლად. კონკურენტის თავიდან მოცილებისთანავე, რუსუდანმა ქუთაისში აკურთხებინა აფხაზეთის კათალიკოსს თავისი ძე დავითი თანამოსაყდრედ. საინტერესოა, რომ მეფედ კურთხევის ცერემონიალს დასავლეთ საქართველოს დიდებულთა გარდა არ დასწრებიან სხვა მხარეთა დიდებულნი.

“მეფე რუსუდან იყო რა ქუთათისს და ყოველსა აფხაზეთსა, და იქმნა ძე მისი დავით ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფა ძისა მისისა... დაივიწყა შიში ღმრთისა და სიყუარული ძმისა, და მოიგონა საქმე ყოველთა მიერ განსაკრთომელი, რამეთუ ძმისწული თჳსი დავით, რომელი ძმისა მისისგან, გიორგისგან, ანდერძობით შევედრებულ იყო და მას აღეზარდა, წარავლინა ფარულად ასულსა მისსა და სიძესა მისსა სულტანსა ყიასდინს თანა, საბერძნეთს, რათა წარსწყმიდონ და იყოს დაუშფოთველად ძისა მისისა დავითისთჳს არა განყოფად მეფობისა... მოუწოდა... და დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისი, აკურთხეს ქუთათისს და დაადგეს გჳრგჳნი” (20. 179-180).

## 3. გიორგი IV ლაშას ტიტული, დომენი, რეზიდენციები, იკონოგრაფია, ინსიგნიები, ფაქსიმილე

ა) გიორგი ლაშას სამეფო ტიტული: გიორგი ლაშას სამეფო ტიტულატურა სხვადასხვა ვერსიით გვხვდება როგორც ქართულ, ისე არაქართულ წყაროებში. ქართულ წყაროებს შორის უპირველესად აღსანიშნავია ჩვენამდე მოღწეული გიორგი ლაშას სამეფო სიგელები (28. 105-111).

გელათის მონასტრისადმი გაცემული სიგელი, რომელიც მეფობის მეექვსე ინდიქტიონით (ლაშას თანამოსაყდრეობიდან ათვლის შემთხვევაში-1211/1212 წელი) თარიღდება, სამწუხაროდ თავნაკლულია და მასში მეფის ტიტული არ არის ფიქსირებული. ქვათახევის ღვთისმშობლის მონასტრისადმი შეწირულობის უთარიღო სიგელში გიორგი IV-ის სამეფო ტიტული სრულად არის წარმოდგენილი: "მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი".

ანალოგიური კლასიკური ფორმულით დაცული სამეფო ტიტული გვხვდება გიორგი ლაშას შიომღვიმისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც მეფობის მეათე ინდიქტიონით (1215/1216 წწ) თარიღდება. განსხვავებულია ტიტულის ბოლო სიტყვა, ნაცვლად "ფლობით მპყრობელისა" წერია-"თვით მპყრობელი". ჩვენის აზრით, ეს შემთხვევითობა არ უნდა იყოს და ამ განსხვავების მიზეზი ახსნილია ქვემოთ (იხ: $ 9). ფაქტია, რომ "ფლობით მპყრობელი" გვხვდება სიგელთა უმეტესობაში. გამონაკლისია 1193 წლის თამარ მეფის სიგელი (ფორმა-"თვითმფლობელი") და 1215/1216 წლის გიორგი ლაშას სიგელი (ფორმა-"თვითმპყრობელი"). აღსანიშნავია, რომ ფიტარეთის ღვთისმშობლის ეკლესიის ამირეჯიბ ქავთარ ქაჩიბაისძის ქტიტორულ წარწერაშიც მეფე გიორგი IV იხსენიება როგორც "თვითმპყრობელი".

მუსლიმური ქვეყნების მბრძანებელთა ოფიციალურ მიმოწერას, როგორც საერთოდ არის მიღებული მაჰმადიანურ სამყაროში, ახასიათებს მრავალსიტყვაობა, მაღალფარდოვანება და ჰიპერბოლირებული ეპითეტები. XIII საუკუნის დასაწყისის მუსლიმ მმართველთა მიმართვაზე ქრისტიანი მონარქებისადმი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ისპაჰანის არქივში დაცული ე. წ. "თარასსოლი" (32. 5-10), რომელსაც პროფ. მაგალი თოდუამ მიაკვლია. კერძოდ გიორგი IV-ისადმი გაგზავნილი წერილის დასაწყისი ამგვარია: "მაღალი საკრებულო, აღზევებული მეფე, სახელგანთქმული დიდგვაროვანი, ძლევამოსილი მართლმსაჯული, ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს სიდიადე. ქრისტესმოსავთა შემწე, იესუელთა მფარველი, ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელი, აღმოსავლეთის და დასავლეთის სტეფანოზი, ღვთაების რწმენის შემნახველი,.. აბხაზის, შაქის და ალანის მეფეთა მეფე, მესსიის თანაშემწე ლაშა, ძე მეფის გიორგის ასულისა".

მეორე წერილი რუმის სულტნის ეზზ ად-დინ ქაიქავუსს (1210-1219) ეკუთვნის და მიმართვის ასეთ ფორმას შეიცავს: "ქრისტესმოსავთა შემწე, კეისართა მძლეველი, დიდებული ჯვრის მფარველი, აღმოსავლეთის და დასავლეთის სტეფანოზი, აბხაზის, შაქის, ალანის და რუსის მეფეთა მეფე, მესიის თანაშემწე". იგივე რუმის სულტნის სხვა წერილში გიორგი ლაშა იხსენიება, როგორც "გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქის და ხაზარის მეფეთა მეფე".

ეპითეტებს შორის ყურადღებას იქცევს რამდენიმე, რომლებიც ჩვენი აზრით ფორმალური არ არის და გარკვეულ შინაარსს შეიცავს. "ქრისტესმოსავთა შემწე, კეისართა მძლეველი, დიდებული ჯვრის მფარველი,.. მესიის თანაშემწე" _ ამ ფრაზებში ჩვენი აზრით საქართველოს ჯვაროსნულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი იკითხება. მხოლოდ IV ჯვაროსნული ლაშქრობის (1202-1204 წწ.) შემდგომ შეიძლებოდა საქართველოს მეფისთვის ეპითეტით _ "კეისართა მძლეველი" მიემართათ. ამასთან ჯვაროსანთაგან მუსლიმების შევიწროების შესაბამისად საქართველოსადმი მაჰმადიანური სამყაროს დამოკიდებულება უფრო ფრთხილი და პატივისცემის გამომხატველი გახდა, რაც ოფიციალურ ტიტულატურაშიც აისახა. "აღმოსავლეთის და დასავლეთის სტეფანოზი" ქართული ანალოგიური ტიტულის ("აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელი") პირდაპირ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

მუსლიმ მბრძანებელთა მიმართვაში დაფიქსირებული ქვეყნების ჩამონათვალი ბუნებრივია ქართული ტიტულის ანალოგს წარმოადგენს, თუმცა არის რიგი თავისებურებებიც. საქართველოს მეფის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად გვხვდება გორჯესტანის მეფე, აბხაზის მეფე ან თბილისის პატრონი. გურჯი და აბხაზი სინონიმებია და მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვხვდება გვერდიგვერდ, აშკარად ქართული ტიტულატურის გავლენით (გურჯის, აბხაზის მეფე_"მეფე აფხაზთა, ქართველთა,.."). "რანთა და კახთა მეფის" იდენტური უნდა იყოს ჩვენი აზრით ხშირად დამოწმებული "შაქის მეფე".

მუსლიმური ტიტულატურის ბოლო ნაწილი არ არის ქართულის ანალოგი. "ალანის და რუსის მეფეთა მეფე", ბუნებრივია ქართულ ვარიანტში არ გვხვდება. "თარასსოლის" გამომცემლის მაგალი თოდუას აზრით რუსის მეფე (რომლის სინონიმად გვხვდება "ხაზარის მეფე"-გ. ა.) აღმოსავლურ წყაროებში გულისხმობს ყივჩაღთა სამეფოს მბრძანებელს (32. 46). მისივე აზრით ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ბინადრობდა რუსთა ერთი შტო, რომელზეც ვრცელდებოდა ბაგრატიონთა პოლიტიკური გავლენა.

966 წელს ხაზართა ხაკანატის განადგურების შემდეგ ამ ვრცელ ტერიტორიას დაეპატრონენ ყივჩაღები. ამის მიუხედავად ტერმინი "ხაზარი" დარჩა აქ მცხოვრები ხალხების აღმნიშვნელ საზოგადო ცნებად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დავითის სამფლობელოზე საუბრისას აღნიშნავს: “მის აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს,.. მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შირვანისა და სპარსეთისანი”.

ჩვენი აზრით გიორგი ლაშას დროს დავით აღმაშენებლის დროინდელი პოლიტიკური ვითარების ანარეკლი მუსლიმურ ტიტულატურაში ნაკლებად სავარაუდოა. მითუმეტეს, რომ ამ ტიტულატურაში უშუალოდ საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ტერიტორია (მაგ: სომხური თემები, რაც ტიტულის ქართულ ვარიანტში გვხვდება) არ ფიქსირდება, სანაცვლოდ კი რატომღაც იხსენიება საქართველოს ყმადნაფიცი ან გავლენის მქონე პოლიტიკური ერთეული-”ალანთა და ხაზართა სამეფო”.

ტიტული “ალანის და რუსის (ხაზარის) მეფეთა მეფე” ჩრდილოეთ კავკასიაზე პოლიტიკური გავლენის გარდა კონკრეტულ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ერთის მხრივ ეს შესაძლებელია იყოს ალანთა ტახტზე მემკვიდრეობითი უფლება, რაც მამის მხრიდან ეკუთვნოდა გიორგი ლაშას (“ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელი”_სპარსულ ვარიანტში მრავლობითი რიცხვი შემთხვევითი არ უნდა იყოს და როგორც საქართველოს, ისე ალანთა სამეფოს მემკვიდრეობით ფლობას უნდა გულისხმობდეს). მეორეს მხრივ ხაზარებზე ანუ ყივჩაღებზე მბრძანებლობა უნდა ნიშნავდეს არა პოლიტიკურ-ტერიტორიულ ზეგავლენას (ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები იმდენად დაშორებულია საქართველოს, რომ სერიოზული გავლენა და თანაც უცხოურ ტიტულატურაში მისი ფიქსირება ძნელად დასაჯერებელია), არამედ ყივჩაღთა ურდოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ერთეულის პყრობას. ამ მოსაზრებას ჩვენი აზრით მხარს უნდა უჭერდეს ის გარემოებაც, რომ იგივე სპარსულ ვარიანტში ზაქარია მხარგრძელი ერთგან იხსენიება, როგორც “ხაზარის მეფე და აზხაზის ამირათა გვირგვინი”. შესაძლებელია აქ ზაქარიას სამოხელეო სტატუსზე იყოს ხაზი გასმული. ხაზარი თუ ყივჩაღის სინონიმია, მაშინ ზაქარია ამ ყივჩაღთა ჯარის “მეფედ” ანუ ამირსპასალარად უნდა ვიგულისხმოთ. ამ ფრაზის სხვაგარად გაგება ჩვენი აზრით ძნელია.

გიორგი IV-ის ტიტულის მოკლე ვარიანტები გვხვდება თანადროულ ნუმიზმატიკურ ძეგლებზეც (229. 37). სულ მოღწეულია 4 ნომინალი. მათ შორის ერთი უფლისწულობის პერიოდშია მოჭრილი, “ჯავახთუფლის” სახელით, სამი (მათ შორის ორი წესიერად და ერთიც უწესოდ მოჭრილი) კი კორონაციის წელს (1210 წ.). მონეტათა ავერსზე განთავსებული ქართული ლეგენდა მარტივია: “გიორგი მეფე, ძე თამარისი”. რევერსის არაბული ზედწერილი უფრო რთულია და ტრადიციული ეპითეტებით დატვირთული: “მეფე უმაღლესი (მეფეთა მეფე), მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი”.

ბ) გიორგი ლაშას დომენი: გიორგი IV-ის საუფლისწულო დომენად უნდა ვიგულისხმოთ უპირველესად ჯავახეთი, რადგან ლაშა “ჯავახთუფლად” მოიხსენიება, დომენის ცენტრი კი

ალასტანია (86. 104; 193. 25-30). თამარ მეფის დროს ჯავახეთი სამ ნაწილად იყოფოდა: სამეფო დომენი, ახალქალაქის საერისთავო თორელთა საგვარეულოთი სათავეში და თმოგველთა ფეოდალური მამული (197. 47).

ვინაიდან ჯავახეთი თორელთა საგამგეო საერისთავოა, სწორედ ამიტომ თამარი ქალაქ კარს აღებისთანავე გადასცემს ივანე თორელ-ახალციხელს საგამგეოდ და ანიჭებს ათაბაგობას, რაც უფლისწულის აღმზრდელის საპატიო რანგია აზიაში, კერძოდ კი სელჩუკთა სახელმწიფოში.

"კარული ქვეყანა" თამარმა სახარაჯოდ კი არ გასცა, არამედ "სამეფოდ დაიმჭირა" და ფაქტიურად შეუერთა ლაშას საუფლისწულოს. "და მოიხუნეს ციხოვანთა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინაშე და ითხოვდეს მშჳდობასა და ფიცსა, რათა არა განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი, არამედ სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთჳს მისცა სიტყვა მტკიცე და უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის, რათა შევიდეს და თჳთ მოითუალოს ქალაქი და ციხე. რომელი-ესე ესრეთ იქმნა. და ესე ერთი ქალაქი და ციხე თჳსად დაიმჭირა, მათ ყოველთაგან, რომელნი აიხუნა ზორაკერტით რაჳსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის" (3. 143).

ჯავახეთს გარდა საუფლისწულოდ (და შემდგომ სამეფო დომენად იქცა, რასაც ადასტურებს აქ ლაშას გარდა რუსუდანის და დავით ულუს ჳელიანი სტელების აღმოჩენაც) საგულვებელია მიმდებარე პროვინციები და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ცენტრალური მდებარეობის მქონე ტერიტორიული ერთეულები.

ლაშას დომენის გეოგრაფიული არეალი მოიცავდა ყველა იმ პროვინციას, სადაც აღმოჩნდა "ჳელიანი სტელები" და მეფის სახელით წარმოებდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-განახლება (ქვათახევი, ბეთანია, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, დმანისის კარიბჭე, ბარალეთი, ვარძია, თმოგვი, განძანი). ეს პროვინციები ძირითადად ქვემო ქართლი, თრიალეთი და ჯავახეთია. მართებულად შენიშნავდა აკად. ნიკო ბერძენიშვილი, რომ ერთიანი საქართველოს პოლიტიკურმა ცენტრმა XII ს-ში საზღვრების გაფართოების გამო შიდა ქართლიდან სამხრეთში გადაინაცვლა. ქვემო ქართლი იქცა პოლიტიკურ და მაგისტრალურ ცენტრად (88. 80).

"ჳელი" ეწოდებოდა მიწაზე უფლების მაჩვენებელ მატერიალურ ნიშანს, ხოლო "ჳელის ამართვაში" იგულისხმებოდა მამულზე უფლების განცხადება და ამ უფლების განცხადების ნიშნად მატერიალური ძეგლის დასმა. "ჳელს ამართავდა" ხელისუფლების მიერ დანიშნული პირი. ჩვენამდე მოღწეულია 15 "ჳელიანი" სამეფო სტელა ისტორიული ქვემო ქართლიდან და ჯავახეთიდან, დათარიღებული XII ს-ის ბოლოდან XIII ს-ის შუახანებამდე. მათგან 5 წარწერიანია. მონღოლთა გაბატონების შემდგომ "ჳელიანი სტელები" აღარ გვხვდება, რადგან მათი მიწათმფლობელობის სისტემას არ შეესაბამებოდა.

უშუალოდ ლაშას სახელთან დაკავშირებულია სამი "ჳელი": 1. პრტენას "ჳელი": ზომებით, 1,08/0,6/3,5 ნახევართაღში ამოღარულია ხელის მტევანი და 5-სტრიქონიანი წარწერა: "იესუ ქრისტე

ადიდე თამარ და ძე მათი ლაშა. შეიწყალე ბეშქენ, გურგენ კვირიკეს ძენი” (გამრეკლის ძენი-244. 66). 2. გუნია-ყალას “ჴელი”: მოვარდისფრო ქვის ოთხკუთხედი მოგრძო ფილა, ზომებით: 1,75/0,8/0,2. 1936 წელს გ. ჩიტაიას ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ აღმოაჩინა მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, სოფ გუნია-ყალაში, წალკიდან 7 კმ-ზე. ქვაზე შემოვლებულია ჩარჩო. ჩარჩოს შიგნით გამოხატულია ჴელი, მის ქვემოთ კი ბაგრატიონთა საგვარეულო ემბლემა. შიდა და გარე ჩარჩოებს შორის, ქვის ორივე მხარეს მოთავსებულია 10-სტრიქონიანი წარწერა ორ სვეტად: “სახელითა ღმრთისაYთა, ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ივანე ოვსიყმა ვაჩესითა, ჯალაბაის მოჭირვებითა, სანობაYს ძისა ინაY სახელითა დაისუა ჴელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგისი”. 3. “ზრესკის ჴელი”: 1998 წელს ჯავახეთის სამეცნიერო ექსპედიციამ (დევი ბერძენიშვილი, ნიკა ვაჩეიშვილი, ნინო ბაგრატიონი,..) კუმურდოდან სამხრეთით 5 კმ-ში ზრესკის ტბის მახლობლად აღმოაჩინა გიორგის IV-ის ჴელიანი სტელა, ზომებით 1 მ/1, 2 მ. ქვის ცენტრში, თაღოვან ჩაღრმავებაში ამოკვეთილია “ჴელი”. მის ზემოთ ცენტრში ჯვარია განთავსებული. მარცხნივ _ ექვსქიმიანი ვარსკვლავი, მარჯვნივ _ ვარდულის ორნამენტაცია. თაღის მარჯვნივ მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: “სახელითა ღვთისაYთა... თამარის ძისა გიორგის ჴელი”.

გიორგი ლაშა იხსენიება უშუალოდ მისი დომენის ტერიტორიაზე აღმოჩენილ წარწერებშიც. 1. განძანის ქვემო ეკლესიის სამხრეთ კარის ტიმპანზე ამოკვეთილი 4-სტრიქონიანი წარწერა: “ქ. ღმრთივ გჳრგჳნოსანი მეფობაY გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დაიფარენ დედაო ყოველთა მჴსნელისაო”. 2. ბარალეთის ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის 9-სტრიქონიანი წარწერა: “ქ. აღეშენა ეკლესიაი მათ ჟამთ შინა ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა საყდარსა. ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხორებათა შინა”. 3. დმანისში, ფინეზაურის ხეობაში აღმოჩენილ ქვა-ჯვარზე იობ მიხრიკისძის წარწერა: “სახელითა ღმრთისაYთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაYთა ადიდენ და ამყარენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფობაY გიორგისი. მე მიწამან მეფობისა მათისამან იობ მიხრიკისძემან დმანისს ჩემსა ამირობასა შინა აღვჴუმართე ჯუარი ესე სახელსა ზედა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა, სალოცველად მეფობისა მათისა, საჴსენებლად სულისა ჩემისა. ვინცა მომავალთა ჟამთა დაწერილი ესე აღმოიკითხოთ ლოცვასა მომიჴსენეთ”.

“ჯავახთ უფლის” სახელით მოჭრილი მონეტის პოვნის გეოგრაფიული არეალი ახალქალაქი-ახალციხე-დმანისს არ ცილდება, ამდენად მისი მიმოქცევის არეალად საუფლისწულო დომენის ტერიტორია უნდა ჩაითვალოს. დომენის მთავარი ცენტრია ალასტანი, ხოლო სამეფო სადგომებად ჩანს დლივი, ღრტილა და ბოჯანო. დავით ნინიძეს დამაჯერებლად აქვს გარკვეული ალასტანის წამყვანი ადგილი თრიალეთ-ჯავახეთის დომენში (193. 24-28). ამასვე უნდა მიუთითებდეს მისი აზრით ეტიმოლოგიაც: ალასტანი-”დიდებული მხარე” (193. 28). არსებობს მ. ბერიძის განსხვავებული თვალსაზრისი, ალასტანი-”ალანთა ქვეყანა”.

გ) გიორგი ლაშას რეზიდენციები: წყაროთა ინფორმაცია ლაშას რეზიდენციებთან დაკავშირებით შედარებით მწირია, სამაგიეროდ ვრცლად არის საუბარი სამეფო რეზიდენციებზე წინა პერიოდში, განსაკუთრებით თამარ მეფის დროს, რაც ბუნებრივია ლაშას დროინდელ რეზიდენციებზე საუბრის საშუალებასაც იძლევა.

მთავარი სამეფო რეზიდენციები ჩანს ტფილისში (კალას, ისნის და დიდუბის სასახლეები), სადაც მეფე ძირითად დროს ატარებდა და სადაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებები (დარბაზობა, უცხოელი მონარქის თუ ელჩის მიღება) იმართებოდა. XIII ს-ის სპარსული გეოგრაფიული თხზულება "აჯაიბ ად-დუნია" თბილისის აღწერისას ახსენებს ქალაქის (ე. ი. ისნის) პირდაპირ არსებულ ციხეში (ნარიყალა) აგებულ მეფეთა სასახლეებს (22. 28).

დასავლეთ საქართველოში გეგუთის სასახლე ლაშას დროსაც ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი რეზიდენციის სტატუსს. "აფხაზ მეფეთა" სანადირო სახლის გეგუთის სამეფო რეზიდენციად ქცევა პირველად დავით IV-ის სახელს უკავშირდება (246. 452). გიორგი III-ც ხშირად იმყოფება გეგუთს. არც ის არის შემთხვევითი, რომ დასავლეთ საქართველოს აჯანყებულმა დიდებულებმა გიორგი რუსი სწორედ გეგუთის სასახლეში აკურთხეს მეფედ, რადგან ლეგიტიმაციას უფრო გაამყარებდა ძველი და ტრადიციული რეზიდენცია. თამარიც მამის მსგავსად ხშირად იმყოფება გეგუთში და დარბაზობასაც მართავდა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეფო რეზიდენცია დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული და ლაშას მეფობაშიც იყო ნაჭარმაგევი. გიორგი III-მ თამარი აკურთხა ნაჭარმაგევს. თამარ მეფეს სასიკვდილო სენი პირველად სწორედ ნაჭარმაგევის რეზიდენციაში ყოფნისას გამოაჩნდა. მეორე მნიშვნელოვანი სამეფო რეზიდენცია XII ს-ის ბოლოს უნდა იყოს ტაბახმელა. თამარი ხშირად იმყოფებოდა ტაბახმელას. აქ დაიბადა გიორგი ლაშა, გარდაიცვალა თამარ მეფე, შამქორის ბრძოლაში გამარჯვების ამბავი სწორედ აქ ამცნეს მეფეს.

ტფილისის, როგორც სატახტო ქალაქის მახლობლად და გარეშემო აუცილებლად უნდა ყოფილიყო სააგარაკე-დასასვენებელი ტიპის სამეფო სადგომები. "იორის და მტკვრის პირი მოინადირის, მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდიან, ვიდრემდის თოვლმა არა დაამძიმის კარავი. მუნით სომხითს შემოვიდიან. ნადირობდიან ამოთა თამაშითა". ამდენად სააგარაკე ადგილები შეფარდებული იყო კლიმატურ პირობებთან.

გიორგი III დემნას აჯანყების შემდეგ პირველად აგარანს აფარებს თავს. ამირ-მირმანის და შირვანშაჰის მიღება სწორედ აგარის ჭალაში გაიმართა. მძიმედ დასნეულებული თამარი აგარათა ციხეს მიიყვანეს, სადაც ნახევარი წელი დაყო. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით აგარანი იგივე გარდაბანია ("აგარათა სომხითისათა"). ნიკო ბერძენიშვილის აზრით აგარის ციხე უნდა იყოს ცენტრი სამეფო რეზიდენციისა, რომელიც შენობა-ნაგებობათა მთელ კომპლექსს მოიცავდა, მათ შორის სახელმწიფო პალატს, ციხეებს და დაბებს, ამიტომაც გვხვდება იგი წყაროში მრავლობითი

რიცხვის ფორმით (აგარათა ციხე, აგარანი). აგარანი წარმოადგენდა მეფეთა საზაფხულო და საზამთრო რეზიდენციას XV ს-მდე, როდესაც დაიკარგა ტრადიცია მეფეთა სააგარაკო დგომისა. ამ კომპლექსში ("ტფილისის აგარაები") ნიკო ბერძენიშვილის აზრით შედიოდა ტაბახმელა და კოჯორი (კოჯრის ციხე) (88. 315).

აღწერილობიდან ჩანს, რომ აგარანი განსაკუთრებული კლიმატური და გარემო პირობებით გამოირჩეოდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ აქ ერთდროულად როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო სადგომი ყოფილა.

ავადმყოფი თამარ მეფე ნაჭარმაგევიდან გადაიყვანეს დასოს (თბილისის შემოგარენი): "წარმოიყვანეს კუბოთა ტფილისს და შემდგომად მცირეთა დღეთა ენებათ ჩუეულებისაებრ, რათა დასოს განვიდენ. ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუბოთავე. და დიდად განძნელდა სენი იგი უწყალო და კუალად წარმოიყვანეს აგარათა ციხესა" (3. 144). ვინაიდან კიდევ უფრო ცუდად გახდა, დაზამთრებისთანავე ტახტრევანით გადაიყვანეს აგარას, რადგან ვეღარ მოძრაობდა. ნიკო ბერძენიშვილის აზრით დასო უნდა იყოს კაბენი, სადაც არის კიდეც თამარის ციხე. თუმცა დასო არა რეზიდენცია, არამედ ტფილისის მიდამოებში სააგარაკე ადგილი ჩანს, ხშირი და დაბურული ტყით, სადაც მეფე ზაფხულსა და შემოდგომას ატარებდა კარვით. ტფილისის შემოგარენი დახუნძლული უნდა ყოფილიყო ამგვარი "სოფელ-აგარაებით": კრწანისი, შინდისი, წავკისი, ტაბახმელა, კოჯორი, კალოუბანი, ვერა, ვაკე,.. "დასოც" ერთ-ერთი ამგვარი აგარაკთაგანია.

ლაშასდროინდელი მემატიანის ცნობით თამარი გარდაიცვალა "აგარათა სომხითისათა". ამასვე ადასტურებს ბასილი ეზოსმოძღვარი. "ისტ˜ნი და აზ˜ნის" ცნობით თამარი გარდაიცვალა "ჴმელსა დგომასა შინა". თითქოს უდავოა, რომ აგარანი და ჴმელი (ტაბახმელა) ერთი და იგივეა ან თუ გავიზიარებთ ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისს, ტაბახმელა აგარათა შემადგენელი ნაწილია.

სააგარაკე-დასასვენებელი რეზიდენციების გარდა არსებობდა მესამე ტიპის დროებითი სამეფო სადგური, სადაც მეფენი სტუმრობდნენ ხარკის მოკრეფის მიზნით და მონაპირეთა თუ ერისთავთა მოსანახულებლად. ამ ტიპის სადგომს მეფე, როგორც ჩანს, ყოველწლიურად ეწვეოდა ხოლმე და აქ ცხადდებოდნენ მის წინაშე მახლობლად მყოფი ქვეშევრდომნი და ვასალურ ქვეყანათა მმართველნი "განვლილი წლის ანგარიშით", ხარკის მორთმევითა და ჰაჯა-მოხსენებით. ამგვარ რეზიდენციად შეიძლება ჩაითვალოს ჩილდირის (ცელის) ტბაში არსებულ კუნძულზე აშენებული თეთრციხე (აყჩიყალა).

"თამარ ზამთრის დურს იყვის და ზაფხულის კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს" (13. 111). ანალოგიურად გიორგი ლაშაც: "გარდავიდის ქუეითი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი. და სთუელთა შთავიდის ტფილისს, ხოლო საზამთროდ დადგის დურს სომხითისასა, და მიერ ბრძოდის

განძელთა. ზაფხულის აღვიდის თავად მტკურისად და დადგის კოლას. და მოვიდოდიან წინაშე მისა მოხარკენი ძღუნითა ხლათით და საბერძნეთით" (20. 156).

თამარის და მისი ძის მარშრუტები თითქმის იდენტურია. ზაფხულში ლაშა კოლაში (ალბათ ციხე-ქალაქი დადაშენი, რომელიც ყველაზე მასშტაბურია კოლას პროვინციაში) და პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის რაიონში ჩადიოდა, სადაც მიმდებარე მხარეთა (სამხრეთ საქართველოს) ერისთავები ცხადდებოდნენ მეფის წინაშე, ხოლო ვასალებს (ხლათი, კარინი, ერზინკა,..) ხარკი მოჰქონდათ. აქედან მეფე გადადიოდა დასავლეთ საქართველოში (მარშრუტი: აჯამეთი-გეგუთი-ცხუმი), სადაც ნადირობის პროცესში ადგილობრივ ერისთავთა მონახულების გარდა, სავარაუდოდ მას სტუმრობდნენ ჩრდილო კავკასიელი ყმადნაფიცებიც. სექტემბერში გიორგი ლაშა გეგუთის სასახლიდან ბრუნდებოდა ტფილისში. შემოდგომის ორ თვეს სავარაუდოდ მეფე აგარათა რეზიდენციაშიც ატარებდა, გვიან შემოდგომით და ზამთრის პირზე კი მიდიოდა დურს (საქართველო-განძის საზღვართან), სადაც მეფესთან ალბათ აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულნი ცხადდებოდნენ და ხარკი მოჰქონდათ შირვანელებს და განძელებს.

ეს დროებითი რეზიდენცია-სამეფო სადგური ამავე დროს წარმოადგენდა ლაშქრის შესაკრებელს შესაბამისი მიმართულებით გასალაშქრებლად. (სომხითიდან-არანისა და განძისკენ, ჯავახეთ-კოლადან ხლათისა და არზრუმისაკენ).

ამგვარად თუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ ცნობებს, შეიძლება დავასკვნათ: ლაშას დროს სამგვარი სამეფო რეზიდენცია ჩანს, რომლებიც ფუნქციურად ერთმანეთისგან განსხვავებულია. სამეფო სასახლეები მდებარეობდა ტფილისსა (ისნის და დიდუბის) და ქუთათისში (გეგუთის რეზიდენცია). აქ იმართებოდა დარბაზობა, მუშაობდა სახელმწიფო უწყებები და მეფეც ძირითად დროს აქვე ატარებდა. უმნიშვნელოვანესი ქალაქგარე სააგარაკე რეზიდენციათა კომპლექსია "აგარანი", რომელიც ტფილისის გარშემო "სოფელ-აგარაკებისგან" შედგებოდა. მათ შორის მთავარი რეზიდენცია იყო ტაბახმელა, აგარის ციხე და კოჯრის კაბენი (დასო). აქ სამეფო კარი და დარბაზისერნი დასასვენებლად იკრიბებოდა, თუმცა მატიანეებიდან ჩანს, რომ აქ საქმიანი შეკრებები და შესაძლებელია დარბაზობებიც კი იმართებოდა. მესამე სახის რეზიდენციები (დროებითი ანუ "სადგომი მეფეთა") გათვალისწინებული იყო მეფის მიერ სამფლობელოს მონახულებისა და ხარკის აკრეფისათვის. ასეთი რეზიდენციებია: დადაშენის ციხე-ქალაქი (კოლაში) და თეთრციხე (ზაფხულობით, სამხრეთ საქართველოს საქმეთა განსაგებლად), დური (ზამთრობით, აღმოსავლეთ საქართველოს საქმეთა განსაგებლად), ცხუმი და გეგუთი (დასავლეთ საქართველოს საქმეთა განსაგებლად). შედარებით დამცრობილი ჩანს ნაჭარმაგევის რეზიდენცია, რომელსაც ლაშას დროს შესაძლებელია ფუნქციური დატვირთვა აღარ გააჩნდა და უფრო სიმბოლური მნიშვნელობის იყო.

დ) გიორგი ლაშას იკონოგრაფია: საქართველოს მეფეთა გამოსახულებები არცთუ მრავლადაა, ბევრი მათგანის სახე საერთოდ უცნობია. ამ მხრივ გიორგი ლაშას იკონოგრაფია ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. ამჟამად ძირითადად მეფის 4 ფრესკული გამოსახულებაა ცნობილი (ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ნათლისმცემელი) და აგრეთვე 1210 წლის სპილენძის მონეტაზე ამოტვიფრული გიორგი ლაშა საიმპერატორო რეგალიებით.

გარდა ამისა არის რამდენიმე ცნობა, რომლებიც ლაშას პორტრეტულ გამოსახულებათა რაოდენობას შესაძლოა ზრდიდეს კიდეც. ლაშას იკონოგრაფია ყრმობისდროინდელია და ყველგან დედის-თამარის გვერდით არის გამოსახული (ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ნათლისმცემელი). ამასთან სამ შემთხვევაში ლაშასთან პაპის-გიორგი III-ის (ბეთანია, ყინწვისი, ნათლისმცემელი), ხოლო ერთ შემთხვევაში მამის-დავით სოსლანის (ნათლისმცემელი) პორტრეტიც გვხვდება.

ბეთანიის ჩრდილოეთ კედლის ჩრდილოეთ მხარის ქვედა რეგისტრში შესრულებულია გიორგი III-ის, თამარის და გიორგი ლაშას ქტიტორული გამოსახულება, წარწერით: “დიდი მეფეთ მეფე გიორგი”, “თამარ მეფე და დედოფალთ დედოფალი”, “გიორგი მეფეთ მეფე ძე თამარისი”. სამხრეთ კედელზე ქტიტორული მოდელით ხელში მანდატურთუხუცეს სუმბატ ორბელის (მონაზონქმნილი სვიმონ) გამოსახულებაა, მის გვერდითაა ძე-ლიპარიტ. სწორედ ორბელთა დაკვეთითაა შესრულებული ეს მხატვრობაც (270. 20). ჩვენი აზრით ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ბეთანიის მეფეთა გამოსახულებებს სხვათაგან (ვარძია, ყინწვისი, ბერთუბანი, ნათლისმცემელი) განსხვავებით არ ერტყმის ნიმბები. მსგავსი პრეცედენტი მხოლოდ ორბელთა სამფლობელოში თუ მოხდებოდა.

ფრესკიდან და წარწერათა შინაარსიდან გამომდინარე იგი შესრულებული უნდა იყოს თამარის და ლაშას 4-წლიანი თანამეფობის პერიოდში (61. 283). ბეთანიის ფრესკაზე მეფეებს აცვიათ ბიზანტიური, საპარადო ტანისამოსი, ფიგურათა ზომები განსხვავებულია, მაგრამ სწორება არა ფეხებზე, არამედ თავზეა. ლაშა სრულიად ახალგაზრდაა, ასაკით 15 წელზე მეტის არ უნდა იყოს, სახეც უწვერული აქვს, არ ხურავს სამეფო გვირგვინი (ლაშა გვირგვინით გამოსახულია მარტოოდენ ბერთუბნის მონასტრის ფრესკაზე), მხოლოდ ძვირფასი ქვებით შემკობილი თავსაბურავი და დიდებულთათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი აცვია. მიუხედავად იმისა, რომ ლაშას გამოსახულება ყველაზე მეტად არის დაზიანებული, მაინც ჩანს რომ მისი კაბა მოწითალო-მოყავისფროა, ჩიტებით გაწყობილი-რაც მის ასაკზე ხაზგასმას უნდა წარმოადგენდეს. ლაშას სამოსი მოკლეა, წელში ვიწრო და ბოლოში განიერი, ნაკეცებიანი. ქობიდან საყელომდე ორმაგი ვერტიკალური ზოლითაა მოქარგულ-მოოლვილი (239. 79). ეს სამოსი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის აზრით “ჯუბაა”, ნინო ჩოფიკაშვილის აზრით კი “ენიანი კაბა”, გვხვდება აგრეთვე დემეტრე I-ის (მაცხვარიშის), რატი სურამელის (ვარძია), რაჭის ერისთავის (ზემო კრიხი), ლიპარიტ ორბელის

(ზეთანია) და სხვა დიდებულთა გამოსახულებებზეც. ამ ტიპის სამხედრო ტანსაცმელი გავრცელებული იყო მახლობელ აღმოსავლეთში.

ლაშას წელზე არტყია ქამარი, კიდია სწორი ხმალი და აცვია ყვითელი ფერის მაღალყელიანი უქუსლო მესტი, კოჭებთან ორი ზოლით. მესტის ყელიდან მოჩანს ფუნჯები (პომპონები) შავ და ლურჯ თასმებზე, შესაკრავი რგოლებით და ოქროს ვარდულებით. ზეთანიის ფრესკა XIX ს-ში ნანგრევებისგან გაწმენდის შემდეგ აღმოაჩინა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა და ასლები შეასრულა 1843 წელს. ფრესკები მოგვიანებით შესწორდა (111).

ზეთანიის თითქმის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს ყინწვისის ფრესკული მხატვრობაც. სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში მეომართა ფიგურებისგან განცალკევებით დგას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონ გლონისთავისძე ეკლესიის მოდელით ხელში მავედრებელი წმინდა ნიკოლოზის წინაშე (ქტიტორი სახით ფასშია, სამი მეოთხედით მიბრუნებული წმინდა ნიკოლოზისკენ). ჩრდილოეთ კედელი უჭირავს ისტორიულ პირთა გამოსახულებებს. ქრისტე პანტოკრატორის წინ ვედრების პოზაში დგანან გიორგი III, თამარი და ლაშა. ფიგურები ერთმანეთისაგან გამოცალკევებულია გრძელი, ნახევარწრიული თაღებით. პირველ თაღში ლაშაა განთავსებული, შემდეგ თამარი, ბოლოს-გიორგი III. მეოთხე თაღი უკავია მეფეებთან შედარებით დაპატარავებული ქრისტეს გამოსახულებას (ასევეა დაპატარავებული წმ. ნიკოლოზი). ლაშას ფიგურის დიდი ნაწილი დაზიანებულია, მხოლოდ ფიგურის ზოგადი მოხატულობაღაა შემორჩენილი, მუხლამდე კაბა მოსავს. ფრესკის ფონი მოცისფრო-მომწვანოა, მხატვრობა-ღია ყავისფერი (270. 23). ყინწვისის მხატვრობა განსაკუთრებით მაღალი დონით და დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა (61. 286).

ერთიან საქართველოში კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდგომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა, დაარსდა რიგი ახალი მონასტრები (ბერთუბანი, წამებული, დოდორქის დასავლეთ ნაწილი,..). გელათის და შიომღვიმის მსგავსად გარეჯიც სამეფო მონასტრად იქცა. გარეჯელ ძმებს დარბაზობაზე კუთვნილი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი, ხოლო მონასტერს სამეფო კარზე ე. წ. “გარეჯული ძღვენის” მიტანა და სამეფო ოჯახის სასულიერო მომსახურება ევალებოდა (160. 123-125). ამ ფაქტორმა განაპირობა გარეჯში ორიგინალური ფერწერული სტილის ე. წ. “გარეჯული სკოლის” ჩამოყალიბება. მისთვის დამახასიათებელია, გარდა სასულიერო თემატიკისა საერო თემატიკითაც დაინტერესება. ამის შედეგად გარეჯში ისტორიულ საერო პირთა მთელი გალერეა მივიღეთ.

ბერთუბნის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში გამოსახულნი არიან: თამარი და ჭაბუკი ლაშა, წარწერით: “თამარ მეფეთა მეფე” და “გიორგი მეფეთა მეფე, ძე თამარისი”. ვინაიდან შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია, ტაძარში შემსვლელი პირისპირ აღმოჩნდება მათ წინაშე. ლაშა და თამარი მლოცველის პოზაში დგანან მარჯვნივ გამოსახული

ღვთისმშობლისადმი. ღვთისმშობელი ყრმით ტრადიციულად მომცრო ზომისაა მეფეთა ფიგურებთან შედარებით. ბერთუბნის ფრესკები შესრულებულია თეთრ ფონზე მოყვითალო-რუხი ტონით. ლაშას სამოსი წელში ვიწრო, მოკლე და ბოლოებგანიერია. თეთრი ფერისაა, კიდეებზე ყავისფერ ზეწვშემოვლებული. ქსოვილზე სტილიზებული ყვავილებია გამოყვანილი, რომელთა ღეროების შეერთებასთან დაკერებულია მსხლის ფორმის ცისფერი ქვები. ორივე ხელზე ვიწრო იასამნისფერი სამკლავეა, რომელზეც გრეხილებში ჩასმული სამი ვარდულია გამოსახული. ბერთუბნის ფრესკაზე დახატული სამოსი ყინწვისის ფრესკის ანალოგიურია ანუ ივ. ჯავახიშვილის აზრით ეს არის ე. წ. “ყაბაჩა” (სპარსულად-”პატარა კაბა”), სადა და მოხერხებული ტანსაცმელი ცხენოსნობისა და ნადირობისას. ეს სამოსი დიდგვაროვნის საზოგადო სამხედრო-საცხენოსნო აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილია (გვხვდება ზაქარია და ივანე მხარგრძელების სამოსად ჰარიჭის ფრესკაზე). ლაშას ფეხთ მოსავს ყავისფერი (მეწამულისფერი) მოგვები, შუაში სიგრძივი ზოლით, კოჭთან კი 2-2 ირიბი ნაკერავით. მათ შუა გრეხილებია, ზემოთ 2-2 ტეხილი ხაზი, კიდევ ზემოთ წყვილი რვაფურცლიანი ლურჯი ყვავილი. მოგვების ყელზეა თასმები რგოლით და ფუნჯით, რითაც იკვრებოდა ფეხსაცმელი. ლაშას თმა გრძელ ხვეულ ზოლად (“კოწოლ დაყრით”) აქვს ჩამოშვებული და ატარებს “რიდეს”, მხედრულ თავსაბურავს (პარ: რაჭის ერისთავების გამოსახულება ზემო კრიხში). ლაშას ახლავს სამეფო ნიშნები: მოხრილი ხმალი და მაღალი დაკბილული გვირგვინი.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნათლისმცემლის კლდეში ნაკვეთი იოანე წინამორბედის შობის სახელობის ეკლესიაში შემორჩენილია ფრესკების ნაშთები. პირველად ამის თაობაზე წერდა ა. მურავიოვი 1848 წელს გამოქვეყნებულ შრომაში “ჯჰეპბზ ბ Fჰვტყბზ”. 1913 წელს ე. თაყაიშვილმა იმოგზაურა გარეჯში და ამოიკითხა ფრესკათა მინაწერები, რომლებიც ამჟამად სამწუხაროდ აღარ არსებობს: “მეფეთა: მეფე: თამარ ასული დიდისა: მეფეთა: მეფისა: გ˜სა/ძე მათი ლ˜შა/მეფეთა მეფე დ˜თ”. ეს წარწერა საინტერესოა იმით, რომ სხვა შემთხვევაში ფრესკაზე ლაშას სახელი ყოველთვის გიორგიდ დაიტანებოდა ხოლმე. თუმცა ეპიგრაფიკაში ამგვარი გამონაკლისები მრავლადაა: პრტენას “ჴელი”, ბარალეთის საამშენებლო წარწერა, ჯუხტაკ ვანქის ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთ პორტალის ტიმპანის 1201 წლის დიდი წარწერა, ბაგავანის და ჰორომაირის 1206 წლის წარწერები (221. 108). ეს გამონაკლისი ალბათ ლაშას მცირეწლოვნებით, შესაბამისად ფრესკის ადრეულობით და მონასტრის მნიშვნელობით უნდა აიხსნას.

შალვა ამირანაშვილი და გაიანე ალიბეგაშვილიც ადასტურებენ ნათლისმცემელში დინასტიური პორტრეტების არსებობას. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით ნათლისმცემლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში წარმოდგენილია სამეფო გამოსახულებათა მთელი გალერეა: ბაგრატ IV, დავით IV, დემეტრე I, გიორგი III, თამარი, დავით სოსლანი და ყრმა ლაშა (5. 6). მათგან ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრში სამკბილა თაღედში ცისფერ ფონზე გამოსახულია ოთხი ფიგურა

საკურთხევლისკენ ხელაპყრობით მიბრუნებული (ბაგრატ IV-"პირველ მაშენებელი", დავით IV-ოქროს გვირგვინით და ენქერით ხელში, დემეტრე I-დამიანე ბერულ სამოსში, გიორგი III-ხელთ უპყრია ჯვრიანი სკიპტრა და აღმოსავლეთიდან აკურთხებს ანგელოზი). დასავლეთ კედლის სამხრეთ კუთხეში სამი ფიგურის ფრონტალური გამოსახულებაა. მათგან 2 უფროსია და შუაში ბავშვი უყენიათ, სამივე სამეფო სამოსში. თამარს გრძელი ვიწრომკლავებიანი სადა ბისონი მოსავს, თმა გათხოვილი ქალის წესისამებრ დაბურული აქვს, ხელთ უპყრია შინდისფერტარიანი კვერთხი. მეფის მარცხნივ ყრმა ლაშა დგას, ტრადიციულ სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი, მარცხენა ხელი მკერდის წინ აქვს აღმართული ხელისგულით წინ. ლაშას აქვს თმის მოკლე კულულები და თავზე ორმაგი შარავანდედი ადგას. ლაშას ხელის მტევნებიც კი ოქროთია დაფარული (220. 98-107). სავარაუდოდ ფრესკა 1200 წლისთვის არის შესრულებული, რადგან პორტრეტის მიხედვით 6-8 წლის მაინც უნდა იყოს და წარწერაში არავითარი ტიტულით (მათ შორის არც "ჯავახთუფლის", ან ამირას-როგორც გვხვდება ჯუხტაკ ვანქის 1201 წლის წარწერაში) არ იხსენიება.

ამ ოთხი მთავარი ფრესკის გარდა ლაშას სხვა გამოსახულებათა შესახებ არსებობს გარკვეული ვერსიები. ანი კლდიაშვილის აზრით ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ანანაურის ეკლესიის დასავლეთ კედელზე არსებული ფრესკა ლაშას მეფედ კურთხევის სცენას უნდა გამოსახავდეს (149). ცაგერის საკათედრო ტაძარში დიმიტრი ბაქრაძეს 1867 წელს უნახავს თამარის და ლაშას ფრესკული გამოსახულება წარწერით, ეს ინფორმაცია 1910 წელს გადაამოწმა ე. თაყაიშვილმა და დაადასტურა ფრესკების არსებობა, თუმცა წარწერის ამოკითხვა, დაზიანების გამო შეუძლოდ სცნო.

ე) გიორგი ლაშას სამეფო ინსიგნიები: ერთიანი საქართველოს სამეფო ინსიგნიებად ითვლებოდა: დროშა, გვირგვინი, პორფირი, "ძელი ცხორებისა" (საწინამძღვრო ჯვარი), სკიპტრა, ტახტი, ხმალი, ბეჭედი.

დროშა: XIII ს-ის დასაწყისის სახელმწიფო დროშაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის როგორც თანამედროვე, ისე ოდნავ გვიანდელ წყაროთა ცნობები. იკვეთება ორი განსხვავებული დროშა: ძველი (გორგასლიანური) და ახალი (დავითიანი ან გორგასლიან-დავითიანი). "ისტ˜ნი და აზ˜ნი"-ის თანახმად, "დროშა იგი გორგასლიანი, რომელი იგი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ" (13. 71). "წარემართა დავით, წარმძღუანელი ძელისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშისა სჳანად მოჴმარებულისა ბაგრატოანურისა და უფროსღა გორგასლიანურისა" (13. 68). XII-XIII სს-ის გარდამავალ პერიოდში ორივე ეს დროშა თანაბრად გამოიყენებოდა. სავარაუდოდ ძველი დროშა მთლიანად თეთრი ფერის იყო, ხოლო ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშაზე გაჩნდა გარკვეული ნიშანი და სხვადასხვა ფერებმაც იჩინა თავი. "ხელმწიფის კარის გარიგების" თანახმად სახელმწიფო დროშა ანუ "დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თავ-გადაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე ალმითა". ვეფხისტყაოსანშიც დროშის ორ ფერზეა საუბარი: "ავმართე დროშა მეფისა ალმითა წითელ-შავითა".

სტეფანოზ ორბელიანის ცნობაში სამეფო დროშად მიჩნეულია თეთრი ალამი წითელი “ნიშნით”, ხოლო სეფე-დროშად (ამირსპასალარის) წითელი ალამი თეთრი ნიშნით. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით “მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა გიორგისასა”. წმინდა გიორგი იყო გამოსახული გიორგი III-ის ბეჭედზე და ვახუშტისეულ საქართველოს გერბზეც. შესაძლებელია დაშვება, რომ მეფის დროშა იმ ხანად გორგასლიანურის სახეცვლილებას წარმოადგენდა და მასზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული (თეთრ ალამზე წითელი ნიშანი). ს. მაკალათიას ცნობით მთიულები დროშაზე თეთრ და წითელ ნაჭრებს აბამენ. იოანე ბატონიშვილის ცნობით, “მეფე გიორგი წავიდა ფშავს,.. და მოეგებნენ ფშაველნი. მეფემან უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ჰქმნა მცირე ეკლესია, მიუბოძა ბავრაყი და აგრეთვე ხევსურეთსა შინაცა მიბრძანდა და მათ მისცა ჯუარი და ბავრაყი” (24. 649-650). დროშის თავზე ივანე ჯავახიშვილის მართებული დასკვნით ჯვარი უნდა ყოფილიყო და იშველიებს იბნ ალ-ასირის ცნობას, რომ თამარმა არზრუმის მბრძანებელს უბრძანა ისეთი დროშის გაკეთება, რომლის თავზეც ჯვარი იქნებოდა.

“ზარი მეფეთა”: სახელმწიფო სიმბოლიკაში “მეფის ზარის” შემოტანა და კორონაციის ცერემონიალში წინამძღვრობა, შესაძლებელია უკავშირდებოდეს მთის გავლენას, მთის მოსახლეობისადმი პატივისცემას და რადგან “ხელმწიფის კარის გარიგებამდე” წყაროებში არ გვხვდება “ზარი მეფეთა”. თამარის შემდგომ პერიოდში ყველაზე ლოგიკურად ახალი სიმბოლიკის შემოტანა სწორედ ლაშას შეიძლება დავუკავშიროთ, მითუმეტეს იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, რაც ლაშას მთიელებისადმი ჰქონდა და რაზეც შესაბამის პარაგრაფში გვაქვს საუბარი.

ხმალი: მნიშვნელოვანი სამეფო ინსიგნია. არ ახასიათებდა ბიზანტიის იმპერიას, მაგრამ სამეფო რეგალიის სახით გვხვდება დასავლეთ ევროპაში. გამომხატველია უზენაესი სამხედრო ძალაუფლებისა. საქართველოს მეფის კურთხევის ცერემონიალზე სამეფო ხმალი ამირსპასალარს ეპყრა ხელთ და მეფეს წელზე შეარტყამდა, რითაც გადასცემდა მას უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილებას. VII-XIII სს-ში საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო ბიზანტიური გრძელი ორლესული მახვილი, ე. წ. “მართალი ხმალი”. ამ ხმალს ოთხნაირად ატარებდნენ: 1. ყაწიმით მარცხენა მხრიდან უკან გადაკიდებული; 2. წელზე დამაგრებული; 3. მარცხნივ წინ დამაგრებული და 4. მარცხნივ უკან დამაგრებული. XIII ს-ის დასაწყისში აზიიდან შემოვიდა მოხრილი, ცალპირი ხმალი, რომელმაც მოგვიანებით საერთოდ განდევნა “შვეტი” ანუ “მართალი ხმალი”. ლაშას პერიოდში ჯერ კიდევ ორივე ერთდროულად იხმარება (222. 89). ამის ნიმუშია ლაშას ფრესკული გამოსახულებანი. გიორგი ლაშა ორ შემთხვევაშია ხმლით გამოხატული. ბეთანიის ფრესკაზე ლაშას აბია “შვეტი” ხმალი, ოქროსვადიანი, ქარქაში ღია მწვანე ფერისაა, ოქროსფერია ქარქაშის ბოლო. ვადაზე ჩამოცმულია ტემლაკი. ბერთუბნის ფრესკაზე ლაშას გრძელი და ოდნავ

მოხრილი ხმალი აქვს, ხმლის ვადა ჯვრის ფორმისაა. ვადაზე ფუნჯისებური (პომპონი) ტემლაკია. (239. 152).

სკიპტრა: გიორგი ლაშას 1210 წლის მონეტაზე მარჯვენა ხელში უკავია გრძელბუნიანი ლაბარუმი, რომლის თავი არ განირჩევა (სავარაუდოდ ჯვრით უნდა ბოლოვდებოდეს), მარცხენა ხელში კი ენქერი (მიწით სავსე ტომსიკა), მეფეთა ღვთაებრივობის და ძალაუფლების ცვალებადობის სიმბოლო.

გვირგვინი: საქართველოს მეფეთა ორგვარი გვირგვინი გვხვდება: თაჯი (დაბალი, სადა) და რთულწახნაგიანი (მაღალი, დაკბილული). გიორგი ლაშა სადა გვირგვინით არის გამოსახული ბეთანიის ფრესკაზე. ბერთუბნის ფრესკაზე კი მას მაღალი გვირგვინი ჰხურავს, თამარის გვირგვინის ტოლფარდი.

პორფირი: ფრესკებზე საქართველოს არცერთი მეფე არაა პორფირით წარმოდგენილი. მისი შემცვლელია დიადიმა ანუ ლორი. დიადიმა ბიზანტიური რეგალიაა. მისი ტარების უფლება იმპერატორის გარდა 12 კურაპალატს (მათ შორის საქართველოს მეფესაც), ჰქონდა (239. 77). არსებობდა ტარების ორგვარი მეთოდი: 1. გულზე გადაჯვარედინებული (გიორგი III სამივე ფრესკაზე), 2. სწორად ჩამოშვებული მანიაკიდან (თამარის ოთხივე ფრესკა, ლაშას გამოსახულება 1210 წლის მონეტაზე, საიმპერატორო ინსიგნიებით).

ბეჭედი: მნიშვნელოვანი სამეფო ინსიგნიაა. სამეფო ბეჭდებიდან ჩვენამდე მხოლოდ გიორგი III-ის ბეჭედია მოღწეული. ფრესკებიდან ცხადად ჩანს, რომ ქალები მრავლად ატარებდნენ ბეჭდებს (მაგ: თამარს ბეთანიის ფრესკაზე ორივე ნეკზე 2-2 ბეჭედი, არათითზეც ერთი ბეჭედი უკეთია). მამაკაცთა ბეჭდები შედარებით სადაა, ძირითადად ნეკზე სატარებლად. ლაშას ორ ფრესკაზე (ბეთანია და ბერთუბანი) უკეთია თითზე ბეჭედი. ბეთანიის ფრესკაზე მარცხენა ნეკზე მარტივი რგოლი, ხოლო მარჯვენა ნეკზე-მრგვალი თვალბუდიანი ბეჭედი სიგელთა დასაბეჭდად.

**ვ) გიორგი ლაშას ფაქსიმილე:** როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩვენამდე მოღწეულია გიორგი ლაშას სამი სიგელი. მათგან ქვათახევისადმი ბოძებულ სიგელს აკლია ბოლო და შესაბამისად მეფის ხელრთვაც. გელათისადმი და შიომღვიმისადმი სიგელები შესრულებულია ლაშას ერთგული მწიგნობრის მიქაელ კატარაწისძის მიერ (სავარაუდებელია, რომ მესამე სიგელის შემდგენელიც აგრეთვე მიქაელ კატარაწისძე უნდა იყოს). ამ სიგელებზე მეფის ხელრთვა ლაკონური და აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მტკიცე და დაბეჯითებითია. გელათის მონასტრისადმი გაცემულ სიგელს ლაშას ვრცელი დამტკიცება ახლავს: “ქ. ჩემ, გ(იორგ)ი მეფისაგან, მტკიცეა და უქცეველი ნებითა ღ(მრ)თისაითა”. შიომღვიმისადმი სიგელზე დამტკიცება უფრო ლაკონურია: “ქ. მტკიცეა ნებითა ღ(მრ)თისაითა”. ლაშას ორივე ხელრთვა ფორმულით და შესრულების დახვეწილი მანერით წააგავს თამარის 1202 წლის შიომღვიმისადმი ბოძებული სიგელის ხელწერას. ეს მსგავსება სამეფო კარის კალიგრაფიული სკოლის საერთო სტილითაც აიხსნება (28. 105-111; 210. 30).

## 4. გიორგი IV ლაშა
## (ფსიქოლოგიური პორტრეტი)

გიორგი IV ლაშა ქართველ მეფეთა და ისტორიულ პერსონაჟთა გალერეაში გამორჩეული და არაორდინალური ფიგურაა. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: "უეჭველია, ლაშა-გიორგი სამეფო ტახტის მპყრობელთა შორის თავისი ადამიანური თვისებებით არაჩვეულებრივ პიროვნებად მოჩანს". მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში ეპოქამ უდიდესი როლი შეასრულა. დაბადებისთანავე მას დაეკისრა დიდი მისია. თვით ზედწოდება "ლაშა" შეიძლება ამ მისიის თუ პასუხისმგებლობის ნაწილად ჩაითვალოს. იგი შესაძლებელია აღმოსავლური ეპითეტების გავლენითაა შექმნილი, როგორც მემატიანე აღნიშნავს: ლაშა, "რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქუეყნის მანათობელად" (20. 151), ეპითეტი "ქვეყნის მანათობელი" საკმაოდ გავრცელებულია აღმოსავლურ ტიტულატურაში.

ლაშას დაბადება მხსნელის დაბადებად გაიაზრა ოფიციალურმა სახელმწიფო იდეოლოგიამ. "ვითარ იქმნა სარას ზე, გინა თუ რაქაელისსა, ანუ თუ ელისაბედისსა და უფროსღა ანნასსა და, ვიკადრო, მარიამისსა... ტაბაჴმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა" (13. 56), "თჳთ დედოფალმა რუსუდან, და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით, და დამან თამარისმან, და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგუთასა, ჴელ-ყვეს ძღუნებად და მინიჭებად" (13. 57).

გმირის უმანკოდ ჩასახვის მოტივი ფართოდაა გავრცელებულ მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიასა და ფოლკლორში. ვ. პროპმა შეისწავლა ფოლკლორის ისტორიზმი და დაასკვნა, რომ ასეთი წარმოდგენა მატრიარქატის პერიოდს უკავშირდება, როდესაც ოჯახის უფროსი ქალი ქმნის იმგვარ წარმოდგენას, რომ თითქოს უმანკოდაც შეუძლია შთამომავლობის შექმნა და ამდენად მამაკაცის გაბატონება ოჯახში გარდუვალი აღარაა. სასწაულებრივი წესით დაბადებული გმირი აფუძნებს ახალ სოციალურ ურთიერთობებს და ადათ-წესებს. სახელმწიფოსა და კლასიკური რელიგიის ჩამოყალიბების შემდგომ ასეთი დაბადება მეფეებისა და ღმერთების პრეროგატივა ხდება (70. 159). არცთუ იშვიათად სასწაულებრივად დაბადების მოტივი მზის კულტს უკავშირდება. ოსური თქმულებით თამარ მეფე ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივისგან დაორსულდა და მისი ვაჟი-მზის შვილი გამეფდა საქართველოში. დამახასიათებელია, რომ ამგვარი მოტივი თვით ოსურ ფოლკლორშიც გავრცელდა და დავით სოსლანის ფიგურა დაჩრდილა.

გიორგი ლაშას პერსონა დაბადებისთანავე განსაკუთრებული შარავანდედით შეიმოსა, ამის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ თამარის, მეფე-ქალის მდგომარეობა იყო. თამარი თავის იამბიკოში "ცასა ცათასა" საგანგებოდ უსვამს ხაზს დავითიან-ბაგრატიონთა უპირატესობას ეფრემიან-ბაგრატიონებზე და თავის აღმატებას დავით სოსლანზე. მეორე იამბიკოში

“ქალწულებრივთა სისხლითა” თამარი ალეგორიულად თავს ადარებს ღვთისმშობელს, ხოლო ლაშას-მაცხოვარს.

თამარი ღვთისმშობელია, მისი ძის დაბადება ქრისტეს დაბადებაა. ლაშა ნათელის, თეთრი გიორგის ასოციაციას იწვევს, იგი “მესიის მახვილია”. “მოსრვა ნეფხვისა”-ვეფხვი ისლამური სამყაროს სიმბოლოა და თამარის ბრძოლა მის წინააღმდეგ საღმრთო მისიაა. თამარის და ლაშას კანონიზაცია ამ ეპოქაში სრულიად აშკარაა (168. 46).

განა შემთხვევითია, რომ ქართველ მეფეთაგან ასეთი “შეიარაღებული” სხვა არცერთი არ არის. მხოლოდ დემეტრე I არის ხმლით გამოსახული მაცხვარიშის ფრესკაზე. ისიც იმიტომ, რომ ფრესკაზე მეფედ კურთხევის რიტუალია ასახული და ერისთავები შეარტყამენ ხმალს. ლაშა კი ყრმობიდანვე “მესსიის მახვილია”, ფრესკებზეც ხმლითაა გამოსახული, რაც მის ვალდებულებას და პასუხისმგებლობას ზრდის საქრისტიანოს წინაშე.

გიორგი ლაშას მიმართ, სახელმწიფო იდეოლოგიის მომთხოვნელობის გარდა, იგრძნობა თვით ქართული საზოგადოების უდიდესი მოლოდინი და იმედი. “შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთ-მეფისა, წარიწირა სასოება ყოველმან ამან სამეფომან, გარნა ღმერთმან, გჳანმან მრისხანებისათჳს და მოსწრაფემან მოწყალებისათჳს, მოსცა მშობელისავე მსგავსი მისგანვე შობისა ლაშა” (16. 370).

ამგვარი ფსიქოლოგიური და მორალური ვალდებულებების გარემოში აღზრდილ უფლისწულს ბუნებრივია წინააღმდეგობრივი ხასიათი ჩამოუყალიბდებოდა. გიორგი ლაშას პიროვნებას რადიკალურად განსხვავებულად გვისურათებს ორი ურთიერთ საწინააღმდეგო წყარო: ლაშასდროინდელი მემატიანე და ჟამთააღმწერელი. თუმცა მათეულ დახასიათებაში განსხვავებულია არა იმდენად ლაშას თვისებების აღწერა, არამედ თავად მემატიანეთა შეფასება ამ თვისებებისა.

“ნერგი კეთილ-მოზარდი, და ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღდელთა მათითა პატივითა. მშჳდი და განურისხებელი ბუნებითა, შჳდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრაჴისა არა მკრველი, მშჳლდოსანი და ცხენოსანი გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიჴადნა სიმცროსავე შინა სწორნი დავით პაპის-პაპისა მისისანი... ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანასა ნაყოფთა მოსლვისათჳს, დაჭირებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა” (16. 370).

ამ დახასიათებაში ჩანს ჭეშმარიტად მეფური თვისებები: კაცთმოყვარული და შემწყნარებელი ბუნება, დედისგან მემკვიდრეობით ბოძებული სათნოება. გავიხსენოთ, რომ თამარის მეფობაშიც არავინ დაუსჯიათ “თვინიერ გუზან ტაოელისა”. “შვიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა

მათრახისა არა მკრველი" სწორედ თამარისეული სათნოების პოლიტიკის გამგრძელებლად უნდა მივიჩნიოთ. მონის გამათრახება იმდენად ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენა იყო, რომ ვინც ამას არ ჩადიოდა, ეს "უმაღლეს სათნოებად" ეთვლებოდა (92. 200).

ამავე დროს მემატიანე ხაზს უსვამს ლაშას "უმანკო გონებას" ანუ მიმნდობ ხასიათს. თამარი ამ თვისებების მატარებელი, გამომდინარე მისი პოლიტიკური მოღვაწეობიდან, ალბათ არ უნდა ყოფილიყო. სიტყვაძუნწობს მემატიანე დავით სოსლანის დახასიათებისას: "უხჳ და მდაბალი და სიკეთე აღმატებული" (13. 100). გამომდინარე დავითის არცთუ აქტიური პოლიტიკური ფიგურიდან შესაძლებელია დავუშვათ მის ხასიათში გარდა თავმდაბლობისა მიამიტობის შტრიხის არსებობა (მითუმეტეს ისეთი ნიჭიერი პოლიტიკოსი, როგორიც რუსუდან დედოფალი იყო, იური ანდრიას ძის მაგალითით გამოცდილი, შეეცდებოდა თამარის მეორე ქმრად სწორედ თავმდაბალი და გარკვეულწილად მიამიტი ბუნების უფლისწული შეერჩია).

ყველა შემთხვევაში შეიძლება იმის დაშვება, რომ ლაშას ხასიათის ეს შტრიხი მემკვიდრეობითი რომც არ ყოფილიყო, სამეფო კარზე აღზრდის მანერა და ზოგადად საქართველოს ძლევამოსილი მდგომარეობა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობდა ამ თვისების გაღრმავებას. სამაგიეროდ ნარატიული ცნობებით ნათლად იკვეთება, რომ ლაშას ეს მიმნდობი ხასიათი იმდენად ჭარბად გადასცემია მის მემკვიდრეს დავით ულუს, რომ უმძიმესმა სიჭაბუკემაც (თითქმის ათწლიანი ტყვეობა და დამცირება) კი ვერ შეძლო მისი ბოლომდე გაქარწყლება, თუმცა კი უარყოფითად შეუცვალა და ეჭვიანობად ჩამოუყალიბდა, "ხოლო იყო ესე ლაშას ძე დავით... უმანკო, წრფელი, და მალე-მრწმენ, და შემნდობელ ბოროტის მყოფთა" (20. 228).

გიორგი ლაშას ხასიათის სირთულეს და წინააღმდეგობრიობას თვით მისი მაქებარი ისტორიკოსიც ვერ მალავს და თავს იზღვევს მოსალოდნელი კრიტიკისგან შემდეგი სიტყვებით: "ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდის" (16. 370).

ჟამთააღმწერელის დახასიათებით გიორგი ლაშა "იყო ტანითა ძლიერი, მჴნედ მოისარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლაღი და თჳთბუნება; და უმეტეს ამისთვის განლაღებულ იქმნა, რამეთუ დაემორჩილნეს ყოველნი წინააღმდგომნი მისნი კეთილად მოჴსენებულსა და ღმრთის-მოყუარესა დედასა მისსა, და უშფოთველად და წყნარობით დაეტევა სამეფო თჳსი და ყოველნი მახლობელნი მათნი მოხარაჯე შეექმნეს, ვითარ განძელნი და მიმდგომნი, ნახჭევნელნი და კარნუქალაქელნი და სხუანი მრავალნი ძღუნითა და ხარაჯითა მოვიდოდიან მისა. მას ჟამსა იშუებდა, იხარებდა და ყოველგნით იყო შუება და მხიარულება" (20. 151).

გიორგი ლაშას აღზრდაში, მისი პიროვნების და ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში უდიდესია "ვეფხისტყაოსნის" როლი. თუ გავითვალისწინებთ, რომ პოემის სიუჟეტიდან გამომდინარე მისი დაწერის ქრონოლოგია 1195-1205 წლებს შორის უნდა მერყეობდეს, უფლისწული იქნებოდა სწორედ "ვეფხისტყაონის" მორალურ კოდექსზე გაზრდილი პირველი თაობა. მთელი

შეხედულებები, მათ შორის სიყვარულის ნებელობაზე და ოჯახური კავშირის სიყვარულზე დაფუძნებაზე ეპოქისთვის რევოლუციური აზროვნებაა. შალვა ნუცუბიძე სავსებით მართებულად შოთას პოემაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ საქართველოში ადრეული რენესანსის პირველი კვალი ჩანს. რუსთველი არა უბრალოდ "ღვთის სწორ მონარქთა" პანეგირიკს ქმნის, იგი მათში ადამიანურ ბუნებას ხსნის. რუსთველის აზროვნების თავისუფლება და გონის პრიმატი გრძნობაზე, რწმენაზეც,.. ტრადიციული სქოლასტიზმისთვის მიუღებელია. ქრისტიანული თვალსაზრისით რუსთაველის გმირები სცოდავენ, ცოდვას ჩადიან და არ ინანიებენ მას. მოუნანიებლობა-ეს არის ქრისტიანობის მთავარი ცოდვა (184. 249).

მხარგრძელებთან და სხვა დიდებულებთან გიორგი ლაშას დაპირისპირების ერთი მიზეზი, გარდა პოლიტიკური ბრძოლისა, იყო მათ შორის დიდი მენტალური სხვაობაც. ლაშა და მისი თანამოდასენი, "თანამოჰასაკენი" გაზრდილნი "ვეფხისტყაოსნის" რაინდობის, სიყვარულისა და თავდადების, სათნოების პრინციპებზე განსხვავებულად აფასებდნენ იმას, რაც მიზნის მისაღწევად ყველა საშუალების გამამართლებელი დიდებულებისათვის ცხოვრების ბუნებრივ წესს წარმოადგენდა.

გიორგი ლაშას პიროვნების ფსიქოლოგია ყველაზე ნათლად იკვეთება იმ სასიყვარულო ისტორიაში, რომელიც ჟამთააღმწერელთან არის გადმოცემული: "იხილა ქალი ფრიად ქმნულ-კეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ,.. მსწრაფლ თჳსად მიიყვანა და შეიყუარა ფრიად" (20. 155). ცხადია ეს ქალი განსაკუთრებული თვისებებისა და გარეგნული და შინაგანი სილამაზისა უნდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში მეფის ამგვარი ყურადღება უშუალოდ მის მიმართ ძნელი ასახსნელია. თვით ჟამთააღმწერელიც აღიარებს სუსანას "ქმნულ-კეთილობას". შემდგომი ბრალდებები ლაშას მიმართ, რომ იგი სიძვის დიაცებს აყოლილი იყოო, აშკარად გაბუქებულია. პირიქით, ლაშამ საყვარელი ადამიანის მიმართ საოცარი ერთგულება და სიყვარული გამოამჟღავნა, იგლოვა მისი დაღუპვა, რაშიც შესაძლებელია საკუთარ თავსაც კი ადანაშაულებდა.

ის ფაქტი, რომ გიორგი ლაშამ არ მოისურვა კანონიერი ცოლის შერთვა, მეტყველებს მის უდიდეს სიყვარულზე სუსანას და ვაჟიშვილის დავითის მიმართ, მეფეს არ სურდა, რომ დავითს ტახტის მემკვიდრეობაზე მოცილე გამოსჩენოდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმ ხანად მეფისთვის "ხარჭისა დასმა" ითვლებოდა "ნორმად". გიორგი III-ს სიძვის დიაცისგან შვილიც კი ჰყავდა, "რეცა სახელდებული შვილად მეფისა". ამდენად თვით გიორგი ლაშა თვლიდა სუსანას კანონიერ ცოლად და მასთან ქრისტიანული წესითაც იკურთხა გვირგვინი. თავისი ბუნებიდან გამომდინარე ლაშამ არ დაუშვა "მოვალეობის ყალბი აღსრულება" და სხვა ცოლის შერთვა, რომელსაც ეკლესია და სამეფო კარი უპრობლემოდ მიიღებდა.

გიორგი ლაშას საყვარელი ადამიანის წაგვრის შემდგომ ბუნებრივია პროტესტის, ამბოხის სურვილი უჩნდება, მითუმეტეს მძიმე მორალური მდგომარეობის ფონზე. პოლიტიკური

საფუძვლის გარდა, მთავარი მიზეზი რინდებთან დაახლოებისა, როგორც ქართული წყაროები უჩვენებენ, ლაშას მძიმე ფსიქოლოგიურ-დეპრესიული განწყობა იყო. ლაშას ურთიერთობა რინდებთან უდაოდ საყვარელი ქალის დაღუპვის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. ვინ იცის ლაშა საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა სუსანას უდროო სიკვდილში. ჯელალ ედ-დინ რუმის ერთგან ნათქვამი აქვს: "ტრფობისგან მთვრალი მივენდე რინდებს და მეც რინდი გავხდი". გიორგი ლაშაც ესწრაფვის თავის მსგავს მეამბოხეთა ჯგუფს, ღვინის სმა (ისლამისთვის "აკრძალული ხილი". სპარსულ პოეზიაში ღვინის სმა გამოხატვის ფორმაა ფარისეველთა, ადამიანის ბუნების და გონების დათრგუნვის წინააღმდეგ) რინდებისთვის ამბოხის გამოხატულებაა, მჭმუნვარე მეფისთვის კი დარდის გაქარვების და თავდავიწყების საშუალება. მუსიკა, ცეკვა და პოეზია სუფიური მიმდინარეობების (მათ შორის რინდების) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა (289. 10). ჟამთააღმწერლის მიერ გიორგი ლაშას დახასიათება: "სახიობის მოყუარე, ღჳნის მოყუარე და გემოთ-მოყუარე" (20. 156) ალბათ ამის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

არაერთი ისტორიკოსი შეეცადა გიორგი ლაშას ბუნების და მისი ცვალებადობის მიზეზთა ახსნას. "აშკარაა, რომ ლაშა "ვეფხისტყაოსანზე" გაზრდილი საქართველოს მეფე, პატრონი ქალაქებისა და სასახლეებისა, მბრძანებელი ყმათა და ლაშქართა, დათრგუნეს ფეოდალური საზოგადოების ულმობელმა კანონებმა, რომელთაც რინდები არაფრად აგდებდნენ. ამიტომაც არიან ისინი ლაშასთვის ასერიგად მისაბაძნი და სასურველნი, სამეფო კარზე მისთვის სულისშემხუთველი ატმოსფერო იქნებოდა რეგენტთა, თავკერძა ფეოდალთა..."

ლაშას რინდებთან ურთიერთობის შესახებ ორიგინალური თვალსაზრისი გამოთქვა აკაკი ბაქრაძემ, მან ჟამთააღმწერელთან აღწერილი ფაქტები დაუკავშირა XIV ს-ის ბიზანტიაში გავრცელებულ ისიხისტების მიმდინარეობას. ამასთან მართებულად მსჯელობს ა. ბაქრაძე, ჟამთააღმწერლის ფრაზაზე ("უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ") დაყრდნობით, რომ გიორგი ლაშა რინდებს მას შემდეგ დაუკავშირდა, რაც სიყვარულში დამარცხდა (78. 10).

ლაშას დიდბუნებოვან ხასიათს აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი, რომელიც ვინმე იოსებ გამრეკელისძის თხზულებას ეყრდნობა. იოანე ბატონიშვილი უარყოფს ჟამთააღმწერლის ცნობას რინდების მიერ მეფისთვის თვალის ამოთხრაზე და ამის მიზეზად მიიჩნევს ჩოგანბურთის თამაშისას მეტოქის ჩოგნის თვალში მოხვედრას. ერთი თვე მკურნალობდნენ, მაგრამ თვალისჩინი მაინც დააკლდაო. ამის მიუხედავად მეფეს მეტოქისთვის ერთი ზედმეტი სიტყვა არ უკადრებია (187. 96).

ზურაბ ავალიშვილი გიორგი ლაშას მიმართ შემდგომი ეპოქის, კერძოდ კი ჟამთააღმწერლის უარყოფით განწყობათა გამო აღნიშნავს: "ამგვარი შეხედულება უთუოდ შემდეგი მწარე გაჭირვების ნაყოფია და ქრონოგრაფის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ტენდენციით აიხსნება. ნამდვილად კი ეს იქნებოდა სიმდიდრესა და უზრუნველობაში გაზრდილი, განათლებული, ხელოვნებაში

დაწინაურებული, საკმაოდ თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოება; სწორედ ის, რომლის მგოსანია შოთა რუსთაველი... საქართველოს თანდათანი დაცემის მიზეზები და საფეხურნი რთული რამეა, რომლის ახსნა ორიოდე ფორმულით არ შეიძლება" (57. 105).

ლაშა გიორგის განსაკუთრებულად ახასიათებს ფარსადან გორგიჯანიძე "აქა სიკეთით ქებული თამარ მეფის შვილი გიორგი... მოუდგნენ ქართველნი და ერთგულად მსახურებდნენ და მორჩილობდნენ და ისიც კარგად ეპყრობოდა... და მრავალი წყალობა შეუმატა დედის ზედა მოცემულსა ზედა, დაიპყრა სახელმწიფო დედ-მამისა მისისა... იყო გიორგი მეფე ტანად ახოვანი, ხელმრიელი და მხნე კეთილათ, კარგ ცხენოსან, კარგ ცეროსან, ნადირობაში ფიცხელი, კარგად მკვლელი, თავმდაბალი, ლაღი და ღმთისაგან მოშიშარი, სამართლიანი, უხვი და უშურველი, ჭკვიანი და სიტყვამარჯვე, მაბეზღართ მძულველი და ყურის არმიმგდები... ვითაც დედამ დააწყნარა ქვეყანა და მეზობელნი დაიმორჩილა და ხარაჯა და წლის თავს ბეგარა აიღო, შვილმანც ისრე ქმნა. არაზს აქეთი აზრუმამდისინ და ამ ზღვით იმ ზღვამდისინ ზმღვნიდნენ და ბეგარას მოსცემდნენ" (147. 95).

ლაშას ხასიათის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მის დაობლებას ყველაზე მნიშვნელოვან, პიროვნული ჩამოყალიბების ასაკში. 13 წლისამ დაკარგა მამა, ხოლო 18 წლისამ სათაყვანებელი დედა. ყმაწვილობიდანვე დააწვა უდიდესი პასუხისმგებლობა და ტვირთი. ამდენად ლაშა მართლაც გაცილებით შემბრალე და მიმნდობი ბუნებისა იქნებოდა. ლაშას აშკარად ეტყობა, რომ თავისი მეფობის დასაწყისში ძლიერ არის ივანე ათაბაგზე დამოკიდებული, ცნობს მის ავტორიტეტს. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში მოტანილი ვრცელი ვერსია განძის კამპანიის დროს წარმოქმნილი კონფლიქტისა, შეიძლება შეთხზულიცაა, მაგრამ რეალობასთან ძლიერ ახლოსაა და ავტორს ზუსტად აქვს დაფიქსირებული მეფის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. თავის პირველ ომში, სახელის მაძიებელ და კარის ინტრიგებში ჯერ კიდევ გაურკვეველ მეფეს მოულოდნელად განუდგება ამირსპასალარი. რაღა დარჩენია ყმაწვილ მეფეს გარდა იმისა, რომ შენდობა ითხოვოს "უმეცრებით ქმნულისათვის".

გიორგი ლაშა გამეფებისთანავე წინდახედულ და შორსმჭვრეტელ მონარქად გვევლინება. განძის მოვლენებს იგი სწორი მეფური ფსიქოლოგიით ხსნის და მოსალოდნელ საფრთხეზეც მიანიშნებს: "აწ განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიეს და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა,.. აღვიმჴედროთ განძასა ზედა, რათა სხუათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნნეთ" (20. 152). ამავე დროს ლაშამ კარგად იცის, რომ განძის კამპანია არა მარტო მისი საგარეო პოლიტიკური უნარის და მხედრული ნიჭის გამოცდაა, არამედ უპირველესად მისი საშინაო კურსისა. ახალი მეფის თითოეულ ნაბიჯს გაფაციცებით აკვირდებიან მტერ-მოყვარენი:-აბა რას იზამს თამარის ძე?..

ლაშა ფსიქოლოგიურად ზუსტად თვლის, როდესაც დარბაზს იწვევს და ათაბაგს და ერისთავებს სიტყვით მიმართავს. ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად ხაზს უსვამს დიდებულთა

თანადგომის დიდ მნიშვნელობას წინამორბედი მეფეების წარმატებაში და წინასწარ მათ პატივს უბოძებს ("და აწ მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი"), ძველ სიქველესაც შეახსენებს, რადგან კარგად იცის, რომ განძასთან გამარჯვებას უპრინციპულესი მნიშვნელობა აქვს, როგორც გარეშე მტრებთან და ყმადნაფიცებთან, ისე შინაურ მტერ-მოყვარესთან ურთიერთობაში. გიორგი ლაშას უკვე ამ დროს თავის "თანამოჰასაკეთა" (თანამოდასეთა) დიდი იმედი აქვს და ისინიც უდასტურებენ ამ იმედს, "სპანი მეფისანი, სიკუდილად განმწირველნი თავთა მათთანი, ეტყოდეს: "სიკუდილამდის ვიღუაწოთ, და დავდვათ თავი სასიკუდილოდ, და არა ვარცხჳნოთ პირველსა ომსა მეფობისა შენისასა" (20. 153).

ჟამთააღმწერლის დახასიათება გიორგი ლაშასი აშკარად წინააღმდეგობრივია, ერთის მხრივ მეფეზე ამბობს "იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხჳ და არავისთჳს მოშურნე, მლოცველ, მმარხველ და განმკითხველ და მოწყალე" (20. 154). სხვაგან კი ახასიათებს "ლაღი, ამპარტავანი, თავჴედი, თჳთბუნება,.. სახიობის მოყუარე, ღჳნის მოყუარე და გემოთ-მოყუარე" (20. 156). ყოველივე ამის შემდეგ კი იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ლაშა "არამედ უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა,.. და მსმურთა თანა მიდრკა სიბოროტედმი" (20. 154).

აშკარაა, რომ ცოლის წაგვრამ ლაშაზე გარკვეული ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა, ის მართლაც გარკვეულ წრეებში ეძებდა შვებას და დარდის გასაქარვებელს "უკანასკნელ". მაგრამ მემატიანის მიერ გადაჭარბებულად არის ნაჩვენები, თითქოს მეფემ ყველაფერზე უარი თქვა. პირიქით გამომდინარე ლაშას "ლაღი და თვითბუნება" ხასიათიდან, ეს დარტყმა რაც ეკლესიის (ლაშას უდიდესი მოწიწება ეკლესიისადმი დასტურდება იმითაც, რომ მან წინააღმდეგობა არ გაუწია ცოლის წაგვრას) საფარველით მას დიდებულთა ოპოზიციამ მიაყენა (პირველ ყოვლისა ივანე ათაბაგმა, რომელიც ლაშას ტახტზე ასვლის დღიდან ცდილობს შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გაზარდოს თამარის მეფობის ბოლო წლებში მოპოვებული გავლენა), ჩვენი აზრით ლაშას მხრიდან მძაფრი უკურეაქციის საფუძველი გახდებოდა.

ზიგმუნდ ფროიდი აღნიშნავს, "თუ ვინმე დედის უდაო რჩეულია, მას მთელი ცხოვრების მანძილზე აქვს გამარჯვების გრძნობა, დარწმუნებულობისა და წარმატების შეგრძნება" (228. 36). სწორედ ასეთი რჩეული ტიპაჟი იყო გიორგი ლაშა, "ლაღი და თჳთბუნება". თუკი გამეფების პირველ წელს იგი იძულებულია ბოდიშიც კი მოუხადოს ივანე ათაბაგს, შემდგომში სამაგიეროს მიუზღავს და ივანესაც და ვარამ გაგელსაც სამეფო კარზე იმგვარ პირობებს უქმნის, რომ მზუაობარი დიდებულები ვერ უძლებენ დამცირებას და "ნებაყოფლობით" ტოვებენ სასახლეს.

მეფე გამორჩეული მხედრული შემართების და სიმამაცისა ყოფილა, "უშიში გულითა,.. თვით მეფე ლაშა წინა მიეტევა მჴნედ და ძლიერად, თჳთ გოლიათი მკლავითა სჳანითა და ჴელითა გოლიათითა" (20. 153). იოანე ბატონიშვილიც ხაზს უსვამს მეფის პირად თავდადებას და მისაბაძ მამაცობას. "მოახსენეს მეფეს: ვივლტოდეთ მეფეო, უკუეთუ მამაცობისა თქუენისა მინდობილი

წარმოველი აქა და აწ ვითა ვივლტოდეთ განძელთა ფეიქართაგან? და მყის ჴმა-უყო და აღმოიწოდა ჴმალი და მიმართა განძელთა. მაშინ თანამხლებელთა მეფისათა იხილეს რა ესე, იგინიცა გულმოდგინედ ზედა დაესხნეს განძელთა მათ".

ამას დარბაზისერიც სიხარულით აღნიშნავს: "დიდი ნუგეშინისცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი" (20. 152). მართლაც ახალგაზრდა მეფემ თავისი ხანმოკლე 30-წლიანი ცხოვრების მანძილზე არაერთი ბრძოლა გადაიხადა და ყველგან (გარდა მონღოლებთან საბედისწერო შეტაკებისა) გამარჯვებული გამოვიდა.

გიორგი ლაშას ანდერძიდან აშკარად იგრძნობა, რომ მეფობის ბოლოს ახალგაზრდა მეფე უკვე აშკარად სამეფოს ბატონ-პატრონი თვითმპყრობელია. ლაშამ ხელისუფლების განმტკიცებისათვის დასაყრდენად დიდებულთა ერთი ნაწილი ("ძირძველი გვარნი") გაიხადა. ამას თამარის დროს დაწინაურებულთა უკმაყოფილება მოყვა. მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ან დავითის პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა ან თამარივით ვითარებას უნდა შეგუებოდა. მან პირველი აირჩია, მაგრამ შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ეს ურთულესი ამოცანა, დინების საწინააღმდეგოდ სვლის ტოლფასი იყო.

# თავი II

# საშინაო-პოლიტიკური ვითარება გიორგი IV-ის მეფობაში

## 5. გიორგი ლაშა და სახელმწიფო მმართველობის შისტემა

ა) სახელმწიფო იდეოლოგია: XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო წარმოადგენდა მცირე აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის წამყვან პოლიტიკურ ერთეულს. თითქმის მთლიანად მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში სამეფოს მესვეურთ უწევდათ ზრუნვა ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოებისათვის. საამისოდ მნიშვნელოვანი იყო სამეფო ხელისუფლებას განსაკუთრებული იდეოლოგიური დასაყრდენი შეექმნა. თამარის მეფობის მიწურულს და გიორგი ლაშას მეფობაში შექმნილ ნარატიულ ძეგლებში ნათლად იკვეთება ეს იდეოლოგიური პოსტულატები: მესიანიზმის იდეა, იზოთეიზმი. "ვეფხისტყაოსანი" მონარქებს ღმერთს უთანაბრებს. "ღმრთისა სწორნი" (სტროფი 856) და "ბრძანებაა ღმრთისა სწორთა" (სტროფი 1172). თვით თამარი იამბიკოში "ქალწულებრივთა სისხლითა" ალეგორიულად თავს ღვთისმშობელს ადარებს, ხოლო ლაშას მაცხოვარს.

შოთა რუსთაველი სახელმწიფოთა შორის ჰარმონიულ თანაარსებობას აღიარებს. იგი პოემაში სამი ტიპის სახელმწიფოს ნიმუშს გვიხატავს: 1. ინდოეთ-არაბეთი (იდეალიზებული ფეოდალური სახელმწიფო, მეფის სასახლით და ციხეებით, მკაცრი ფეოდალური წესრიგით); 2. ზღვათა სამეფო (ვაჭართა ქალაქი გულანშარო)-საქმიანი, ხალისიანი, თავისუფალი სულით. 3. ქაჯეთი-ბოროტების სამეფო. ბოროტება ისევ ბოროტების იარაღით (დევების ქვაბში) უნდა დამარცხდეს (93. 302).

ვეფხისტყაოსანში ვრცლად არის წარმოდგენილი ზღვის თემა, რაც ფართომასშტაბიან განზრახვებზე უნდა მიუთითებდეს, არც მანამდე და არც შემდგომ ქართულ მწერლობაში უცხო სახელმწიფონი ასეთი ინტენსივობით არ შემოჭრილან და არც ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა პროტოტიპები ყოფილან უცხოელი მბრძანებლები (როსტევანი და ფარსადანი-გიორგი III, თინათინი და ნესტან-დარეჯანი-თამარ მეფე, ავთანდილი და ტარიელი_დავით სოსლანი, ხვარაზმშას ძე_გიორგი რუსი). აქ ჩანს საქართველოს საზღვაო იმპერიად ჩამოყალიბების პრეტენზია, რომლის რეალიზაციის მცდელობის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ტრაპიზონის ვასალური სახელმწიფოს ფორმირება. ამ იდეის განხორციელებაში თავისი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ვაჭრებს, როგორც ინფორმატორებს, აგენტებს, დიპლომატებს. ამიტომაც წერს რაინდთა აპოლოგეტი შოთა რუსთველი ამდენს ვაჭართა ცხოვრებაზე. გასასვლელი მაშინდელ მსოფლიოში კვლავ ვაჭართა მეშვეობითაა, მეფის მონეტის რევერსზე არაბული წარწერები უცვლელად რჩება-საკუთარი თავის წარდგენა მსოფლიოს წინაშე. ამავე დროს 1210 წლის მონეტაზე გიორგი ლაშას

საიმპერატორო ინსიგნიებით გამოსახვა მიანიშნებს სერიოზულ პრეტენზიაზე და სახელმწიფო იდეოლოგიურ განწყობაზე-დაიკავოს 1204 წელს დაცემული ბიზანტიის ადგილი საქრისტიანოში.

მიუხედავად XII-XIII საუკუნეებში ქართული მონარქიის აბსოლუტიზმისა, მეფე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დიდებულებზე და ეს აბსოლუტიზმი შეზღუდულია. თუმცა ეს დამოკიდებულება ჰარმონიულ თანაარსებობას გულისხმობს და იმ პატრონყმული ურთიერთობების ზუსტ ასახვას წარმოადგენს, რაც "ვეფხისტყაოსანშია" აღწერილი. გიორგი ლაშა სიკვდილის წინ თავის მემკვიდრეს და დას ავედრებს წარჩინებულებს. "მიგათუალავ დასა ჩემსა რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე ჰყოთ, ვითარ არს ჩუეულება ნათესავისა თქუენისა". ამასთან მეფე საჭიროდ თვლის შეახსენოს მათ სიუზერენულ-ვასალური ურთიერთვალდებულებანი და ის ღვაწლი, რაც სამეფო ხელისუფლებას აქვს ფეოდალთა მიმართ: "თქუენ წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იცით და გაჴსოვს წყალობა და ნიჭი და პატივი სანატრელისა და კეთილად მოჴსენებულისა, მეფეთა შორის ბრწყინვალისა, დედისა ჩემისა. ეგრეთვე, თუ ღმერთსა უნდეს, დამანცა ჩემმან იცის პატივი თქუენი" (20. 167).

განძაზე ლაშქრობის წინ გიორგი ლაშა აგრეთვე ხაზგასმით შეახსენებს დიდებულებს სამეფო კარსა და მათ შორის არსებულ ტრადიციულ თანადგომასა და ურთიერთკავშირს: "თქუენ შრომასა შეგამთხჳო, რამეთუ ძალითა და თანადგომითა თქუენითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩუენთა დიდთა სულტანთა ძლიერებანი, და აწ მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი და აღვიმჴედროთ განძასა ზედა, რათა სხუათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნნეთ" (20. 152).

საგარეო ასპარეზზე დავითის და გიორგი III-ის აგრესიული პოლიტიკა XII საუკუნის მიწურულს შეცვლილია თამარისეული ტოლერანტობის პოლიტიკით, რაც იმპერიის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. საქართველოს გარშემო თავდაცვითი-ბუფერული რკალი იქმნება ყმადნაფიცი სახელმწიფოების სახით. ჰარმონიული თანაარსებობის და შეწყნარების სახელმწიფო პოლიტიკაა ნაჩვენები "ვეფხისტყაოსანში": "უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების ვინ ების" (სტროფი 49), ამ პოლიტიკას მისდევდა გიორგი II, თამარიც (გუზან ტაოელის მიმართ). "ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოკლავ დაიყოვნე" (სტროფი 1614). ხატაეთის მეფე რამაზს პატიობენ ორგზის აჯანყებას (სტროფები: 50 და 468) (აქ ძალაუნებურად პარალელი ჩნდება გიორგი რუსთან).

ლოვარდ ტუხაშვილი XII-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ განვითარებას 3 ეტაპად ჰყოფს. დავითიდან გიორგი III-მდე ეროვნული პოლიტიკური უნისონის კონცეფცია მოქმედებდა, თამარმა წონასწორობის და სათნოების დოქტრინა შეიმუშავა. გიორგი ლაშას დროს აქცენტი კავკასიის პოლიტიკური ერთეულების შემომტკიცებაზე კეთდება. პარალელურად იცვლება თამარისეული ჯვაროსნული პოლიტიკა და იქმნება ქართული ჯვაროსნული არმია ანუ ის 90 000 კაცი, რომლებიც მონღოლებს დაუპირისპირდნენ (223. 268).

ბ) საზღვრები და ადმინისტრაციული დაყოფა: საქართველოს სახელმწიფოს XIII საუკუნის დასაწყისში მრავალსაფეხუროვანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა გააჩნდა. დაპყრობილ ქვეყნებში ადმინისტრაციულ პოლიტიკას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა სარწმუნოება. თამარის და ლაშას დროს თურქთაგან სომხური მიწების განთავისუფლების პროცესი გაგრძელდა. ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის პრინციპი იგივე დარჩა, ქრისტიანული თემები უშუალოდ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ("სამეფოდ იჭერდა და უშუალოდ იერთებდა"), მუსლიმურ ტერიტორიებს კი, რადგან საქართველოს სამეფო კარი მოუმზადებელი იყო მათი უშუალო ადმინისტრირებისთვის, დაქვემდებარების სხვა მოდელი მოენახა (ვასალობა, ყმადნაფიცობა,..) (96. 52).

უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო გიორგი IV ლაშას მეფობისას დაახლოებით 20 საერისთავოდ იყოფოდა: 1. აფხაზთა საერისთავო (ცენტრი-ანაკოფია). ერისთავთ-ერისთავი დოთაღო შარვაშიძე; 2. ცხუმის საერისთავო (ცენტრი-ცხუმი). ერისთავთ-ერისთავი ამანელასძე; 3. ოდიშის საერისთავო (ცენტრი-ბედია). ერისთავთ-ერისთავი შერგილ ბედიან-დადიანი; 4. სვანთა საერისთავო (ცენტრი-სეტი). ერისთავთ-ერისთავი ვარდანისძე; 5. რაჭის საერისთავო (ცენტრი-მინდა). ერისთავთ-ერისთავი კახაბერისძე; 6. ქართლის საერისთავო (ცენტრი-სურამი). ერისთავთ-ერისთავი რატი (დაახლ. 1190-1210) და მისი ძე სულა (1210-1230-იანი წწ.) სურამელნი; 7. კახეთის საერისთავო (ცენტრი-პანკისი). ერისთავთ-ერისთავი ძაგანისძე; 8. ჰერეთის საერისთავო (ცენტრი-გიში). ერისთავთ-ერისთავი გრიგოლისძე; 9. საარიშიანო (ცენტრი-შაქი). ერისთავი უცნობია; 10. ხორნაბუჯის საერისთავო (ცენტრი-ხორნაბუჯი). ერისთავი მახატლისძე; 11. აჭარის საერისთავო (ცენტრი-ხიხანი). ერისთავი აბუსერისძე; 12. ტაოს საერისთავო (ცენტრი-ფანასკერტი). ერისთავი ასპანისძე; 13. სამცხის საერისთავო (ცენტრი-ციხისჯვარი). ერისთავთ-ერისთავი ყვარყვარე ჯაყელი (1191-1245); 14. თმოგვის საერისთავო (ცენტრი-თმოგვი). ერისთავი თაყაიდინ თმოგველი (დაახლ. 1200-1225); 15. ჯავახეთის საერისთავო (ცენტრი-ახალციხე). ერისთავთ-ერისთავი შალვა თორელ-ახალციხელი (1191-1225); 16. კარის საერისთავო (ცენტრი-კარი). ერისთავი ივანე თორელ-ახალციხელი; 17. ანისის საერისთავო (ცენტრი-ლორე, ანისი). ერისთავები ზაქარია (1188-1212) და შანშე (1212-1262) მხარგრძელნი; 18. დვინის საერისთავო (ცენტრი-დვინი, ბიჯნისი). ერისთავი ივანე მხარგრძელი (1202-1227); 19. გაგის საერისთავო (ცენტრი-გაგი). ერისთავი ვარამ გაგელი; 20. ხაჩენის საერისთავო (ცენტრი-ჰათერქი). ერისთავი ვახტანგ ძე ჰასან ჯალალისა;

სამეფო დომენის ტერიტორია თამარის და ლაშას დროს განსაკუთრებით განივრცო. ამის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, იყო განდიდებულ ფეოდალთა შეზღუდვა. ახლად შემომატებული თემები აღარ ეძლეოდა მკვიდრ ფეოდალებს, არამედ სამეფო დომენის ფონდში ირიცხებოდა. საინტერესოდ გვეჩვენება სამეფო დომენის გეოგრაფია. ტფილისიდან არზრუმამდე სახასო მიწების უწყვეტი ჯაჭვი იკვრება (ქვემო ქართლი-თრიალეთი-ჯავახეთი-კოლა-კარი). ეს ჯაჭვი მიჯნავს

ტრადიციულ სამკვიდრო საერისთავოებს მონაპირეთაგან (მხარგრძელთა მფლობელობაში მყოფი სომხური თემები და სხვა სამხრეთული მიწები).

სამეფო კარი ამით თითქოს ძირძველ დიდებულებს ზღუდავს და გასაქანს უსპობს, ხოლო ახლებს ბუფერის მდგომარეობაში ამყოფებს და საგარეო საფრთხის მუდმივი შიშით თუ ლოდინით სამეფო ხელისუფლების მუდმივ ერთგულებას აიძულებს. სამეფო დომენს წარმოადგენდნენ: ტფილისი და ქვემო ქართლი, ქუთათისი და სამოქალაქო, გურია, არგვეთი, თრიალეთი, ჯავახეთი, კარი.

გიორგი ლაშას დროს მონაპირე საერისთავოები იყვნენ: ჰერეთი, შაქი, კამბეჩანი, გაგი, ტაო. მონაპირეობა ეკისრებოდათ აგრეთვე თორელ-ახალციხელებს და მხარგრძელებს, როგორც სამხრეთ თემების (არტაანი, კარი, სომხეთი) მფლობელებს.

საერისთაოთაგან გამოყვანილი ლაშქარი ეწყობოდა ქართული სამხედრო ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ფლანგური პრინციპით. განძაზე ლაშქრობისას გიორგი ლაშამ ჯარი სამ ნაწილად დაყო, “ერთ-კერძო მჴარგრძელნი დგეს, ერთ-კერძო ჰერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი და თორელნი, ერთ-კერძო აფხაზნი, დადიან-ბედიანნი და ლიხთ-იქითნი ზედმოკიდებით ურთიერთას” (20. 153). თათარ-მონღოლებთან პირველი ბრძოლისას აგრეთვე სამ კერძად იყო გაყოფილი ლაშქარი. ამასთან ერთიან სამეფო ჯარს, სადაც გაერთიანებულნი იყვნენ იმერნი და ამერნი, თვით მეფე სარდლობდა. მეწინავეთ შალვა ახალციხელი. მარჯვენა ფლანგს ვარამ გაგელი, ხოლო მარცხენას ივანე და შანშე მხარგრძელნი (6. 9; 20. 164).

სამეფოს გარეთ არსებული სამფლობელოების ადმინისტრირება დიფერენცირებული იყო. ბასილი ეზოსმოძღვარი თამარის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეობაზე აღნიშნავს: “სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა” (3. 147). გიორგი ლაშას მეფობისას “ყოველნი მახლობელნი მათნი მოხარჯე შეექმნნეს, ვითარ განძელნი და მიმდგომნი, ნახჭეველნი და კარნუქალაქელნი, და სხუანი მრავალნი ძღუნითა და ხარაჯითა მოვიდოდიან მისა” (20. 151).

ჩრდილოეთ კავკასიელ თემებთან (ძურძუკნი, ღუნძნი, დიდოელნი, დარუბანდელნი, ლეკნი) ურთიერთობა ვალდებულებით სამხედრო მოკავშირეობის ხასიათს ატარებდა. სამხრეთის მუსლიმური სახელმწიფოები (არზრუმის საამირო, ერზინკის სასულტნო, ნახჭევანის საამირო, განძის საამირო) კი საქართველოს ყოველწლიურ ხარკს უხდიდნენ მშვიდობის სანაცვლოდ. თუმცა მათაც ევალებოდათ საჭიროების შემთხვევაში სამხედრო მოკავშირეობა. მაგალითად, არზრუმის ამირა საქართველოს ლაშქრის გვერდით დადგა 1211 წელს კეჩროლი-ბასიანის მანევრის დროს. იგივე კარნუქალაქელთა ლაშქარი მონღოლთა მეორედ შემოსვლისას, ბარდავის ბრძოლაში მოკავშირეობენ გიორგი ლაშას.

ვინაიდან XII-XIII სს. მიჯნაზე წარმოებული მრავალრიცხოვანი დაპყრობითი ომებით მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიების დამორჩილების ტემპმა საგრძნობლად გაუსწრო ამ ტერიტორიების ასიმილაცია-ათვისების ტემპს, აუცილებელი გახდა ახლებური სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელის შექმნა. დავითისგან განსხვავებით თამარის პოლიტიკა "თუმცა მორალურ-ზნეობრივ საბურველში გახვეული, მაინც პოლიტიკური დოქტრინა იყო. იგი ემყარებოდა კომპრომისზე დაფუძნებულ სამოქალაქო თანხმობას" (223. 196).

სამეფო კარის მემატიანე ამ პოლიტიკას განარჩევს წინამორბედისგან. თამარის ისტორიკოსი ეკამათება დავითის ისტორიკოსს და როგორც ანტითეზას უპირისპირებს თამარის პოლიტიკას დავითის დაპყრობით პოლიტიკას. თუმცა ამას ხსნის სწორედ თამარის ზნეობრივი შეხედულებებით და არა პოლიტიკური აუცილებლობით. "ურჩნი თჳსნი დაამდაბლა და მოყუარენი აღამაღლნა, არა იღუწიდა უმეზობლობას, არცა "შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა", არამედ თჳსი მამული ძველი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად" (3. 148).

პავლე ინგოროყვა ბასილი ეზოსმოძღვრის ზემოთ მოყვანილ ცნობაზე დაყრდნობით, თამარის დაქვემდებარებაში მყოფ 7 ყმადნაფიც-მოხარკე ქვეყნის კლასიფიკაციას შემდეგნაირად ახდენს: 1. სახლი შარვანშეთი-სამად იყო გაყოფილი: განძის საამირო (რანი), შირვანი (შირვანშაჰის სამფლობელო) და შარვანი (საარიშიანო). 2. სახლი დარუბანდელთა (ვასალური ქვეყანა) 3. სახლი ღუნძთა (დაღესტნის ქრისტიანული სამეფო, ღუნძთა კათალიკოსი ექვემდებარებოდა მცხეთის პატრიარქს). 4. სახლი ოვსთა (სამი სამეფო: ეფრემიანთა, ხუდან მეფის,..). 5. სახლი ქაშაგთა (ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმა). 6. სახლი კარნუ-ქალაქელთა (არზრუმის საამირო). 7. სახლი ტრაპიზონელთა. ამის გარდა გარკვეულ პერიოდში მოხარკედ უნდა ვიგულისხმოთ ხლათის სასულტნო. ერთჯერადი ხარაჯის გადამხდელად კი ირანის ის მხარეები, რომლებიც 1208-1209 წლებში მოარბია ქართულმა ლაშქარმა.

მამისა ბერძნიშვილის აზრით, გიორგი ლაშას ტახტზე ასვლისას საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები იყვნენ: შარვანი, რანი, ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი, დარუბანდი. მოხარკე ქვეყნები: ხლათის სასულტნო, ერზინკის სასულტნო, კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, ნახჭევანის საამირო. ტრაპიზონის იმპერია იყო გავლენის სფერო (96. 54).

გ) სავაზირო, დარბაზი: სავაზიროს არსებობა-ფუნქციონირების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენი აზრით სავაზირო, როგორც უმაღლესი სათათბირო ორგანო, გიორგი III-ის დროიდან მაინც უნდა არსებულიყო. თუმცა ვაზირის ტიტულს მხოლოდ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ფლობდა. თამარის გამეფებისას ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას მოჰყვა რეფორმები სახელმწიფო აპარატში, მათ შორის სავაზიროშიც (13. 32; 127.

625-631). ძველ საგვარეულოთა წარმომადგენლები აღდგნენ უფლებებში, მხოლოდ ორბელები ჩაანაცვლეს მხარგრძელებმა.

“ვეფხისტყაოსანში” იხსენიება ვაზირი მრავლობით რიცხვში, რაც აშკარა დასტურია იმისა, რომ თამარის მეფობისას სავაზირო უკვე ჩამოყალიბდა ფუნქციურად და ვაზირთა რაოდენობაც გაიზარდა. ტარიელი ამბობს: “გვერდსა დავისხენ ვაზირნი” (სტროფი 424), “მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირევი” (სტროფი 426). აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თამარის ისტორიკოსები მხოლოდ ერთ ვაზირს-მწიგნობართუხუცესს იცნობენ, ხოლო სხვა დიდ მოხელეებს ვაზირის ტიტულის გარეშე იხსენიებენ. თუმცა გიორგი ლაშას გარდაცვალების მომენტისთვის ვაზირთა რაოდენობა აშკარად გაზრდილია, “ტკივილნი და ნაცრისა თავსა სხმანი ვაზირთა და დიდებულთა და ყოვლისა სამეფოსაგან და თჳთ მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისაგან” (16. 371).

ჩვენი აზრით გიორგი ლაშას თანამეფობაში მოხდა სავაზიროს რეფორმა. ანუ მასში შემავალ დიდმოხელეთ მიენიჭათ ვაზირის ტიტული. გარდა “ვეფხისტყაოსნის” ცნობებისა ამაზე მიანიშნებს “ვაზირთა ყოველთა უპირველესად” მწიგნობართუხუცესის მოხსენიება “კარაბადინის-წიგნი სააქიმოის” მინაწერში. აქ ხაზგასმა მწიგნობართუხუცესის პირველობაზე უნდა მეტყველებდეს სავაზიროს შიგნით მნიშვნელოვან რეფორმაზე. ათაბაგისთვის ვაზირის წოდების ბოძებას უნდა მოჰყოლოდა ამირსპასალარის ანალოგიური პატივი (თუნდაც იმიტომ, რომ ზაქარია ამირსპასალარი ივანეზე მაღლა იდგა). იმავდროულად დასაბალანსებლად მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი აუცილებლად აღზევდებოდნენ ვაზირებად.

შოთა მესხია სავაზიროს ჩამოყალიბებას ათარიღებს თამარის მეფობის ბოლო წლით და მიიჩნევს ამ ფაქტს მწიგნობართუხუცესის სახელოს წინააღმდეგ წარმოებულ დიდებულთა ბრძოლის ლოგიკურ შედეგად (174. 74). ჩვენი აზრით უფრო შორსმიმავალი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. ივანე ათაბაგმა თამარისგან ათაბაგობის მიღებით, “რამეთუ მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი” (13. 137), შექმნა პრეცედენტი ვაზირის წოდების პარალელიზმისა და განაპირობა სხვა დიდებულ მოხელეთათვის ვაზირის ტიტულის ბოძება. გიორგი ლაშას მეფობაში უკვე უნდა არსებულიყო 4 ვაზირი (მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგ-ამირსპასალარი, მანდატურუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი), რადგან “ხელმწიფის კარის გარიგება” სავაზიროში მსახურთუხუცესის შეყვანას რუსუდანის დროინდელ ფაქტად მიიჩნევს.

თამარის დროინდელი პოლიტიკა უცხოთა აღზევებისა და ძირძველ გვარებთან დაპირისპირებით პოლიტიკური ბალანსის შექმნისა, გიორგი ლაშამ შეცვალა პაპისეული პოლიტიკის განახლებით, ერთგულთა და თანამოაზრეთა (“თანამოჰასაკენი”) დაწინაურებით.

მწიგნობართუხუცესი: 1202 წლის შიომღვიმისადმი თამარ მეფის სიგელში იხსენიება მწიგნობართუხუცესი ანტონ. აქვეა მეფის მწიგნობარი იაკობ იწრელისძე. ლაშას დროს მეფის

მწიგნობარია მიქელ კატარაწისძე (მეფის ყველა სიგელის შემდგენელი). თამარის მეფობის დასაწყისში საწოლის და საჭურჭლის მწიგნობარია არსენ სამძივარი. გიორგი ლაშას გამეფებისას მწიგნობართუხუცესია თევდორე, რომელიც იხსენიება 1202 წელს ბასიანის ბრძოლისას მოალაფებული "კარაბადინის" ქართულ თარგმანის მინაწერში.

მწიგნობართუხუცესის დაქვემდებარებიდან ლაშას დროს უკვე საბოლოოდ გამოსულია სამხედრო უწყება და ამ პრეროგატივის აღდგენა შეუძლებლად ჩანს, განსაკუთრებით ათაბაგის სახელოს დაწესების პირობებში. ზოგადად მწიგნობართუხუცესის სახელოს დაკნინება ლაშას მეფობაში უკვე დაწყებულია, იგი დაჩრდილა ათაბაგის სახელომ, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ლაშას მეფობისას წყაროებში არ გვხვდება არც მწიგნობართუხუცესი და არც ამ სახელოს მატარებელი პიროვნება.

ათაბაგი: ათაბაგის სახელო საუფლისწულო დომენის გაჩენასთან უნდა იყოს დაკავშირებული. "ქართლის ცხოვრების" თანახმად პირველად ათაბაგობა თამარმა უბოძა ივანე ახალციხელს კარის აღებასთან დაკავშირებით, "ხოლო მეფემან აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირაობა" (13. 92). შემდგომში ათაბაგის სახელოსთვის ბრძოლა მიმდინარეობდა მხარგრძელებსა და ახალციხელებს შორის. ივანე მხარგრძელის ხელში ამ თანამდებობის გადასვლამ განაპირობა თავად ათაბაგის სახელოს მნიშვნელობის ზრდა.

თავდაპირველად ათაბაგი მხოლოდ სამეფო დომენის მეურვეს ნიშნავდა, რამაც გაუადვილა მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს დაახლოებით ანალოგიური ფუნქციის "ათაბაგობის მოვერაგება". მას შემდეგ, რაც ივანე მხარგრძელმა დაიკავა ეს სახელო, სავაზიროში უფუნქციოდ მყოფმა ათაბაგმა როგორც ჩანს "საქვეყნოდ გამრიგეთა" ხელმძღვანელობაც დაიჩემა. ამას ხელი შეუწყო ივანე ათაბაგის მიერ 1212 წლიდან ამირსპასალარობის შეთავსებამ და საერისთავოებზე სამხედრო კონტროლის მიღებამ (გასათვალისწინებელია, რომ ზაქარიას ავადმყოფობის გამო ივანეს უხდებოდა ფაქტობრივი ამირსპასალარობა 1210-1212 წლებშიც).

"მჴარგრძელსა ივანეს, რომელსა მაშინ პატივი ათაბაგობისა მინებებოდა დედისა მათისა თამარისგან, რამეთუ იყო ათაბაგობა ისრე განდიდებული, [რომელ] იყო უმეტეს სხუათა ერისთავთასა: ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა" (20. 152). ივანე მხარგრძელის ვარაუდით თუ დღეს მწიგნობართუხუცესზე ამბობდნენ "მამა არს მეფისაო", ხვალ იგივეს იტყოდნენ ათაბაგზე. ვინაიდან ივანეს მიერ ათაბაგობის მიღების მომენტში არავითარი გასაზრდელი უფლისწული არ არსებობდა, თუმც კი ლაშასდროინდელი მემატიანე ივანეს იხსენიებს ლაშას გამზრდელად (16. 371), რაც ფორმალური ჟესტია. მართლაც, გარკვეული ინტერვალის შემდეგ, რუსუდანის მეფობის პერიოდში, ივანე მხარგრძელმა მიიღო "მეფის მამის" სტატუსი.

ამირსპასალარი: ლაშას გამეფებისას ზაქარია მხარგრძელი ორი მნიშვნელოვანი სახელოს: ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის სახელოთა მფლობელია (16. 370). ზაქარიას ამირსპასალარობა ხანგრძლივ დროს მოიცავს (1191-1212), შემდეგ ეს სახელო მისი ძმის ივანე მხარგრძელის ხელში გადადის გარდაცვალებამდე. თუმცა როგორც ავღნიშნეთ ზემოთ, ზაქარიას სიცოცხლეშივე ივანეს რამდენიმე წელი ისედაც უწევს ამ თანამდებობაზე ფაქტობრივი ყოფნა.

მანდატურთუხუცესი: წყაროთა ცნობების წინააღმდეგობის გამო რთულია მანდატურთუხუცესთა თანმიმდევრობის დადგენა. სხვადასხვა ვერსიათა შეჯერებით შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სურათი: ჭიაბერი-1184-1195/1202, შალვა ახალციხელი-1195/1202-1205, ზაქარია მხარგრძელი-1205-1212, შალვა ახალციხელი-1212-1225.

ფაქტია, რომ ბასიანის ომში და თამარის და ლაშას თანამეფობისას (გუნია-ყალას წარწერა) მანდატურთუხუცესია შალვა ახალციხელი, ხოლო ლაშას გამეფებისას ზაქარია მხარგრძელია ამ სახელოს მფლობელი (16. 370). 1206-1208 წლების სომხური ეპიგრაფიკაც მოწმობს ზაქარიას მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარობას (115. 123), თუკი აქ არ არის წარსული ტიტულის ხელოვნურად გაცოცხლების ფაქტი. თავის მხრივ განძანის წარწერები მოწმობს შალვა ახალციხელის მანდატურთუხუცესობას ლაშას მეფობაში. ამგვარი წინააღმდეგობები შეიძლება ერთი რომელიმე წყაროს შეცდომით აიხსნას, თუმცა შესაძლებელია დავუშვათ თავდაპირველად შალვას ხანმოკლე მანდატურთუხუცესობა, შემდეგ კი მხარგრძელებსა და ახალციხელებს შორის მიმდინარე დაპირისპირებით სახელოთა ცვლილება.

ჩვენი აზრით დავით სოსლანი მფარველობს ახალციხელებს და 1202-1206 წლებში ორი მნიშვნელოვანი სახელო, მანდატურთუხუცესისა და ათაბაგისა, ამ გვარის ხელთაა. დავითის სიკვდილს კი მოყვა მხარგრძელთა აღზევება (ამას ხელი შეუწყო ალბათ ლორეს და ანისის საეკლესიო კრებებმაც და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარგრძელთა პროტეჟედ მოგვევლინა, რადგან ხელისუფლება მათ გამოყენებას ვარაუდობდა სომეხთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის საქმეში-გ. ა.), ზაქარიამ მანდატურთუხუცესობა წაგლიჯა შალვას, ხოლო ივანემ ათაბაგობა ივანე ახალციხელს (224. 152).

თამარი შეეგუა არსებულ ვითარებას. მხოლოდ ლაშას დროს მოხერხდა ახალციხელთა "რეაბილიტაცია". მართალია წყაროდან ეს სურათი პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ ჟამთააღმწერლის ფრაზა, რომ ივანემ დატოვა სამეფო კარი და მეფესთან კონფლიქტი მოუხდა (20. 157), დაუჯერებელს ხდის ივანე მხარგრძელის ხელში სამი უმაღლესი სახელოს (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) შენარჩუნებას. უკიდურეს შემთხვევაში მას ეს უკანასკნელი სახელო მაინც უნდა ჩამორთმეოდა და მისი მფლობელი, როგორც განძანის წარწერა მოწმობს სწორედ შალვა ახალციხელი გახდა. აქვე დავსძენთ, რომ განძანის წარწერის შალვას ახალციხელობა, და არა ჯაყელობა, ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია და ყველაზე საფუძვლიან არგუმენტად მის

გენეალოგიურ მონაცემს და განსაკუთრებით ფრაზას "შეამრწუნვა ყოველი სოფელი სპარსეთისა", მივიჩნევთ. ამგვარი რეზონანსი მხოლოდ 1208-1209 წლის სპარსეთზე ლაშქრობას შეიძლებოდა ჰქონოდა.

მეჭურჭლეთუხუცესი: ნოდარ შოშიაშვილის აზრით შალვა ახალციხელს ეს სახელო ეპყრა 1191-1205 წლებში, ხოლო 1205-1220 წლებში შოთა რუსთველს, 1220 წლიდან კი ყვარყვარე ჯაყელს (236. 148). სარგის კაკაბაძის აზრით შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობა 1212-1224 წლებზე მოდის, მისი წინამორბედი იყო შალვა ახალციხელი, რომელიც მანდატურთუხუცესად დაწინაურდა.

პავლე ინგოროყვა და შოთა მესხია მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე აბულასანის უშუალო შემცვლელად ყვარყვარე ჯაყელს მიიჩნევენ (174. 148). 1241 წლის დაწერილი მიქაელ კათალიკოსისა ვაჩე გუარამაისძისადმი მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიებს გამრეკელს, ე. ი. ეს სახელო თორელთა ხელში გადავიდა. ჩვენი აზრით შალვა ახალციხელის ჯერ მეჭურჭლეთუხუცესობა და შემდგომ მანდატურთუხუცესობა უდაოა. იგი გარკვეული პერიოდი (1202-1205 წწ.) ორივე სახელოს ფლობდა. ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ხელახლა მიიღო მანდატურთუხუცესობა, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესობა შოთა რუსთველს გადაულოცა. შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა უფრო ლაშას მეფობაშია სავარაუდებელი. იგი გიორგი ლაშას თანამოაზრეთა ("თანამოჰასაკეთა") ერთ-ერთი ლიდერი უნდა იყოს. ამდენად ჩვენ უფრო მისაღებად გვეჩვენება ნუკრი შოშიაშვილისეული ქრონოლოგია გარკვეული კორექტივით: შალვა ახალციხელი_1191-1212, შოთა რუსთველი-1212-1220, ყვარყვარე ჯაყელი_1220-1245.

მსახურთუხუცესი: ეს შედარებით მეორეხარისხოვანი სახელო აღზევდა ლაშას მეფობაში იმდენად, რომ რუსუდანის დროს მსახურთუხუცესი ვაზირიც ხდება. ივანე მხარგრძელის (1188-1212) შემდგომ ეს სახელო მხარგრძელთა მეორე შტოში, ვარამ გაგელის ხელში გადავიდა (127. 579).

სავაზიროს შემადგენლობის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა გუნია-ყალის "ჴელი", რომელიც წარმოადგენს სუფთად გათლილ ქვის ფიქალს ერთმანეთში ჩასმული ორთაღიანი ჩარჩოთი. შიდა ჩარჩოში გამოქანდაკებულია ხელი მაჯით. ქვეშ ამოკვეთილია თამარის და დავით სოსლანის ფულზე არსებული ბაგრატიონთა მონოგრამა. მეორე ჩარჩოში თითქოს მზის და მთვარის გამოსახულებაა, გვერდებზე კი ასომთავრული წარწერაა ორ სვეტად. "სახელითა ღმრთისაYთა, ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ივსიყმა ვაჩესითა, ჯალაბაის მოჭირვებითა, სანოზაჲს ძისა ინაჲსა ხელით დაისუა ჴელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთმეფისა გიორგისი".

გუნია-ყალას ხელი სხვადასხვა დროს ამოიკითხეს პავლე ინგოროყვამ (127), ლევან მუსხელიშვილმა (183), ნიკო ბერძენიშვილმა (89), ანა ბაქრაძემ (79), გიორგი ოთხმეზურმა (198). პავლე ინგოროყვას აზრით წარწერა შესრულებულია თამარის მეფობაში, დავით სოსლანის

გარდაცვალების შემდეგ. ნიკო ბერძენიშვილი გუნია-ყალის "ჴელს" თრიალეთის საუფლისწულო (სახასო) ქვეყნად დამტკიცების აქტად მიიჩნევს. მისი აზრით წარწერაში მოხსენიებულ პირთაგან ოვსეყმა მეჭურჭლეთუხუცესია და შესაძლებელია თრიალეთის ერისთავიც, ვაჩე კი ამირახორი (89. 160). შოთა მესხია ამ წარწერაში დასახელებულ პირთაგან მხოლოდ ჭყონდიდელს მიიჩნევს ერთადერთ ვაზირად, ხოლო სამეფო კარის მოხელედ ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცეს ზაქარიას. დანარჩენ პირებს (შალვა, ოვსეყმა, ვაჩე) მკვლევარი საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებად, ერისთავებად თვლის (174. 37-63).

ჩვენი აზრით ეს "ჴელი" ნაწილობრივ მაინც (პირველი 3-4 ისტორიული პირი) უნდა წარმოადგენდეს სავაზიროს შემადგენლობის ამსახველ ძეგლს. პარალელისთვის, კარის საუფლისწულოდ გაცემა დარბაზმა გადაწყვიტა და ამდენად არ არის გამორიცხული, რომ სავაზიროს კომპეტენციაში შედიოდა საუფლისწულო მამულების დამტკიცება თრიალეთ-ჯავახეთში.

დარბაზი: დარბაზი იმ სახით და უფლება-მოვალეობებით, როგორც "წეს-განგება დარბაზობისა"-ში არის მოცემული, უკვე თამარის მეფობისას არსებობს. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო ახალი ანუ მცირე წესის დარბაზი, განსაკუთრებული უფლებებით ანუ მეფესთან "თანადგომითა და ერთნებაობით" გადაწყვეტილებების მიღების უფლებით. მაგალითად, გიორგი ლაშას მეფობაში დარბაზმა დაამტკიცა განძაზე ლაშქრობა. თუმცა პარალელურად შენარჩუნდა "დიდი დარბაზი", ცერემონიალურ-საზეიმო ფუნქციით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ "დარბაზის" მოხელე უკვე IX საუკუნიდან გვხვდება (28. 19). "ვეფხისტყაოსანში" საზეიმო დარბაზობას უკვე გააჩნია ჯდომის ის გარკვეული წესები, რაც "ხელმწიფის კარის გარიგებაშია" დაცული. ტარიელის ქორწილზე ქეიფი იმ ზომამდე მივიდა, რომ მანდატურიც კი აღარ აქცევდა ყურადღებას ჯდომის წესს, "მანდატური არვის სცვიდის, ბოლოს ვინ ჯდის ანუ თავსა" (სტროფი 1644).

დარბაზი აშკარად მუდმივმოქმედი ორგანოა. ავთანდილი საგანგებოდ შეიკაზმა და "დარბაზს მივა სადარბაზოდ" (სტროფი 141)_ამბობს რუსთველი. აქედან ვფიქრობთ აშკარაა, რომ დარბაზი არის დაწესებულება, სახელმწიფო ორგანო, სადაც წყდება მნიშვნელოვანი საკითხები. მაგალითად ტარიელი ამბობს: "მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა" (სტროფი 533). ამ შემთხვევაში მცირე დარბაზი დიდი ვაზირობის ტოლფარდია. ვაზირობა აქ მხოლოდ რჩევას არ უნდა ნიშნავდეს. მნიშვნელოვან საკითხზე სავაზირო ფართო შემადგენლობით იკრიბება.

დარბაზის ერი იკრიბება, რათა მიიღონ უცხოელ ვაჭართა მოციქულობა და ძღვენი (სტროფი 1164). დარბაზობა "ვეფხისტყაოსანში" ზოგჯერ მოთათბირების აზრითაა ნახსენები, თუმცა ეს არ გამორიცხავს "დარბაზის" მუდმივობას (სტროფი 813). დღესასწაულების დროს მეფე პურობა-დარბაზობას აწყობს არა მხოლოდ დარბაზის ერთათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის

(სტროფი 1121). ანუ ეს მიაგავს “დარბაზობას დიდითა წესითა”. დარბაზს მისვლა და პატრონის ხილვა-მოკითხვა ყმის უმთავრესი ვალდებულებაა (სტროფი 1647).

დ) სომხური თემების მფლობელობის საკითხი: IX-XI საუკუნეში ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის მიმდინარე ბრძოლა პირველობისათვის დასრულდა საქართველოს გამარჯვებით (165. 85). ამაში დიდი როლი შეასრულა საგარეო (ბიზანტია, სელჩუკები) და გეოგრაფიულმა (სომხური სამეფო-სამთავროების სამხრეთული მდებარეობა, საქართველოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე) ფაქტორმა. თითქმის მთელი ამიერკავკასია გაერთიანდა ერთ პოლიტიკურ ერთეულად. საამისო იდეოლოგიური სამზადისი უკვე ლეონტი მროველის დროიდან იწყება. კავკასიური ერთიანობის იდეა (ლეონტის შემთხვევაში ჰაოსის-სომეხთა ეთნარქის მეთაურობით) XII საუკუნეში განხორციელდა საქართველოს სახელმწიფოს ჰეგემონობით. სომხური ტერიტორიების მაჰმადიანი მპყრობელების ბატონობისგან გამოხსნა ქართულ სახელმწიფოს აძლევდა იმის მორალურ და იურიდიულ უფლებას, რომ გამათავისუფლებლის სტატუსით და “ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს” იდეოლოგიით (მითუმეტეს სომხური სახელმწიფოებრიობის არარსებობის და მათ მიმართ ისლამური აგრესიის პირობებში) მიეერთებინა სომხური თემები.

თამარის მეფობის პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა შემოერთებული სომხური ტერიტორიების რაოდენობა. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით ეს სომხური პროვინციები იყო: კარი, ვალაშკერტი, კაღზევანი, სურბმარი, ანისი, ანბერდი, ბიჯნისი, გარნისი, დვინი, გარდმანი, განძა, ჩარექი, ჰერქი, შამქორი, შაქი, ბარდავი, ჩარაბერდი. 1211 წელს საქართველოს შემოუერთდა სივნიეთი, 1219 წელს ოროტანი (7. 158).

საქართველოს სამეფო კარმა ისტორიული სომხური მიწების მაჰმადიანთა ბატონობისგან განთავისუფლება-შემოერთებასთან ერთად თანდათან დაიწყო მისი ადმინისტრირებაც. XIII ს. 10-იან წლებში სომხური თემები მხარგრძელთა საგვარეულოს გამგებლობაშია და სამ მთავარ ნაწილად იყოფა: ანისის სახლი (ზაქარიას და მისი ძის შანშეს წილი, მოიცავდა ყოფილ ანის-შირაკის სამეფოს, ძორაგეტს, აბოცს, ბაგრევანდს, სურმარის, კოღოვიტნის, არაგაწოტნის მანასკერტამდე); დვინის სახლი (ივანეს და მისი ძის ავაგის წილი, მოიცავდა: ლორეს, კაენს, კაეწონს, გელაქუნს, ბიჯნისს, არცახს, აირარატს, ხაჩენს); რანის სახლი (ვარამ გაგელის და მისი შვილების ზაქარიას და სარგის თმოგველის წილი, მოიცავდა: შამქორს, გაგს, გარდმანს, ერგევანს, ტავუშს, ტერუნაკანს, კაწარეთს, მაწნაბერდს). მოგვიანებით მეფის ბრძანებით ივანე მხარგრძელმა რეაბილიტირებულ ორბელთა წარმომადგენელს ლიპარიტ ორბელს გადასცა მათი ძველი მამულის სანაცვლოდ ახლად შემოერთებულ სამფლობელოთაგან: ვაიოც-ძორი, გელაქუნი, კაენი, სივნიეთი.

ამ ტერიტორიების საქართველოს სახელმწიფოში უმტკივნეულოდ ასიმილაციას ემსახურებოდა მიზნად მხარგრძელთა საგვარეულოსთვის სომხური ტერიტორიების გადაცემა სამართავად. არც

სომხურ და არც ქართულ წყაროებში ამ სომხური თემების არცერთი გამგებელი არ იხსენიება ქართული სამოხელეო ტერმინოლოგიით. თამარის მეფობის ბოლოს ზოგიერთი ეს თემი მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაეცათ მხარგრძელებს (მაგალითად, ივანეს-დვინი, ზაქარიას_ანისი და შესაბამისად ანელ მეფეთა ტიტული "შაჰინშაჰი", რომელსაც პოლიტიკური შინაარსი გამოცლილი აქვს და უკვე ზაქარიას შვილის დროს საკუთარ სახელად იქცა).

დანარჩენ თემებში (გავარებში) მხარგრძელები თვითონ ნიშნავენ (რა თქმა მეფესთან შეთანხმებით, ამას ორბელთა რესტავრაციაც ადასტურებს) იშხანებსა და იშხანაც-იშხანებს. ეს სამოხელეო რანგი ზუსტად არ შეესატყვისება ქართულ ერისთავსა და ერისთავთ-ერისთავს, რადგან რიგ წარწერებში მხარგრძელები იხსენიებიან იშხანებად, სხვა შემთხვევაში კი მათი ქვეშევრდომები (115. 174). სომხურ თემებზე მხარგრძელთა გავლენის ზრდის მაუწყებელია ის, რომ 1217 წელს არარატის გავარში ივანე მხარგრძელი დამოუკიდებლად ნიშნავს იშხანაც-იშხანს, ანალოგიურია 1223 წელს ბუბაკის იშხანაც-იშხანობა.

ის ფაქტი, რომ ასეთი დიდი ტერიტორია ერთ ფეოდალურ სახლს ჩააბარა სამმართველოდ სამეფო კარმა აიხსნება რამდენიმე მიზეზით. უპირველეს ყოვლისა სომხურ თემებში ერთიანი სახელმწიფო და საეკლესიო პოლიტიკა იყო გასატარებელი ("ქართლის ცხოვრების" თარგმნა სომხურად, ქალკედონიზაციის პროცესის გაძლიერება თამარის მეფობაში,.. ამგვარი ერთიანი პოლიტიკის აშკარა მანიშნებელია), რაც სასურველს ხდიდა ერთი ძლიერი საგვარეულოსთვის ამ მიწების ჩაბარებას სამართავად. თავისთავად ცხადია ერთი პირის ან საგვარეულოს საქმიანობის კონტროლი გაცილებით იოლი იქნებოდა, ვიდრე წვრილ ფეოდალურ ერთეულებად დაყოფილ "ქვეყნებში" მსხდომ სხვადასხვა, შესაძლებელია ურთიერთდაპირისპირებულ, ერისთავთა.

ასეთი გადაწყვეტილების აუცილებლობის მიუხედავად სამეფო ხელისუფლებისთვის არსებული საფრთხე იმთავითვე ცხადი იყო. შესუსტებულ სამეფო კარს გაუჭირდებოდა გაძლიერებული და გარკვეული პრეტენზიების მქონე საგვარეულოს ხელახლა დამორჩილება. მხარგრძელთა შემთხვევაში ეს არ მოხდა რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი ისინი სამხრეთის სანაპირო თემებს ფლობდნენ და საგარეო აგრესია (ჯალალ ედ-დინი, მონღოლები) მთლიანად სახელმწიფოსთან ერთად უპირველესად მათ სამფლობელოებს ემუქრებოდა და მათ პრეტენზიებს ასუსტებდა. მეორეც, მხარგრძელები სხვა ერისთავთაგან განსხვავებით არ იყვნენ მკვიდრნი. ისინი ორბელთა მამულზე ისხდნენ და უკიდურესი სიფრთხილე და გონიერება (ყოველთვის, თუნდაც მოჩვენებითი, ერთგულება სამეფო კარისადმი) მართებდათ არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

ამის მიუხედავად მხარგრძელები ბუნებრივია ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ მათი გვარის განდიდების ყველა მცდელობას. ისინი მრავალ ძველ სომხურ საგვარეულოზე გაბატონდნენ და იდეოლოგიური დასაყრდენი ესაჭიროებოდათ. ჰაღარწინის წარწერაში მხარგრძელები ზაგრატუნთა

ნათესავებად არიან გამოცხადებულნი (115. 222), ხოლო გეღარდის 1215 წლის წარწერაში ზაქარია და ივანე მხარგრძელები "მეფისგვარისად" იწოდებიან (172. 37). ლეგენდა მხარგრძელების წარმომავლობას აქემენიანთა ირანის შაჰს არტაქსერქსე მხარგრძელს უკავშირებს. ამასთან ზაქარიას და ივანეს დედა არწრუნთა საგვარეულოდან იყო, რაც დამატებითი სტიმული იყო მხარგრძელთათვის თავისი გვარის დაძველებისა და მეფური შარავანდედით შემკობისათვის.

მხარგრძელთა ფარულ ოცნებებზე მიანიშნებს ანისის მფლობელი შაჰინშაჰების ტიტულის მითვისებაც, რაც შემდგომ საგვარეულო სახელად (შანშე) იქცა. "შაჰინშაჰის" ტიტულით მხარგრძელნი იხსენიებიან: ახპატის (1209 წ.), ანისის (1206 წ.), შირაკის (1191, 1210, 1212 წწ.) და ბიჯნისის (1209 წ.) წარწერებში. კილიკიის მეფე ლეონისადმი ეპისტოლეში ზაქარია მხარგრძელი იწოდება: "დიდი სპარაპეტი და შაჰინშაჰი აღმოსავლეთ მხარეთა" (172. 38).

თვით სომხურ საზოგადოებაში, საეკლესიო და საერო წრეებში, სრულიად ბუნებრივია გაჩნდებოდა სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი და იმედი. ეს იმედი მხარგრძელებს, როგორც გრიგორიანული სარწმუნოების აღმსარებლებს უკავშირდებოდა. ამიტომ ზოგიერთ სომხურ წყაროში, განსაკუთრებით სომხეთის ტერიტორიაზე შექმნილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მხარგრძელები მეფედ იხსენიებიან. მაგალითად, ანისის ყიზყალის ეკლესიის წარწერაში სარგის მხარგრძელის მეუღლე საჰაკდუხტი იწოდება: "მშობელი სომეხთა მეფეთა ზაქარია და ივანესი". შირაკავანის 1228 და 1231 წლების წარწერებში ივანე ათაბაგის მეუღლე ხუაშაქ იხსენიება, როგორც "დედოფალი ქართველთა და სომეხთა" და "მფლობელი ქართველთა და სომეხთა ქვეყნისა და მათი დედოფალი" (172. 37). ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ მხარგრძელთა მეფედ მოხსენიება ქრონოლოგიურად ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის იმ რთულ პერიოდთან, როდესაც სამეფო კარი რუსუდან დედოფლის მეთაურობით ქუთაისშია გადასული და მხარგრძელთა თუ მის გარშემომყოფთა ოცნებებს გარკვეული სტიმული მიეცა.

მეფედ და "სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარად" სარგის, ზაქარია და ივანე მხარგრძელების მოხსენიება ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ მხარგრძელთა სანაპირო ლორე-ძორაკერტი თანდათან დიდ და დამოუკიდებელ სამთავროდ გარდაიქმნა (85. 87). ჩვენი აზრით ასეთი დასკვნა მცდარია, რადგან მხარგრძელები როგორც "Hომო Nოვუს" ხელისუფალნი, ბოლომდე მისაღებნი არ იყვნენ ადგილობრივი ფეოდალური ელიტისათვის. მათი თავიდან მოცილება გაცილებით იოლი იყო (მაგალითად: ეგარსლან ბაკურციხელი), ამიტომ ისინი მეფესთან სიახლოვით ცდილობდნენ არამყარი მდგომარეობის შენარჩუნებას. პარალელისთვის, უფრო იოლად ჩამოყალიბდნენ სეპარატისტ მთავრებად ჯაყელები. მათ თავიანთი სამკვიდრო საფეოდალო აქციეს სამთავროდ და ერთიან საქართველოს ჩამოაშორეს მონღოლთა ბატონობის ხანაში. მსგავსი მცდელობა, მიუხედავად თითქოს უფრო მეტი გასაქანისა, წარუმატებელი აღმოჩნდებოდა მხარგრძელთა მხრიდან. მათთვის უფრო

პერსპექტიული იყო სამეფო კარზე წამყვანი მდგომარეობა, რაც მწვერვალს აღწევს რუსუდანის მეფობისას.

თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში ფართოდ არის გავრცელებული ვერსია "ზახარიდების სომხეთზე", როგორც ავტონომიურ პოლიტიკურ ერთეულზე. ამ ეპოქის არცერთი ნარატიული და დოკუმენტური წყარო არ ახსენებს სომხეთის სახელმწიფოს ამიერკავკასიაში. მხოლოდ რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლის და ანდერძ-მინაწერის მოხმობა, სადაც ზაქარია და ივანე მხარგრძელნი მეფის ტიტულით არიან შემკობილნი, სრულიად არასერიოზულია.

XIII საუკუნის სომხური წყაროები საერთოდ არ იცნობენ სომეხთა სახელმწიფოს ამიერკავკასიაში. გრიგოლ აკანცი აღნიშნავს, რომ მონღოლები მოვიდნენ ალვანთა და ქართველთა ქვეყანაში (6. 8, 11). ბუნებრივია სომხური სახელმწიფოებრიობის რაიმე ფორმით არსებობის შემთხვევაში სომეხი მემატიანე მას აუცილებლად დაასახელებდა საქართველოს და შირვანის გვერდით. 1204 წლის სომხური ჰიშატაკარანი ახსენებს დასავლეთში ლეონ კილიკიის მეფეს და აღმოსავლეთში თამარ მეფეს, "აღმოსავლეთში სუფევდა ქართველთა დედოფლის თამარის სახლი... მის კარზე იყო ორი ძმა, სომხური მოდგმის მთავრები: უხუცესს ერქვა ზაქარე შაჰინშაჰი-კაცი წმინდა და მხნე, ფრიად შემკული ღმრთის შიშით. უმრწემესს ერქვა ივანე. ისინი ორთავე ბედნიერნი იყვნენ იმ დედოფლისაგან და დაფასებულნი, იმდენად რომ მთელი თავისი ლაშქრის და სამეფოს მეთაურად დაადგინა" (44. 47).

მეტიც, მხითარ გოშის "სამართლის წიგნი" პირდაპირ მოწმობს, რომ იმ დროისათვის სომხეთი საქართველოს ორგანული ნაწილია. მხითარი თამარს და ლაშას "ჩვენს მეფეებს", ხოლო მათ მიერ მოჭრილ ფულს "ჩვენს ფულს" უწოდებს და სინანულით აღნიშნავს "ჩვენ არც მეფე გვყავს და არც მთავარი". თვით სომხური საერო სამართლის წიგნთან დაკავშირებით გოში აღნიშნავს, რომ მართალია მას პრაქტიკული დანიშნულება ვერ ექნება, მაგრამ ვინაიდან ასეთი არასოდეს არ არსებულა, თავისი ქვეყნის პატრიოტ მოძღვარს აუცილებლად მიუჩნევია მისი შედგენა, ოდესმე სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედით. "ჩვენ არ ვივიწყებთ როგორი წარმავალი და ცვალებადია ყოველი მიწიერი სამეფო, მით უფრო ჩვენი სამეფო_წერს მხითარ გოში-ყოფილი ხომ უკვე ჩვენს შორის აღარ არის, არც აწმყო გვაქვს ჩვენ, ხოლო მომავალში მისი ხილვა ჩვენ არ გვეღირსება... შემინდონ მათ ვისაც ეღირსება ჩვენი სამეფოს ხილვა" (203. 13).

ამიერკავკასიაში XI საუკუნეში გაუქმებული სამი სომხური სახელმწიფოს სანაცვლოდ ანატოლიაში ბიზანტიისაგან გადასახლებული და სელჩუკთაგან ლტოლვილი სომეხი მოსახლეობა 1080 წელს ქმნის კილიკიის სომხურ სამთავროს, რომელიც XII ს. ბოლოს სამეფოდ იქცა და 1375 წლამდე იარსება. აქ XII საუკუნის ბოლოსთვის ჩნდებიან პროქართული ძალები, რომელნიც საქართველოსთან სტრატეგიული მოკავშირეობის სანაცვლოდ თანახმანი არიან კავკასიელი სომხების ქალკედონიტობაზე. კილიკიას საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების გაბმა სურს.

ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ყველა სახელმწიფო მოღვაწე მიუხედავად კონფესიისა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს თანასწორად შემოქმედი იყო. სეპარატისტულად განწყობილი ფეოდალი გამოდიოდა არა მისი საფეოდალოს კულტურული (ტომობრივი) თავისებურებიდან, არამედ საკუთარი ფეოდალური სამეურნეო და პოლიტიკური ინტერესებიდან (95. 416).

მხარგრძელთა განსაკუთრებული დაწინაურების მთავარ მიზეზად ალბათ უნდა ჩაითვალოს მათი განსაკუთრებული ერთგულება (გულწრფელი თუ გაანგარიშებული) მონარქისადმი. 1178, 1185, 1191 და 1193 წლების ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებისას მხარგრძელნი ყველა შემთხვევაში მეფის მხარეს დგებიან. ამის დაუფასებლობა კი მრავალი მერყევი ფეოდალური სახლის ფონზე შეუძლებელი იქნებოდა. ამით იყო განპირობებული მხარგრძელებისთვის სამართავად ყველაზე მნიშვნელოვან მხარეთა ჩაბარება. სწორედ სომხური თემების მართვისადმი სამეფო კარის განსაკუთრებულმა ყურადღებამ გამოიწვია მხარგრძელების გაძლიერება და წამყვან სახელოთა ამ საგვარეულოს ხელში მოხვედრა.

გიორგი ლაშას დროს ვითარება შეიცვალა. მხარგრძელები ჩამოშორდნენ სამეფო კარს (20. 157), შესაბამისად დაკარგეს ზოგი სახელოც და ჩაიკეტნენ თავის სამფლობელოში. ამას ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა მათი გავლენის ზრდა საგანმგეოში. ამით აიხსნება ზოგი იშხანის დამოუკიდებლად დანიშვნა, მეფედ მოხსენიება და სხვა, რაც შეზღუდულ პირობებში მხარგრძელებს ამბიციებს უკმაყოფილებდა, სომხურ კონფესიურ წრეებს კი გარკვეული ოცნებების საფუძველს აძლევდა. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავდა სამეფო ხელისუფლების გავლენის შესუსტებას სომხურ თემებზე.

თამარის დროიდანვე ეს ტერიტორიები მხარგრძელებს გადაეცათ ერთი მიზნით, რომ მათ კოლექტიური საგვარეულო მმართველობის პრინციპით შეემზადებინათ სომხური თემების მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური ასიმილაცია ერთიან საქართველოში. ეს პოლიტიკა გრძელდება ლაშას დროსაც (ამას ადასტურებს ადგილობრივი ეპიგრაფიკა, განსაკუთრებით ანისის ტაძრის 1218 წლის წარწერა).

ამ მიზნის განხორციელება აუცილებლად საჭიროებდა მხარგრძელებისთვის მოქმედების უფრო მეტი თავისუფლების მინიჭებას, ვიდრე ეს ქონდათ სხვა ერისთავებს. მაგრამ ეს არამცდაარამც არ ნიშნავს “ავტონომიურ სომხეთს” ან “სომხეთის სამთავროს”, როგორც ფიქრობენ ისტორიკოსთა გარკვეული წრეები. მხარგრძელთა მაქსიმუმი სტატუსი მეფის მოადგილეობა, მონაცვლეობაა. მითუმეტეს, რომ მხარგრძელთა საგვარეულო მაინც ცენტრისკენული და არა ცენტრიდანული ძალაა (რუსუდანის მეფობაში ისინი კვლავ მიისწრაფვიან სამეფო კარზე ძალაუფლების აღდგენისაკენ და არა სეპარატიზმისკენ - როგორც, მაგალითად, ჯაყელები მონღოლთა ბატონობის ეპოქაში).

მხარგრძელებს “არამკვიდრობის” გამო სომხურ თემებში არ გააჩნდათ სერიოზული დასაყრდენი (განსაკუთრებით ივანეს და შაჰინშაჰის მართლმადიდებლობაზე მოქცევის შემდეგ). ამასთან მათთან დაპირისპირებულ ორბელებს სამეფო კარი ძლიერ მფარველობს. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ პოლიტიკური ვითარების შეცვლისთანავე, სამეფო კარის მხარდაჭერის დაკარგვის შემდგომ, XIII ს. მეორე ნახევარში მხარგრძელები აღარ არ არიან წამყვანი ფიგურები და საერთოდაც ქრებიან ისტორიის ასპარეზიდან.

## 6. გიორგი ლაშას ურთიერთობა სასულიერო ხელისუფლებასთან

*ა) გიორგი ლაშა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია:* გიორგი ლაშას მეფობის ჟამს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გამორჩეული წინამძღოლები ჰყავდა, რომლებიც წარმატებით ახორციელებდნენ საეკლესიო პოლიტიკას და ფართო აღმშენებლობითი საქმიანობითაც იყვნენ დაკავებულნი. სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უწყობდა ეკლესიას და თვით მეფე ეკლესიის მესვეურთა გვერდით იდგა ამ პოლიტიკის გატარებისას.

ეკლესია მხარს უჭერდა სახელმწიფო იდეოლოგიას და ხელს უწყობდა ამ იდეოლოგიური ნორმების შემუშავებას. ამის მაგალითია თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში არაერთგზისი პირდაპირი თუ მეტაფორული შედარებები, თამარ მეფისა ღვთისმშობელთან, ხოლო დავით სოსლანისა და გიორგი ლაშასი წმინდა გიორგისთან. მეტიც, ლაშას დაბადება მითოსურ საბურველშია გახვეული და იგი ყრმა იესოს არის შედარებული. მეფის პერსონის ამგვარი აბსოლუტიზაცია სასულიერო წრეების დასტურის გარეშე ალბათ არ მოხდებოდა.

მემატიანე ლაშას ახასიათებს, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, “იყო არავისთვის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ, და განმკითხველ და მოწყალე” (20. 154). შემდგომი რადიკალური ცვლილებები, რაც ჟამთააღმწერლის აზრით მოხდა მეფის პიროვნებაში, ჩვენ უკვე განვიხილეთ. მათი ნაწილი გადაჭარბებულია და მემატიანის მედასეობით არის განპირობებული, ნაწილიც პირადული მსოფლმხედველობის შემადგენელია და საერთო არაფერია აქვს ურწმუნოებასთან, როგორც თვლის ისტორიკოსთა ნაწილი (268. 24). პირიქით, გიორგი ლაშას ღრმად მორწმუნეობა ჩანს მის საეკლესიო პოლიტიკაშიც და ფართო აღმშენებლობით საქმიანობაშიც.

გიორგი ლაშას მეფობის დასაწყისში მცხეთის კათალიკოსია იოანე V, “სულმობერული, კაცი ანგელოზთა მოსაგრე”. მისი მღვდელმთავრობისას მონოფიზიტურ-გრიგორიანულ ეკლესიასთან სადისკუსიოდ ორი საეკლესიო კრება (ლორესა და ანისში) გაიმართა და იმდენად დიდი იყო უპირატესობა და გავლენა მართლმადიდებლობისა, რომ “მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად”.

მნიშვნელოვანი საეკლესიო და პოლიტიკური ფიგურა იყო შემდგომი კათალიკოს-პატრიარქი ეტიფანე. იგი იხსენიება მისი დაკვეთით შესრულებული ეტრატის სახარების ყდის შიდა მხარეს, საიდანაც ვიგებთ, რომ სახარება კათალიკოზს შეუმკია და შეუწირავს სვეტიცხოველისთვის. ყდაზე გამოხატული სვეტი ცხოველის მარჯვნივ მაცხოვარი, მარცხნივ კი საკათალიკოსო ჩოხაში სრული ტანითაა გამოსახული ეტიფანე, რომელსაც ვედრების ნიშნად ხელები მიუნდვია სვეტისთვის. კათალიკოსის უკან, მარცხნივ წარწერაა: “ქრისტე ამის ნეტარისა ეტიფანე ქართლისა კათალიკოზისაგან მოგებული, ამისგანვე შეიმკო კათოლიკე ეკლესიისათვის სახარებაჲ ესე.

მოიხსენე ქრისტე” (125. 394). ეს სახარება დაცული იყო იენაშის (ლატალის თემი) ეკლესიაში და ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა სვანეთში ექსპედიციისას 1910 წელს.

ეტიფანე კათალიკოსის მიერ არის გაცემული ანისის მართლმადიდებელი მრევლისთვის საგადასახადო შეღავათები, რომლის შესახებ ანისის ეკლესიის წარწერაშია საუბარი. ეს წარწერა ნანგრევებიდან გამოარჩია და აღადგინა ნიკო მარმა 1910 წლის ანისის არქეოლოგიური გათხრებისას. კათალიკოსი საგანგებოდ ჩასულა ანისში, რათა ეკურთხებინა მართლმადიდებლური ეკლესიები. აქ მან შეიტყო ანელი მღვდლების მიერ საეკლესიო გადასახადების (ნათლობის, ჯვრისწერის, მიცვალებულის წესის აგების) გადიდებაზე, რასაც ქალკედონიტობაზე ახლად მოქცეული მრევლის უკმაყოფილება მოჰყოლია. ეტიფანემ სამართლიანად ცნო მრევლის პროტესტი და სამჯერ შეამცირა გადიდებული გადასახადები. აგრეთვე მონოფიზიტური თემის მსგავსად კათალიკოსმა ქალკედონიტებიც გაათავისუფლა ტყავის გადასახადისაგან (255. 474-480; 281. 1433).

საეკლესიო გადასახადებში შეღავათები, როგორც ჩანს თანდათანობით საქართველოს სხვა მხარეებშიც დაწესდა. ამის მანიშნებელი უნდა იყოს ჯვრისწერისათვის დაწესებული უსამართლო გადასახადის _ “ოქროს გამოსაღების” გაუქმება დმანელი ეპისკოპოსის მიერ.

მცხეთის კათალიკოსის გარდა იმდროინდელ წყაროებში გვხვდება აფხაზთა კათალიკოსიც. მისი არსებობა დასტურდება 1211 წლის ლაშა გიორგის სიგელით გელათის მონასტრისადმი და ჟამთააღმწერელთან (20. 157). ორივე კათალიკოზი იხსენიება აგრეთვე ახალციხური ტყავის სახარების მინაწერში. მიუხედავად ერთგვარი თანასწორუფლებიანობისა, აფხაზთა კათალიკოსი რანგით მაინც უფრო დაბლა დგას მცხეთის კათალიკოსზე, რადგან მას არ აქვს საქართველოს მეფის კურთხევის უფლება. აფხაზთა კათალიკოსი მხოლოდ მონაწილეობს მეფედ კურთხევის ცერემონიალში, მარჯვნივ უდგას მეფეს, მიაცილებს მას კურთხევის ადგილამდე და უკანვე მოჰყვება. არყოფნის შემთხვევაში მისი შემცვლელია იშხნელი მთავარეპისკოპოსი (91. 88).

გიორგი ლაშას ურთიერთობა სასულიერო ხელისუფლებასთან რთულდებოდა მეფის პირადი ცხოვრების დეტალებთან დაკავშირებით. გიორგი ლაშას მიერ ხარჭის დასმას, თავდაპირველად სამღვდელოება მაინცდამაინც დიდი შეშფოთებით არ შეხვედრია, რადგან მსგავსი პრეცედენტი მანამდეც არსებობდა (თუნდაც გიორგი III-ის უკანონო ასული). მეფის ფარულად ქორწინებამ, რაც იოანე ბატონიშვილთან არის მოთხრობილი, როგორც ჩანს სერიოზულად შეაშფოთა სამეფო კარი და უმაღლესი სამღვდელოება. ჟამთააღმწერლის თქმით: “ამით განსუენებასა შინა მყოფმან არა ინება ქორწინება ცოლისა. ამისთჳს შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი და მოაჴსენებდეს: “არა ჯერ არს, რათა მჴევალი გესუას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული პირი ქრისტესი პავლე: “ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ. ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან.” ხოლო მეფესა არა ენება, არცა უსმინა. ამისთჳს წარგუარეს ქალი იგი,

დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს. ხოლო არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებლად" (20. 156).

ზ) გიორგი ლაშას ეპოქის საეკლესიო აღმშენებლობა: თამარ მეფის ეპოქა გამორჩეული იყო საეკლესიო აღმშენებლობის მასშტაბებით. "საბერძნეთისა მთაწმიდისა, იერუსალემისა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღუეულნი აღაშენნა, რომელნიმე მათითა საფასოთა დაიჴსნა ხარკისაგან უცხოთესლთასა და თვით ჴელთაგან მისთა სთულისა სამსხუერპლოდ ღმრთისა და სიწმიდისა სამსახურად აკერვინებდა და ეგრე დასდებდეს ეკლესიათა იქი და აქა აღმოსავლეთისათაცა შინა" (16. 368). ეს პოლიტიკა ბუნებრივია გაგრძელდებოდა გიორგი ლაშას დროსაც, რასაც მოწმობს ის მრავალი ეკლესია თუ საეკლესიო ნივთი, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს.

გიორგი ლაშას დროს აგებული ეკლესია-მონასტრები (ქვათახევი, ფიტარეთი, კოჯრის კაბენი, წუღრუღაშენი, ახტალა) ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა მიერ ერთი ტიპის ხუროთმოძღვრულ ნიმუშებადაა შეფასებული და პირობითად "ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ძეგლებად" იწოდება. მათთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებია: წინა ეპოქასთან შედარებით ეკლესიათა ზომის დამცრობა, სადა და დახვეწილი არქიტექტურა, გუმბათის ყელის სიმაღლე...

ბეთანია: ამ არქიტექტურული ტიპის პირველი ნიმუში, მდებარეობს ტყით დაბურულ მდ. ვერეს ხეობაში, თბილისიდან დასავლეთით 20 კმ-ში. აგებულია თამარის მეფობაში. ამჟამად სამონასტრო კომპლექსის ორი ეკლესიაა შემორჩენილი. ფასადების მორთულობა წინა პერიოდთან შედარებით სადაა, ყველაზე გამშვენებული აღმოსავლეთის ფასადია. აგრეთვე კარგადაა ორნამენტირებული სამხრეთ ფასადთან მდებარე სამნაწილიანი კარიბჭე. დეკორი ძირითადად კარ-სარკმლების ირგვლივაა. ბეთანიის ცილინდრული ფორმის მაღალი გუმბათის ყელი 12-სარკმლიანია, თითოეულ სარკმელს ჩუქურთმიანი არშია შემოუყვება და გრეხილ-ლილვოვანი თაღებითაა შემოსაზღვრული (121).

ბეთანია სხვადასხვა ზომის და ფერის ქვების შეხამებული გამოყენებით არის ნაგები. ქვემოდან მოყვითალო ფონზე ცისფერი ქვების გრადაცია კარნიზთან ქრება და მხოლოდ მოყვითალო ფერი რჩება რჩება. უნიკალური ფრესკული მხატვრობა ტაძრის მშენებლობის თანამედროვეა. ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია გიორგი III-ის, თამარის და გიორგი ლაშას ფრესკები. მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს თლილი ქვებით მოპირკეთებული მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, საამშენებლო წარწერის თანახმად, აგებული 1196 წელს.

ფიტარეთი: ქვემო ქართლში, მაღალი მთებით შემოზღუდულ მდ. ქციის ღრმა ხეობაში, თეთრიწყაროდან 20 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი. კომპლექსის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ფერადი ქვებით (ძირითადად იისფერი) ნაგები და მოყვითალო-ოქროსფერი ქვის ლამაზი ჩუქურთმებით გაწყობილი ღვთისმშობლის ტაძარი.

გუმბათის ყელი მწვანე ქვით არის ნაგები და მთლიანობაში მონასტრის ფერთა გამას ქმნის. მონასტრის კედლის მხატვრობა დაკარგულია. მონასტრის გალავნის ძველი ფენა XIII საუკუნისაა, ახალი XVII საუკუნის, რადგან გვიან შუა საუკუნეებში იგი ციხის ფუნქციას ასრულებდა.

ვახტანგ ბერიძის აზრით ფიტარეთი "ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ძეგლებს" შორის საუკეთესო ნიმუშია. მისი ფასადები განსხვავებულად არის გადაწყვეტილი, რადგან ჩრდილოეთით და დასავლეთით ფერდობი ეკვრის და მცირე მისადგომი აქვს, ამიტომ ამ მხარეს ფასადები ნაკლებად მორთულია. დეკორები, წინა საუკუნეთაგან განსხვავებით, კარების და სარკმლების გარშემოა. აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური სარკმელი გამშვენებულია დეკორატიული ჯვრით და ლომების ბარელიეფით. სამხრეთ ფასადზე მიშენებულია სამნაწილიანი კარიბჭე, მორთული თაღებით და ჩუქურთმებით.

ფიტარეთის ტაძარი თავიდან თარიღდებოდა გიორგი ბრწყინვალის მეფობით, თუმცა შემდგომში ეს თვალსაზრისი გადაისინჯა და გიორგი V-ის დროისად მხოლოდ მონღოლთაგან დანგრეული და რესტავრირებული ნაწილი ჩაითვალა. ამდენად ე. თაყაიშვილი ფიტარეთში ორი ოსტატის კვალს ხედავს.

ფიტარეთის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ კარიბჭის შიგნით კედელზე, გრეხილიანი ჩუქურთმის ქვეშ მოთავსებულია საამშენებლო წარწერა: "ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, ღირს ვიქმენ მინდობითა ღმრთისაჲთა მე ქავთარ ქაჯიფაჲსძე ამირეჯიბი თვითმპყრობელისა, ძლიერის მეფეთ-მეფის გიორგისი, აღშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა დედისა ღმრთისა. არა ვისი ჰრთავს თვინიერ ჩემის ლაშქრისა და ჴრმლით მოგებულისა. ვიყიდენ ტანძია და თევდორეწმინდანი ჩემთავე ჴრმლითა მონაგებითა საფასითა, მათვე ღმრთივ სანატრელთა დიდთა მეფეთა ჩუენთა საბედნიეროდ. შევსწირენ მას ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა ფიტარეთისასა სამლოცველოდ მეფობისა მათისა და ცოდვილისა ჩემისა სულისა, მშობელთა და ძმათა, შვილთა და მომავალთა ჩემთათვის. არავისგან შეიცვალნენ, არცარა ვისსა მართალ აქუს, ვიტყვი მოწმობითა ღმრთისაჲთა და რამანცა გამოახუნეს, ანუ ქცევად იკადროს და ამის მონასტრისა დაკლებად, დიდი იყოს გინა მცირე, კრულ იყოს დაუსაბამისა ღმრთისა პირითა მკვდარი და ცოცხალი, ამინ." სიმონ ჯანაშია ამ წარწერას ტაძრის განახლების აღმნიშვნელად მიიჩნევდა და ქავთარ ქაჯიფაისძეს გიორგი ბრწყინვალეს თანამედროვედ თვლიდა (120).

ქვათახევი: მონასტერი მდებარეობს მდ. კავთურას ხეობის სიღრმეში და XII-XIII სს. ტიპიური გუმბათოვანი ნაგებობაა მრავალფეროვანი და მდიდრული ჩუქურთმებით, ფრესკული მხატვრობა სრულებით დაკარგულია. დაზიანების მიუხედავად კედლის პერანგი და გუმბათის ყელი გადარჩენილია. ტაძრის სამხრეთი კარიბჭე მთავარი ტაძრის თანამედროვეა, დასავლეთ კარიბჭე კი

XVII ს. მეორე ნახევარში ააგო წინამძღვარმა ნიკოლოზ ჩხეიძემ. 1854 წელს იოანე თარხან-მოურავმა შეაკეთა (83).

წუღრუღაშენი: ქვემო ქართლში დაბა ბოლნისიდან 9 კმ-ში მდინარე ფოლადაურის გაშლილი ხეობის მარჯვენა მხარეს, ბოლნისის მცირე მთის კალთაზე განმარტოებით დგას წუღრუღაშენის მაღალგუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ხევში გაფანტულ სოფლებს გადაჰყურებს. მის პირდაპირ, მდ. ფოლადაურის გაღმა მდებარეობს ბოლნისის სიონი, ოდნავ შორს კი ქვემო ბოლნისის სამნავიანი ბაზილიკა. წუღრუღაშენს გარს უვლის მაღალი ყორექვით ნაგები გალავანი. ამჟამად აღარ არსებობს დასავლეთის კარიბჭე, სამხრეთის მინაშენის კი მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. წუღრუღაშენი ნარატიულ წყაროში პირველად გვხვდება 1619 წლის ორბელიანთ შემოსავლების ნუსხაში. უკვე ვახუშტი ბატონიშვილი XVIII ს. დასაწყისში წუღრუღაშენს გაუქმებულ მონასტრად იხსენიებს.

წუღრუღაშენის ტაძარზე ჰასან არსენის ძის რამდენიმე საამშენებლო წარწერაა ამოკვეთილი. მათგან ყველაზე უკეთაა შემორჩენილი დასავლეთის კარის მარჯვნივ ცოკოლიდან მეორე ჰორიზონტალურ რიგში მდებარე მთლიან ცისფერ ქვაზე ამოკვეთილი ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერის ზედა მარჯვენა ნაწილი დაზიანებულია. ქარაგმების გახსნით იკითხება: "ქრისტე. სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა წმიდისა გიორგის ხუთშაბათის ჯუარისაჲთა, მეფობასა შინა დიდისა გიორგი მეფეთა მეფისასა, მიწამან მეფობისა მათისამან არსენის ძემან ჰასან, დავიწყე შენებაჲ ტაძარსა გუნბადს, მამულსა ჩემსა, უწყებითა და გამოცხადებითა ამისვე მთავარმოწამისა მიერ, სადიდებლად ღმრთისა".

მეორე, ხუთსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია სამხრეთის კარის არქიტრავის ქვაზე. ქვა შემკულია და წარწერისათვის საგანგებოდაა დატოვებული შუა ადგილი. ზედა ვერტიკალურ სიბრტყეზე სამი სტრიქონი, ხოლო ქვედა შიგნით დაქანებულზე ორი სტრიქონია ამოკვეთილი. წარწერა "კიდურწერტილოვანია", გამოირჩევა მაღალი გრაფემებით და შესრულების უკეთესი ხარისხით. ქარაგმების გახსნით იკითხება შემდეგნაირად: "სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გჳრგჳნოსანთა მეფეთა მეფისა გიორგისა... მადლითა და კაცთმოყვარებითა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ".

ამ წარწერებში მოხსენიებულ მეფე გიორგის მარი ბროსე და დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევდნენ გიორგი ბრწყინვალედ. 1943 წელს რენე შმერლინგმა ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზით დაასაბუთა მისი აშენების დრო და წარწერაში მოხსენიებული პირი გიორგი IV-დ მიიჩნია (119. 6).

დმანისის კარიბჭე: დმანისი XII-XIII სს. მნიშვნელოვანი ქალაქია, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა (თამარის, რუსუდანის, დავით ულუს და დავით

ნარინის ფული) და განვითარებული შუასაუკუნეების საუკეთესო ქალაქდაგეგმარება. გიორგი IV-ის მეფობაში დმანისის ამირად ჩანს იობ მიხრიკისძე, საუფლისწულო დომენის გამგებელი. დმანისის სიონის კარიბჭე აშენდა გიორგი ლაშას ბრძანებით.

კარიბჭის დასავლეთ მხარეს გამოსახული ჯვრის ორთავე მხარეს ამოკვეთილია შვიდსტრიქონიანი წარწერა: "ქრისტე. სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა დაამყარენ ღმერთმან მეფეთა მეფობაჲ გიორგისი, რომელთა მიერ ღირს ვიქმენ მე, მიწაჲ მათი ეპისკოპოსი თევდოსი, მამაჲ კალნაპეტის ძე, აღშენებად კარიბჭისა ამის სადიდებელად ღმრთივ დაცულისა მეფეთა მეფობისა მათისა და მოსაჴსენებელად ცოდვილისა სულისა ჩემისა, ბიძჲსა ჩემისა ანტონის, მშობელთა და ნათესავთა ჩემთათვის. ღმრთისა სიყვარულისათვის ლოცვასა მოგვიჴსენენით რათა ღმერთმან თქუენცა მოგიჴსენნეს სასუფეველსა მისსა. ვინცა ესე დაწერილი რაჲსცა აღმოჴოცოს, კრულმცა არს ღმრთისა პირითა მკვდარი და ცოცხალი განუჴსნელად და ჩვენთაცა ბრალთა მზღველი არს დღესა მას განკითხვისასა ეპისკოპოსი თევდოსი მამისაჲ" (182. 386).

გიორგი IV-ის მეფობის ჟამს აქტიური სამონასტრო მშენებლობის ობიექტია საუფლისწულო დომენი ჯავახეთი. ბარალეთის ღვთისმშობლის სახელობის ორნავიანი ეკლესია აშენებულია უშუალოდ გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის წელს, რაზეც მიანიშნებს აღმოსავლეთის ფასადის ცნობილი წარწერა: "აღეშენა ეკლესიაჲ ესე მათ ჟამსა ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა". შეიძლება დაშვება, რომ ქალაქი ბარალეთი ლაშას ჯავახეთში უფლისწულობის ხანაში აშენებული რეზიდენციაა. საერთოდ XI_XIII საუკუნეებში სამეფო ხელისუფლება ცდილობს ტრადიციული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრები შეავიწროვოს ახალი მომცრო დაბის ტიპის სამეფო ქალაქების დაარსებით.

ამავე დროის უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ზემო და ქვემო განძანის ეკლესიები, აშენებული შალვა თორელ-ახალციხელის ბრძანებით ქებას და ნიკოლას ძეთა მიერ. ამასთან ქრონოლოგიურად ზემო განძანის ეკლესია ადრინდელია, შალვა ახალციხელის მეჭურჭლეთუხუცესობის ხანისა. ქტიტორული წარწერები კი შეიძლება ზუსტად დათარიღდეს 1210-1212 წლებით (ანუ სპარსეთის ლაშქრობასა და შალვას ახალციხელის მიერ მანდატურთუხუცესობის მიღებამდე მოვლენების შუალედით). განძანის ქვემო ეკლესია უკვე XIII ს. 10-იან წლებშია (შალვა ახალციხელის მანდატურთუხუცესობის პერიოდი) აგებული.

გიორგი ლაშა იხსენიება სათხის ეკლესიის კანკელის ჩუქურთმიან ლავგარდანზე შესრულებულ ასომთავრული წარწერაში. შემორჩენილია 11 ნატეხი ფილა (აკლია თავი და ბოლო): "სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისითა და წმიდისა კვირიკესითა მე გლახაკი იოანე მოძღვარი ღირს მყო ღმერთმან

და აღვაშენე კანკელნი ესე, დაამყარენ ღმერთმან მეფეთა მეფე გიორგისთჳს და საჴსრად ფრიად ცოდვილისა სულისა ჩემისა, მოიჴსენე უფალო ღმერთო სული მამისა იოვანესი".

ქვემო სვანეთში ჩოლურის თემში, სოფელ საყდარში ე. თაყაიშვილმა მიაგნო წმ. გიორგის ხატს, რომელიც დაუმზადებიათ და შეუმკიათ მეფე გიორგის ბრძანებით. ე. თაყაიშვილი ათარიღებს ხატს XII-XIII სს-ით. ამდენად შესაძლებელია იგი გიორგი ლაშას ეკუთვნოდეს.

გ) გიორგი ლაშას ურთიერთობა სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიასთან: ქართული სახელმწიფოს, როგორც კავკასიური იმპერიის ჩამოყალიბებას არა მარტო პოლიტიკური და იდეოლოგიური, არამედ ეკლესიური საფუძველიც სჭირდებოდა. კავკასიაში მცხოვრები ქრისტიანების კონფესიური ერთიანობა უნდა გამხდარიყო იმპერიის სიმტკიცის დასაყრდენი. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ის საეკლესიო პოლიტიკა მონოფიზიტ მრევლთან ურთიერთობისას, რომელსაც XII საუკუნის მიწურულიდან თითქმის ოცდაათი წელი მისდევდა ქართული ეკლესია სამეფო ხელისუფლების ხელშეწყობით.

ტფილისში გამართულ საეკლესიო პაექრობაზე მცხეთის კათალიკოსი იოანე სომხებს ორგზის შეახსენებს თარგამოსის ჩამომავლობას (13. 84, 87). კავკასიური ერთიანობის ეს იდეოლოგიური პოსტულატი უკვე ლეონტი მროველთან გვხვდება, სადაც სომეხთა ეროვნული თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჰაოსის უფროსობაა ხაზგასმული, ეს იმ დროს როდესაც რეალურად სომხური სახელმწიფოებრიობა დაცემის პირზეა და მათ პირველობის არავითარი პრეტენზია აღარ აქვთ. არსენ საფარელი თავის თხზულებაში-"განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა", სომეხთა გამონოფიზიტებას დროებით, სპარსელთა ძალადობით გამოწვეულ მოვლენად მიიჩნევს და სომეხთა უდანაშაულობას ასაბუთებს (165. 92).

ივანე მხარგრძელის მიერ მართლმადიდებლობის მიღება გახდა ბიძგი მრავალი სომეხისათვის გადასულიყვნენ ქალკედონურ მრწამსზე (13. 90), რადგან ეს მათთვის პიროვნული და ქონებრივი უშიშროების გარანტია იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც. თამთა მხარგრძელის ხლათში გათხოვებამ დიდად შეამსუბუქა ქართველების მდგომარეობა. ამ "ქართველთა" უმეტესობა ქალკედონიტი სომხები იყვნენ, რადგან თვით სომხური ეკლესია არამონოფიზიტს არ თვლიდა სომეხად.

ნიკო მარის მართებული დასკვნით "სომხური არისტოკრატია თავის ნაციონალიზმს მხოლოდ სომხური ეკლესიისადმი ოფიციალური კუთვნილებით ამოწურავდა,.. XII საუკუნეში ძირძველი სომხური არისტოკრატია ძირითად სომხეთში უკვე შერწყმული იყო ქართულ თუ მუსლიმურ კულტურულ ფენებთან". სომეხი დიდებულები (ტიგრან ჰონენცი, საჰმადინი) ქართულადაც ასრულებენ ეკლესიის წარწერებს.

საქართველოს სამეფო კარის მიერ ანტიქალკედონიანები უფლებრივად არ იყვნენ გათანაბრებული ქალკედონიანებთან. სომხური მონოფიზიტობის ბურჯი XIII ს. დასაწყისში

მხითარ გოში ჩიოდა, ქართველებმა უმართებულო გადასახადები დაუწესეს სომხებს, რადგან ამგვარი გადასახადი მხოლოდ არაქრისტიანებზე შეიძლება დაწესდესო. ქალკედონიტობაზე მოქცეული სომხები კი თავისუფლდებოდნენ ამ გადასახადებისგან.

1218 წელს საეკლესიო გადასახადების გაზრდის წინააღმდეგ გამოვიდა ანისის სამღვდელოება და მონოფიზიტი მრევლი, მათ ქალკედონიტებიც მიჰყვნენ. ეტიფანე კათალიკოსის განაჩენი ანისის მართლმადიდებელი მრევლის (მათი უმეტესობა ახლად მოქცეული იყო) შენარჩუნებას ისახავდა მიზნად, რადგან გაზრდილი გადასახადებით უკმაყოფილო მოსახლეობა აღარ ესწრებოდა წირვა-ლოცვებს და საეკლესიო რიტუალების აღსრულებაზეც უარს ამბობდა "დაჭირების" გამო. დასაშვებია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში სამეფო ხელისუფლებაც ჩაერეოდა, რადგან ამ დათმობას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და სომხური თემების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. მართლმადიდებლობამ ძლივს მოიკიდა ფეხი სომხეთში და ზოგი გაუმაძღარი ხუცესის საქციელს წინამორბედ კათალიკოსთა (თეოდორე II, ბასილ IV, იოანე V და თვით ეტიფანეს) ღვაწლი შეიძლებოდა სრულად წარეხოცა.

სომხური ეკლესიის ლიდერად და ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობების მთავარ მონაწილედ 1197 წლის დაპირისპირების, 1205 წლის ტფილისის და ლორეს, 1207 წლის ანისის პაექრობებზე გვევლინება მხითარ გოში. მისი დიდი ავტორიტეტი საქართველოს სამეფო კარსაც აიძულებდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. დევნილი გრიგორიანული აღმსარებლობის მოძღვრები (მაგალითად, ახპატის ეპისკოპოსი გრიგორესი) სწორედ მხითარს აფარებდნენ თავს. 1207 წლის ანისის საეკლესიო კრება კინაღამ ჩაიშალა მხითარ გოშის გამოუცხადებლობის გამო. მან კარგად უწყოდა ამ კრებაზე მისი მონაწილეობის ფასი და ავადმყოფობა მოიმიზეზა, რომ ამ დიპლომატიური ნაბიჯით გაენეიტრალებინა მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნათა სიმკაცრე.

ზაქარია მხარგრძელი, როგორც სამეფო კარის ერთგული მოხელე, აქტიურად ცდილობდა სომხური და ქართული დოგმატიკის დაახლოებას, კერძოდ მოითხოვდა სომხებს ქართველთა მსგავსად შემოეღოთ "კარვის ღვთისმსახურება" ლაშქარში ყოფნისას, ზოგიერთი საეკლესიო თარიღი შეესწორებინათ ქართულის მიხედვით. მან "ერთობის და თანაბარი წესების გამომუშავებისათვის" 1197 წელს შეკითხვით მიმართა კილიკიელ სომხებს (163. 136). კილიკიის მეფე ლეონი და სისის კათალიკოსი დაეთანხმნენ ამ წინადადებებს, რადგან სელჩუკთა აგრესიული გარემოცვის პირობებში მყოფ კილიკიას სჭირდებოდა ძლიერი საქართველო, როგორც სტრატეგიული და ეკონომიკური პარტნიორი.

მხოლოდ დასავლეთის სომეხთა თანხმობა არ იყო საკმარისი ამიერკავკასიის სომეხი სამღვდელოების სრულად გადმოსაბირებლად. ზაქარია მხარგრძელის მოძღვარი მხითარ გოში და

ბევრი სხვა ეწინააღმდეგებოდა ამ მცდელობებს. საქმე კინაღამ სისხლისღვრამდე მივიდა. გოში შიშობდა, ზაქარიაც არ "გაქართველებულიყო" მისი ძმასავით.

"ისტორიანი და აზმანის" მიხედვით ზაქარია მხარგრძელის ინიციატივით და იოანე ქართლის კათალიკოსის თანხმობით (ამ იდეის ავტორები ალბათ უშუალოდ თამარი და დავით სოსლანი იყვნენ, რომელთაც მემატიანე განგებ არ ასახელებს-გ. ა.) 1205 წელს ლორეში და 1207 წელს ანისში გაიმართა ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობანი, რის შემდგომაც ივანე მხარგრძელმა და მრავალმა სომეხმა აღიარა მართლმადიდებლობა (254. 272). ეს ამბავი, ისტორიკოსის თქმით, თამარის ავტორიტეტმა განაპირობა.

ზაქარია მხარგრძელი ძალით ცდილობდა სომხურ ეკლესიებში ქართული წესების დანერგვას. ანისის კრებაზე მან მიიმხრო კრების ნახევარი, ოპოზიციონერი ეპისკოპოსები კი გააძევა და მათი დაბრუნება მხოლოდ ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ მოხერხდა. საინტერესოა, რომ სომეხთა გაქალკედონიტების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა ზაქარიას, რომელიც პირადად ბოლომდე გრიგორიანულ რწმენაზე დარჩა, განსხვავებით ივანე მხარგრძელისგან, რომელმაც მიიღო მართლმადიდებლობა, მაგრამ გრიგორიანული რწმენის მიმდევართ ძლიერ მფარველობდა.

მხარგრძელები საეკლესიო დავაში ორმაგ პოლიტიკას მისდევენ. ერთის მხრივ, როგორც საქართველოს სამეფო კარის უმაღლესი მოხელენი იძულებულნი არიან ქალკედონური აღმსარებლობის აგიტაციას აჰყვნენ და ქართული ეკლესიის მესვეურთა მოთხოვნით იშუამავლონ სომეხ მღვდელმთავრებთან. მეორეს მხრივ, როგორც თავად გრიგორიანული რწმენის მიმდევარნი, ცდილობენ დაიცვან გრიგორიანები სრული კონფესიური ასიმილაციისაგან. ამ თვალსაზრისით უფრო გულწრფელია ზაქარია მხარგრძელი, რომელმაც უარი თქვა მართლმადიდებლობის მიღებაზე და მოწადინებული იყო კონფესიური შერიგებისა. ივანე მხარგრძელმა კი ნათელ იღო იოვანე კათალიკოსისგან და მისი გავლენით მრავალმა სომეხმაც, ქართველი მემატიანის აზრით გულწრფელად იწამა მართლმადიდებლობა. ივანე ძმასაც ურჩევდა იგივეს, მაგრამ ზაქარიამ უარით უპასუხა (13. 90).

მხითარ გოში, ჩვენი აზრით სავსებით მართებულად, ივანეს ამ ნაბიჯს ანგარებით ხსნის და გაბრაზებული წერს: "ვინც სომეხთაგან ქართველთა სარწმუნოებაში გადადის, ქვეყნიერი სიდიადის და სასიამოვნო ცხოვრებისათვის ჩადის ამას" (172. 249). ამ ანგარებით უნდა აიხსნას, რომ ზაქარიას გარდაცვალებისთანავე, 1212 წელს, მისი ხუთი წლის შვილი შანშე ივანემ და მისმა მეუღლემ ქალკედონიტობაზე მოაქციეს (7. 157).

მხითარ გოში გრიგორიანული სარწმუნოების დასაცავად მიმართავს არაერთ დოგმატურ პოსტულატს, ქართველ მონარქთა ავტორიტეტს. თავის საპოლემიკო თხზულებაში "ტრაქტატი ქართველთათვის", რომელიც ზაქარია მხარგრძელის რჩევით დაწერა გოშმა 1197 წლის ამბების შემდგომ, იგი შუამდგომლობას თხოვს იოვანე კათალიკოსსა და მხარგრძელებს, თამარის და დავით

სოსლანის წინაშე, რათა მათ თავიანთი "მეფური ძალაუფლებით" შეაჩერონ ქართველთა აგრესია სომხურ ეკლესიაზე (172. 238). მხითარ გოშმა სპეციალური ნორმაც კი შეიმუშავა, რომ დიოფიზიტობაზე გადასული სომხები ფორმალური რიტუალით ხელმეორედ მონათვლისაგან დაეხსნა (163. 136).

მხითარ გოში პოლემიკაშიც კი არ თმობს ამპარტავნულ სტილს_ ქალკედონიტთა "ჩვეულებების" გაკრიტიკების შემდეგ, აქებს გრიგორიანულ წესებს და რადგან ქართულ-სომხური საეკლესიო დავის გადასაწყვეტად მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა შეუძლებელია, ისევ ქალკედონიტებმა (ქართველებმა) უნდა დათმონ, რადგან მხითარ გოშის აზრით, სომხები მსოფლიო საეკლესიო კრების იმ 4 მესაძირკვლე ერს (ბერძენნი, რომაელნი, სომეხნი და ასურნი) მიეკუთვნებიან, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, ხოლო ქართველები მხოლოდ ბერძენთა მიმდევარნი არიან (172. 247).

გიორგი ლაშას დროს, როგორც ჩანს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკა გრიგორიანების მიმართ კიდევ უფრო მკაცრდება. ამას ხელს უწყობს ზაქარია მხარგრძელის (1212 წ.) და მხითარ გოშის (1213 წ.) გარდაცვალება. მართალია თვით მეფე აქტიურად არ ერევა ამ დაპირისპირებაში, მეტიც მიუღებლად მიიჩნევს დოგმატიკური საკითხების იმგვარად გადაწყვეტას, როგორც თამარის მეფობაში ხდებოდა (სეფისკვერის ისტორია, რაც "ქართლის ცხოვრებაშია" ასახული-13. 88), მაგრამ ვითარების გამწვავებისას იგი დანიელ ვართაპეტის და სხვა სომეხ მღვდელმთავართა წინააღმდეგ დაახლოებით ანალოგიურ მეთოდს მიმართავს.

ეს ისტორია იოანე ბატონიშვილის თხზულებაში მოიპოვება. დანიელ ვართაპეტი, კაცი ფიცხელი, იქადდა "მე ვაჩვენო სასწაული ქართველთა", შეხვდა მეფეს და თავისი სურვილი ამცნო. მეორე დღეს დასხდნენ ერთად მეფე, კათალიკოსი, სომეხი მოძღვარნი. ძველ ექსპერიმენტზე დანიელმა თქვა: "ჩვენსა შემწირველსა ჰქონიეს მწიკვლი რამე და მისთვის მომხდარა საქმე იგი, და აწ გაცნობოთ ჭეშმარიტება". ქართველებმა მიუგეს: "არა განვცადოთ ღმერთი! იგიცა კმასაყოფელ არს თქვენდა, რაიცა შეგემთხვათ თქვენ", ხოლო კათალიკოსმა შესთავაზა: "უკუეთუ მოიქცეთ ყოველნი აქ მყოფნი სომეხნი, მე ვყო კვალად სიტყვისამებრ თქვენისა". მეფე წინააღმდეგი წავიდა: "არა მამაო, უკუეთუ მე მაშინ დავსწრებოდი, არამცა მექნევინებინა საქმე ესე, ვინაითგან საშინელ და შემაძრწუნებელ არს ესე. ხოლო უკუეთუ გნებავს, მოვიღოთ ორნი ჭურჭელნი და ვაკურთხოთ აიაზმა და მერე დავბეჭდოთ და დავსდგათ ეკლესიათა შინა და დავბეჭდოთ კარიცა ეკლესიისა და დაუდგინოთ მცველნი ქართველთა და სომეხთანი. შემდგომად ორმეოცისა დღისა განვახვნეთ იგინი და ვიხილოთ: რომლისა ნაკურთხსა აეშვას მყრალი სუნი, იგი იქმნების შეცთომილ სარწმუნოებისაგან!" მართლაც ლაშას ამ წინადადებით ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელიც სომხებისთვის სავალალოდ დასრულდა (138. 291).

გიორგი ლაშას დროს მომხდარი ეს დისპუტი თამარის დროინდელი დაპირისპირების გავლენით შეთხზულადაც რომ ჩაითვალოს, ერთი რამ ცხადია, გიორგი IV-ის მეფობაში ქართულ-სომხური საეკლესიო დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავდება. არც იოანე ბატონიშვილის ცნობა, სომეხ ვართაპეტთა ამპარტავნებით გაბრაზებული მეფის ბრძანებით მათი ტფილისიდან გაძევებაზე, არის უსაფუძვლო და კიდევ უფრო დამაჯერებლად ამ სიმწვავეზე მეტყველებს ანისის ეკლესიის ქართული წარწერა.

მხითარ გოშის თანამებრძოლები გააფთრებით იღწვიან გრიგორიანობის გადასარჩენად, სომეხთა "გაქალკედონიტება-გაქართველების" პროცესი კი შეუჩერებლად მიდის. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით სომეხ გრიგორიანთა საეკლესიო კრებებზე საჯაროდ წყევლიდნენ ქართველებისა და ბერძნების ყველა თანამოაზრეს, აგრეთვე იმ მონოფიზიტებს, ვინც ქალკედონიტური მრწამსის მიღებას დააპირებდა (165. 92).

რეალური ვითარება მოწმობს, რომ მართლმადიდებლობის გავლენა სომხეთში სულ უფრო ძლიერდებოდა, გარდა ეტიფანეს მიერ ანისში მრავალი ახალი მართლმადიდებლური მონასტრის კურთხევისა, თვით ძველი და ტრადიციული მონოფიზიტური ეკლესიებიც (ჰნევანქი, ქობაირი, პღნძაჰანქი), მრევლის შემცირების გამო, მასობრივად ჩამოერთვათ მონოფიზიტებს და მართლმადიდებელ მრევლს გადაეცა, ამასვე მოწმობს ქართული წარწერების მომრავლება სომხეთის ეკლესია-მონასტრებში (44. 189).

ქართული ეკლესიის და ზოგადად მართლმადიდებლობის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება სომეხ მწიგნობრებს დიდი ხნის მანძილზე გაჰყვათ, და როგორც ჩანს ამ აგრესიას ჰქონდა რეალური საფუძვლები. კირაკოს განძაკეციც და ვარდან არეველციც გარნისის ბრძოლაში ქართველთა დამარცხების მთავარ მიზეზად თვლიან "ქართველთა ყოყოჩობას და ამპარტავნებას, რომლითაც დებდნენ პირობას, უკეთუ ჯალალ ედ-დინს სძლიონ, მათი ხელისუფლების ქვეშ მყოფ ყოველ სომეხს ქართველთა რჯულზე მოაქცევენ, ხოლო წინააღმდგომთ დახოცავენ".

შეიძლება ითქვას, რომ XIII ს. პირველი ოცწლეული ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობების ყველაზე დრამატული პერიოდია. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკას გარკვეული შედეგი რომ ჰქონდა დროის მცირე მონაკვეთში იქიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად მონღოლთა ბატონობისა სომხური თემები მჭიდროდ დაკავშირებულნი დარჩნენ ერთიან საქართველოსთან ორსაუკუნეზე მეტ ხანს.

## 7. გიორგი IV ლაშა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

*ა) გიორგი ლაშას ურთიერთობა მთიელებთან:* გიორგი ლაშას ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონის მოსახლეობასთან მისი საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული შტრიხია. XIII ს-ის დასაწყისში სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა ხელის ერთი დაკვრით მოეგვარებინა მთიელებთან ურთიერთობის პრობლემები. მითუმეტეს, რომ იმხანად საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზეც ვრცელდებოდა (ამის დამადასტურებელია თუნდაც დაღესტანში ტყობაერდის ეკლესია და აქ აღმოჩენილი ოცამდე ქართულ-ავარული ბილინგვა), და ასეთ ვითარებაში ერთიანი და გაძლიერებული ქვეყანა ბუნებრივია ვერ მოითმენდა ეკლესიურ თუ პოლიტიკურ დაუმორჩილებლობას ქვეყნის შიგნით. მთის ჩამორჩენილ რეგიონში "ფეოდალიზაცია და ქრისტიანიზაცია ერთდროულად მიმდინარეობს" (179. 69).

თამარის მიერ განხორციელებული საგანგებო ზომებით მთაში მკაცრი წესრიგი დამყარდა, როგორც ლაშასდროინდელი მემატიანე წერს: "ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა" (16. 369). მთა შეწუხდა ბარის მოწოლით და აჯანყდა. "ფხოველთა და დიდოთა განდგომა" ივანე მხარგრძელმა წარმატებით ჩაახშო, რადგან სამეფო ხელისუფლების გვერდით დადგნენ "ბარელი მთიელები": დვალნი, ცხრაზმელნი, მოხევენი, ხადელნი, ცხავატელნი, ჭართალელნი, ერწოთიანელნი,.. ხოლო ჩრდილო კავკასიელი მურძუკნი გამოეთიშნენ აჯანყებას.

თამარ მეფის მიერ მთის მიმართ განხორციელებულ რადიკალურ ზომებს ბუნებრივია პრობლემის მთლიანად გადაჭრა არ შეეძლო. ამ საკითხზე ზრუნვა თამარის მემკვიდრესაც დააწვებოდა მხრებზე. გააგრძელა თუ არა დედისეული საშინაო პოლიტიკა მთიელებთან ურთიერთობაში გიორგი ლაშამ?

იოანე ბატონიშვილი ლაშას ფშავ-ხევსურეთში მოღვაწეობას შემდეგნაირად აღწერს: "ჟამთა ამათ შინა ადგილ-ადგილ იყო ფშაველთა შინა ქრისტიანობა, გარნა ვერა ეპყრათ რიგიან, ქურდობდნენ და ესხათ ორ-ოლი და სამ-სამი ცოლი და იქცეოდნენ არაწმინდებით. მაშინ მეფე გიორგი წარვიდა ფშავს და წარიღო მოჭედილი ჯვარი და ნაწილი წმიდისა გიორგისა; მოეგებნენ ფშაველნი, მეფემან შეიწყნარნა კარგად და უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ქმნა მცირე ეკლესია და დაასვენა მუნ ჯუარი იგი; და დაასვენა ნაწილიცა იგი და მიუბოძა ზავრაყი, და იგინიცა მხიარულ იქმნეს და ნათელ იღეს. ხოლო ფშაველნი უწოდებენ ჯუარსა მას "ლაშარის ჯუარად", "ბაგრატოანთა მომმის ჯუარად", ხოლო ხევსურნი "გუდანის ჯუარად" (138. 292).

იოანე ბატონიშვილის ვერსიით გიორგი ლაშა სუსანა დედოფალსაც აქტიურად რთავდა მთიელებთან ურთიერთობაში. "კუალად შეიქნა არეულობა მთასა მას შინა. მაშინ მოუწერა მეფემან დედოფალსა სუსანას, რათა გარდავიდეს და დაამშვიდოს იგინი. ხოლო დედოფალი უკვე წარვიდა, მოეგებნენ სრულად ფშაველ-ხევსურნი და დიდისა პატივითა და სიხარულით მიიღეს, და ყოველნივე დამორჩილდნენ ბრძანებასა მისსა, მაშინ მცნობმან მეფემან დამშვიდებისათვის მთიურთა ხალხთა ჯილდოდ უბოძა დედოფალს პირიქით ფშავისა სოფელი ერთი, რომელნიცა ინახავდნენ დედოფლისა საჯოგე ულაყსა ცხენსა, ესე განუჩინა ხარკად დედოფალმან. ხოლო დაჰყო მუნ ვიდრე სამი თვე  და მრავლისა ქვეითად სიარულითა, ვინაითგან ვიწრო და კლდიანი ადგილები არს და ძნელად სასიარულო ცხენითა, გაცივდა ღამე დედოფალი ნაოფლი და შეიქმნა ძლიერად ავად, რომელ წარმოიღეს ხელისა სკამითა, და ვერარა არგო რა მკურნალმანც, და მთის ამოსავალს საშუალ ადგილს გარდიცვალა დედოფალი იგი, რომელიც გარდმოვალს გზაი ესე ბაჩალზედ თიანეთის მხარეს. სადაც დედოფალი ესე მიიცვალა, მუნ არს ცხრა ანუ ათერთმეტი ხე არყისა მდგომარე, და ყოველწლივ ფშაველნი მივლენან მუნ, მიიყვანენ საკლავთა და ჰკლავენ და ისადილებენ მუნ, და გარდაიხდიან აღაპსა, შესმენ ღვინოსა და ლუდსა და შეავედრებენ ღმერთს სულსა დედოფლისასა, რომელიცა აწ არს ესრეთცა, ხოლო აცნობეს ესე მეფესა. მეფე იქმნა დიდად მწუხარე და მივიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოის ეკლესიასა შინა" (138. 294).

იოანე ბატონიშვილის ეს მონათხრობი სინამდვილეს გავს. რადგან ლაშას კულტი, რომელიც შეიქმნა მთაში, მთიელებისადმი მხოლოდ განსაკუთრებით ფრთხილი და სათუთი დამოკიდებულებით შეიძლებოდა გაჩენილიყო. მითუმეტეს ივანე ათაბაგის სისხლიანი დემარშის შემდეგ. ლაშას მეუღლემ წარმატებით გაართვა თავი უმძიმეს დიპლომატიურ მისიას, რაც მისი განსაკუთრებული პიროვნული თვისებებითაც უნდა აიხსნას. სათნო ბუნებით მთის მოსახლეობაში პოპულარობა მოიპოვა და ფშაველნი მისთვის ყოველწლიურ აღაპს გადაიხდიდნენ. აკად. ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა, "მთიელებს საზოგადოდ უყვართ მეფე, მაგრამ ეს ფეოდალური მეფე კი არაა, არამედ სახალხო გმირი, ბელადი. ასევეა სვანებთან თამარი, ფშავ-ხევსურებთან ლაშა. მეფეებსაც კარგად ესმოდათ ეს და იქ სულ სხვაგვარად იქცეოდნენ (ხატის შვილი, ხატის ძმა) და მთა მათი საყრდენი ხდებოდა. შესაბამისად მთას სძულს ისინი, ვინც მას უპირისპირდება" (94. 425).

ბ) გიორგი ლაშა ქართულ ფოლკლორში: გიორგი ლაშა საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი მთიელთა ხალხურ გადმოცემებსა თუ ლეგენდებში. ეს ორი მიზეზით უნდა აიხსნას, ჯერ ერთი ლაშას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მთის მიმართ, მეორეც მეფე თამარის პოპულარობამ გარკვეული გავლენა მოახდინა მის შვილის პოპულარობაზეც და ლეგენდების ერთი ციკლი სწორედ ლაშას დაუკავშირდა.

მთის მოსახლეობის ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული (10-მდე ვარიანტია ჩაწერილი) ლაშას დაბადების თემა, რომელიც უკავშირდება მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის

ფოლკლორში დადასტურებულ მიტოვებული ბავშვის მოტივს. ლეგენდის ყველა ვარიანტი იწყება იმით, რომ თამარს არ სურდა გათხოვება და შვილის გაჩენა. თამარის უქორწინებლობის ლეგენდებს საფუძველი ალბათ "ქართლის ცხოვრების" იმ ცნობამაც მისცა, რომლის თანახმად თამარი გათხოვების წინააღმდეგი იყო. თამარის წმინდანად შერაცხვას და ღვთაების რანგში აყვანას უნდა გამოეწვია მისთვის ყოველგვარი ადამიანური თვისებების მოცილება.

ლეგენდათა ნაწილი მოგვითხრობს, რომ თამარი სასწაულებრივად დაორსულდა (ვარიანტი ა-"მზის სხივი ეცა და დაორსულდა"; ვარიანტი ბ-"ერის სულით ჩაესახა"; ვარიანტი გ-"უცნაური ძალით დაორსულდა"; ვარიანტი დ_"ღვთის ბრძანებით დაორსულდა"-31. 235-239). ჩვენი აზრით ლეგენდებში მეფის ამგვარ მითიურ სიმაღლემდე ასვლა თამარის გაღმერთებას ნიშნავს (სამეფო კარის მემატიანე ხომ ღვთისმშობელს ადარებს თამარს, თვით ლაშას დაბადება კი იესოს ბეთლემში შობასთანაა შედარებული). ამის თაობაზე საუკეთესო განმარტებას თავად იძლევა ერთ-ერთი ლეგენდა: "მთელ საქართველოს ხალხს თამარ დედოფალი წმინდანათა ჰყავს დასახული და ამიტომაც არა სჯერა, რომ მას ქმარი ჰყვანდა".

ლეგენდათა მეორე ნაწილი სხვაგვარად მოგვითხრობს: ვარიანტი ა-"არჩიეს ამ დიდებულებმა და შემდეგ ამ გადაწყვეტილებას დაადგნენ: უნდა ღამე, ჩუმად შეეგზავნათ თამარის ოთახში კაცი... შეგზავნეს ერთი შავი კაცი"; ვარიანტი ზ-"მოიგონეს შემდეგი: დაათრონ ბანგით და ძილში მიუგზავნონ რომელიმე ჭაბუკი"; ვარიანტი თ-"თამარ დედოფალმა თავისი კარისკაცისაგან ერთი ბაღანა გააკეთა"; ვარიანტი ი-"კენჭი ყარეს... ერთ კაცს ერგა. იმ დროს თამარ მეფე დაბანგეს. იმან აღარაფერი აღარ გაიგა, ჭაჭანი"; ვარიანტი კ-"მძინარეს მიჰპარებია ერთი მდაბალთა წრიდან"; ვარიანტი ლ-"მაილაპარაკეს ვაზირებმა, მერმე შააპარეი ბანგი, დააძინეს და ერთ ვაზირს უთხრეს, წადი და იმას დაუწექიო" (31. 237-249).

გააჩინა თამარმა ვაჟი (რომლის სახელს ბევრი ვარიანტი სწორად გვისახელებს), მოიძულა და ტყეში გადააგდო. გაზარდა ირემმა (ამის შემდეგ ბაგრატიონები ირმის ხორცს აღარ ჭამდნენო). მხოლოდ მოგვიანებით ისურვა დედამ შვილის დაბრუნება. ის, რომ ქართულმა ხალხურმა აზროვნებამ ტყეში გაზრდილი ბავშვის შესახებ (სხვათა შორის, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ამ ბავშვს ყოველთვის ირემი ზრდის) გავრცელებული ზღაპრის პერსონაჟად ლაშა-გიორგი წარმოიდგინა, არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა. ლეგენდებში ხაზს უსვამენ ლაშას არამეფურ წარმოშობას და არამეფურ აღზრდას, ე. ი. დაბალი სოციალური წრის ადამიანებს ლაშა რატომღაც უფრო თავისიანად და თავისნაირად მიაჩნიათ.

ფშაური გადმოცემით, ლაშა უფლის რჩეულია. ღვთის ბრძანებით გაუჩნდა თამარს, უქმროდ. ჟინვანის სასახლეში გადიამ დაკარგა ახლადფეხადგმული ყრმა. იგი ერთმა სასიძოთაგანმა, თამარის ქმრობის მოსურნემ გაიტაცა და ტყეში, ხის ძირას დააგდო. იქ ღმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ძუძუს აწოვებდა. ერთხელ ნადირობისას ტყეში იპოვეს და დააბრუნეს. თამარმა ბრძანა,

ჩემი მეფობის მანძილზე არავინ გაბედოს ირმის მოკვლაო. ამ ლეგენდას პასუხობს ხალხური ლექსიც: “ბაგრატიონთ გვარის კაცსა ირმის ძუძუ უწოვნია, ალგეთისა წყალი უსვამს, მაშავერი უძოვნია. ჭალაში გადაგდებული მონადირეს უპოვნია” (241. 73).

ამ ლეგენდათა ერთი გამოუქვეყნებელი ვარიანტი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მსგავსი ვერსია, გარკვეული სახეცვლილებით ჩაწერილია ხევსურეთში, არხოტის თემის სოფელ ამღაში და ცნობილია “ბაგრატიონთა ანდრეზის” სახელით (31. 246). ჩვენს მიერ მიგნებული ლეგენდის მთხრობელია ამირან არაბული და ჩაწერილია 1975 წელს დუშეთის რ-ის სოფ. მლაშეში. “თამარ მეფე უშვილო ყოფილა და იმის სიკვდილის მერე ვის უნდა ემეფა არ იცოდნენ. შეიკრიბეს ვაზირები და გადაწყვიტეს კენჭის ყრა. ვისაც კენჭი ერგებოდა იმას უნდა გაეთენებინა ღამე თამართან. ყარეს კენჭი და მიერგა სოგრატს. თამარ მეფეს ვახშამზე ვეზირთ გაურიეს ბანგი და დააძინეს. გათენდა და თამარ მეფემ გაიგო, რომ ღამით მასთან ვიღაცა ყოფილა. ვაზირთ არაფერი აგრძნობინა. დაებადა ვაჟი და შობისთანავე უთხრა მსახურთ: წაიყვანეთავ და თავლაში, ცხენების ფეხში გადააგდითავ, წაიყვანეს და გადააგდეს. მეორე დილას იქავ გაგზავნ და უთხრ: მიდითავ, ნახეთავ, რაი ქნაევ. წავიდეს და ნახეს: ისე მიჭუჭკვილები იყვნენ კუთხეში, ვითამ მწყემსები უდგანანავ.

თამარ მეფეს რომ ეს უთხრეს, თქვა: გამაიყვანეთავ და საცა ყველაზე მეტად მცურავი ან ჭაობი ასავე, იქ გადააგდითავ. წაიყვანეს და გადააგდეს ჭაობში. მესამე დღეს უთხრ თამარმა: ეეხლა წეედითავ და ნახეთავ რაი ქნაევ. წავიდეს და ნახეს, რომ მცურავები ლოკავენ. მოვიდეს და აცნობეს მეფეს. მეფემ კვლავ უთხრა: წაიყვანეთავ და ისეთ ტყეში გადაღუპეთავ, რომ ორი წლის განმავლობაში იქ მონადირემ არ გაიარასავ.

წაიყვანეს და გადააგდეს მიუვალ, ხშირ ტყეში. ერთხელ ტყეში ორი მონადირე წასულა, ფშაველი და ხევსური. უნახავ ირემი. ფრთხილდ ვიაროთ, აქ ირემიავ და გაიქცევისავ-გაუფრთხილებავ ერთიმეორე. ფრთხილად მიეპარნეს აქეთ-იქედან. ერცხვისად (ერთიმეორესთვის) უძახებავ ჩუმად: დაიცა, დაიცა არ დაჰკრავ თოფივ, ორივეს უნახავ ირმის ძუძუზე ჩამოკიდებული ბალღი, რომელიც სწოვდა ცურს... გააქციეს მონადირეებმა ირემი და ბალღი თან წამაიყვანეს. წილი ყარეს, თუ ვის უნდა რგებიყვ ბალღი. მიერგა ხევსურს. წაიყვან ხევსურმ დიდხუთშაბათს გუდანის ჯვარში ხელოსანთან.

რაიავ, ვინ მაიყვანეთავ ესივ?-უკითხავს ხელოსანს. ტყეში მახხელეთავ-უპასუხებავ ხევსურს. დაუწყავ ბალღის ზრდა თემს. აჭმევდეს ჯვარშიით მატანილ ქადას. ბალღს სახელად დაჰქვივნეს გიორგი. სანესღელეს (ადგილი პირაქეთ ხევსურეთში-გ. ა.) შვიდი წლის გიორგი გამაუქცევავ ცხენი და იმის შემდეგ ას წესად დადებული იქ ცხენთ რბოლება. დავარდ ხმა, რომ მონადირეთ ტყეში ბალღ მახელესავ და ხევსურეთში იზრდებისავ, ბალღი თამარ მეფის შვილიავ. ეს გაიგ თამარ მეფემ და შაყარ ჯარი. თამარმ თქვა: ან მამგვარან შვილივ, არადა მთლიანად გავანადგურებავ ხევსურეთსავ.

შიკრიკების პირით ხევსურებმ თამარ მეფეს შამაუთვალეს: ჯერ ბჭენ არ დამსხდარანავ გუდანის ჯვარის კარავ. როსაც დასხდებიანავ და გადასწყვეტენავ შენი შვილის დაბრუნება-არდაბრუნების საკითხსავე მაშინ მაგცემთავ პასუხსაც. თემმ აირჩივ ხევსურეთის ოთხი კუთხის ხალხი, დასხდეს ბჭობად გუდანის ჯვარში. -რას იტყვითავ, კაც მაგვიგზავნავ თამარ მეფემავ, გავატანათაევ თუ არავ გიორგიივ? ყველას უთქვამს: თუ თამარ მეფეს შვილ უნდოდავ, ტყეში არ გადააგდებდავ ნადირთ გასაზდელადავ. გიორგის არავის არ მივსცემთავ. ჩვენ გავთავდებითავ, მაგრამ არ დავუთმობთავ.

საბჭოს დადგენილება შეატყობინეს თამარ მეფეს. თამარი გაბრაზდა ამ პასუხის მოსმენაზედ და გაშფოთებული გამოუძღვა თავის ჯარს არაგვზე. ხევსურეთში მივიდა ამბის მიმტანი, რომ თამარ მეფე მადისავ ჩვენ ასაოხრებლად ჯარითავ, გაიგეს ხევსურებმ და დადგ ცხენთა ნალების ლაწა-მტვრევა. ხევსურების ლაშქარმა თამარის ჯარს მაუსწავრა ჟინვალის ხიდზე. მააწყდესავ ხევსურნივ თამარის ჯარსავ და დადგავ ჩაჩქნების ბრიალივ და ხმლების პრიალივ. გამაქცეულა თამარ მეფე, ვეღარ გასძალიანებია ხევსურთ ჯარს. წინ თამარ მეფეივ და უკენ ხევსურნივ მირბოდესავ... თამარი მაინც არ მიეშვა, უნდოდა რომ როგორმე დაებრუნებინა შვილი გიორგი... გიორგიზე მადიოდეს ერეკლიანი. ერეკლიანი არ ჭამდეს ირმის ხორცს” (10). ამ ლეგენდაში ჩანს ლაშა გიორგის და წმინდა გიორგის გაიგივების მცდელობა, აგრეთვე ლაშა-გიორგის გუდანის ჯვართან დაკავშირებაც, რაც ეხმაურება იოანე ბატონიშვილის ზემოთმოყვანილ სიტყვებს.

როგორც ვხედავთ, თამარის ურთიერთობა მთის მოსახლეობასთან საინტერესოდ აისახა ამ ლეგენდაში. დავაკვირდეთ, როგორი უარყოფითი დამოკიდებულებაა გამოხატული თამარის მიმართ, მეფე-ქალი მოძალადე პიროვნებადაა გამოყვანილი. ამგვარი ტენდენცია გამონაკლისს წარმოადგენს და არც ერთ სხვა კუთხის ფოლკლორში არ ჰპოვებს გამოძახილს. მსგავსი განწყობილება შეიგრძნობა კიდევ ერთ ლეგენდაში, სადაც თამარის და ფშაველი კაცის ურთიერთობაა ასახული: “მისრიათ პაპა ჯალაბაური განთქმული მჭედელი ყოფილა; თურმე მისრეთში ყოფილა მჭედლად. მერე ის თამარ-ნეფეს გზაში შეხვედრია. თამარ-ნეფეს უკითხავს: ვინ ხარ და სად მიდიხარო. იმან უთხრა მჭედელი ვარო, ამოიღო ჯიბიდან თავის გაკეთებული ხმალი, დაგვირგვლული ყოფილიყო და ჯიბეში სდებიყო, გახსნა და გაიშალა, გასწორდა; დაგირგვლა და ისევ ჯიბეში ჩაიდო. თამარ-ნეფემ ჯერ უთხრა ჩემთან წამოდი და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიჭირა და წამოიყვანა. მისულმა ცოტა ხანს კი იმუშავა და გაიპარა. წავიდა თამარ-ნეფე და მივიდა იმასთან, -ერთი დიდი ჯაჭვი გამიკეთეო, უთხრა: გაუკეთა იმანაც ჯაჭვი. თამარ ნეფემ ეს ჯაჭვი კისერზე დაადო, წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დააბა. მანამდე ყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა-აღარ წავალო. შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა. რადგან ის მისრეთით მოყვანილი იყო, ამიტომ მათი გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიაანთკარი...” (75. 23).

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ გიორგი ლაშას საშინაო პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიმართ აბსოლუტურად განსხვავდებოდა იმ რადიკალური ქმედებებისაგან, რასაც თამარის მეფობისას ქონდა ადგილი. როგორც ჩანს, ლაშას მეტი ეფექტურობით და ჰუმანურობით უმოქმედია, რითაც მთიელი კაცის თუმც კი ურჩ, მაგრამ ალალ გულში სათაყვანო ადგილი დაუჭერია. ცხადია, მეფეს რაღაც პირადი ინტერესები უნდა ჰქონოდა. ჩვენი აზრით, იმ გართულებული შიდა-პოლიტიკურ ვითარებაში, რაც გიორგი ლაშას გამეფებისას არსებობდა, ახალგაზრდა მეფე შეეცდებოდა დამატებითი პრობლემა არ შეექმნა და ამ ძნელად დასამორჩილებელი რეგიონის დიდი პოტენცია თავისდა სასიკეთოდ შემოეტრიალებინა და დასაყრდენად გაეხადა.

სწორედ ლაშას ინიციატივით უნდა შექმნილიყო მთაში, მდ. არაგვის ხეობაში ძლიერი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი, არა მარტო ფშავლებისა, არამედ საერთოდ მთიელებისათვის. ლაშარის ჯვარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბარის საქართველოსთან, როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს იოანე ბატონიშვილის ცნობებიც, რომ მეფის პირადი მოძღვარი გიორგი ხარჭაშნელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის საეკლესიო მოღვაწეა და მეფის მეუღლეც მთაშია დასაფლავებული.

თამარ მეფე უდიდეს სამისიონერო საქმიანობას ეწეოდა მთაში, მთელი კავკასიის მასშტაბით (სვანეთი, რაჭა, ოვსეთი, ჩერქეზეთი), რაც იოანე ბატონიშვილსაც აქვს აღწერილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ თამარის მეფობის ბოლოს დიდოელთა და ფხოველთა აწიოკება მოხდა, ბუნებრივია რომ ლაშა განსაკუთრებულად შეეცდებოდა ამ ხალხის გულის მოგებას და განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენდა მათდამი. სწორედ ამით უნდა აიხსნას ლაშას განსაკუთრებული პოპულარობა მთაში და ზოგიერთ ზემოთმოყვანილ გადმოცემაში თამარის უარყოფითი სახე.

გ) გიორგი ლაშა და ლაშარის ჯვარი: ლაშარის ჯვარი ფშავის, გუდანის ჯვარი კი ხევსურეთის მთავარი სალოცავია. ქართული საისტორიო ტრადიცია გიორგი ლაშას უკავშირებს ლაშარის ჯვრის კულტს, "აქა ფშავსა შინა არს ეკლესია ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი, ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯვარს"-წერს ვახუშტი ბატონიშვილი (2. 533).

ვაჟა-ფშაველა წერს: "ამ ადგილას წინათ ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმიდის გიორგის სახელზე, რომლისათვისაც მშვენიერი ხატი წმიდის გიორგისა შეუწირავს. ხალხს ეს გარემოება დავიწყნია, შემწირველ-შეწირული გაუერთიანებია და კიდევაც გაუღმერთებია. მეორე გორაზე აშენებულია თამარის სალოცავი, რომლის დღეობას "ღელეობა" ეწოდება. როგორც ამ სალოცავს, ისე ლაშარის ჯვარს "მოდე-მოძმეს" ეძახიან (ე. ი. თამარი და ლაშა და-ძმად არიან წარმოდგენილნი), "გაგიმარჯოს თავის მოდე-მოძმით"-ასე მიმართავს მთიელი ლაშარის ხატს".

ფშავში გავრცელებულ დალოცვა-ფერხულში თამარ მეფის და ლაშას სახელები თითქოს სამებასთან არის გაიგივებული. "პირველად ღმერთი ვახსენოთ, ეგ უფრო დიდებულია, მემრ თამარ ნეფე ვახსენოთ, ეგ ღმერთთან წილდებულია. ლაშარის ჯვარიც ვახსენოთ ეგ ყმაზე თავდებულია... ქრისტიანთ სალოცავადა თვითონ ხმელგორზე ბრძანია. პირდაპირ უდგა გორზედა ლაღი ლაშარის ჯვარია... მურგვალთ მოვარტყი სამი ზღვა: თეთრი, წითელი, შავია, შიგ გავაჩინე დუნია, რჯულად ათასი გვარია..." (241. 69). არსებობს ამ ხალხური ლექსის სხვა ვარიანტიც: "პირველად ღმერთი ვახსენოთ, არის საყდარზე მდგარია, მეორედ ლაშარის ჯვარი, ფშავლების საკვეხარია. მესამედ თამარ მეფეი, ქართვლების სალოცავია". ეს შეიძლება "ევჰემერიზმის" გამოვლინებად მივიჩნიოთ, როდესაც მეფის პერსონის ხატთან სინკრეტიზება ხდება და ამას სახელმწიფო იდეოლოგიაც უჭერს მხარს.

ჩვენი აზრით წარმართობის ხანაში არმაზის და ზადენის მსგავსად ფშავშიც იდგა ომის ღვთაებისა და მის მოპირდაპირედ ნაყოფიერების კერპები. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ომის ღმერთის ადგილი დაიკავა წმინდა გიორგიმ. XIII ს-ის დასაწყისში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების შემდეგ ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის გავლენით ფშავში წამყვანი გახდა ლაშარის წმინდა გიორგი და ღელის თამარის ხატი, რომელმაც დაიკავა წარმართული ნაყოფიერების კერპის ადგილი. ალბათ ერთი მიზეზი ლაშას სახელზე არსებული კულტის აღმატებისა თამარის კულტზე ისიც უნდა იყოს, რომ ზოგადად ქართული სარწმუნოება, როგორც წარმართობა, ისე ქრისტიანობა, უპირატესობას ანიჭებდა მეომარი მამაკაცის კულტს. ლაშარის ხატი წინ მიუძღვის ფშავლებს ომში, გადადის ქისტეთში ცხვარ-ძროხის მოსატაცებლად,.. თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, თვით ლაშასადმი მთის მოსახლეობის განსაკუთრებული სიმპატიებია, რაც გახდა საფუძველი წმინდა გიორგისთან მისი გაიგივებისა.

თამარის ღვთისმშობელთან გაიგივების პირდაპირი დადასტურება მოეპოვება პრასკოვია უვაროვას, რომელიც 1895 წელს იმყოფებოდა ლაშარში. მისთვის ლაშარის ჯვრის ხევისბერს ქერჩო გოდერძაულს ვერცხლის სამი მოოქროვილი ჯვარი უჩვენებია, მათ შორის ორი ქართული წარწერებით, ხევისბერის თქმით ლაშარის ჯვარს ეკუთვნოდა, ერთიც - თამარს შეუწირია ღელის თამარის ხატისათვის. ეს ღვთისმშობლის ხატი ყოფილა, ხევისბერი კი ღვთისმშობლის გამოსახულებაზე უმტკიცებდა თამარ მეფეაო (75. 59).

თამარის სახელთან დაკავშირებული თამარის ხატი ლაშარის ჯვრის ანუ ხმელგორის პირდაპირ მდებარეობს ე. წ. თამარღელის ქედზე და მოიცავს 20 ჰექტარ ტერიტორიას. ხალხური ტრადიციის მიხედვით, თამარის გამოგზავნილი ხატი მოთავსებულია ამ სალოცავში და თამარის სახელი იმიტომ დარქმევია (ე. ი. შექმნილა ისევე, როგორც ლაშარის ჯვარი), თითქოს თამარის საფლავიც აქ უნდა იყოსო... მაგრამ, საყურადღებოა, რომ თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბურობით თამარ-ღელეს ხატი ოდნავაც ვერ შეედრება ლაშარის ჯვარს.

ფხოველნი თაყვანს სცემენ მუხის ანგელოზს. ეს მუხა ხალხური გადმოცემით "ლაშარის ხმელგორზე" მდგარა და თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა თურმე. თამარის ბრძანებით აქ ეკლესია აუშენებიათ, რომლისთვის თამარს თავისი ძის ლაშა გიორგის სახელზე ვერცხლის ხატი შეუწირავს და ამ გორსაც ლაშარის ჯვარი დარქმევია (167. 21).

საინტერესოა, რომ ივანე მხარგრძელის შესახებ ფშავში ზოგიერთი ცნობა დღემდეა შემორჩენილი. წინათ ლაშარობა-თამარღელეობის დროს ხევისბერები დამწყალობლებისას ივანე მხარგრძელსაც იხსენიებდნენ თურმე. თამარღელეს საჯარეში დღესაც დაცულია სავარძლისებურად მომრგვალებული ქვის საჯდომი, რომელსაც მხარგრძელის საჯდომს უწოდებენ. გადმოცემით მხარგრძელი აქ ჯდებოდა და საჯარეში ფხოველების ხევისბერთა თათბირს უსმენდა (167. 21).

ლაშარი ფშავლის წარმოდგენით გმირი და უძლეველი მხედარია (ანუ პერსონიფიკაცია ხატისა აშკარაა-გ. ა.), რომელიც მტრისგან იცავს ფშავის ხევს, ლაშქრობის დროს ჯარს წინ მიუძღვის და გამარჯვებაში ეხმარება. ლაშარი თავის ყმათა მფარველია და ხელმწიფის გარდა თავის ყმებზე არავის გააბატონებსო. ეს უძლეველი მხედარი ლურჯა ცხენზე ზის და თავის ყმებს უხილავად დაჰყვება, რათა ისინი განსაცდელისგან დაიფაროს: "ლაშარელაის ლურჯასა ფაფარი სხავის გიშრისა, შაჯდება, გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა, თავის ყმათ მიეშველება, ხან რომ არ იყოს მისვლისა" (167. 211).

ქეთევან ლომთათიძე უარყოფს "ლაშარის ჯვრის" კავშირს გიორგი ლაშასთან, ეთნოგრაფთა და ფოლკლორისტთა ნაწილის აზრით იგი უთუოდ ლაშქრობის სალოცავია. საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველას თავის წერილში "ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ", რომლის ავტოგრაფიც დაცულია, "ლაშარის" ნაცვლად ნახმარი აქვს "ლაშქარი". იონა ხელაშვილს "კალმასობიდან" მოტანილ ციტატებში ერთ გვერდზე სამ ადგილას უწერია "ლაშარის" ნაცვლად "ლაშქრის", რაც რედაქტორ-გამომცემლებს გაუსწორებიათ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებებს, რადგან ფოლკლორული მასალა აშკარად საპირისპიროს მეტყველებს.

თვით ლაშარის ჯვარს ხევისბერი ხელმწიფედ მოიხსენიებს თავის დამწყალობებაში (დალოცვაში): "გაუმარჯოს ხელმწიფე ლაშარის ჯვარსა,..", რაც აგრეთვე პერსონიფიცირება უნდა იყოს და მისი "ლაშქართან" დაკავშირება არამართებული ჩანს. ფშავის ხევი თავის მტერს ლაშარის მტრად თვლიდა და ლაშქრობაც სამღვთო ხასიათს ატარებდა. ლაშარშივე წყდებოდა ომის და ზავის საკითხი, აქ იყო დიდი ლაშარის დროშა, რომლითაც წინ მიუძღოდა თავხევისბერი ფშავის ხევის ლაშქარს.

თამარ მეფე ითვლება "აქიმ-დედოფლად" და მას ფშავლები შესთხოვენ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. წამლის სახსრად ერთ ზედმეტ ცხვარს წირავენ. მართებულად აღნიშნავს სერგი მაკალათია: "ფშავში ლაშას და თამარის პიროვნების გაღვთიურება და მათი თაყვანისცემის ხატისა და კულტის შექმნა საყურადღებო ისტორიული ფაქტია, რომლის მსგავსი მოვლენა საქართველოს

სხვა კუთხეში არ გვხვდება. ამ გარემოებას რასაკვირველია თავისი პოლიტიკური სტიმული და ისტორიული გამართლება უნდა ჰქონოდა...” (167. 212).

ლაშარის ჯვარი სხვადასხვა ნაგებობათაგან შემდგარი რთული კომპლექსია, მათი უმეტესობა თავისი ფუნქციით აშკარად წარმართობის დროინდელია. მხოლოდ მცირე ეკლესიის (ნიშის) ნანგრევი მოჩანს ქრისტიანობის დროინდელად. სავარაუდოა, რომ არსებულ ჯვარს და დაწესებულ დღესასწაულს გიორგი ლაშამ ახლებური დანიშნულება და ელფერი შესძინა. ამ მოვლენას ასახავს ერთი ლეგენდა: “ერთხელ ლაშარის გორზე ფშაველთა დღეობის დროს, სადაც მთელი ფშავი შეკრებილიყო, მოვიდა ლაშა-გიორგი თავისი მხლებლებით, ფშავლები იმას კარგად გაუმასპინძლდნენ და როცა გიორგი წავიდა, ოქროს ჯვარი გამოუგზავნა. ის ჯვარი შიგნით იყო და გარედან ვერცხლი ჰქონდა გადაკრული. ძალიან დიდი იყო და ინახებოდა ლაშარის ჯვარში. მას შემდეგ დაერქვა ამ სალოცავს ლაშარის ჯვარი” (75. 39). ამას ადასტურებს სოფ. მათურას მცხოვრებ გიორგი თადიაურის გადმოცემაც (თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი, # 25499. 1982 წ. ზაფხული): “ლაშა გიორგის ოქროს ჯვარი მოუტანია ამ სალოცავში (მერე რუსებმა წაიღეს) და ამიტომ ეწოდება ლაშარის ჯვარი, მანამდე წმინდა გიორგი ერქვა”. სავარაუდოა, რომ სწორედ ლაშას ამ სალოცავთან ურთიერთობის შედეგად განდიდდებოდა ეს ადგილი ასერიგად, მანამდე კი ერთ-ერთი და არა ძირითადი სალოცავი იქნებოდა.

საინტერესოა, რომ არსებობს “ლაშარის ჯვრის ნიშიც”. იგი მდებარეობს პირიქით ხევსურეთში, სოფელ ხახაბოს სამხრეთ-დასავლეთით და წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგებ პატარა ზომის კოშკს. დატანებული აქვს შუკუმი, რომლის თავზე დიდი ზომის მობრტყო ბროლის ქვაა (76. 137). ამ ნიშს თუშებიც თავის საკუთრებად თვლიან. თუში ინფორმატორის გადმოცემით: “ყოფილა ქვათალიმთა. აქ მოდენილან ჩაჩნებიცა და თუშებიც. იქ მოსვლიათ ჩხუბი. უხოციათ ერთ-ურთი და თუშებს წამოუღიათ იქიდან ლაშარი-თეთრი ხინჭრიქვა” (11).

დ) ლაშარის ხატი და ლაშარობის დღესასწაული: ლაშარობის დღესასწაულს ჩვენ დავესწარით 2001 წლის 16 ივნისს. ჩავიწერეთ რიტუალი, ხევისბერის დამწყალობნება,.. პირველად, 1898 წელს ლაშარობა აღწერა ივანე ბუქურაულმა. საუკუნოვანი ინტერვალის მიუხედავად, ლაშარობის პროცესი თითქმის უცვლელი სახითაა შენარჩუნებული.

ლაშარის ჯვარი თავისი მდებარეობით წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივ ცენტრს, თვით ფშავი გარშემორტყმულია მხოლოდ მონათესავე კუთხეებით (ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან-ხევსურეთი, სამხრეთიდან-ქართლ-კახეთი, აღმოსავლეთიდან-თუშეთი) და ყველაზე უფრო დაცულია. ალბათ ამანაც განაპირობა ძველადვე ხატობის ადგილად ლაშარის გორის არჩევა.

ფშავის ცენტრალური ხატებია: 1. ლაშარის ჯვარი; 2. საკვირაო; 3. თამარღელის ხატი; 4. დამასტური, წმინდა გიორგის ხატი. ფშავში ითვლება სულ 11 ძირითადი თემი და მეთორმეტეც-

ლაშარის ჯვარში გაფიცულ ხახაბოელ ხევსურთა თემი. ყველა თემს თავ-თავისი ხატი და ხატიონი ჰყავს. ყველასთვის საერთო გამაერთიანებლად კი მეომარი ღვთაება ლაშარი და მკურნალობა-ნაყოფიერების ღვთაება თამარ აქიმ დედოფალი ითვლება.

ლაშარის ჯვრის სალოცავი უკანა ფშავში, მდ. არაგვის ზემო წელში, მარჯვენა სანაპიროზე, დასახლებული ადგილიდან საკმაოდ დაშორებით, ხოშარის და წითელაურთის თემებს შორის, ე. წ. ხმელგორზე ანუ ლაშარის გორზე მდებარეობს და უჭირავს 0,75 ჰექტარი ფართობი. არაგვისკენ ეს მთა ძლიერ დაფერდებული და კლდიანია, მეორე მხარეს კი დაბურული ტყე მოსავს. სალოცავის ტერიტორია ჭალაში ქვის გალავანითაა გარშემორტყმული. გალავნის პირზე მდინარისკენ დგას ლაშარის სალოცავი-სამრეკლო, ოთხკუთხა ძირით. აშენებულია ბაზალტის ქვით, რომელიც ახლომახლო მრავლადაა. სალოცავი ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათიანი შენობაა, გადახურულია თუნუქით. გუმბათის თავზე მრგვალი ბურთი და ზედ ჯვარია. ჯვრის სამივე ბოლო პატარა ჯვრებით ბოლოვდება, მათზე კი ეჟვანი კიდია ჯაჭვით.

ლაშარის ხმელგორის ტერიტორია თემებს შორისაა განაწილებული საკულტო და სამეურნეო-საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებისთვის. მთავარი გალავნით ლაშარის ჯვარი გაყოფილია გარე და შიდა ნაწილებად. გალავნის გარეთაა ჯვარისკარი და მისი ფუნქციური ნაგებობები: სამსხვერპლო, საკურთხეველი (ქადა-კვერის საწირი ანუ სასუფეველი) და სასანთლე კოშკი. ხოლო ამ ნაგებობათა ირგვლივ წმინდა იფნები, რომელთა ტოტებზე ჩამოკიდებულია სამსხვერპლოს ნაწილები და შენაწირები; მეორეს მხრივ, ღია და დაფარული საჯარეები, განკუთვნილი თემებისთვის. აქვეა სალოდე საკოდითურთ და საყეენო. გალავნის შიდა ტერიტორიაზე, რომელიც ჯვარის წმინდა ნაწილს წარმოადგენს და სადაც ხატიონის გარდა ვერავინ შევიდოდა, მოთავსებულია: საზარე კოშკი, სამნები, ოდესღაც სათაყვანებელი ბერმუხის "საფენი". იქვე ახლოსაა საუნჯე, საბერო, საზარე-მარანი გალავნითურთ და ბჭე-ხევისბერთა საბჭოს ნაგებობა, რომელიც მოიცავს საკურთხეველს და ბჭე-ხევისბერთა სკამებს (75. 39-40).

სალოცავის წინ, გალავანს გარეთ, დიდი ორმოა ამოთხრილი. აქ სამსხვერპლო კურატებს კლავენ, სისხლს კი ორმოში უშვებენ. გალავნის შიგნითაა პატარა სამრეკლო. აქ ადრე ინახებოდა რევაზ არაგვის ერისთავის შემოწირული ზარი (მხედრული წარწერით: "ქ. ესე ზარი შემოგწირე მე: ერისთავმა რევაზ შენ: წმინდა გიორგის ლაშარის ღმერთო ადღეგრძელე მისი დამწერი"). ძველი განძეული ლაშარის ჯვრისა, შემოწირული საქართველოს მეფეებისგან და სხვა, ძირითადად განიავდა ნუგზარ ერისთავის და ქისტების შემოსევებისას. საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენს 2001 წლის ივნისში ეთნოგრაფიული ექსპედიციის (ამერიკელი ქართველოლოგის ქევინ თუითის და პაატა ბუხრაშვილის შემადგენლობით) მიერ მიკვლეული, წინა წელს სალუდე დარბაზის გაწმენდისას ფშავლების მიერ აღმოჩენილი ჯვარი, რომელიც ვალერი სილოგავამ წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებით დაათარიღა XI-XII საუკუნით. ჯვარზე არსებული წარწერა: "ნპი აშენე

ღ(მერთ)ო. ესე ჯ(უა)რი გეგსეურთ შეაჯ(ერ)ე და სწყ(ა)ლობდი. (-)ელ მაზოძის მამიას ცოდვანი შეუნდვენ ღმერთმან. შემწენი ამასცა სწყალობდი. ქრისტე მე ამისი მწერელსაზ ცოდვანი შემიდნა ღმერთო. ვინ-ვინცა მოგუიჴსენოთ, თქუენცა შეგინდვენ ღმერთმან, ამენ ღმერთო". წარწერა მარცხენა მკლავზე: "წმიდაო წყაროსთაველთ ბვეს-გდამისსა-ნაორთა" (102. 266-267).

ლაშარის ჯვრის პირდაპირ ტყიანი მთის წვერზე დგას თამარ დედოფლის ხატი, გარშემო არტყია გალავანი. შიგნით ხატის საღმრთო ჭალაა-მისი შეურაცხყოფა თავის დაწყევლას ნიშნავს. გალავნის აღმოსავლეთით ფერდობი მოსწორებული და ქვის ყორით გამაგრებულია. ყორედან მლოცველებისთვის გამოშვერილია სკამები. გალავნის სამხრეთით ქვის სახლია დეკანოზების დროშებისათვის, იქვეა ქვევრები ზედაშე ღვინით. ცალკე დგას ლუდის გამოსახდელი სახლი. გალავანში 2 სამრეკლოა: ერთი ქვისაა, კირით შელესილი, გუმბათიანი, ორი დიდრონი ზარი კიდია. მეორე ხისაა. გალავნის შესასვლელთან ასვენია ხატები, იქვეა სამსხვერპლო.

ლაშარობის რიტუალი იწყება მსხვერპლად შემოწირული კურატების დაკვლით (ეს უშუალოდ ხევისბერის ფუნქციაა), შემდეგ ხდება დამწყალობნება. მფერხავები ცეკვავენ ფერხულს. საღამოს მლოცველები ჩადიან არაგვის პირზე, სადაც გრძელდება ლხინი და ღამისთევა. მეორე დილით კი ადიან თამარღელეზე (თამარ მეფის ხატში).

ლაშას სახელს უკავშირდება ფშავში წაწლობის შემოღება. სერგი მაკალათიას ცნობით ფშავლებს მისთვის განუმარტიათ, რომ ეს ჩვეულება მამა-პაპურია და განწესებულია ლაშა-გიორგის მიერ, რადგან თამარ მეფის დროს ლამაზ შთამომავლობის გამრავლებისათვის ლამაზ ქალ-ვაჟებს ერთად აწვენდნენ. წაწლობა ფშავში ლაშა გიორგიმ განამტკიცა და ლაშარობის დროს მიღებული იყო საზოგადო წოლა. ფშაველთა შეხედულებით ლაშარის ჯვარი ქალთან დაწოლას არ უშლის, რადგან თვითონაც მოქეიფე და ქალების მოყვარული იყოო. ამის გარდა წაწლობის შესახებ ფშავში არსებობს სხვა თქმულებაც, რომელიც ადასტურებს მის სიძველეს. ერთხელ ლაშა ფშავის ხევში ყოფილა, სადაც მისი ნიშია. იქ აუშენებია ეკლესია და განუწესებია ბერები. მერე იქიდანვე ჩამოსულა ქალაქში და როცა მისმა დამ რუსუდანმა ჰკითხა: როგორ არის ფშავეთის საქმეო? ლაშას უპასუხნია, ეკლესიაც ავაშენე და მწირველი ბერებიც დავადგინეო, "წაწლობა სცოდნიყო ფშავლებს, კინაღამ მომატყუეს მეცა და დამჩვიესო" (166. 5). ლაშარობის ხატობას უკავშირდება საღვთო წაწლობა, როდესაც თვით ხატის ქალები და კაცები ერთმანეთთან წაწლობენ და აგრეთვე ის გადაჭარბებული საზოგადო სიმთვრალე და ლხინი, რომელსაც მეხატენი ექსტაზში მოყავს (166. 24).

ამრიგად ზემოთმოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი ლაშას განსაკუთრებულმა პოლიტიკამ მთის მოსახლეობისადმი განაპირობა მისი კულტის დამკვიდრება მთაში, განსაკუთრებით ფშავის რეგიონში. ეს კულტი გარკვეული მიზეზების გამო თამარ მეფის კულტზე მაღლაც კი იდგა. მეფის დაკავშირებას წმინდა გიორგის სალოცავთან მისმა სახელმაც შეუწყო ხელი და მოხდა სინკრეტიზება მეფე გიორგი ლაშასი ლაშარის წმინდა გიორგის ხატთან.

## 8. გიორგი ლაშას საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა

*ა) ე. წ. "ვერცხლის კრიზისი" და გიორგი ლაშას საფინანსო პოლიტიკა:* XI ს-ის დასაწყისში მთელ აღმოსავლეთს მოედო "ვერცხლის კრიზისი", სელჩუკების შემოსევის შემდგომ აღარ იჭრებოდა ვერცხლის ფული, დაბალსინჯიანი ვერცხლის მონეტაც კი იშვიათობად იქცა. დაიწყო სპილენძის მონეტების ემისია, თუმცა მისი სახელწოდება "ფელსი" გაქრა და მონეტას ეწოდა დირჰემი (მანამდე მხოლოდ ვერცხლის მონეტის სახელი). მისი ნომინალური ღირებულება ბევრად მაღალი იყო საკუთრივ ლითონის რეალურ ღირებულებაზე.

სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოც გადავიდა სპილენძის მონეტის ემისიაზე, თუმცა იგი ისევ "ვერცხლად" იწოდებოდა და ოქროს შეეფარდებოდა-1:13. ქართულ ნუმიზმატიკაში სპილენძის ხანა ყველაზე გვიან დაიწყო (1118 წ.) და ყველაზე ადრე დამთავრდა (1230 წ.) (137. 70). ნიშანდობლივია, რომ ეს ხანა საქართველოს განსაკუთრებული ძლიერების პერიოდს ემთხვევა, ვერცხლის ემისიის განახლება კი სწორედ სამეფო ხელისუფლების დასუსტებას უკავშირდება. ამ ერთი შეხედვით პარადოქსული ვითარების მიზეზი ჩვენი აზრით ქართული სახელმწიფოს სამხედრო-ფეოდალური ბუნებაა.

საქართველოში არ აწარმოებდნენ ძვირფას ლითონებს და უცხოეთიდან შემოჰქონდათ (რუსთველი ოქროს ანუ "წითელს" უწოდებს მაღრიბულს, ე. ი. დასავლეთიდან შემოტანილად თვლის), როგორც ბიზანტიიდან (ოქროს დუკატები და ბოტინატები), ისე სამხრეთის მაჰმადიანური სამფლობელოებიდან (ოქროს დრაჰკანები და ვერცხლის დრამები ელდეგუზიანთა, აიუბიანთა, ართუკიანების).

XII-XIII სს-ში საქართველოს სახელმწიფომ ვერ შეძლო პოლიტიკურად შემომტკიცებული ტერიტორიების ეკონომიკური ექსპანსია. ქართული ფეოდალიზმის ბუნებიდან გამომდინარე ომის გაგრძელებისთვის აღარ არსებობდა შესაფერისი ეკონომიკური საფუძვლები, რამაც სახელმწიფო აიძულა უარი ეთქვა აქტიური საგარეო პოლიტიკის გაგრძელებაზე. სწრაფად მზარდი საქართველოს სახელმწიფოს ფინანსური მოთხოვნილებების ვერცხლით შესრულების სირთულემ თუ შეუძლებლობამ განაპირობა სპილენძის მონეტის შემოტანა.

სპილენძი ადგილობრივ მოიპოვებოდა და დიდ საერთაშორისო ვაჭრობასთან არ იყო დაკავშირებული. დაპყრობითი ომები დიდ ხარჯებს მოითხოვდა, მხოლოდ ალაფით ხაზინის შევსება შეუძლებელი იყო. დეფიციტის დაფარვა და ომებისა თუ სხვა ხარჯების დაფინანსება მონეტის გაფუჭებით უნდა მომხდარიყო. მონეტის გაფუჭების 3 ძირითადი ხერხიდან (1. ძვირფასი ლითონის წილის შემცირება მონეტაში; 2. მონეტის წონის შემცირება ნომინალური ღირებულების შენარჩუნებით; 3. შეცვლა არაძვირფასი ლითონის მონეტით და ნომინალური ღირებულების შენარჩუნება-231. 99) საქართველოში XI ს-ში ეტაპობრივად იყენებდნენ პირველ და მეორე ხერხს.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოღვაწეობის წარმატება გაცილებით რადიკალურ ეკონომიკურ ნაბიჯს მოითხოვდა. დავითმა მესამე ხერხს მიმართა, ამით მან გარდა სახელმწიფოსგან დაგეგმილი და მართვადი საფინანსო სისტემის შექმნისა, ბრუნვიდან ამოღებული ოქროს და ვერცხლის მონეტებით და მათი ხაზინაში აკუმულირებით შექმნა სახელმწიფო განძი- ”ოქროს მარაგი”. შემთხვევითი როდია, რომ “ვეფხისტყაოსანში” სიმდიდრის გამოხატულება სწორედ ძვირფასი ქვებია (33. სტრ. 109), დრამად კი სპილენძის ფული იხსენიება.

ჩვენი აზრით დავითის სამონეტო რეფორმა მხოლოდ ე. წ. “ვერცხლის კრიზისით” არ იყო გამოწვეული. დავითმა ქვეყანაში არსებული ოქრო-ვერცხლის მთელ მარაგს სამეფო ხაზინაში მოუყარა თავი, თავისთავად ცხადია ფინანსების ამგვარ აკუმულირებას ძალადობრივი ხასიათი ექნებოდა, დავითმა საკუთარი სპილენძის მონეტის გამოშვებით ფეოდალებს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ბიზანტიისადმი ეკონომიკური დამოკიდებულება მოუსპო, ხოლო ქვეყნის შიგნით არსებული თვითნებური საბაჟოების გაუქმებით სავაჭრო შემოსავლები მთლიანად ხაზინას დაუქვემდებარა. ეს ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის გადადგმული ნაბიჯები იყო.

დავითის ამგვარი მოღვაწეობა იკითხება ჩვენის აზრით “გალობანი სინანულისანის” ერთ ადგილზე, სადაც დავითი უფალს პატიებას შესთხოვს, სწორედ ამგვარი ძალადობრივი მოქმედების გამო: “ვეცხლი ვითარცა მიწა და ოქრო ვითარ თიხა უბნისა ვიუნჯენ და თაყუანისვეც ანგარებისა მამონას, ვითარცა იგი ძუელთა მათ ბაალს, ასტასტეს და ქამიოსს საძაგელსა”.

სწორედ დავითის რეფორმის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო საქართველოს სახელმწიფოს საფინანსო სისტემაში “ორმაგი ხაზინის” პრინციპი, რაც გულისხმობდა სალაროს და საჭურჭლეს შორის იმგვარ განსხვავებას, რაც დაფიქსირებულია “ხელმწიფის კარის გარიგებაში”. სალაროში ინახებოდა ე. წ. “ოქროს მარაგი” ანუ განძი, “და უც სალაროს ოქროს ჭურჭელი ანუ ვერცხლისა სახმარებლად სანიადაგოდ არ უნდა და შეკრული სალაროსა ძეს”. სალაროდან თანხის გატანა მხოლოდ განსაკუთრებით დიდი ხარჯის გასასტუმრებლად ხდებოდა ოქროს ზოდების სახით (ოქრო უჭედელი). ხაზინის შესავალ-გასავალის მოძრავ ნაწილს წარმოადგენდა საჭურჭლე. შესაბამისად სალარო ექვემდებარებოდა მეფის მეურნეობის განმგებელს-მსახურთუხუცესს, ხოლო საჭურჭლე ფინანსთა მინისტრს-მეჭურჭლეთუხუცესს.

ამდენად ის საფინანსო პოლიტიკა, რომელიც დავით აღმაშენებლის სამონეტო ემისიით ჩამოყალიბდა თავისი დროის მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეფორმას წარმოადგენდა, რომლის მიზანიც ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის ეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება იყო. აღნიშნული პოლიტიკა გაგრძელდა გიორგი ლაშას მეფობაშიც. დავით აღმაშენებლამდე საქართველოში მხოლოდ სპარსული და არაბული ვერცხლის მონეტების ან მათი მინაბაძების მიმოქცევა ხდებოდა. დავითის რეფორმით დამკვიდრდა ვერცხლის დრამის ექვივალენტური სპილენძი ფული და ვიდრე რუსუდანამდე (1230 წ.) ვერცხლის მონეტა აღარ მოუჭრიათ (257. 586).

სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ალაფი, რომლის 20 % მიდიოდა სამეფო ხაზინაში და ყოველწლიური ხარკი და გადასახადები. გიორგი ლაშა აგრძელებდა წინამორბედთა ალაფობის და ამით ხაზინის შევსებას პოლიტიკას. მეფემ განძის ათაბაგს ტყვეების გათავისუფლების სანაცვლოდ, ზავის ანგარიშში და მომავალი ხარკის საწინდრად აურაცხელი თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლი გამოართვა (20. 154). ქვეყნის შიგნით გადასახადების აკრეფას უზრუნველყოფდა მოხელეთა მრავალრიცხოვანი აპარატი (მაწყინარი, მესახმარე, მესაბანჯრე, მენუკვარი, მეგოდრე, მეულუფე, მეჯამე), რომლებიც გიორგი ლაშას სიგელებშიც გვხვდება (28. 106-110). ხაზინაში მნიშვნელოვანი იყო ქალაქებიდან შესული გადასახადების წილიც. სანახევროდ სახარაჯოდ დიდმოხელისათვის გაცემული ქალაქიდან შემოსავლის მხოლოდ ნახევარი შედიოდა ხაზინაში. საპატრონოდ (ე. ი. საკუთრად) გაცემული ქალაქიდან ხაზინაში თანხები საერთოდ არ შედიოდა.

ბ) გიორგი ლაშას სამონეტო ემისია: XI-XII სს-ში მონეტის გარეგნობა მკვეთრად შეიცვალა. ხშირად იგი შემთხვევითი ფორმის და მოყვანილობის სპილენძის ფირფიტებზე იჭრება. დემეტრე I-დან რუსუდანის რეფორმამდე (1227 წლამდე) ხშირია ამგვარი უწესოდ მოჭრილი სპილენძის ფული. გიორგი ლაშას დროს მოჭრილ მონეტებს აქვთ თევზის, მერცხლის და ნახევარმთვარის ფორმა (286. 97).

ლაშას გამეფების აღსანიშნავად მოჭრილ მონეტაზე სრულად გამოსახულია თვით მეფის ფიგურა, ხელში ლაბარუმით, რაც ბიზანტიური მონეტების ტიპს მიაგავს და XIII ს. 20-30 წწ. ტრაპიზონულ ასპრებზე ფიქსირდება. საინტერესოა, რომ იმპერიის ხანის ქართულ მონეტებზე მხოლოდ 3 შემთხვევაა მეფეთა გამოსახულებისა (დავით IV, გიორგი III, გიორგი IV). სამივე მეფის მოღვაწეობა ერთგვაროვანია: აგრესიული საგარეო პოლიტიკა და ძლიერი ცენტრალისტური საშინაო პოლიტიკა. შესაძლებელია მონეტაზე საკუთარი გამოსახულების დატანა სამივე შემთხვევაში სწორედ ამის ხაზგასმაა.

XII-XIII სს. ქართულ მონეტებზე ამოკვეთილი არაბული წარწერები და უცხო სულტნების სახელები. ალ-ფარიკის გადმოცემით დავით აღმაშენებელმა ახალი ტიპის მონეტა მოჭრა, რომელზეც ხალიფას, სულტნის, ალაჰის და მუჰამედის სახელები იყო ამოტვიფრული (108. 93). ევგენი პახომოვი თვლიდა, რომ ეს აღმოსავლურ სახელმწიფოთა გავლენით და მუსლიმური ელემენტის სიძლიერით იყო განპირობებული (286. 75). ივანე ჯავახიშვილმა ეს ფაქტი ახსნა (და შემდგომში სხვებმაც: დ. კაპანაძე, დ. ლანგი,.. გაიზიარეს), ფულის კონვერტაციით და თბილისის საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაბმით. გიორგი ლაშას მონეტებს შორის ორიგინალობით გამოირჩევა 1210 წლის მონეტა, სადაც სპარსულ წარწერაში თარიღი მოტანილია არა ჰიჯრით, არამედ ქორონიკონით, რაც ადასტურებს მის გავრცელებადობას საქართველოს დაქვემდებარებაში მყოფ ისლამურ ქვეყნებში.

ჩვენამდე მოღწეულია გიორგი ლაშას სახელით მოჭრილი 4 სპილენძის მონეტა, რომელთაგან 3 ნომინალი წესიერად, ერთი კი უწესოდაა მოჭრილი (229. 37).

1. თანამეფობის პერიოდის მონეტა. წონა-5,24 გრ, დიამეტრი-24 მმ. ავერსი ქართული წარწერით: "ქრისტე გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთუფლისა"; რევერსი არაბული წარწერით: "მეფე უმაღლესი, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი".

2. 1210 წ. მონეტა. წონა-13,35 გრ, დიამეტრი-24 მმ. ავერსი ქართული წარწერით: "გიორგი ძე თამარისი სახელითა ღვთისაჲთა იქნა ჭედაჲ ვერცხლისა ამის ქორონიკონსა 430"; რევერსი არაბული წარწერით: "მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი", გარშემო სპარსული ზედწერილი: "სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვერცხლი წელსა 430".

3. ანალოგიური უწესოდ მოჭრილი 1210 წ. მონეტა. წონა-37,75 გრ, დიამეტრი-15/62 მმ. ავერსი ქართული წარწერით: "გიორგი ძე თამარისი, სახელითა ღვთისაჲთა იქნა ჭედაჲ ვერცხლისა ამის ქორონიკონსა 430"; რევერსი არაბული წარწერით: "მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი", გარშემო სპარსული ზედწერილი: "სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვერცხლი წელსა 430".

4. 1210 წ. მონეტა. წონა-5,6 გრ, დიამეტრი-24 მმ. ავერსზე ლაშას გამოსახულება საიმპერატორო ინსიგნიებით და ქართული წარწერა: "გიორგი ძე თამარისა, ქორონიკონი 430"; რევერსი არაბული წარწერით: "მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიისა. წელსა 606".

ნუმიზმატ ისტორიკოსთა ნაწილი სამონეტო ემისიას რამდენიმე ქალაქში: თბილისი, დმანისი, ქუთაისი, ახალციხე, ვარაუდობს (193. 37; 137). ერთიანი სახელმწიფოს და მკაცრად ცენტრალიზებული საფინანსო პოლიტიკის პირობებში ამდენი ზარაფხანის არსებობა სახელმწიფოში ნაკლებად სავარაუდოა. რაც შეეხება გიორგი ლაშას უფლისწულობის დროინდელ "ვერცხლად" წოდებულ სპილენძის მონეტას (257. 550). ვინაიდან მისი აღმოჩენის არეალი არ სცილდება ჯავახეთისა და თრიალეთის დომენს და შესაბამისად ამ სივრცეში კონვერტირებდა, შესაძლებელია ვარაუდი, რომ თუ იგი არ მოიჭრებოდა თბილისში, მაშინ მისი მოჭრის ადგილი შეიძლება დმანისი ყოფილიყო. მითუმეტეს, რომ მონღოლების დროს აქ დავით ნარინის სახელით დმანური ფული მოიჭრა და ამგვარი სერიოზული ემისია გარკვეული ტრადიციის და წინაპირობის გარეშე ალბათ არ განხორციელდებოდა. ამასთან ცნობილია გიორგი ლაშას განსაკუთრებული დამოკიდებულება დმანისისადმი. დმანისი შუა საუკუნეების ერთ-ერთი გამორჩეული სამეფო ქალაქია და აქ ზარაფხანის არსებობა გიორგი IV-ის დროს სრულებით დასაშვებია. ჩვენ არ გვეჩვენება დამაჯერებლად ვერსია ალასტანში ზარაფხანის არსებობაზე (190. 37), რადგან ეს ქალაქი არ იყო იმ მასშტაბის პოლიტიკური ცენტრი, რომ აქ სამონეტო ემისია განეხორციელებინათ, მითუმეტეს რომ ამის სასარგებლოდ არ მეტყველებს არც შემდგომი ნუმიზმატიკური ტრადიცია.

გიორგი ლაშას სამონეტო პოლიტიკის განსაზღვრისათვის ყურადღება იქცევს ანისის ქართულ ეკლესიაზე განთავსებული კათალიკოს ეტიფანეს წარწერა, სადაც აშკარად ორი ტიპის მონეტაზეა საუბარი: დრამი და ტფილური (276. 54). შესაძლებელია ეს დრამი იყოს ილდეგიზიანთა ან სხვა რომელიმე მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულის ფული, რომელიც საქართველოს სახელმწიფოში შემომავალ არაქართულ თემებში ქართულ ფულთან ერთად პარალელურ ბრუნვაშია, მითუმეტეს რომ ანისი იმ ხანად სულ ოციოდე წლის განთავისუფლებულია მაჰმადიანთა ბატონობისაგან და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია პარალელური ვალუტის არსებობა. ქართული ფულის სომხურ თემებში ფართო გავრცელებაზე მოწმობს მხითარ გოშის "სამართლის წიგნი", სადაც საქართველოს მეფეთა სახელით მოჭრილ ფულს "ჩვენს ფულს" უწოდებს.

გ) გიორგი ლაშას ეპოქის საქალაქო ცხოვრება და ქალაქური მენტალიტეტი: XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ქალაქები უკვე ჩამოყალიბებულია, მათში ჩნდება წამყვანი ელემენტი. თუმცა საგარეო პირობებმა ხელი შეუშალა მათ განვითარებას. საქართველოში გიორგი ლაშას დროს დაახლოებით 35 ქალაქი უნდა ყოფილიყო, მათგან უმნიშვნელოვანესები იყვნენ: ახალქალაქი, დმანისი, ახალციხე, სამშვილდე, რუსთავი, თელავი, ჟინვანი, გორი... (108. 13). იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონში 2 ქალაქია დამოწმებული საქართველოდან: ტფილისი და ხუნანი.

იბნ-ისფანდიარის "თარიხე ტაბარისტანში" (1216 წ.) ბაღდადურ და ბიზანტიურ ქსოვილთან ერთად ტფილისურიც იხსენიება. "აჯაიბ ად-დუნიას" თანახმად ტფილისში მრავალი ბაზარია. ტფილისელი ხელოსნები გვხვდებიან მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში, რაც ტფილისის საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდით შეიძლება აიხსნას (108. 90). "ტფილისის მცხოვრებნი მუსლიმები არიან, ზევრია მეჩეთი. იქაური ქალები სახეს არ იფარავენ, გარდა მუსლიმებისა" (22. 28). ამ ცნობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად საუკუნოვანი თავისუფლებისა მუსლიმი მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოდაა ქალაქში. თუ ჟამთააღმწერლის ცნობასაც გავითვალისწინებთ, 1226 წელს ქალაქში 100 000 მარტო ქრისტიანი უნდა ყოფილიყო.

ტფილისური მენტალიტეტის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებდა მუსლიმური ელემენტი და კულტურა. X საუკუნიდან მოკიდებული არაბულ ენას, როგორც ერთიანი ისლამური კულტურის საფუძველს და წარმმართველს კონკურენციას უწევს სპარსული. თანდათანობით აღმოსავლური ისლამი ორენოვანი ხდება, არაბული რელიგიის და მეცნიერების ენად ითვლებოდა, სპარსული მხატვრული მწერლობის და კულტურის ენად.

აღორძინებული სპარსული ენა ისეთივე გამაერთიანებლის როლში აღმოჩნდა მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროსთვის, როგორც წინამორბედი არაბული. მაგრამ ამ ერთიანობისთვის უფრო მეტი შინაგანი თავისუფლება, სხვადასხვა სოციალური და რელიგიური ჯგუფების აქტიურობა იყო დამახასიათებელი. არაბული პოეზიისაგან განსხვავებით ახალ

სპარსულ პოეზიას არ ჰქონდა ქალაქურ ყოფასთან შეგუების პრობლემა, რადგან ის სწორედ ქალაქური კულტურის წიაღში აღმოცენდა (82. 82).

XI-XII სს-ის ავტორთა ნაწარმოებებში (ნიზამი განჯევი, მაჰსითი განჯევი) წამყვანი ადგილი უკავია პატიოსანი და მშრომელი ადამიანის პოეტიზაციას. მჭიდრო კავშირია ქართულ კულტურასთან. ნიშანდობლივია მოსაზრება, რომ ნიზამი ტფილისში ახლდა შირვან-შაჰ აღსართან II-ს და თამარ მეფესთან დარბაზობისას გამართულ ლიტერატურულ პაექრობაშიც ღებულობდა მონაწილეობას (138. IV. 83).

სპარსული ენა იმ ხანად ძლიერ მოდური იყო და ყველა, ვისაც კულტურის ასპარეზზე დაწინაურება და სახელის მოხვეჭა სურდა, სპარსულად წერდა პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს (106. 13). ჩვენი აზრით სპარსული ენის მიერ არაბულის ჩანაცვლებასა და სპარსულის დიდ გავლენას უნდა მეტყველებდეს შოთა რუსთაველის ცნობილი “ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები”. თანამედროვე საზოგადოებას თავმოსაწონებლად მიაჩნდა სპარსული ლიტერატურის ეპიგონობა და გენიალურ პოეტს ყურადღების მისაქცევად შესაძლებელია სწორედ ამ ხერხის გამოყენება დასჭირდა.

შუა საუკუნეების ქართული ქალაქი ინტერკონფესიური მოვლენაა. XIII ს-ის სპარსული გეოგრაფიული თხზულება “აჯაიბ ად-დუნია” ტფილისთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მისი მცხოვრებნი მუსლიმები არიან (იგულისხმება მნიშვნელოვანი ნაწილი) და ქალაქში მრავლადაა მეჩეთი (22. 28). ამასთან დიდვაჭართა ეთნიკური სიჭრელე ზღუდავდა მათ კავშირს ქვეყნის ეკონომიკასთან. ქალაქი ნაკლებად იყო სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი (გავიხსენოთ თუნდაც ჯალალ ედ-დინისთვის ტფილისის დათმობა მაჰმადიანი მოსახლეობის მიერ) და არც მესამე ფენის ანუ თვითმმართველობის წინამორბედი ვაჭარ-ხელოსნური ამქრების სიძლიერით გამოირჩეოდა. თუმცა მუსლიმ ვაჭართა ფენების თანდათანობით გააქტიურება XII ს-ის ბოლოსკენ საგრძნობია (გავიხსენოთ ზანქან ზორაბაბელის დიპლომატიური მისია, “ვეფხისტყაოსანში” ვაჭართუხუცესი სამეფო კარზე შინაურ კაცად ითვლება). ამით არის გამოწვეული, რომ რაინდთა აპოლოგეტი რუსთველი იძულებულია “ვეფხისტყაოსანში” დიდი ადგილი დაუთმოს ვაჭრებს, თუმცა შემთხვევას არ უშვებს ხელიდან მათ დასაცინად.

ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები იმთავითვე საერო არისტოკრატიის გავლენაში მოექცა (ნიკო ბერძენიშვილის აზრით ყველა ძირითადი ქალაქი სამეფო იყო-90. 13), “ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში არ განვითარდა დამოუკიდებელი საქალაქო თვითმმართველობა, არ წარმოიშვა ე. წ. ქალაქ-რესპუბლიკა” (174. 106). ქალაქი მეფის ან მსხვილი ფეოდალის ხელშია. ეს უკანასკნელი ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა თამარის დროიდან, როდესაც ფეოდალები ახერხებენ არაერთი ქალაქი გამოგლიჯონ სამეფო ფონდს და თვითონ

დაიკავონ "სამამულოდ" თუ "სახარაჯოდ". 1223 წ. ივანე მხარგრძელი რომის პაპისადმი წერილში აღნიშნავს: "ჩემი ძმისწული შანშე, პატრონი 15 ქალაქისა..."

რეალურად ვინ მართავდა ქალაქს? ალ-ფაკიჰი საუბრობს XII ს-ის 70-იან წლების ტფილისში არსებულ "კეთილშობილთა ჯგუფის" და "ტფილისის ხალხის" შესახებ (108. 7). მუსლიმურ ქალაქებში ამგვარი მმართველობა ყალიბდებოდა ქალაქის მოსახლეობის აჯანყების წარმატების შედეგად. ეს პროტესტანტი ელემენტები სუფიური მოძღვრების გარშემო ერთიანდებოდნენ. მათ შორის გამორჩეულნი იყვნენ "ჯევანმარდ" (სპარს. ახალგაზრდა) და "ფითიან" (არაბ. ახალგაზრდა). ფითიანები, რომლებიც ძირითადად ხელოსნებისა და წვრილი და საშუალო ვაჭრებისგან შედგებოდნენ, ცნობილნი იყვნენ თავისი გამტანობით, ბრძოლისუნარიანობით, ურთიერთმეგობრობით, რასაც დაპირისპირებული მხარეები ხშირად იყენებდნენ სამოქალაქო ომისას. მოგვიანებით "ფითიანები" ხდებოდნენ როგორც ვაჭართა წრიდან გამოსული რაისები, ისე ფეოდალები. XI ს. ბოლოს ჩნდება ტერმინი "რინდ", რომელიც ქალაქის უფრო დაბალ ფენებთან იყო დაკავშირებული. მათი საერთო მახასიათებელი ნიშანი იყო ხალხთან სიახლოვე და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა, თავისებური რაინდული კოდექსი, რაც გულისხმობდა სუსტების და ქვრივ-ობლების მფარველობას, სამართლიანობის დაცვას... (105. 146).

აღმოსავლეთის ქვეყნებში არაერთი მბრძანებელი კეთილმოსურნე ურთიერთობით იყო დაკავშირებული ამგვარ საზოგადოებასთან. სუფიურ-დერვიშულ ორდენებთან და საქალაქო "ასაბიებთან" ურთიერთობა ითვლებოდა არა საძრახის, არამედ რაინდულ საქციელად, ღვთისნიერ ქველმოქმედებად და ვაჟკაცურ "ჯევანმარდობად". გიორგი ლაშაც, როგორც ჩანს, ძლიერ იყო მოწადინებული ქალაქის შიგნით შეექმნა თავისი დასაყრდენი ჯგუფები. ამგვარი ჯგუფები "ქართლის ცხოვრების" მიხედვით ჩანს დავით აღმაშენებლის (სუფიები) და გიორგი ლაშას (რინდები) გვერდით (108. 99).

ქართულ ქალაქებში, კერძოდ ტფილისში, ამ ჯგუფების შეკრების ადგილები, მსგავსად აღმოსავლური ქალაქებისა, "ხანაგები" უნდა ყოფილიყო. "აღმოსავლური წყაროებიდან აშკარაა, რომ ხანაგა რელიგიურ დაწესებულებას წარმოადგენდა... საკულტო რიტუალის გარდა, რომელიც ხანაგაში სრულდებოდა, აქ იმართებოდა რელიგიური სჯა-ბაასი და კამათიც... ხანაგაში დერვიშთა შეიხების მიერ თავისებური პოეზიაც კი შეიქმნა, რომელიც ხანაგურის სახელით შევიდა სპარსულ ლიტერატურაში. ხანაგები ეწეოდნენ ქველმოქმედებას, საჭმელს ურიგებდნენ მათხოვრებს, წელიწადში ერთხელ კი ტანსაცმელს. როგორც ჩანს ხანაგა იყო ერთ-ერთი საშუალება სოციალური იდეოლოგიის გავრცელებისა ქალაქის ფართო ფენებში" (108. 128).

ქართულ სინამდვილეში ხანაგის არსებობას ადასტურებს ამ სიტყვის ორგზის მოხსენიება "ვეფხისტყაოსანში". ივ. ჯავახიშვილი მას განასხვავებდა სპარსულ-აღმოსავლური დაწესებულებისგან და მხოლოდ "მგზავრების ჩამოსასხდომ, ურესტორნო სასტუმროდ" მიიჩნევდა.

რ. მეტრეველმა განავრცო ეს თვალსაზრისი და დასაშვებად მიიჩნია ქართული ხანაგის მსგავსება სპარსულთან, “მოხეტიალე ღარიბ-ღატაკებისა და გლახაკების თავშესაფარად” (178. 59). ჩვენი მხრით დავსძენდით, რომ თუ ყველა არა, ერთი ხანაგა მაინც იქნებოდა ტფილისში აღმოსავლური ხანაგების მსგავსად “რინდთა” და სხვა მსგავს სოციალურ დაჯგუფებათა ნავსაყუდელი, რადგან მათ უეჭველად უნდა ჰქონოდათ თავშეყრისათვის აუცილებელი იზოლირებული თავშესაფარი. ეს საკმაოდ ნათლად იგულისხმება ჟამთააღმწერლის მონათხრობში. ასეც რომ არ იყოს, მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისეთი შეკრებებისათვის, როგორიცაა ჟამთააღმწერლის მიერ აღწერილი შემთხვევა, როცა ატეხილ ჩხუბში მეფე ჩაითრიეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მაჰმადიანთა თავშესაყარი მეჩეთები ვერ გამოდგებოდა.

ამგვარად აღმოსავლური ელფერის სოციალურ ჯგუფთა არსებობა ტფილისში XII-XIII სს-ის მიჯნაზე ფაქტია. თავად აღმოსავლურ ქალაქებში მსგავსი ორგანიზაციების დასაყრდენს ღარიბ-ღატაკთა ფენები წარმოადგენდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დასაბუთებულია “გლახაკთა” არსებობა, მისი წარმოშობის მიზეზები (178. 281). ჩვენი აზრით სწორედ გლახაკთა ფენა იქნებოდა საუკეთესო წყარო მსგავსი ორგანიზაციების იდეოლოგიის გასავრცელებლად, რადგან დაბალი სოციალური ფენების გამოყენება და მათში ფანატიზმის გაღვივება ყოველთვის იყო და არის ყოველგვარ სექტათა საქმიანობის მთავარი თვისება. დამახასიათებელია “ქართლის ცხოვრებაში” მოტანილი ორი ფაქტი: ყუთლუ-არსლანის დასის ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა უეჭველად იყვნენ დაბალი სოციალური ფენები (13. 105); ჯალალ ედ-დინის შემოსევისას, 1226 წელს, ტფილისელმა მუსლიმებმა ხვარაზმშაჰს გაუადვილეს ქალაქის აღება (20. 175).

მსგავსი დაჯგუფების მზარდი პოტენციური ძალა შეუმჩნეველი არ უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა სცადა საერთო ენის გამონახვა სუფიებთან. ბევრად უფრო საყურადღებოა რინდებთან ლაშა-გიორგის ურთიერთობის ფაქტი. ჟამთააღმწერლის თხზულებით თუ ვიმსჯელებთ, დიდებულთა (კერძოდ, ივანე ათაბაგის და ვარამ გაგელის) ყველაზე მწვავე რეაქცია მეფის რინდებთან ურთიერთობას გამოუწვევია, “არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა” (20. 155). ამდენად ლაშას გადაყენებითაც კი დაემუქრნენ, თუ რინდებთან ურთიერთობაზე უარს არ იტყოდა.

ჩვენი აზრით, მეფის “მემთვრალეობა” ვერ გამოიწვევდა ასეთ გაგულისებულ რეაქციას. ჟამთააღმწერლის ამ სიტყვების მიღმა უნდა იმალებოდეს სულ სხვა მოვლენები. მეფემ როგორც ჩანს სცადა იმ სოციალურ ჯგუფებზე დაყრდნობა, რომელიც მანამდე ძირითადად სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიიმართებოდა (ყუთლუ-არსლანის გამოსვლა,..). ამდენად გასაგებია არისტოკრატიის შიში, მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინა მეფეს ეს დაჯგუფებები.

დ) გიორგი ლაშა და რინდები: XI-XIII სს-ის მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებსა და ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ე. წ. “რონუდ”-

ვიგინდარებს, რომლებიც სელჩუკთა დროიდან არსებობენ. ხელოსანთა ეს გაერთიანება წარმოადგენდა ზერელიგიურ საზოგადოებას, მათთვის დამახასიათებელი იყო დისციპლინა და მკაცრი ორგანიზაცია.

სპარსული ლექსიკონის თანახმად “რინდ” ნიშნავს მოქეიფეს, ლოთბაზარას, მატყუარას, ყალთაბანდს, გარყვნილს,.. მაგრამ ტერმინებით “რინდ” და “რონუდ” აღინიშნებოდა არა ლოთები ან ყალთაბანდები, არამედ სოციალური მოძრაობის მონაწილენი, ვინც წამყვან იდეოლოგიას და დოგმებს უპირისპირდებოდა, მონაწილეობდა ქალაქებში აღმოცენებულ და განვითარებულ სოციალურ მოძრაობებსა და აჯანყებებში,.. მათი არსებობა დამოწმებულია XI ს-ის მეორე ნახევრიდან... “რინდ” და “რონუდ” გამოიყენებოდა ამ მოძრაობის მონაწილეთა დასამცირებლად და დასამდაბლებლად. რინდების იდეოლოგია, შეხედულებები კარგად არის გადმოცემული XII-XIV სს. სპარსულ სუფიურ პოეზიაში. მათი მთავარი მეხოტბე XIV საუკუნის სპარსი პოეტი ჰაფეზია: “როდესაც ჩაუვლი ჩემს საფლავს, სიყვარულით დაიჩოქე. მთელი ქვეყნის რინდები აქ მოვლენ სალოცავად” (187. 93).

ჰაფეზის პოეზია ასახავდა რინდების სოციალურ პროტესტს. რინდებთან თავშესაფარს და ნუგეშს ეძიებდა ყველა უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანი, მათი საკრებულო ერთდროულად თავშესაფარიც იყო და უკეთესობის იმედიც: “ბოროტებით და მაცდურობით აღვსილ წუთისოფელში უსამართლოდ აღზევებულ ბრიყვთა და რეგვენთა ზეიმია, ხოლო ბრძენთ მათ წინაშე სამათხოვროდ გაუწვდიათ ხელი. არაბულ მერნებს ზურგზე ვირის კურტანი ადგათ, ბნელი სიმდაბლე ცხოვრების კანონად გადაქცეულა და ქერის ერთ მარცვლად აღარ ფასობს მგოსნის სიმღერა,... რინდებს და თავზე ხელაღებულებს ღამეს ვუნათებ, როგორც სანთელი”.

რინდების მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფია დევს ჰაფეზის ლაკონურ ფრაზაში: “არც ერთი წამი უღვინოდ, არც ერთი საათი უსიყვარულოდ”. ჰაფეზის კომენტატორთა მტკიცებით, მის პოეზიაში სატრფო-ღმერთის სიმბოლოა, ღვინო-სულიერი ექსტაზისა. ამგვარი ალეგორიულ-მეტაფორული აზროვნების გამოყენება სუფიურ პოეზიაში შესაძლებელია აიხსნას მათი სიფრთხილით სახელმწიფო და მუსლიმური დოგმატიკის წინაშე (289. 6).

ჯელალ ედ-დინ რუმის (XIII ს.) პოეზიაში რინდებთან თანაზიარობის, მათ გვერდით ყოფნის დიდი სურვილი იკითხება: “ტრფობისგან მთვრალი მივენდე რინდებს და მეც რინდი გავხდი”. აღმოსავლურ ქალაქებში იყო “რინდების უბანი”, სადაც მრავალი რჯულის და ერის ადამიანი იყრიდა თავს, დერვიშები, მელექსენი, მუტრიბნი. სანაი (XII ს.) წერს: “რა დაგიშავეს სევდით შეპყრობილმა მიჯნურებმა, რა გესაქმება ჩვენს ზარხოშ უბანთან”. ჯ. დარმშტეტერის აზრით სპარსულ პოეზიაში ღვინის სმა (ე. ი. აკრძალულის მიღება) სიმბოლოა პროტესტისა ფარისეველთა, ადამიანის ბუნების და გონების დათრგუნვის წინააღმდეგ.

XII ს-ის ბოლოდან ტფილისში შემოხიზნული რინდთა ჯგუფებისთვის აქტიური სოციალური ქმედებები აღარ იქნებოდა დამახასიათებელი (105. 136-139, 152-153). ვალერიან გაბაშვილი XIX ს-ის ყარაჩოხელებს სწორედ ამ რინდთა ჩამომავლებად მიიჩნევს, რის მიხედვითაც ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ რინდთა თავყრილობების ხასიათი. ჩვენი აზრით დღევანდელ ქართულშიც აქტიურად გამოყენებადი სიტყვა “გარინდება” (გარინდდა, გარინდული,..) უეჭველად რინდიდან უნდა მოდიოდეს და საფიქრებელია, რომ რინდებისთვის არც რელიგიური მედიტაციები იყო უცხო. ცნობილია, აგრეთვე სუფიური დაჯგუფებების ფსიქოთერაპიული მკურნალობის მეთოდების შესახებ (289. 9).

ამდენად არცთუ უცნაურია მეფის ეს ურთიერთობა რინდებთან. გავიხსენოთ დავით აღმაშენებელიც ინტერესდებოდა სუფიური მოძღვრებით და მაჰმადიანი პოეტებისთვის თავშესაფარიც აუგია, მატერიალური დახმარება გაუწევია და სადღესასწაულო მეჯლისიც გაუმართავს (254. 217). საინტერესოა, რომ სუფიურმა გავლენამ ევროპაშიც კი შეაღწია, ინგლისის მეფე ედუარდ III (1327-1377) გატაცებული იყო სუფიზმით (289. 247).

სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული დამოკიდებულება ქვედა ფენებთან (დავითის მიერ ქსენონის აგება, “საგლახაკო ნაათალის” წილი ხაზინიდან) მიზანმიმართული და სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. “ვეფხისტყაოსანში” გლახაკებზე ზრუნვა სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი. სამეფო ქველმოქმედებას წარმოადგენს ხიდების და ხანაგების მშენებლობა, რაც ქვეყნის შიგნით ვაჭრობის განვითარებას უწყობდა ხელს. ქვედა ფენები სამეფო ხელისუფლების ერთგულ ნაწილს წარმოადგენდა და არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლება მათ იყენებდა შფოთის ან სხვა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა საწინააღმდეგოდ.

## 9. მეფის „მოწინააღმდეგეთა“ და „თანამოჰასაკეთა“ დასები

გიორგი ლაშასთან დაკავშირებულ თანამედროვე თუ გვიანდელ წყაროებში ნათლად იკითხება ის დაპირისპირება, რაც არსებობდა მეფის ძლიერი ცენტრალისტური პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებსა და ლაშასთან დაახლოებულ პირთა ჯგუფებს შორის. გიორგი ლაშა გამეფებისთანავე მიზანმიმართულ პოლიტიკას ატარებდა თამარის დროს დაწინაურებულ და ძლიერ განდიდებულ ფეოდალთა დამცრობის და თავის ერთგულთა აღზევებისთვის.

ა) გიორგი ლაშას "თანამოჰასაკეთა" დასი: ქართულ წყაროებში აშკარად ჩანს გიორგი ლაშას გარშემო შემოკრებილ დიდებულთა ჯგუფი, რომელსაც მოწინააღმდეგე დასის მემატიანე ჟამთააღმწერელი უარყოფითად აფასებს, "განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარნა თანამოჰასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა" (20. 155). ნიკო ბერძენიშვილის აზრით ჟამთააღმწერლის ამ ფრაზის მიღმა უნდა იმალებოდეს ის ფაქტი, რომ ლაშა იყო ცენტრალისტური ტენდენციებისკენ მიდრეკილი ადამიანი, რომელმაც, თუმცა დროებით, მაგრამ მაინც სცადა ერთგვარი რევანში დიდგვაროვანთა პოლიტიკურ წრეებზე. იოანე ბატონიშვილიც ადასტურებს გიორგი ლაშას ამგვარ პოლიტიკას: "სწყალობდა თანაშეზრდილთა და ერთასაკოვანთა თავადთა ძეთა და მათის თხოვნითაცა აღუსრულებდა სათხოვართა სხუათა. და ამას ზედა არამცირედი შური აქუნდათ კარისკაცთა მეფისათა ყრმათა მათზედა და ამხილებდნენ მეფესა" (138. 292).

გიორგი ლაშას შესახებ წყაროთა განსხვავებულ მონაცემებსა თუ ინტერპრეტაციებში ჩანს მათი ავტორების მედასეობა. გიორგი ლაშას მომხრე მემატიანეთა შორის გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა სარგის თმოგველი (დილარიანის ავტორი), რომელიც მოგვიანებით მონღოლთა ყაენის კარზე დავით ლაშას ძის ბანაკის მეთაურად გვევლინება და თავგამოდებით იცავს უფლისწულის პრეტენზიებს: "არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თჳთმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან" (20. 224).

ლაშას მოდასეა ვინმე "ყოველთააღმწერელი", რომელიც მეფის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ მის შესახებ არა ვიცით რა, გარდა იმ ძუნწი შეფასებისა, რასაც ჟამთააღმწერელთან ვხვდებით: "ხოლო მოწევნულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუა ვინმე ყოველთააღმწერელი იტყჳს, ვითარმედ: "ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გუჲკ ყაენმან ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ. და ესრეთ წარმოავლინა და რუსუდანისა ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს. და მე არა შევიწყნარებ ამას" (20. 226).

ლაშასდროინდელი მემატიანე ზოგადად არის ძლიერი მეფის და მტკიცე სამეფო ხელისუფლების აპოლოგეტი, მისთვის მიუღებელია სამეფო კარის ინტრიგები. ამდენად მის

თხზულებაში ნაკლებად იკითხება დაპირისპირებული დასების არსებობა, ცდილობს ამგვარი დაპირისპირების მიჩქმალვას. ამ პრინციპიდან გამომდინარე მემატიანე ცდილობს მეფის ნაკლოვან მხარეებზე არსებული ყოველგვარი ხმები თუ მოსაზრებანი გაფანტოს და აცხადებს: “ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდის” (16. 370). ლაშასდროინდელი მემატიანისათვის მნიშვნელოვანია ძლიერი სახელმწიფო, მოხელეთა ჰარმონიული მოღვაწეობით. მხარგრძელებზე ამბობს: “არცა ყოფილა სხუა ჴელმწიფისა ყმა, ვითარ ესენი, ერთგულად მსახურებითა სჳანნი და გამარჯუებულნი” (16. 368).

გიორგი ლაშას უახლოეს გარემოცვის წევრთა შორის ჩანან: სარგის თმოგველი (ურდოში დავით ულუს მთავარი დამცველი), შალვა ახალციხელი, ივანე ახალციხელი, შოთა რუსთველი (სავარაუდოდ), ქართლის ერისთავი სულა სურამელი, ჩუხჩერახი ბოცო ჯაყელი და მისი ძმა მემნა, ინა ბოცოსძე, ბექა ჯაყელი, მესხი ფეოდალი ბიბილა გურკელი, მწიგნობარი მიქაელ კატარაწისძე, მესტუმრე შალვა ხუტურისძე,... ლაშას დასის ლიდერად უნდა ვიგულისხმოთ შალვა ახალციხელი, რადგან “თანამოჰასაკეობა” მხოლოდ თანატოლობას კი არა, არამედ უპირველესად თანამოაზრეობას ნიშნავს. ამასთან წყაროდან პირდაპირ ჩანს, რომ თანამოდასეთა უმეტესობა ახალგაზრდაა, თითქმის მეფის თანატოლი (ძე რატი სურამელისა, ყუარყუარას შვილი,..).

გიორგი ლაშას ორივე სიგელი (გელათისადმი-1212 წ, შიომღვიმისადმი-1216 წ.) დაწერილია მწიგნობარ მიქაელ კატარაწისძის ხელით. ის უდაოდ მეფის თანამოდასეა. ქვათახევის სიგელს ბოლო აკლია, ამდენად მწიგნობარი უცნობია, თუმცა არ არის გამორიცხული ისიც მიქაელი იყოს. მეფესთან ფრიად დაახლოებული ჩანს ქართლის ერისთავი სულა სურამელი, რომლის თხოვნით ლაშამ დაამტკიცა სოფ. სუელნეთის შეწირვა ქვათახევის მონასტრისადმი (28. 107). სულა იგზავნება შირვანშაჰთან მაწვეველად რუსუდანის ქორწილისათვის და მაყრიონის მეთაურია, აშკარად მეფის თანამოდასე და ახალგაზრდა (16. 371).

ლაშას თანამოდასეთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა სამცხის სპასალარი ბოცო ბოცოს ძე ჯაყელი, რომელიც ჩუხჩერახის სახელოს მატარებელია, თამარმა დიდად “შეიწყალა” და გიორგი ლაშას ახლდა განძის ლაშქრობაში ძმასთან მემნასთან ერთად (23. 15; 20. 153). იგი იყო ლაშას ლაშქრის “წინამბრძოლთაგანი” განძის ამბებისას. “წინამბრძოლობდეს ძლიერად ყუარყუარა ჯაყელისა შვილი პირმშო, ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინა განეწესნეს” (20. 153). წინამბრძოლობა ქართულ ლაშქარში მეფისგან განსაკუთრებულ ნდობას და პატივს, შესაბამისად თანამოდასეობას გულისხმობდა. “ჩუხჩერახი მეფის წინათ დგას, წინათ იარების, კურთხევისას სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში ჰქონდეს და მეფის უკან დგეს”. ბოცო და მისი ძმა მემნა დაიღუპნენ ხვარაზმელებთან ომში, ტფილისის დაცვისას. საგიმთან ბრძოლაში დაიღუპა მეჭურჭლეთუხუცეს ყვარყვარეს შვილი ბექა (20. 165).

გიორგი ლაშას გამოკვეთილი პოლიტიკა, განდიდებულ ახალდაწინაურებულთა წინააღმდეგ დაეყრდნოს "ძირძველებს", ჩანს მათი რეაბილიტაციის საკითხისადმი მეფის დამოკიდებულებაში. ბოცო ჯაყელი "სამცხის ერისთავად და სპასალარად" დასვა თამარმა (149. 92). 1191 წ. გიორგი რუსის აჯანყებას ბოცო სპასალარმა აქტიურად დაუჭირა მხარი, რასაც ფოცხოვის ხეობის ჯაყელთა საგვარეულოს დამცრობა და მის საპირისპიროდ თამარის მომხრედ დარჩენილი ჯაყელთა მეორე შტოს-ციხისჯვარელთა (ივანე-ყვარყვარე) დაწინაურება მოჰყვა. გიორგი ლაშას დროს ჯაყელთა შერისხული შტოს კვლავ დაწინაურება მოხდა, განძის კამპანიაში მეფის გვერდით წინამბრძოლთა შორის სწორედ შერისხული ბოცოს შვილები: ბოცო და მემნა ბოცოსძენი არიან. თუმცა მეფემ სამცხის სპასალარობა კვლავ ივანე-ყვარყვარეს დაუტოვა და მისი შვილიც გვერდში ამოიყენა განძასთან დგომისას. ივანეს მეორე შვილი ბექა, მეფის ერთგული ყმა, დაიღუპა მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში საგიმთან, "სადა-იგი... მეჭურჭლეთ-უხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი" (20. 165). ბოცოსძეს კი მაღალი საკარისკაცო თანამდებობა ჩუხჩერახობა უბოძა. ამით გიორგი ლაშამ ჯაყელთა ორ შტოს შორის არსებული შესაძლო უნდობლობა და ქიშპი მოსპო და ორივე მხარე თავის ერთგულ ჰყო.

მეფესთან დაახლოებული კიდევ ერთი ბოცოსძე ჩანს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მთავარ სამონასტრო მატიანეში, სადაც 25 მაისის რიცხვით განწესებულია აღაპი. "ქ. ამასვე დღესა პანაშვიდი საუკუნოჲ ბოცოვაჲსძისა ინაჲსა და მისისა მეუღლისა, გარდაიჴდებოდეს დაუკლებელად". იმავე ხელითაა ჩაწერილი გიორგი ლაშას აღაპიც: "6 აგვისტო. ფერიცვალებასა დღესა წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ მეფეთა-მეფისა გიორგისი". აქვეა კიდევ ერთი მისი "თანამოჰასაკის" აღაპიც: "30 აგვისტო. ამასვე დღესა აღაპი მესტუმრისა შალვა ხუტურისძისა საუკუნოჲ, წირვითა, გარდაიჴდებოდეს დაუკლებელად, და ვინცა შეცვალოს და დააკლოს, შემცაიცვალების შჯულისაგან ქრისტეანეთაისა და მისთამცა ბრალთაჲ პასუხისა გამცემელია მას საუკუნესა წინაშე ღმრთისა, ამენ" (127. 719). მეფის და მესტუმრის მოსახსენებლები იდენტურია. თუ გავითვალისწინებთ XIII ს-ის შუახანებში არცთუ მაღალი რანგის მოხელის მესტუმრე ჯიქურის ფრიად დაწინაურებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ მესტუმრე ზოგადად მეფესთან დაახლოებული და "ხელშინაური" მოხელეა. ამდენად მესტუმრე შალვაც მეფესთან დაახლოებულ პირად უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც როგორც ჩანს იერუსალიმში იგზავნება შეწირულებათა ჩასატანად და აღაპთა განსაწესებლად.

ვფიქრობთ გიორგი ლაშას მესხებზე დაყრდნობის პოლიტიკა კარგად მოფიქრებული და გააზრებული ნაბიჯია. აშკარად ჩანს სამხრეთ საქართველოს წარმომადგენელთა დაწინაურების ტენდენცია. თამარის დროს დასავლეთ და ნაწილობრივ სამხრეთ საქართველოს დიდებულნი შეიზღუდენ და ამას მათი მხრიდან გიორგი რუსის აქტიური მხარდაჭერა მოყვა. სამეფო კარი იძულებული გახდა მხარგრძელნი დაეწინაურებინა და დაეპირისპირებინა "აფხაზთა" დიდგვაროვნებისთვის. გიორგი ლაშას დროს ახალი დაბალანსების ჟამი დადგა. მეფე არჩევანი

მესხურ საგვარეულოებზე (თორელ-ახალციხელნი, ჯაყელ-ციხისჯვარელნი) გააკეთა განდიდებულ მხარგრძელთა წინააღმდეგ. ახალი დაბალანსების პოლიტიკას ჯერ კიდევ თამარის დროსვე ჩაეყარა საფუძველი. სწორედ თამარმა მოახდინა ორბელთა რეაბილიტაცია გაზულუქებული მხარგრძელების წინააღმდეგ. თამარის დროიდანვე გახდა ჯავახეთი საუფლისწულო დომენი და საფუძველი გიორგი ლაშას თორელ-ახალციხელებთან თანაზიარობისა. ბევრს ეცადა ივანე მხარგრძელი, ათაბაგობაც მოივერაგა ივანე ახალციხელისგან, მაგრამ გიორგი ლაშას მეფობაში აშკარაა თორელთა პრიორიტეტი.

შალვა ახალციხელი XIII ს-ის 10-იან წწ-ში გიორგი ლაშას ყველა ბრძოლის მონაწილეა, რომელიც მიზნად ისახავდა სომხეთის უკიდურესი სამხრეთი ტერიტორიების შემოერთებას. კეჩროლის აღებისას მემატიანე აღნიშნავს “აიღო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა ჴრმლითა და ომითა მისათხრობელითა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი” (16. 370). 1222 წ. საქართველოში შემოჭრილმა ყივჩაღებმა განძის ამირასთან ერთად ძლიერ დააზიანეს საქართველოს აღმოსავლეთი რაიონები. მაშინ ივანე ათაბაგი დამარცხდა მათთან ბრძოლაში, ხოლო შალვამ გაიმარჯვა, რაც დამატებითი საფუძველი გახდა ივანე მხარგრძელში შურისძიების გრძნობის გაჩენისათვის.

იოანე ბატონიშვილის ცნობით შალვა ახალციხელს, სხვა დიდებულთა მსგავსად, ჰქონდა სურვილი თავისი და თუ ასული მიეთხოვებინა ლაშასთვის: “მრავალთა დიდებულთა ნებავდათ, რათა მეფისათვის მიეთხოვებინათ ასულნი ანუ დანი თვისნი, ვითარცა სუროდა ივანე მხარგრძელსა, შალვა ახალციხელსა და ვარდანის ძესა”. “თარასსოლში” შალვა იწოდება: “დიდებული საკრებულოო, ამირსპასალარი,.. სახელმწიფოს ხმალი,.. ლაშქართა მეთაური,.. აბხაზის, რუმის, არმანის, ხაზარის, შაქისა და ალანის ფალავანი, მესიის მახვილი” (32. 29). ჩნდება კითხვა, ლაშას მეფობაში ხომ არ მოუწია ივანე ათაბაგს ამირსპასალარობის დათმობა და შალვა ახალციხელისათვის გადაცემა? მითუმეტეს წყაროში არის ცნობა, რომ ივანე ათაბაგმა და თამარისდროინდელმა სხვა დიდებულებმა, “არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳს-თჳსად იყოფოდეს” (20. 157).

“ლაშას თანამოჰასაკეთა”, თანამოდასეთა პარტიის მეთაურია შალვა ახალციხელი. სწორედ მის მიმართ არის ყველაზე აგრესიულად განწყობილი ივანე მხარგრძელი. გარნისის ომმა გაამჟღავნა თორელ-მხარგრძელთა შორის არსებული დაპირისპირება, რასაც ივანე ათაბაგის მეხოტბე ჟამთააღმწერელიც ვერ მალავს: “აქა დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმან. იტყვიან შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა...” მაშველის გასაგზავნ თხოვნაზე ათაბაგი “არა-რასა მიუგებდა,.. და არა ინება შუელა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყჳან ამას ყოფად და არა თუ შიშითა” (20. 169).

სამეფო კარიდან წასვლის გამოხმაურებაა ჩვენი აზრით ის ფაქტი, რომ გარნისის ბრძოლის წინ ივანე ათაბაგი “არა განცხადებულად, არამედ ფარულად მონაზონ ქმნილ იყო” (20. 169). ლაშასდროინდელ ისტორიკოსთან კი ჩანს, რომ კეჩროლზე ლაშქრობისას შალვა ახალციხელი მთავარსარდლობს, მას შემდეგ რაც ხლათის ალყისას ივანე მხარგრძელმა ამირსპასალარისთვის მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და სახელიც გაიტეხა (16. 370; 38.). ყურადღებას იქცევს იბნ ალ-ასირის ცნობაც, რომ 1223 წ. აგვისტოში დვინის მფლობელი და ჯარების სარდალია შალვა ახალციხელი (38. 149).

მხარგრძელები ახალციხელებთან შედარებით უფრო ვრცელი ტერიტორიების მფლობელნი იყვნენ. ამასთან საგვარეულო-კოლეგიალური მართვის ფორმა (მსგავსად ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებისა) მათ ხელისუფლების განმტკიცების საშუალებას აძლევდა. მხარგრძელებს მონაპირეობის გამო ჰქონდათ თავისი სამფლობელოს გაზრდის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც ახალციხელთა სამფლობელო სამხრეთით ჩაკეტა საუფლისწულო დომენმა და მას განვითარების საშუალება არ მისცა. გიორგი ლაშას დროს ამის გარკვეული კომპენსაციაა ახალციხელთა მფარველობა და კვლავ დაწინაურება.

მონღოლთა ეპოქაში დუმნებად დაყოფისას გამრეკელ თორელს საგამგეოდ ერგო ჯავახეთი და სამცხე ვიდრე არზრუმამდე. შემდეგში ჯაყელების ხელში გადავიდა იგივე დეფინიციით (ტაშისკარიდან სპერამდე და ზღუამდე): სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, ჭანეთი, ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფორი, კარი,.. (96. 62). ჩვენი აზრით არ არის შემთხვევითი, რომ XV ს-ში სომხურ თემებში არსებული მართლმადიდებლური ეპარქიები ემორჩილება სამცხის ათაბაგს და მაწყვერელს და არა კათალიკოსს. ეს თორელ-მხარგრძელთა ძველი დაპირისპირების შედეგი ჩანს. სხვა შემთხვევაში კარელი, ანელი და ვალაშკერტელი ეპისკოპოსები ვერ დაემორჩილებოდნენ სამცხის მთავარს. ამრიგად ჯერ კიდევ XIII ს-ში მხარგრძელთა დამცრობით ეს ტერიტორიები ჯაყელთა ხელში გადავიდა.

ლაშას გარდაცვალება უმეტესად მასთან დაახლოებულმა თანააღზრდილებმა განიცადეს, “საშინელნი ტკივილნი, ცრემლთა წილ გულით სისხლის დენანი, წარწირვანი დარჩომისა და სიცოცხლისანი თანააღზრდილთა და მომჴსენებელთა კეთილთა და სიამოვნეთა მისთანი, ტკივილნი და ნაცრისა თავსა სხმანი ვაზირთა და დიდებულთა და ყოვლისა სამეფოსაგან და თჳთ მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისგან” (16. 371).

ზ) გიორგი ლაშას “მოწინააღმდეგეთა” დასი: ჟამთააღმწერელი გამოკვეთილი “ანტილაშასტია”, ამის მიზეზი ერთის მხრივ მემატიანის კლერიკალურ-პროვიდენციალისტური განწყობაა, მაგრამ მეორეს მხრივ არცთუ უმნიშვნელოა წყაროთა ის რევიზია, რომელსაც XIII ს-ის 20-30-იან წწ-ში ჰქონდა ადგილი (იხ: შესავალი) და რის შედეგადაც ტენდენციურ მატიანეთა შექმნას დაედო სათავე, რომლებიც ერთი საუკუნის შემდეგ ჟამთააღმწერლის ძირითად წყაროდ იქცა. ყურადსაღებია იოანე

ბატონიშვილის ცნობა, რომელიც ჟამთააღმწერლის მთავარ წყაროდ დანიელ ვართაპეტის თხზულებას თვლის. ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობის შედეგებით განაწყენებულმა სომეხთა მოძღვარმა ბევრი აუგი დაწერა ლაშა გიორგიზეო.

ჟამთააღმწერელი აღნიშნავს: “განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარნა თანამოჰასაკენი მოსმურობითა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა”. ამ განშორებამ ანუ ივანე ათაბაგის პოლიტიკურ ვაკუუმში მოქცევამ მოწინააღმდეგე ვაზირთა დიდი პროტესტი გამოიწვია (არ არის გამორიცხული, რომ ეს გამოსვლა ყუთლუ-არსლანის დასელთა გამოსვლის მასშტაბისაც კი ყოფილიყო) და ვითომც მას შემდეგ, რაც რინდებმა თვალი ამოუგდეს გიორგი ლაშას, “თავადნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან: “არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და ავსა წესსა, რომელსა იქმ” (20. 155).

ეს ფაქტიურად მუქარა იყო. მეფემ ამ შემთხვევაშიც უკანდახევა ამჯობინა: “ხოლო მეფემან შეინანა და აღუთქუა სიმტკიცეთა მიერ არარასა ქმნა თჳნიერ მათისა განზრახვისა”. სწორედ ამ ფრაზიდან ჩანს უკმაყოფილების რეალური მიზეზი, გიორგი ლაშას სურდა თამარისეული დათმობის-”ერთნებაობისა და თანადგომის” პრინციპის შეცვლა და ძლიერი თვითმპყრობელის სტატუსის აღდგენა. დიდებულებს სწორედ ამის წუხილი აქვთ და არა მეფის თვალის დაკარგვის. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს “დაღათუ აღასრულებდა, არამედ ძლიერებდა მტერი უჩინო”-აქედან ჩანს, რომ ლაშამ თავის მიზანმიმართულ პოლიტიკაზე უარი არ თქვა და კვლავ განაგრძო გაურჩებულ დიდებულთა შევიწროვება, რაც საბოლოოდ წარმატებით დაასრულა.

ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ საინტერესოა ის ცვლილებები დინამიკაში, რაც განიცადა საქართველოს მეფეთა ტიტულმა. გიორგი III “ფლობით მპყრობელია”, თამარ მეფე მეფობის პირველ ეტაპზე შედარებით კნინი ტიტულით “თვითმფლობელი” კმაყოფილდება და მხოლოდ ოპოზიციის საბოლოოდ დამარცხებისა და შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ჩნდება მის ტიტულში მამისეული ფორმულა “ფლობით მპყრობელი”. ეს ფორმულა უცვლელად რჩება და გრძელდება გიორგი ლაშას მეფობაშიც (სიგელი ქვათახევისადმი), მაგრამ 1216 წლის გიორგი ლაშას სიგელში შიომღვიმისადმი ჩნდება ყველაზე აღმატებული და პრეტენზიის გამომხატველი ფორმულა “თვითმპყრობელი” (28. 104-110), რაც ჩვენი აზრით არ არის შემთხვევითი და მხარს უჭერს გიორგი ლაშას მოღვაწეობის ჩვენეულ ქრონოლოგიურ ქარგას, კერძოდ უკანონო ძის დაბადებას და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს (იხ: $ 2). იგივე ფორმულით იხსენიება გიორგი ლაშა ფიტარეთის ქტიტორულ წარწერაში.

გიორგი ლაშამ წარმატებით დაასრულა თავისი სწრაფვა დიდებულთა ოპოზიციის ჩამოშორებისაკენ, რასაც ჟამთააღმწერელი შემდეგნაირად აღწერს: “უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა

ზედა არა-ყოფისა-ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი. დაღათუ კათალიკოსთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა, და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდათ საქმე ესე, არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳს-თჳსად იყოფოდეს" (20. 157). შემთხვევითი არ არის ივანე ათაბაგის გამოკვეთა, არა მხოლოდ მისი სტატუსის გამო, არამედ უპირველესად იმიტომ, რომ იგი ოპოზიციის (განაწყენებულთა) ლიდერია.

მას შემდეგ, რაც 1198 წ. კილიკიაში ჩამოყალიბდა სომხეთის სახელმწიფო და სისში მონოფიზიტურ-გრიგორიანული ეკლესიის კათალიკოსიც დაჯდა, კავკასიის სომხურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მონოფიზიტური ეკლესიის ზედა ფენებში (მხითარ გოში და სხვები) გაჩნდა სომხური სახელმწიფოს აღდგენის სურვილი, მხარგრძელებით სათავეში. თუმცა ამ სურვილის ფიქსაციას უფრო მონოფიზიტი სამღვდელოება და მრევლი ახდენდა, თვით მხარგრძელთა მიერ ამოკვეთილ არცერთ ეპიგრაფიკულ წარწერაში არ გვხვდება ტიტული "მეფე".

თამარის გარდაცვალების შემდეგ ეს სურვილი უფრო უნდა გამძაფრებულიყო. ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ლაშას დაპირისპირებისა ივანე ათაბაგთან, მისი და ვარამ გაგელის დარბაზიდან გაძევებისა სწორედ ეს მოსაზრებები და ივანეს ამბიციებიც იქნებოდა. თამარის მეფობაში განდიდებული ფეოდალები ლაშას ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდნენ, სრულწლოვანების მიუხედავად დამოუკიდებელი სამხედრო საქმიანობის ნებას არ აძლევდნენ. მეფემ ამ წინააღმდეგობის გადალახვა სცადა განძის ალყის დროს, მაგრამ უშედეგოდ და იძულებული შეიქნა ბოდიში მოეხადა (216. 120).

განძის მოვლენებმა გამოააშკარავა მანამდე ფარულად არსებული დაპირისპირება. თამარის დროს დაწინაურებულმა დიდებულებმა ახალგაზრდა მეფის მართვის სურვილი გაამჟღავნეს. "დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა. ხოლო მეფე იგი ჰუნისაგან ჩამოჴდა და ევედრა, უმეცრებით ქმნულისათჳს შენდობა ითხოვა. და ესრეთ მივიდეს კარვად მეფისა სიხარულითა" (20. 154). ეტყობა მეფე გრძნობდა დაპირისპირების სერიოზულობას და დროებითი უკანდახევა, ვითარების გაუმწვავებლობა არჩია, თუმცა შემდგომში ათაბაგს არ აპატია ეს გამოხტომა და ფაქტიურად სახელმწიფოს საქმეებს ჩამოაშორა, რაც ივანე მხარგრძელის ტიპის კარიერისტი ფეოდალისათვის აუტანელი იქნებოდა.

გიორგი ლაშას სიტყვა დარბაზის სხდომაზე განძაზე გალაშქრებასთან დაკავშირებით და შემდგომ მისი მოქმედება განძის ომში მოწმობს მეფის არამყარ მდგომარეობაზე გამეფებისას. "აწ განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიე და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა; მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვიგო განძასა ზედა და თქუენ შრომასა შეგამთხჳო. რამეთუ ძალითა და თანადგომითა თქუენითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩუენთა დიდთა სულტანთა ძლიერებანი, და აწ მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი და აღვიმჴედროთ განძასა ზედა, რათა სხვათა მტერთაგან არღარა

საწუნელ ვიქმნნეთ. შეწევნითა ღმრთისათა და წარმღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა და სიქველითა თქუენითა ვსძლოთ მტერთა და წინააღმდგომთა ჩუენთა" (20. 152).

განძაზე ლაშქრობის წინ ლაშა სიტყვით მიმართავს შეკრებილ დარბაზის ერს (20. 152), ამასთან ცალკე, საგანგებოდ მიმართავს ივანე ათაბაგს. ეს უკანასკნელი მიმართვა მხოლოდ გორგიჯანიძესთან არის დაფიქსირებული და ვფიქრობთ არ არის შემთხვევითი. სავარაუდოა, რომ ამით მეფეს სურდა ათაბაგისთვის თავი მოექონა და ამის დემონსტრირება ამიტომაც დაჭირდა (რევაზ კიკნაძის აზრით მეფესა და ათაბაგს შორის სრული ურთიერთგაგება არსებობს). სინამდვილეში იგრძნობა დაძაბულობა ურთიერთობებში და ლაშა თავისი სიტყვით დათმობის პოლიტიკას მისდევს (შემდგომშიც ხომ მოიხადა ბოდიში ათაბაგის წინაშე). ივანე ათაბაგიც ხაზს უსვამს, როგორც აქამდე მიღვაწია, "ახლა უფრო ნამეტნავად მართებულია თქვენს გზაზედ თავისა და სულის გარდაგებაო". ლაშას მიერ ათაბაგისთვის ბოდიშის მოხდის ისტორია ფარსადან გორგიჯანიძესთან გამოტოვებულია. ფარსადან გორგიჯანიძეს ასევე გამოტოვებული აქვს რინდების მიერ ლაშასთვის თვალის ამოგდების ამბავი, ხოლო იოანე ბატონიშვილი ამ ამბავს ჩოგანბურთის თამაშისას მომხდარად მიიჩნევს და სიტუაციას პირიქით ლაშასთვის საუკეთესო თვისებების გამოვლენას უკავშირებს (მეფის დიდსულოვნება,..).

განძის კამპანიით გიორგი ლაშამ დიდი ფსიქოლოგიური გამარჯვება მოიპოვა ივანე ათაბაგზე, რომელიც "იყო უმეტეს სხუათა ერისთავთასა", დაანახა მას, რომ აღარ არის "უჰასაკო" და თურმე მისი დახმარების გარეშეც შეძლებია გამარჯვების მოპოვება. "თანამოჰასაკეებმა" არ არცხვინეს მის "პირველ მეფობის ომს". ამან გაამწარა ივანე ათაბაგი, რადგან იგრძნო საშიშროება ძალაუფლების გამოცლისა. მართალია მეფემ დროებით ტაქტიკურად უკან დაიხია, მაგრამ ჩქარა ამოუკვეთა ფეხი სამეფო კარიდან ივანე ათაბაგს და ვარამ გაგელს. ისინი თავისი ნებით როდი წავიდოდნენ სასახლიდან.

წყაროთა შორის წინააღმდეგობა ნათლად იკვეთება სომხური წყაროებიდანაც, ამასთან ამ ინფორმაციას მედასეობის ელფერი დაკრავს. გრიგოლ აკნერცის ცნობით მონღოლებთან პირველი შეტაკებისას კოდმანის ველზე ქართველთა 60 000-იანი ლაშქრის დამარცხება განაპირობა მანასაგომის მთავარ ჰამიდოლას მიერ შურისძიების გამო ათაბაგ ივანეს ცხენისთვის ფეხის ძარღვის დაკვეთამ (6. 9). ანალოგიური ისტორია მოთხრობილი აქვს ვარდან არეველცსაც, თუმცა მთავრის და ციხის სახელის გარეშე (7. 160). ინფორმაციის ტენდენციურობა ვფიქრობთ, ცხადია. ჯერ ერთი, ამ მიზეზით ბრძოლის წაგება დაუჯერებელია (თუკი, ინფორმაციის ნაკლულობასთან არ გვაქვს საქმე). მეორეც, მემატიანემ რაღაც იცის მხარეთა დაპირისპირებაზე, მაგრამ ფაქტობრივ მასალას ან არ ფლობს (თუნდაც გარნისის ბრძოლის კაზუსი) ან განზრახ ამახინჯებს. ივანე ჯავახიშვილი უარყოფს გარნისის ბრძოლაში ღალატის ფაქტს, დავით გვრიტიშვილი კი მარცხის მიზეზად

ორმხრივ შეუთანხმებლობას მიიჩნევს. მაგრამ ფაქტია, რომ ივანე ათაბაგისადმი საკმაოდ სიმპატიით განწყობილი ჟამთააღმწერელიც კი ვერ მალავს საქმის ნამდვილ ვითარებას.

ნუკრი შოშიაშვილის აზრით "ჰამიდოლა" უნდა იყოს დამახინჯებული სახელი შამადავლა, ასეთი ისტორიული პირი-შამადავლა თორელი (შესაძლებელია შალვა ახალციხელის შვილი-გ. ა.) კი მართლაც იხსენიება "რკონის დაწერილში" (28. 172). გრიგოლ აკნერცის სრულებით შესაძლებელია შალვა არეოდა თავის თანამედროვე შამადავლაში. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა კავშირი უნდა ჰქონოდა მანასაგომის სომხურ პროვინციასთან შალვა ახალციხელს.

სომხურ წყაროთა ტენდენციურობა, ნებსითი თუ უნებლიე, ჩანს უშუალოდ ბრძოლის აღწერილობისას, როდესაც ივანე მხარგრძელი გამოყვანილია მთავარსარდლად (მემატიანეს ლაშა აღარ ჰგონია ცოცხალი), შემდეგ კი დახასიათებულია ჯარის განლაგება და სარდლები: "მარჯვენა ფრთა მიიღო ძლიერმა და დიდმა მთავარმა ვარამმა, ხოლო მარცხენა-ივანემ" (6. 9). აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ცენტრს უშუალოდ ლაშა უსარდლებდა, ხოლო მეწინავე ჯარს, რომელთაც ტრადიციულად მესხები წარმოადგენდნენ, შალვა ახალციხელი.

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს მხარგრძელთა საგვარეულოს (კერძოდ ივანე ათაბაგის) მეტოქეობას და მტრობას თორელთა გვართან (92. 170). საერთოდ მხარგრძელთა მიმართ შური და მტრობა სავარაუდოდ არაერთ საგვარეულოს ექნებოდა, რადგან გიორგი რუსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მხარგრძელნი უზომოდ განდიდდნენ ძირითადად დასავლეთ საქართველოს დიდებულთა დამცრობის ხარჯზე.

ნიკო ბერძენიშვილი XII-XIII სს. მიჯნას დიდი ძვრების ხანად მიიჩნევს. გიორგი III-ის მიერ დაწყებული და თამარის დროს გაგრძელებული "ახალკაცების" (სურამელი, მხარგრძელი, ყუბასარ და აფრიდონ) აღზევების და "ძირძველი" გვარების (დადიანი, კახაბერისძე, თორელი, ჯაყელი) დამცრობის პოლიტიკა სამეფო ხელისუფლების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო (93. 180).

გარკვეული ხნის შემდეგ აუცილებელი გახდა ძველებისა და ახლების როლების შეცვლა. სამეფო კარს დასჭირდა დაბალანსების პოლიტიკა და "დაძველებულ" და "განდიდებულ" ახალ დიდებულთა კვლავ ჩანაცვლება თუნდაც ძველ, დამცრობილ საგვარეულოთა ხელახალი დაწინაურებით. ამის საუკეთესო მაგალითია ორბელთა გვარი. დავითის დროს აღზევებული ეს საგვარეულო ფრიად განდიდდა და გიორგი III-ის ღალატის გამო ექსორია იქმნა. თანდათანობით ორბელებმა მოახერხეს რეაბილიტაცია და XIII ს. 70-იან წლებში საბოლოოდ დაიბრუნეს ძველი პატივი და დიდება. დაახლოებით 1207 წ. თამარის ნებართვით საქართველოში დააბრუნეს 1178 წ. ექსორიაქმნილი ორბელთა შთამომავალი ლიპარიტ ორბელი, როგორც ეტყობა უკვე მოძლიერებული ზაქარიას და ივანეს საპირისპიროდ. ამრიგად თამარი უკვე გრძნობდა

მხარგრძელთაგან მოსალოდნელ საფრთხეს და ორბელთა კვლავ დაწინაურებით ცდილობდა ბალანსის აღდგენას.

მხარგრძელები ორბელთა მამულზე ისხდნენ და ამდენად საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ორბელთა შემორიგების მიზნით ივანე მხარგრძელს სურდა თავისი ასული თამთა მიეთხოვებინა ლიპარიტ ორბელისთვის. ეს ქორწინება ვერ შედგა. ხლათის ზავის პირობის თანახმად 1210 წ. თამთა მიათხოვეს მელიქ აუჰადს, ხოლო ლიპარიტ ორბელს მხარგრძელისგან ფარულად, მისივე სახლთუხუცესმა ბუბაკმა თავისი ასული შერთო ცოლად. ეს ქორწინება ლიპარიტ ორბელსაც უფრო აძლევდა ხელს. მხარგრძელების კონტროლის ქვეშ ყოფნას ბევრად ჯობდა უძეო ბუბაკის სამკვიდროს დაუფლება. ორბელთა ყველა მამულები ხომ მხარგრძელთა ხელში იყო, ამიტომ ლაშას მოთხოვნით 1219 წ. დაპყრობილი სივნიეთის ერისთავობა ივანე ათაბაგმა ლიპარიტ ორბელს უბოძა. მან ნორავანქში შექმნა საგვარეულო მონასტერი, 1236 წ. გარდაიცვალა და 5 ვაჟი დარჩა: ელიგუმ, სუმბატ, ივანე, ფარჰადავლა, ტარსაიჭ (89. 82).

გიორგი ლაშას გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი ტახტზე დასვეს "წარჩინებულებმა", ანუ შევიწროებულმა ათაბაგის დასმა გამარჯვება იზეიმა. დაპირისპირება შემდგომში კვლავ გამწვავდა ორი დავითის ტახტისთვის ჭიდილისას.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დასების არსებობა გიორგი ლაშას მეფობაში იმ ხანგრძლივი პოლიტიკური დაპირისპირების და შინა შეთქმულებების შემადგენელი ნაწილი იყო, რაც XII ს-ის საქართველოს საშინაო პოლიტიკას მუდმივად აფორიაქებდა. თუ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა იყო 1178 წ. დამცრობილი "ძირძველი" საგვარეულოების პროტესტი "ახლების" წინააღმდეგ, რასაც თამარის მხრიდან გარკვეული დათმობები და ლავირება მოჰყვა, შემდგომში უკვე გიორგი ლაშა მიმართავს ლავირების პოლიტიკას, "ძირძველთა" მხარეზეა, რადგან "ახლები" ძლიერ განდიდდნენ და საშიშნი გახდნენ.

# თავი III

# გიორგი IV ლაშას საგარეო პოლიტიკა

## 10. ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან

*ა) საგარეო პოლიტიკის ძირითადი შტრიხები:* გიორგი ლაშას დროს საგარეო პოლიტიკაში რამდენიმე კარდინალური მნიშვნელობის ამოცანა იყო გადასაწყვეტი: 1. ამიერკავკასიაში სრული ჰეგემონობის მოპოვება არსებულ პოლიტიკურ ერთეულთა საქართველოს სახელმწიფოში ასიმილაციის გზით. 2. ანატოლიის სომხური სამფლობელოების (ხლათი, კილიკია) დაქვემდებარება და "ყოველი საქართველოს გარშემო", სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან, ბუფერული სივრცის შექმნა. 3. ჯვაროსნებთან ალიანსი და მონაწილეობა იერუსალიმის განთავისუფლებაში.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელი იყო საქართველოს საგარეო აგრესიის მიმართვა უშუალოდ მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკის მოსალოდნელ წარუმატებლობას მოჰყვა ანტიქართული განწყობის ზრდა კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროში. ივანე ჯავახიშვილის შეფასებით მეზობელი მხარეების ინტენსიური რბევა იყო პოლიტიკური შეცდომა.

გიორგი ლაშას დროს ქართველთა განსაკუთრებულ აგრესიაზე მუსლიმების მიმართ საუბრობენ იაკუთი, იბნ ალ-ასირი,.. იაკუთი თავის გეოგრაფიაში აღნიშნავს: "ქურჯები კვერთხის მფლობელნი არიან, დიდება მას ვინც ცვლის მდგომარეობას,.. ისინი ამ ჩვენს დროში წარმოადგენენ მეფეებს, რომლებსაც აქვთ ძალა და სიმრავლე, რითაც ისინი დაეუფლნენ ამ ქვეყანას, სანამ არ განდევნა ისინი ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინმა". იაკუთის ცნობით ქართველები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ მუსლიმებს ხან არანში, ხან აზერბაიჯანში, ხან ხლათში, ხოლო მუსლიმი მმართველნი გართულნი იყვნენ ღვინის სმითა და აკრძალული საქმეების კეთებით. იბნ ალ-ასირის თხზულებიდან ჩანს, რომ 1217-1221 წლებში განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი და აგრესიული ყოფილა ქართველების შემოტევები (38. 134). მარაღას მცხოვრებთა თხოვნა ჯალალ ედ-დინისადმი მოწმობს, რომ მაჰმადიანურ სამყაროს ყელში ამოუვიდა ქართველთა მორჩილება და ერთი სული ჰქონდათ როდის გაინთავისუფლებდნენ თავს.

საქართველოს სამხედრო აგრესია სამხრეთისაკენ განაპირობებდა აგრეთვე პროფესიით მეომარი ადამიანების სიჭარბე, "მსახურეულ-ტაძრეული" ფენა მოითხოვდა დასაქმებას. დავითისეული ჭარბი სამხედრო ძალა, რომელიც გიორგი III-ის ჩათვლით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განთავისუფლება-შემომტკიცებით იყო დაკავებული, თამარის დროს რჩება უსაქმოდ. ისინი მეფესთან შუამდგომლობენ, რომ სპათა მზაობა-წვრთნისათვის გაილაშქრონ მაჰმადიანურ

სამყაროზე (13. 103). ამან განაპირობა ირანზე ლაშქრობა. 1209 წ. ქართველებმა დალაშქრეს და მოიალაფეს არჭეში. ქართული წყაროები (ლაშასდროინდელი მემატიანე, "ისტორიანი და აზმანი") მოგვითხრობენ არდებილზე ქართველთა თავდასხმის შესახებ, რაც ქალაქის გამგებლის მიერ ანისის აოხრების საპასუხოდ მოეწყო 1206 წ. (145. 121). დიდ მარხვაში არდებილის სულტანი თავს დაესხა ანისს. ზაქარია მხარგრძელმა სამცხელთა ჯარით აიღო არდებილი და იქაურები იმდენივე დახოცა, რამდენიც მათმა სულტანმა ანისში ქრისტიანები დახოცა ეკლესიებში და სხვაგან. როგორც ჩანს არდებილზე თავდასხმა შემდგომშიც გაგრძელებულა, რადგან ჰიჯრით 613 წ. (04. 1216-04. 1217) "აჯაიბ ად-დუნიას" ცნობით ქალაქს დიდი გალავანი შემოარტყეს ქართველთა თავდასხმების გამო (22. 24).

წყაროთა ერთი ნაწილი ირანზე ლაშქრობას გიორგი ლაშას მიაწერს. მხითარ აირივანეცის ცნობით "1201/1211 წწ._გარდაიცვალა თამარი და გამეფდა მისი შვილი ლაშა, მან დალაშქრა არჭეში და ვარაგი. ხოლო სპარსეთში ზრეჰამდე მივიდა" (19. 82). ლაშასდროინდელი მემატიანე მართალია თამარის მეფობის ხანაზე აღნიშნავს "დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყჳდეს და ერანის ქუეყანა" (16. 169), მაგრამ გიორგი ლაშას მეფობაში მიუთითებს, რომ "პირველსა მშობელმან მათმან დიდმან თამარ მეფეთ-მეფემან გაალაშქრებინა მისსა ბედსა ზედა და აიღო კარი. შემდგომად გაილაშქრა, წარვიდა და შევიდა დიდსა სპარსეთს, გატეხა არდაველი, დალეწნა ციხე-ქალაქნი და აღავსო სამეფო ალაფითა" (16. 370). გასათვალისწინებელია დე ბუას წერილიც, სადაც შესაძლებელია სწორედ ირანზე წარმატებული და მქუხარე ლაშქრობის ანარეკლი ჩანდეს.

ჩვენი აზრით ამ წინააღმდეგობრივი ცნობებიდან შესაძლებელია ერთი საერთო დასკვნის გამოტანა, რომ ირანზე ლაშქრობა თამარის და გიორგი ლაშას თანამეფობაში მოხდა და ყმაწვილი მეფე უშუალოდ მონაწილეობდა ლაშქრობაში. ეს მისი სამხედრო ნათლობა იყო, მხოლოდ როგორც ძალიან ახალგაზრდა (16-17 წლის) ბუნებრივია ფაქტიურ მხედართმთავრობას ვერ გასწევდა და ამიტომ საისტორიო ტრადიციამ ირანზე ლაშქრობა თამარის და ზაქარია მხარგრძელის სახელს დაუკავშირა.

ბ) განძის საკითხი და ურთიერთობა ილდეგიზიანებთან: ეს ორი საკითხი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. XIII ს-ის დასაწყისში სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს სამეფოს წინსვლის მთავარი დამაბრკოლებელი ადარბადაგანის ილდეგიზიან ათაბაგთა სახელმწიფო იყო. იბნ ალ-ასირის ცნობით 1206 წ. ილდეგიზიანთა ათაბაგმა აბუბექრ იბნ-ფეჰლევანმა (1195-1210) ცოლად შეირთო გურჯების მეფის ასული, რათა ამით შეეჩერებინა ქართველთა გამუდმებული თავდასხმები თავის ქვეყანაზე (38. 131). ილდეგიზიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი იყო აბუბექრის ძმა ათაბაგი უზბეკი (1210-1225). თავისი ძმის მსგავსად ათაბაგი უზბეკიც უუნარო მმართველი იყო, სახელმწიფოს მართვის სადავეები ფაქტიურად ხელიდან ქონდა გაშვებული და დროს ლოთობაში და გართობაში ატარებდა. ხალხში არ ჰქონდა ავტორიტეტი და

ფეოდალური ზედაფენის გავლენაში იმყოფებოდა. თავის მოჭრილ მონეტაზე უზბეკი იძულებული იყო ხორეზმშაჰის სახელი ამოეკვეთა და მის ვასალად ეცნო თავი.

მისი მმართველობის დასაწყისში საქართველოს მხედრობამ ერთ-ერთი მასშტაბური ლაშქრობა განახორციელა ადარბადაგანზე. ჰიჯრის 607 წ. (25. 06. 1210-14. 06. 1211) ქართველთა ლაშქარმა დალაშქრა ნახჭევანი, ჯულფა.. აიღო დაცარიელებული მარანდი. ალყა შემოარტყა თავრიზს. ათაბაგ ჯაჰან ფეჰლევანის ცოლმა ზაჰიდა-ხათუნმა აურაცხელი თვალ-მარგალიტის ფასად დაიხსნა ქალაქი აოხრებისგან. ქართველებმა მოაოხრეს თავრიზის მიმდებარე თემები. აქედან ჯარის ნაწილი გაემართა მიანასკენ, რომლის მმართველმაც გადაიხადა ხარკი. თუმცა როდესაც ქართველებმა დატოვეს ქალაქი, იქ დატოვებულ გარნიზონს მიანელები დაესხნენ თავს და ამოწყვიტეს. ზაქარია მხარგრძელმა მიანაში დამსჯელი ჯარი გააგზავნა და ამოწყვიტა მელიქი და მისი ოჯახი. ამის შემდეგ ქართულმა ჯარმა პატარა ქალაქი ზენჯანი დალაშქრა. ქართველებმა სელჯუკებს წაართვეს სამხრეთ-დასავლეთ ადარბადაგანი, თუმცა ილდეგიზიანები მაინც აკონტროლებდნენ ნახიჭევანიდან ბაილაყანამდე და ბარდავამდე ტერიტორიებს, ვიდრე მდ. არაქსის სამხრეთით.

განძა თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო საქართველოს სახელმწიფოს მუდმივ თავსატეხს წარმოადგენდა. მისი, როგორც კავკასიის მაჰმადიანთა ფორპოსტის უშუალოდ შემოერთება შეუძლებელი იყო. განძის პრობლემას საქართველოს სამეფო კარი ფრთხილად ეკიდებოდა. განძა, ბარდავით იყო ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის გასაღები, როგორც სავაჭრო შუამავალი და როგორც ბუფერი. მისი საბოლოო ხელყოფა გამოიწვევდა ისლამური სამყაროს დიდ აგრესიას. ხარკისგან თავის დაღწევას კი განძელები ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობდნენ. ამგვარი ვითარება შეიქმნა გიორგი ლაშას გამეფებისას.

განძის დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობა განაპირობებდა იმას, რომ ქალაქის დაუფლებისათვის ერთმანეთს თავგამოდებით ებრძოდნენ საქართველო და თურქ-სელჩუკები... შამქორის ომის ერთი ძირითადი მიზეზი განძის დაკავებაც იყო (126. 226). განძის პრობლემა უმნიშვნელოვანესია ლაშას მეფობაშიც. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს: "საზამთროდ დადგის დურს სომხითისასა და მიერ ბრძოდის განძელთა" (20. 156). ამ ფრაზიდან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ლაშას რამდენიმე ბრძოლა გადაუხდია განძელებთან, რადგან ფარსადან გორგიჯანიძეც აღნიშნავს, რომ მონღოლთა შემოსევის შემდეგ განძის ათაბაგს ლაშასთვის მოციქული გაუგზავნია და ომის შეწყვეტა და მოკავშირეობა შეუთავაზებია საშიში საერთო მტრის წინააღმდეგ (21. 98).

ჟამთააღმწერელთან ჩანს, რომ განძაზე ლაშქრობა გიორგი ლაშას პირველი დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციაა. იმის გათვალისწინებით, რომ განძელები თამარის გარდაცვალების შემდეგ მოუსინჯავდნენ ახალ მონარქს ფხას, უნდა ვიგულისხმოთ განდგომის მცდელობა 1210 წელსვე

იქნებოდა. წყაროდან ჩანს, რომ დურის რეზიდენციაში მყოფი მეფისთვის ხარკი განძელებს გვიან შემოდგომით ან ზამთრის პირზე უნდა მოეტანათ, ანუ 1210 წლის ბოლოსთვის. სწორედ ხარკის მოუტანლობა იქცა განდგომის ნიშნად. შესაბამისად განძელთა დასჯა მოხდებოდა 1211 წლის დასაწყისში. იმავე წელს გიორგი ლაშამ ვრცელი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთ-აღმოსავლეთით: "მეფემან აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი ვიდრე ნახჭევანამდე და განძას კართამდის, აიღო შანქორი" (16. 370).

განძის ამბები შედარებით დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ფარსადან გორგიჯანიძეს. მისი ცნობით, განძელებს გვერდში დაუდგა ილდეგიზიანი ათაბაგი უზბეგი 12 000 კაცით. ჟამთააღმწერლისგან განსხვავებით გორგიჯანიძე აგრძელებს განძის ეპოპეას, და აღნიშნავს ქართველებმა ბარდავამდე მიაღწიესო (21. 97). სამხედრო კამპანიის დასაწყისში გიორგი ლაშა ქება-დიდებით მოიხსენიებს ივანე ათაბაგს, საუბრობს მის წარსულ დამსახურებებზე. "ახლა ნამეტნავად ხართ ათაბაგი და მამობის ადგილის მისაჩენნელი ჩვენი და ახლა განჯელთ ხარაჯა არ მოუციათ და ათაბაგი ერანისა დიდის ლაშქრითა მოშველებია განჯელთა. და აწე მე მინდა მათზედ გალაშქრება, შურის მოგება სიახლობის ურჩობისათვის, ამისთვის რომე თუ ამათ არ გარდავახდევინოთ, შორეულნი გაიგონებენ და ისინიც აღარ მოგვცემენო" (147. 96).

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ჯარი შეგროვდა ტფილისში, მოარბიეს ბარდავი, არანი, და მივიდნენ განძამდის. ეს ჟამთააღმწერელთან არ არის. უშუალოდ განძის ალყის ისტორია ორივე მემატიანესთან ერთგვარადაა. მხოლოდ ფინალური ბოდიშის მოხდის სცენა და დიდებულთა უკმაყოფილება არ აქვს აღწერილი გორგიჯანიძეს.

"მაშინ იწყეს განძით განდგომა და არღარა მოსცეს მეფესა ხარკი. ხოლო ამისმან მცნობელმან მეფემან ლაშა მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და ამერთა,.. მაშინ თქუა მეფემან, ვითარმედ: "ვინათგან მეფეთა შორის ბრწყინვალემან და სანატრელმან დედამან ჩემმან დამიტევა მეფობა, ყოველნი წინააღმდგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი მოხარაჯედ შექმნა და დღეისმომდე მორჩილნი ბრძანებისა ჩემისანი არიან. აწ განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიე და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა; მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვიგო განძასა ზედა და თქუენ შრომასა შეგამთხჳო. რამეთუ ძალითა  და თანადგომითა თქუენითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩუენთა დიდთა სულტანთა ძლიერებანი, და აწ მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი და აღვიმჴედროთ განძასა ზედა, რათა სხუათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნნეთ. შეწევნითა ღმრთისაითა და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა და სიქველითა თქუენითა ვსძლოთ მტერთა და წინააღმდგომთა ჩუენთა" (20. 152).

"ვითარცა ესმა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა, განიხარეს და დაუმტკიცეს და ჰრქუეს, ვითარმედ: დიდი ნუგეშისცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი,

გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი. მინდობითა ღმრთისათა და ძალითა თქუენითა დავიმორჩილნეთ ურჩნი მეფობისა თქუენისანი, და შევანანოთ ყოველთა ურჩება თქუენი.

მაშინ დაამტკიცეს ლაშქრობა, და განძის დარბევასა წარემართნეს თჳთ მეფე სპითა დიდითა. ვერ წინა აღუდგეს განძელნი, და მოაოჴრეს ქუეყანა განძისა: აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხჳ, და მოადგეს ქალაქსა განძისასა, და მრავალ დღე ებრძოდეს, და ყოველთა დღეთა გამოვიდიან ქალაქისა კარსა ბრძოლად ჩალიბად, აქათცა და მუნითცა ურჩეულესნი ებრძოდიან. მაშინ ინება მეფემან გარეშემოვლად ქალაქისა მცირედისა ლაშქრითა, და ვითარ მოვლიდა მტკურისაკენ ქვემოთ, ცნეს ესე განძის მყოფთა, ყოველნივე აღიჭურვნეს, კაცი ჭურვილი ვითარ ათიათასი.

ხოლო მეფესა ჰყუა ოთხიათასი კაცი ოდენ,... ხოლო მაშინ ვითარ მოვლიდა მეფე, იცნეს იგი, და მსწრაფლ განახუნეს კარნი ქალაქისანი, და ვითარ მჴეცნი ზედა მიუჴდეს. და იხილა მეფემან ლაშა სიმრავლე მათი უშიშითა გულითა, განმჴნობითა სპათა მათთათა, ეგრეთვე სპანი მეფისანი, სიკუდილად განმწირველნი თავთა მათთანი ეტყოდეს: “სიკუდილამდის ვიღუაწოთ, და დავდვათ თავი სასიკუდილოდ, და არა ვარცხჳნოთ პირველსა ომსა მეფობისა შენისასა.” და მყის მიეტევნეს ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი და დიდად სასტიკი. და მიეცნეს პირსა მახჳლისასა უმრავლესნი რჩეულნი განძისანი. თჳთ მეფე ლაშა წინა მიეტევა მჴნედ და ძლიერად, თჳთ გოლიათი მკლავითა სჳანითა და ჴელითა გოლიათითა, რომლისა თანა წინამბრძოლობდეს ძლიერად ყუარყუარა ჯაყელისა შვილი პირმშო, ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოსძე, მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინა განეწესნეს” (20. 153).

“ხოლო ვითარ იხილეს სიმჴნე მათი განძელთა, სწრაფით ივლტოდეს პირისაგან მათისა, და სდევნეს ვიდრე კართამდე ქალაქისად, და მცირედნიღა შეესწრნეს ქალაქად, და უმრავლესნი ტყუე ყვეს და ზოგნი მოსრნეს. ხოლო ამისნი მხილველნი დედანი ძლიერად იცემდეს მკერდსა მათსა და საყელოსა თმითურთ იფხურიდეს, და განაძლიერეს ყივილი და ზრიალი ყოველგნით. ესმა რა ესე ყოველგნით გარე მოდგომილთა ლაშქართა, მეფესა მომართეს მსწრაფლ.

ხოლო მეფე უვნებელად დაცული ღმრთისა მიერ, იგი და მისნი წინამბრძოლნი თავადნი სახელოვანნი მოეგებნეს... და მსგეფსამდის მხიარულება და გაცემა იყო ლაშქართა ზედა.

ესრეთ შემჭირდა ათაბაგი განძისა და ევედრა, რათა განუჩინონ ხარკი პირველი, რომელი ისმინა მეფემან და უკუსცა ტყუენი, ფასითა და მრავლითა ძღუენითა, თუალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვეცხლითა. მივიდა თჳთ მეფე ტფილისს, და აღავსო საქართველო საზომჳრითა” (20. 154).

განძის გამო დაპირისპირება XIII ს. 10-იან წლებში საქართველოსა და ილდეგიზიანებს შორის პიკს აღწევს. არაბი ისტორიკოსების: იბნ ალ-ასირის, ან-ნასავის, იბნ ხალდუნის, აბუ ლ-ფიდას, ჯუვეინის ცნობებით ქართველების ხშირი შემოსევებით შეწუხებულმა ათაბაგმა უზბეკმა (1210-1225) იჩივლა თავის სიუზერენთან ხორეზმშაჰ ალა ად-დინ მუჰამედთან (1200-1220). ან-ნასავის

ცნობით, უზბეკის თხოვნის უსტარის მიღებისთანავე მუჰამედმა 50 000 ლაშქარი გაამზადა საქართველოზე გასალაშქრებლად. თუმცა ეს ლაშქარი შემდეგში ბაღდადისკენ გაეშურა. ამავე დროს ელჩი გაუგზავნა გიორგი ლაშას და ადარბადაგანზე თავდასხმის შეწყვეტა მოსთხოვა, "რადგან იქ მის სახელზე ლოცულობენ და მის სახელზე ჭრიან ფულს".

აბდ ალ-ლატიფის ცნობით, "ხორეზმშაჰ მუჰამედს სურდა ტფილისზე გაელაშქრა და თავისი სამეფოს დედაქალაქად ექცია, საიდანაც იბატონებდა არ-რუმის, ყივჩაღთა და სომეხთა ქვეყნებზე". მართალია სხვა წყაროები არ იცნობენ მუჰამედის ამ გეგმას, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ 1217 წლისთვის მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა ირანის ერაყი და ათაბაგი უზბეკიც მის ვასალად ითვლებოდა. ირანში მუჰამედს დიდმა თოვლმა მოუსწრო და ძლიერ დააზარალა, ჩაეშალა საქართველოზე და ერაყზე ლაშქრობის გეგმა (209. 74; 263. 137).

ან-ნასავის ცნობით გიორგი ლაშამ, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი თავდასხმა, ხვარაზმელი ელჩი ტფილისიდან პატივით გაისტუმრა და ხორეზმშაჰთან ძვირფასი ძღვენი გაატანა (273. 113). მხარეები შერიგდნენ. არაა გამორიცხული, რომ ხორეზმთან მშვიდობას საქართველოს სამეფო კარმა შესწირა განძაზე გავლენა და აღიარა მისი გადასვლა ილდეგიზიანთა მფლობელობაში, რაც ჯერ კიდევ 1215 წელს უნდა მომხდარიყო.

განძის საამიროზე გავლენის მოსაპოვებლად გიორგი ლაშა კვლავ იწყებს ბრძოლას მას შემდეგ, რაც მონღოლებმა ხორეზმი გაანადგურეს, ხოლო ათაბაგი უზბეკი ბოლომდე ჩაიძირა ლოთობაში და საამირო სერიოზული მფარველის გარეშე დარჩა. მოსალოდნელი საფრთხე კარგად გაიცნობიერა განძის ამირამ და მშვიდობის ძიება დაიწყო. დამახასიათებელია გორგიჯანიძის ცნობა, რომ განძის ამირამ გიორგი ლაშას შეატყობინა მონღოლთა მიერ ხორეზმის დაპყრობის ამბავი და შესთავაზა გაერთიანება მოსალოდნელი საერთო საფრთხის წინაშე (21. 98). მეფემ დარბაზი მოიწვია, განიხილეს ეს საკითხი და განძას ალყა მოხსნეს. თუმცა ამ დათმობას დროებითი ხასიათი ჰქონდა. მონღოლთაგან განცდილი მარცხის შემდეგ სტრატეგიულადაც და შელახული საერთაშორისო პრესტიჟის აღსადგენადაც გიორგი ლაშას წინაშე აუცილებლად დადგებოდა განძის საამიროს ხელახლა დაქვემდებარების საკითხი.

იბნ ალ-ასირის ცნობით, მონღოლთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან ლტოლვილ ყივჩაღთა ნაწილი სამხრეთში გადმოვიდა. მათ 1222 წელს შირვანშაჰ ფარუჰზადს (1205-1225) მოტყუებით დარუბანდი წაართვეს. აქედან ალყა შემოარტყეს ყაბალას-ქართველი მეფის ქალაქს, შემდეგ კი მიადგნენ არანის პროვინციის ქალაქ განძას. ამ ქალაქის მფლობელი ამირა ქუშხარა იყო ადარბადაგანის ათაბაგ უზბეკის ვასალი (38. 147).

ქუშხარა შეეგება ყივჩაღებს, ცოლად შეირთო მათი სარდლის ასული და ათაბაგ უზბეკის ნებართვით ყივჩაღები დაასახლა კილკუნის მთებში. განძის ამირა და მისი პატრონი საქართველოს წინააღმდეგ ყივჩაღთა გამოყენებას გეგმავდნენ. გიორგი ლაშამ განძის კიდევ ერთხელ

დასამორჩილებლად ივანე მხარგრძელი გააგზავნა. იგი ქალაქის მახლობლად დაბანაკდა. მას განძელებმა მოულოდნელად ყივჩაღები მიუსიეს.

"ზარზაროსები თავიანთი ბუნაგიდან მშვიდად გამოვიდნენ, ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილ-დაქანცულ ქართველებს ხმლით ეკვეთნენ და დიდი ზიანი უყვეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვიღაც უბრალო ყივჩაღი მრავალ ბრძოლებში სახელმოხვეჭილ მამაც ქართველთა გუნდს ისე მიერეკებოდა, როგორც მწყემსი პირუტყვის ჯოგს" (209. 70).

ვარდან არეველცის ცნობით: "671 (1222) წელს მოვიდა ლაშქარი ჰუნთაგან, რომლებიც ყივჩაღებად იწოდებიან. მოვიდნენ განძაკში და შეუერთდნენ მათ. ჩვენები თავდაჯერებით, წინდაუხედავად გაემართნენ მათ წინააღმდეგ და დამარცხდნენ" (7. 161).

ამ ამბავმა ყივჩაღებს თავდაჯერებულობა შესძინა, ამირას გაფრთხილება ყურად აღარ იღეს. წინასწარი დაზვერვის გარეშე შეიჭრნენ საქართველოში და თარეშ-ალაფობას მიჰყვეს ხელი. ქართულმა ლაშქარმა მტერი დაამარცხა, მთელი ნადავლი წაართვა და მრავალი ყივჩაღი გაჟლიტა (38. 148). ამის შემდეგ განძის ამირამ უარი უთხრა ყივჩაღებს თხოვნაზე, ერთობლივი ძალებით ემიათ შური ქართველებზე და არც მძევლები დაუბრუნა. გაბრაზებულმა ყივჩაღებმა დაიწყეს მუსლიმთა დარბევა. მოსახლეობა- მუსლიმები, ლაკები, ქართველები აჯანყდა გათავხედებული ყივჩაღების წინააღმდეგ და ჩქარა გააძევეს. დარუბანდის ბაზარზე ყველაზე იაფი მონა ყივჩაღი იყო. (38. 147).

ილდეგიზიანების წინააღმდეგ განხორციელებული გიორგი ლაშას ბოლო ლაშქრობის შესახებ გვამცნობს იბნ ალ-ასირი. 1222 წლის თებერვალში (ზ. სილაგაძის აზრით სექტემბერ-ოქტომბერში- 207. 141) ქართველები შეიჭრნენ არანში. "ქალაქი ბაილაყანი, რომელიც მანამდე თათრებმა დაანგრიეს და იმჟამად მოსახლეობა აშენებდა, ახლა გურჯებმა აიღეს. მუსლიმები მიჩვეულნი იყვნენ, როდესაც გურჯები მოვიდოდნენ, ხარკის გადახდით შეიძლებოდა მათგან თავის დახსნა და ამდენად გურჯები ყველაზე კარგი მტრები იყვნენ. მუსლიმებს ასე ეგონათ ამჯერადაც, მაგრამ გურჯების მეფემ სასტიკად ააოხრა ქალაქი და თათრების მსგავსად მოექცა მოსახლეობას. ათაბაგი უზბეკი კი თავრიზში იჯდა, ლოთობდა და თითიც არ გაუნძრევია მათ დასახმარებლად" (38. 148).

გ) ხლათის საკითხი და ურთიერთობა აიუბიანებთან: ხლათის აიუბიანთა სამფლობელო წარმოადგენდა აიუბიანთა იმპერიის ჩრდილოეთ ფორპოსტს. მისი გამგებლები სარგებლობდნენ საშინაო ავტონომიით და აღიარებდნენ ეგვიპტის აიუბიანი სულტნის უზენაესობას. "აჯაიბ ად-დუნიას" ინფორმაციით ხლათი არმენიის დედაქალაქია, გამაგრებულია ქვიტკირის დიდი ციხით. აქ მუსლიმები და სომხები ისე არიან შერეულნი, რომ მათი გარჩევა შეუძლებელია (22. 25). ხლათის ქვეყანაში 70 ქალაქი იყო, ამდენად დე ბუას წერილში მოხსენიებული ქართველთა მიერ აღებული 9 დიდი ქალაქი და 300 ციხე არ უნდა იყოს გასაკვირი.

საქართველოს ხლათი აინტერესებდა, როგორც პლაცდარმი კილიკიის სომხეთისაკენ გასაჭრელად და ჯვაროსნულ ომებში აქტიური მონაწილეობისათვის. სწორედ ეს გახდა შაჰ-არმენთა სახელმწიფოსთან დაპირისპირების მიზეზი. 604 წ. (1207/1208 წწ.) აიუბიანთა სულტნის ალ-ადილის შვილებმა ალ-აშრაფმა და ალ-აუჰადმა (მაიაფარიკინის გამგებელი) აიღეს ხლათი. აიუბიანებისათვის ხლათის აღებას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. არმენ-შაჰების სახელმწიფო აიუბიანებმა დაიპყრეს. 1207 წლიდან დასუსტებული შაჰ-არმენთა დინასტია ძლიერმა და აგრესიულმა იმპერიამ შეცვალა.

საქართველოს სამეფო კარი ბუნებრივია ვერ დაუშვებდა სამხრეთით ასეთი აგრესიული და ძლიერი მეზობლის არსებობას. იბნ ალ-ასირის ცნობით ქართველებმა გააძლიერეს თავდასხმა ხლათის ოლქზე, ჰიჯრის 605 წ. (16. VII. 1208-5. VII. 1209) აიღეს ქ. არჭეში, "გაძარცვეს ყოველი სიმდიდრე, საქონელი და სხვა,.. დაატყვევეს მისი მცხოვრებნი, დაწვეს და მთლიანად დაანგრიეს ის და მისი მოსახლეობიდან აღარავინ დარჩა". არმინიის მფლობელი ნეჯმ ად-დინ ალ-აუჰადი (1200-1210) ამ დროს ხლათში იმყოფებოდა დიდი ლაშქრით, მაგრამ გამოსვლა ვერ გაბედა, ქართველთა ჯარის სიმრავლის გამო და ხლათის დატოვების შიშით, რადგან ხლათელები მასზე შურს იძიებდნენ და უკან დაბრუნების საშუალებას არ მისცემდნენ, და მამამისს თხოვა დახმარება. სულტანი ალ-ადილი (1200-1218) თავის ქვეშევრდომთა დიდი ჯარით ხლათისკენ დაიძრა 1209 წ. ზაფხულში. თუმცა სხვა საქმეების გამო ხლათამდე მისვლა დააგვიანა, ამასობაში კი ქართველები იქიდან წასულიყვნენ (38. 134).

ხლათზე მეორე მნიშვნელოვანი ლაშქრობა 1210 წლის შემოდგომაზე მოეწყო და რომ არა მთავარსარდალ ივანე მხარგრძელის წინდაუხედავი საქციელი შესაძლებელია წარმატებით დასრულებულიყო (265. 168). აბულ-ფიდა ქართველთა ხლათზე ლაშქრობას 607 წ. (1210-1211 წწ.) ათარიღებს. ამ თარიღს ეთანხმება ივანე ჯავახიშვილი (207. 123). ბენიამინ სილაგაძის აზრით ხლათის გარემოცვა 1209 წ. მოხდა. ქართველებმა ალყა შემოარტყეს ხლათს. იბნ ალ-ასირის ცნობით 1210 წ. 10 ოქტომბერს (607 წ. 19 რაბი' ას-სანის თვეში) "მალიქმა ივანემ დალია ღვინო და აცდუნა იგი სიმთვრალემ, ამხედრდა და ხლათისკენ 20 მხედრით წავიდა. ცხენმა გადმოაგდო და დატყვევებული მიგვარეს ალ-მალიქ ალ-აუჰადს". კირაკოს განძაკეცის ცნობით ხლათის კედლებთან სეირნობისას ივანეს ცხენს ფეხი ჩაუვარდა და პატრონი გადმოაგდო. ხლათელები ქალაქიდან გამოიჭრნენ და შეიპყრეს ათაბაგი. ზაქარია ყაზვინის ცნობით, ხლათელებმა მდინარეზე ხიდი აჰყარეს და თივა დააფარეს, სადაც ივანეს ცხენს ფეხი ჩაუვარდა და ამგვარად დაატყვევეს.

დატყვევებული ივანე მხარგრძელი ალ-აუჰადს მიჰგვარეს. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ხლათელებმა გადაწყვიტეს ივანეს წაყვანა ალ-ადილთან, რაზეც ზაქარია მხარგრძელმა მუქარა შეუთვალა: "გამოუშვით ჩემი ძმა, თორემ თქვენს მიწას საქართველოში წამოვიღებ და თქვენს ქვეყანას გავაუდაბურებო". ალ-აუჰადმა ქართველთა ელჩები იხმო და საზავო მოლაპარაკებები

გამართა. ლაშასდროინდელი მემატიანის ცნობით "შემოიხუეწა ხლათელი და ძლევა-შემოსილმან მას ზედა მისცნა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებელობასა შინა წყალობისნი" (16. 370).

აბუ-შამას მიხედვით ალ-აუჰადმა ივანე მხარგრძელისგან მძევლების და ფიცის მიღების შემდეგ გაათავისუფლა სარდალი და 1210 წლის 1 დეკემბერს ზავი დადო. აბუ ლ'ფიდას ცნობით დაიდო 30-წლიანი ზავი, ქართველებმა გაათავისუფლეს 5 000 ტყვე, ალ-აუჰადს დაუბრუნეს ხლათის ოლქის 21 ციხე, აღადგინეს ხლათის გალავანი და კონტრიბუციის სახით 100 000 დინარი გადაიხადეს. ივანე მხარგრძელმა თავისი ასული თამთა ცოლად მისცა ალ-აუჰადს (ალ-აუჰადი ზავის დადების შემდეგ ჩქარა მოკვდა და თამთა მხარგრძელი მისმა ძმამ ალ-აშრაფმა შეირთო ცოლად). ამასთან თამთა ქრისტიანად დარჩა. არაბულ წყაროთა მოწმობით თამთას ხლათში გადედოფლებას მოჰყვა ქრისტიანთათვის (როგორც დიოფიზიტი, ისე მონოფიზიტი მრევლისთვის) დიდი შეღავათების დაწესება. ხლათის ციხეში ქართველებს აუშენეს ეკლესია, ხლათის და ტარონის მონასტრები გაათავისუფლეს გადასახადებისგან. სულტნის ყველა ქვეშევრდომს ებრძანა იერუსალიმში სალოცავად მიმავალ ქართველების პატივისცემა, ისინი არ იხდიდნენ გადასახადებს არც აიუბიანთა ქვეყნებში და არც იერუსალიმში (36. 166). ჟაკ დე ვიტრის ცნობით "ქართველები შემოდიან წმინდა ქალაქში, გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს. სარკინოზები ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე". ამ ცნობის განმარტებისას მარი ბროსე და ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევენ, რომ სწორედ თამთას ხლათში გათხოვების შემდეგ გაუჩნდებოდათ ქართველებს ზემოაღნიშნული პრივილეგიები.

ალ-აუჰადისათვის ზავის დადება იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფდა ხლათის უშიშროებას საქართველოს მხრიდან (187. 94). თამაზ ნატროშვილის დასკვნით, "საქართველოს მთავრობის თვალში ივანე მხარგრძელის სიცოცხლემ გადაწონა საბოლოო გამარჯვების წყურვილი და სომხური პროვინციების განთავისუფლების გეგმა". ეს ზავი იმხანად ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავალი იყო. აიუბიანები ჩრდილოეთ საზღვრის უსაფრთხოების გარანტიას იღებდნენ, საქართველოს სამეფო კი პრივილეგიებს წმინდა მიწაზე და დროებით მშვიდობას სამხრეთ-დასავლეთ ისლამურ სამყაროსთან. გოჩა ჯაფარიძის აზრით 1210 წლის ზავის შემდეგ საქართველომ დაკარგა ბაგრევანდი და სურმარი, აიუბიანებთან საზღვარი უშუალოდ მდ. არაქსზე გაივლო (265. 171). XIII ს. 10-იან წლებში საქართველოსა და ხლათს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობაა. ამის მთავარ ფაქტორად ივანე მხარგრძელის ასულის თამთას დედოფლობა უნდა ჩაითვალოს. 1213 წელს ივნისში სულტან ალ-ადილს გიორგი ლაშასთვის საჩუქრად სპილო გაუგზავნია, რამაც მოსახლეობის აღტაცება გამოიწვია (265. 174).

საქართველოსა და ხლათს შორის ურთიერთობის კვლავ დაძაბვა V ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისს უკავშირდება. ჯვაროსანთა მთავარ მეტოქეს აიუბიანთა იმპერია წარმოადგენდა და დე ბუას წერილიც, სადაც ხლათში ქართული ლაშქრის სამხედრო კამპანიაა აღწერილი, მოწმობს იმ

იმედებს, რაც ევროპას გააჩნდა საქართველოს მიმართ. "აჯაიბ ად-დუნიას" ცნობით 1219 წ. ალ-აშრაფმა გიორგი ლაშასთან ელჩები გამოაგზავნა (266. 129), როგორც ჩანს საქართველოს საგარეო კურსის შესაფასებლად და ჯვაროსნებთან ომის პირობებში ჩრდილოეთ საზღვრების გარანტირებული უსაფრთხოებისათვის. ხლათის მმართველები ცდილობენ მორიგი დინასტიური ქორწინებით და ბაგრატიონ-აიუბიანთა დამოყვრებით საქართველოს ნეიტრალიზებას. მითუმეტეს, რომ იმხანად ივანე მხარგრძელი უკვე აღარ იყო სამეფო კარზე წამყვანი ფიგურა და მისი ქალიშვილის დედოფლობა ხლათისთვის ვეღარ იქნებოდა უსაფრთხოების რეალური გარანტი.

1221 წლის მიწურულს აიუბიანები ზრუნავენ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენაზე და 30-წლიანი ზავის განახლებაზე. დიდმა სულტანმა ალ-ქამილმა (1218-1238) თავისი ძმის დიარბექირის მფლობელ შიჰაბ ად-დინისთვის (1220-1244) ცოლად "რუსუდან ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგჳპტით ვიდრე ხლათამდის სპარსეთი ჰქონდა... დაშალა მოწყალებამან ღმრთისამან და არა ყო ესრე" (16. 371).

როგორც ჩანს იმ ვითარებაში, როდესაც ვერ შედგა ანტიმონღოლური კოალიცია და ჯვაროსნული საკითხი კვლავ აქტუალური იყო, საქართველოს სამეფო კარს ხელს არ აძლევდა აიუბიანებთან მოყვრობა და პოლიტიკური მშვიდობა. ამის დადასტურებად შეიძლება გამოდგეს ისიც, რომ გიორგი ლაშას გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი დაქორწინდა არზრუმის ამირას ვაჟზე ღიას ად-დინზე (იხ: I თავის $ 2). აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ცნობით ეს უკანასკნელი დედით შაჰ-არმენთა ჩამომავალი იყო, რაც "საქართველოს სამეფოს ახალ პერსპექტივებს უხსნიდა ხლათისთვის ბრძოლაში. გარდა ამისა აღნიშნულმა ქორწინებამ კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური გავლენა არზრუმის საამიროზე" (263. 136). იბნ ალ-ასირის ცნობით არზრუმის გამგებელი შეიმოსა ქართველთა მეფისგან ნაწყალობები საპატიო სამოსელით და თავისი დროშის ტარზე მოათავსა ჯვარი, ხოლო შვილს ქრისტიანობა მიაღებინა ქართველთა დედოფალზე დასაქორწინებლად. არზრუმი კი საქართველოს არა მარტო ვასალური ქვეყანა, არამედ მოკავშირეც იყო ანტიმონღოლურ კოალიციაში.

მონღოლთა პირველი შემოსევის შემდეგ გიორგი ლაშა შეეცადა ანტიმონღოლური კოალიციის შეკვრას. მის წინადადებას სიამოვნებით გამოეხმაურნენ ილდეგიზიანთა ათაბაგი უზბეკი და არზრუმის ამირა მუღის ად-დინ თუღრილ-შაჰი. ხლათის და ალ-ჯაზირას მმართველი ალ-აშრაფი კი უფრო საშიშრად იმხანად ჯვაროსნებს მიიჩნევდა და მონღოლების წინააღმდეგ მოქმედება, მითუმეტეს თუკი ისინი ხელს შეუწყობდნენ საქართველოს დასუსტებას, აიუბიანთა სტრატეგიულ ინტერესს არ წარმოადგენდა.

ალ-აშრაფი სათანადოდ ვერც თავის ძმას, აიუბიანთა დიდ სულტან ალ-ქამილს დაეხმარა ჯვაროსანთა წინააღმდეგ, რადგან ეგვიპტეში მთელი ძალებით წასვლის შემთხვევაში ხლათის

ქვეყანა ქართველთა მოსალოდნელი აგრესიისაგან დაუცველი დარჩებოდა. ამგვარი აგრესიის საფრთხე კი აშკარად ჩანს იბნ ალ-ასირთან დაცული აიუბიანებისადმი ქართველთა მეფის წერილიდან.

"ქართველებმა, როცა თათრებმა მათ ქვეყანაზე ილაშქრეს და დაამარცხეს ისინი, მოაოხრეს მათი ქვეყანა და მათი მრავალი მცხოვრები გაჟლიტეს, გაუგზავნეს (მოციქული) აზერბაიჯანისა და არრანის მფლობელს უზბეგს და სთხოვეს მას დაზავება და კავშირი თათრების მოსაგერიებლად. ამავე მიზნით მათ გაუგზავნეს (მოციქული) ალ-მალიქ ალ-აშრაფს და შეუთვალეს ყველას; თუ არ შეგვითანხმდებით ამ ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩვენი ქვეყნიდან მათ უკუსაგდებად და არ მოხვალთ თქვენ, თქვენი ლაშქრებით ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის, (იცოდეთ) ჩვენ თვითონ შევუთანხმდებით მათ თქვენს წინააღმდეგ.

ალ-აშრაფთან მათი ელჩები მაშინ მოვიდნენ, როცა ის ფრანკების გამო ეგვიპტეში გასამგზავრებლად ემზადებოდა. მას ჰქონდა რამდენიმე არგუმენტი. პირველი ის, რომ ფრანკები დაეუფლნენ დამიეტას და ახლო იყვნენ ეგვიპტის დაპყრობასთან და რომ დაეპყროთ, მაშინ აღარავის დარჩებოდა მეფობა სირიაში და სხვაგან. მეორე ის, რომ ფრანკები უფრო დაუოკებლები იყვნენ, სურდათ დაპყრობა და თუ ერთ სოფელსაც კი დაიპყრობდნენ, არ დატოვებდნენ მას, ვიდრე შეეძლოთ მისი დაცვა, ერთი დღეც კი. და მესამე ფრანკებს სურდათ დაუფლებოდნენ ალ-ადილის სახლის სახელმწიფო ტახტს ეგვიპტეს და თათრებს ჯერ არ მიუღწევიათ მისთვის და არ გადაულახავთ რაიმე (საზღვარი) მისი ქვეყნიდან და არ არიან ისინი, ვისაც სურთ შეეცილონ სამეფოში. მათი მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ძარცვა, ხოცვა, ქვეყნის მოოხრება და ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანაცვლება. და როცა მოვიდნენ ქართველი ელჩები, როგორც მოვიხსენიეთ, მოუბოდიშა, რომ მიემგზავრებოდა ეგვიპტეში, ფრანკებისაგან (მის) დასაცავად და უთხრა მათ; მე ხლათის ოლქი იკტად მივეცი ჩემს ძმას და გავგზავნე იქ, რათა იყოს თქვენს მახლობლად და დავუტოვე მას ჯარები. როცა დაგჭირდებათ მისი დახმარება, (მაშინ) მოვა თათრების მოსაგერიებლად და გაემგზავრა ეგვიპტეს".

მონღოლთა შემოსევის შემდგომ ისლამურ სამყაროსთან დამოკიდებულება გიორგი ლაშამ კიდევ უფრო გაამკაცრა, ქართული ლაშქრის მოქმედება უფრო სასტიკი გახდა. თუკი მანამდე ქართველები თავისუფლად მიდიოდნენ მაჰმადიანთა ქალაქებზე და იღებდნენ მათგან გამოსასყიდს, მშვიდობის და ხელშეუხებლობის სანაცვლოდ, რასაც მიეჩვია მაჰმადიანური მოსახლეობა. ვითარება შეიცვალა, როდესაც 1222 წ. ქართველები მიადგნენ ქალაქ ბაილაყანს. მცხოვრებლებმა არ მიიღეს გამაფრთხილებელი ზომები, რადგან ფიქრობდნენ რომ ყველაფერი გამოსასყიდის გადახდით დამთავრდებოდა. ამ შემთხვევაში ქართველები დაესხნენ ქალაქს და ამოწყვიტეს მოსახლეობა.

დ) ურთიერთობა რუმის სასულტნოსთან: რუმის სასულტნოსთან საქართველოს სამეფო კარს XIII ს. 10-იან წწ-ში მშვიდობიანი ურთიერთობა აქვს. მათ შორის არსებული არზრუმის საამირო საქართველოს მოხარკეა, "შემოიხუეწა კარნუ-ქალაქელი მოყურად და ერთგულად სახლისა მისისა, ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს და გაისუენეს ერთგან" (16. 370). რუმის სულტნის იზზ ად-დინ ქეი-ქაუსის (1210-1219) წერილი გიორგი ლაშასადმი მისი ტახტზე ასვლის ახლო ხანებშია გაგზავნილი და პოზიციის მოსინჯვას გავს. უსტარში ნახსენებია განსვენებული დედოფალი და მისი ანდერძი. სულტნის მეორე წერილი წარმოადგენს ლაშას წერილზე პასუხს და მასში ნახსენებია ლაშას "ნაბრძანები სელჩუკის სამეფო გვართან გულწრფელი მეგობრობისა და ძველი საგვარეულოს სამეფოსთან ძმობა-მეგობრობის შესახებ". საყვედური, რომელიც მიმოწერის დაგვიანებას შეეხება სამართლიანია. აქედან ჩანს რომ მიმოწერა ადრე ინტენსიური ყოფილა. ამასვე ადასტურებს მესამე წერილის დასკვნითი ფრაზაც: "ვინძლო დიდებულმა გაცვლა-გამოცვლამ აზრისამ უწყვეტობას მიაღწიოს და საქმეთა ვითარებების შეტყობინება ინებოს. შემდგომაც იმის მოლოდინი გვაქვს, რომ მოწყალე მიმოწერა არ შეწყდება და წერილებს ხშირად წავიკითხავთ. ვინძლო დღითი დღე ჩვენი კავშირი უფრო განმტკიცდეს, რათა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და თანამშრომლობა შესაძლებელი გახდეს და მისწრაფებანი და უზრუნველყოფა ერთგულებისა და მათი ამბებისა უწყვეტი" (32. 6). გიორგი ლაშას მეფობის ბოლო პერიოდში რუმთან ურთიერთობა გართულდა. სულტან ალა ად-დინ ქეიყობადმა (1219-1236) დიარბექირის ვილაიეთის დაპყრობის შემდეგ საქართველოსკენ გამოსწია, დაამარცხა ქართველთა მეფე ერგუ (გიორგი), წაართვა ოთხი ქალაქი (234. 415).

## 11. ურთიერთობა ჯვაროსნულ სამყაროსთან

გიორგი ლაშას საგარეო პოლიტიკაში გამორჩეული ადგილი ეკავა დასავლეთის საკითხს, წმინდა მიწის მუსლიმთაგან გათავისუფლების პრობლემას. ამ მიმართულებით მის აქტიურობას განაპირობებდა აგრეთვე ყმადნაფიცი მაჰმადიანი მფლობელების მტკიცედ პყრობისა და სამხრეთული ტერიტორიების შემომტკიცების ფართო გეგმა. ცნობილია, რომ გიორგი ლაშას გამეფებისთანავე რომის პაპმა გამოუგზავნა ეპისტოლე, სადაც ჯვაროსნულ კოალიციაში ჩართვისკენ მოუწოდებდა ყმაწვილ მეფეს. თამარ მეფის ხანგრძლივი ზავი სალადინთან ჯვაროსნებს არ აძლევდა სელჩუკებთან ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში საქართველოს ჩართვის იმედს. ახალი მეფის მოსვლით ეს იმედი გაჩნდა. თუკი აიუბიანები ქართველებთან ომით დაკავდებოდნენ, ჯვაროსნებს ხელ-ფეხი გაეხსნებოდათ და გაჩნდებოდა წარმატებული ჯაროსნული კამპანიის პერსპექტივა.

ა) საქართველო და ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისი: ევროპული წყაროები მოწმობს, რომ ჯვაროსნული მოძრაობის დაწყებისთანავე საქართველო ამ მოძრაობის იდეური მოკავშირე და პერსპექტიული თანამონაწილე ხდება. ისლანდიური საგა "ინგვარ ენ ვიდჰორდი" მოგვითხრობს შვედ რაინდზე, რომელმაც შეკრიბა თავისი მეგობრები და გაემგზავრა აღმოსავლეთით სარკინოზებთან საბრძოლველად, სადაც დაიღუპა კიდეც. საგაში ჩართულია რამდენიმე გვიანდელი პლასტი, კერძოდ ინგვარის ხელმწიფე-ქალთან ჩასვლა და მისი ცოლად შერთვა. ამ ქალს 3000 ვარიაგის რაზმი ემსახურება (73. 138).

საგას უძველესი ვერსიის თანახმად 1145 წ. სპარსეთისა და არმენიის იქით მდებარე ქრისტიანული ქვეყნის ნესტორიან მეფეს დაუმარცხებია სპარსეთის მეფე-ძმები. ამ ომში დიდგორის ბრძოლა, ხოლო იოანე ხუცესში დავით აღმაშენებელი დაინახეს ალექსანდრე ნიკურაძემ, ზურაბ ავალიშვილმა, კალისტრატე სალიამ და შოთა ბადრიძემ.

1211 წ. მაისში იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენმა ათასი მეომრით ზღვით შეუტია დამიეტას... მაგრამ ძალები არ ეყო და დახმარებისათვის პაპს მიმართა. ინოკენტი III-მ (1198-1216) 1211 წ. 7 ივნისის ეპისტოლეთი მოუწოდა გიორგი ლაშას წმინდა მიწის დასაცავად (189. 168). საქართველოში ჩამოვიდა პაპის ელჩი დომინიკანელი ბერი იაკობ დე რუსანო. შესაძლებელია ერთი წლით ადრე თვით საქართველოს მეფემ შესთავაზა ჯვაროსნულ ომში ჩაბმის მზადყოფნა, რაზეც უნდა მიანიშნებდეს პაპის წერილი და ფრანგი რაინდის დე ბუას მიერ დაახლოებით 1211 წელს გაგზავნილი წერილი ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამედე დე ტრემლესადმი (1195-1220). წერილი მოწმობს იმ დიდ იმედებს და გიორგი IV-ის ლოკალური სამხრეთული ლაშქრობების

ჰიპერბოლიზებას, რაც მუსლიმთაგან დათრგუნულ ჯვაროსნულ სამყაროს აგრერიგად სჭირდებოდა.

“ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა საყვარელსა ა (მედეს), ღვთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოსს, გ... დე ბუა, მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა, რომ, ნებითა ღვთისითა, მე და მეუღლე ჩემი ჯანმრთელად და უვნებლად ვიმყოფებით.

აღთქმის ქვეყნისა და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამბავთაგან შემდეგი განვიზრახე მოკლედ აღმენიშნა სულ თუ არა, ზოგიერთი რამ მაინც, რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს. პირველად საცნაურ იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს სარკინოზებთან; ანტიოქიის სამთავროსაც, რომელმან ურიცხვი დევნა განიცადა ხან ბაბილონის სულთნისაგან, ხან სომხეთის მეფისაგან, ხანგრძლივი დაზავება აქვს ზემოთქმულ სულთანთან.

აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე, და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობითა და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელი დახმარებით ძალათა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდი, იმ ქალაქის პატრონი ბაბილოვნის სულთნის შვილი იყო; ზემონათქვამ ქრისტეანთაგან ტყვედ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა.

კერძოდ რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნული წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედამისისს დედოფლის უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიეთ”.

ზურაბ ავალიშვილმა წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად ფანტაზიად მიიჩნია, სარგის კაკაბაძემ და შალვა ამირანაშვილმა მხარი დაუჭირეს თამარის იერუსალიმში გადასვენების ვერსიას. წერილის პირველი გამომცემელი რერიხტი მას 1213 წლით ათარიღებდა. პავლე ინგოროყვა ამ წერილს 1215 წლით ათარიღებდა და მისი აზრით აქ ნაგულისხმევი იყო ლაშქრობა ხლათზე და არა არზრუმზე (127. 874). წერილს 1211 წლით ათარიღებენ თამაზ ნატროშვილი და გოჩა ჯაფარიძე (189.

168), რაც უფრო რეალური ჩანს. დე ბუას წერილში აღწერილი ლაშქრობა შესაძლებელია ქართველთა 1209 წლის ირანის სამხედრო კამპანიასაც გულისხმობდეს.

წერილის ტექსტში მოყვანილი რიგი ფაქტები იძლევა მისი დათარიღების საშუალებას. აიუბიანთა სულტან ალ-ადილსა და იერუსალიმის სამეფოს შორის ზავი დაიდო 1204 და 1211 წლებში. ანტიოქიის მთავარ ბოჰემუნდ IV-ს ერთადერთი და ხანმოკლე შეტაკება ჰქონდა ალ-ადილთან, რომელიც 1207 წლის ზაფხულში ზავით დასრულდა. 1209 წელს დაიდო ზავი ალეპოს სულტან აზ-ზაჰირ ღიას ედ-დინსა (1186-1216) და კილიკიის მეფე ლეონ II-ს (1187-1219) შორის. ეს ზავი 1216 წლამდე უცვლელად დარჩა (187. 65).

ამავე წერილიდან ჩანს, რომ ქართველები ეომებიან აიუბიანთა სულტნის ძეს, რომელსაც ეკუთვნის "ევფრატზე მდებარე ქალაქი". ზურაბ ავალიშვილი შეცდომით ამ ქალაქად თვლიდა კარს, თუმცა თვითონვე დასვა კითხვა, ხომ არ იგულისხმება ხლათის ომი და ვანის ტბის ფრონტის 1208-1211 წლების ომებიო? ზ. ავალიშვილი გამორიცხავდა, საეჭვოა ივანე მხარგრძელის დატყვევება და ზავი გამარჯვებად ჩაეთვალა ფრანგ რაინდსო (57. 100). თამაზ ნატროშვილის და გოჩა ჯაფარიძის აზრით ამ ქალაქში ხლათი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან უფრო ახლო შეხების წერტილები საქართველოსა და აიუბიანების სახელმწიფოს არ ჰქონდათ. დე ბუას წერილის კონტექსტიდან არ ჩანს, რომ 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი მაინცდამაინც გიორგი ლაშას აეღო. იგი შესაძლებელია შემდგომ ჩნდება ასპარეზზე.

დე ბუასგან მოწოდებულმა ინფორმაციამ (და კიდევ ვინ იცის რამდენი ასეთი დე ბუა მიაწვდიდა ინფორმაციას ევროპელებს) ევროპაში კვლავ გააცოცხლა აღმოსავლეთის ქრისტიანი მეფე-ბერის იოანეს ლეგენდარული სახე. მესიანისტური იდეა კვლავ ცოცხლდება და თითქოს ახალ სულს შთაბერავს ჯვაროსნებს.

ბ) გიორგი ლაშა და V ჯვაროსნული ლაშქრობა (1217-1221): იერუსალიმის სამეფოსა და აიუბიანებს შორის დადებული 6-წლიანი ზავი 1210 წ. ზაფხულში დასრულდა და ერთი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ომი. ვინაიდან იერუსალიმის სამეფომ დამოუკიდებლად ომის წარმოება ვერ შეძლო, 1211 წელს ახალი ექვსწლიანი ზავი დაიდო. 1217 წელს დაიწყო V ჯვაროსნული ლაშქრობა, რომლის მთავარი ოპერაცია ზღვით ქ. დამიეტაზე შეტევა იყო. დამიეტას ალყა (1218. 30 მაისი-1219. 5 ნოემბერი) გახანგრძლივდა და აიუბიანების მდგომარეობა ძლიერ გართულდა. იერუსალიმის მოსალოდნელი დაკარგვის შიშით დამასკოს მფლობელმა ალ-ადილის ძემ, ალ-მუაზზამ შარაფ ედ-დინმა (1218-1227) (კორადინუსმა) 1219 წ. მარტში ბრძანა იერუსალიმის დანგრევა და მისი კედლების თხრილში გადაყრა, რათა ფრანგებს არ დაეკავებინათ ქალაქი და არ გაემაგრებინათ.

"აჯაიბ ად-დუნიას" ავტორი წერს: "606 წლის შაბანის [1210 წ. 29 იანვარი-26 თებერვალი] თვეში, როდესაც ურწმუნოთა ხელთ ვიყავი მალიქ აშრაფ იბნ-ადილის მოციქული მოვიდა აბხაზის

მეფესთან და ფრანკთა გამოსვლის ამბავს ყვებოდა: ქალაქი კუდსი (იერუსალიმი) დავანგრიეთ და გალავნის კედლები თხრილში ჩავყარეთო. ახლა გავიგეთ, რომ კუდსის დანგრევის გამო ძლიერ ნანობენ" (266. 129).

გოჩა ჯაფარიძის აზრით, თარიღის გადამწერს შეცდომა მოსვლია და 606 წლის მაგივრად შა'ბანის თვის 616 უნდა ყოფილიყო, რაც 1219 წლის 12 ოქტომბერი-9 ნოემბრის პერიოდს უდრის. მართლაც იერუსალიმის კედელი დაანგრიეს 1219 წლის 19 მარტს, მხოლოდ დავით წინასწარმეტყველის კოშკი, აკსას მეჩეთი და ქრისტიანთა აღდგომის ტაძარი გადარჩა. იერუსალიმის დანგრევამ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა მაჰმადიანურ სამყაროზე. აკრას ეპისკოპოს ჟაკ დე ვიტრის ცნობით ამ ფაქტმა ქართველები ძლიერ აღაშფოთა, "ესენი (ქართველები) აღშფოთებულნი დაემუქრნენ დამასკოს მთავარ კორადინუსს, რომელმაც არად ჩააგდო მათი სურვილი და იერუსალიმის კედელი დაანგრია იმ დროს, როცა ლათინებმა ქალაქ დამიეტს ალყა შემოარტყეს". ბუნებრივია შეილახა ქრისტიანული თემის და მათ შორის ქართველების უფლებები. ამით ლაშას კარგი საბაბი ეძლეოდა დაერღვია ხლათთან დადებული 30-წლიანი ზავი.

V ჯვაროსნულ ლაშქრობაში გიორგი ლაშას ჩაბმა დამიეტის დაცემის შემდეგ უფრო რეალურ საფუძველს მიიღებდა. რომის პაპის ლეგატი კარდინალი პელაგიუსი ეძებდა ქართველთა მხარდაჭერას და გიორგი ლაშასთვის პაპის "დიდებული რჩევა და ბრძანება" გადაუცია, ამის იმედს მას აიუბიანთა მდგომარეობის დამძიმებაც აძლევდა. V ჯვაროსნულ ლაშქრობაში საქართველოს ჩაბმას ბენიამინ სილაგაძის აზრით ხელსაყრელი საგარეო პირობებიც უწყობდა ხელს, კერძოდ ეგვიპტე სალადინის სიკვდილის შემდეგ 4 ნაწილად დაიშალა და უფრო დასუსტებული იყო. ხოლო 1219 წ. ნახჭევანსა, არზრუმსა და ხლათზე ლაშქრობით ლაშამ ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყო და შორეული ხანგრძლივი ლაშქრობის პირობები შექმნა (208. 88). ამ ლაშქრობას ევროპაშიც კი მოჰყვა გამოხმაურება, "საეკლესიო ანალებში" აღნიშნულია: "1219 წელი. ქართველები განუმტკიცებენ ჯვაროსნებს გამარჯვების რწმენას. ამ გამარჯვების შესახებ ძლიერი ხმები შორეულ ხალხებშიც კი გავრცელდა. სარკინოზები შიშით აღივსნენ, ხოლო ქრისტიანები აღუწერელი სიხარულით" (27. 74).

ხმები ქართველების მოსალოდნელ ლაშქრობაზე ბუნებრივია ისლამურ სამყაროშიც გავრცელდებოდა და ალ-აშრაფის მიერ საქართველოში გაგზავნილი ელჩობა, როგორც ჩანს ქართველთა ნეიტრალიტეტის მიღწევას ისახავდა მიზნად. დამოუკიდებელი ელჩობის გამოგზავნა ალ-აშრაფს მხოლოდ მამამისის ალ-ადილის (1200-1218) გარდაცვალების შემდეგ შეეძლო, როდესაც აიუბიანთა მთელი სამფლობელო სამ ძმას შორის გაიყო და ალ-აშრაფს ჩრდილო სირია და მესოპოტამია, ხლათით ერგო.

თვით ევროპული წყაროები მოწმობენ იმ უდიდეს მორალურ წვლილს, რაც ქართველებმა შეიტანეს ჯვაროსანთა მიერ ქალაქ დამიეტის აღებაში. იორდანე "საეკლესიო ანალებში" აღნიშნავს:

“ქართველები ეპისტოლეებით მოუწოდებდნენ ჯვაროსნებს ბრძოლებისაკენ, აღაფრთოვანებდნენ მათს საბრძოლო განწყობილებას და აგულიანებდნენ, გაემრავლებინათ გამარჯვებები. ამასთანავე მიუთითებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნებოდა, თუ არ წვავდნენ დამასკოს, არ დაიმორჩილებდნენ უწმინდურ ცრუმორწმუნეთა სხვა მთავარ ადგილებს და იარაღით არ შეებრძოლებოდნენ ურწმუნოებს, როგორც ამას ადრე აპირებდნენ მეომრები” (213. 138). ვოლატერანო წერდა: “სარკინოზები შეშინდნენ, ქრისტიანების ძლიერებაში ყველა დარწმუნდა. ქართველებმა სულიერად იმდენად გაამხნევეს ჯვაროსნები, რომ მათ დამასკოც კი გაათავისუფლეს” (27. 75).

ჯვაროსანთა V ლაშქრობის (1217-1221) სამზადისი, რომელიც ეგვიპტის აიუბიანთა წინააღმდეგ იყო მიმართული, რომის ახალმა პაპმა ჰონორიუს III-მ (1216-1227) წამოიწყო. მან საგანგებო ეპისტოლე გამოუგზავნა გიორგი ლაშას და სთხოვა მონაწილეობის მიღება ომში. ეს ეპისტოლე, როგორც რუსუდანის საპასუხო წერილიდან ჩანს, 1219 წელს, დამიეტის აღების შემდეგ გაუგზავნია პაპის ლეგატს კარდინალ პელაგიუსს გიორგი ლაშასთვის. გიორგი ლაშამ დაუყოვნებლივ განაცხადა თანხმობა და სალაშქროდ სამზადისი დაიწყო, რაც მონღოლების მოულოდნელმა შემოჭრამ შეაფერხა. მის ამ განზრახვას მოწმობს 1223 წლის წერილი რუსუდან დედოფლისა რომის პაპ ჰონორიუს III-სადმი:

“უწმინდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფევ, ნეტარი პეტრეს ტახტის მპყრობელო, საქართველოს თავმდაბალი დედოფალი რუსუდანი, ერთგული მსახური და შენი ასული ფერხთა წინაშე შენთა თავსა ვხრი და მოგესალმები.

უფალი ღმერთის იმედი მაქვს, რამდენადაც შენ დიდი და ამაღლებული ხარ, იმდენად უფალი შენს სურვილს შეასრულებს და შენს თავდადებულებას დაამშვენებს: თუ შენდამი გამოგზავნილი წერილის გამო ტკბილად განეწყე ჩვენს მიმართ და, ალბათ, იკითხავ ჩვენს მდგომარეობას, ვაუწყებთ შენს უწმინდესობას, რომ ძმა ჩემი, ქართველთა მეფე, გარდაიცვალა და მისი სამეფო მე დამრჩა. ასე რომ, ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენი ქვეშევრდომი ქრისტიანისათვის.

დამიეტში მყოფი შენი ლეგატისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა. ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი ქრისტიანები გვეგონა. მაგრამ როგორც კი მივხვდით, რომ ისინი კეთილი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინვე შეერთებული ძალებით შევუტიეთ მათ, ოცდახუთი ათასი კაცი დავუხოცეთ, ბევრი ხელთ ვიგდეთ, დანარჩენი განვდევნეთ ჩვენი მიწებიდან. ამის გამო დავრჩით და ლეგატის მითითებისამებრ ვერ წამოვედით.

დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს მართებს, წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედარმთავარს ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად. (ჩამოვლენ) იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩასვლას.

აგრეთვე გაუწყებთ, რომ ხსენებულმა მხედართმთავარმა და ჩვენი სამეფოს ბევრმა წარჩინებულმა მიიღო ჯვარი და თქვენს გამოსვლას ელოდებიან. ამისთვის ვევედრებით და ვთხოვთ შენს უწმინდესობას, მოგვწეროს წერილი და გვიბოძოს თავისი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანებს...".

ჯვაროსნები დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართველთა მეფეზე, განსაკუთრებული მოწიწებით იხსენიებდნენ მას... ევროპელებს კვლავ გაახსენდათ ზღაპრული იოვანე. 1221 წლისთვის როდოლფ კოგეშალის ქრონიკა აღნიშნავდა, "1221 წ. მთელს საქრისტიანოში გავრცელდა ხმა, დავით მეფემ, რომელიც იოანე მეფე-ხუცესად იწოდება და ინდოეთიდან დიდი მხედრობით წამოვიდა, გაანადგურა მიდიელები და სპარსელები" (73. 171). პარალელისთვის, იმდროინდელ აღმოსავლურ წყაროებში ქართველი მეფის ზოგად სახელად მიღებული იყო დავითი, რაც ბუნებრივია ევროპაშიც პოვებდა გამოძახილს.

ვინსენტ დე ბოვე ხაზს უსვამს ქართველთა მოწადინებას ჯვაროსანთა დასახმარებლად და ამას ქართველთა დიდი მორწმუნეობით ასაბუთებს: "ქართველთა საელჩოსგან ჩვენს თანამემამულეებს. დამიეტას აღებამ ისინი აღაფრთოვანა და გააოცა. ამ ქალაქის აღების შესახებ მთელს ქვეყანაში გავარდნილმა ხმამ ქართველებს უბიძგა, ქრისტიანთა ბანაკში გაეგზავნათ წერილი, რომელშიც წერდნენ: ამ მოვლენამ მათი ხალხი აღავსო გულისტკივილით, ან კიდევ უფრო მეტად, სასიკეთო სირცხვილით. როდესაც მათმა მეფემ მოუხმო მთავრებს, ხალხმა გადაწყვიტა და დაიფიცა, ალყა შემოერტყათ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქისათვის, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ქართველებისათვის სამარცხვინო იყო იმის ხილვა, თუ როგორ გადმოლახეს ფრანგებმა საშიშროებით აღსავსე უკიდეგანო ზღვა, მოვიდნენ ქვეყნის დასალიერიდან და ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს ეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი, როდესაც თვითონ; ვისთვისაც უფრო ადვილი იქნებოდა სპარსელებთან შებრძოლება, იარაღით აღჭურვილნი არ იპყრობდნენ დამასკოს ან რომელიმე სხვა ცნობილ ადგილს. ქართველები მართლაც ქრისტეს თაყვანისმცემელი ხალხია, ბერძნულ წესს იცავენ, სპარსელთა მეზობლად ცხოვრობენ და შორს არიან აღთქმული მიწისაგან; მათი ტერიტორია გადაჭიმულია თითქმის კასპიის მთებამდე. მამაკაცები მებრძოლნი არიან, თავზე ტონზურა აქვთ, სასულიერო პირებს მრგვალი, ხოლო საეროებს ოთხკუთხედი. წარჩინებული ქალები განსწავლულნი არიან საომარ ხელოვნებაში. როცა მამაკაცები საომარ მწყობრში ემზადებიან

მტერთან შესაბრძოლებლად, ერთი ყლუპით სცლიან წყალგარეულ ღვინით სავსე პატარა მათარას და ამის შემდეგ მაშინვე მამაცურად მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგეზე".

საქართველოს ჯვაროსნულ ომებში ჩართვას მესიანისტური იდეის რეალიზების გარდა კონკრეტული რეგიონალური ინტერესიც განაპირობებდა. კილიკიის სომხურ სამეფოში ჩნდებიან "პროქართული ძალები", რომლებიც სტრატეგიული მოკავშირეობის სანაცვლოდ თანახმანი არიან კავკასიელი სომხების ქალკედონიტობაზე. კილიკიას საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების გაბმა სურდა, მაგრამ კილიკიამდე ქართველებს უნდა გადაელახათ ყოფილი შაჰ-არმენთა სამფლობელო (აიუბიანთა ხლათის სამფლობელო). ეს რუმთან დაპირისპირებასაც მოასწავებდა.

გ) ქართველები წმინდა მიწაზე: აკრას ეპისკოპოს ჟაკ დე ვიტრის (1216-1228) წერილიდან ჩანს ქართველების პრივილეგირებული მდგომარეობა წმინდა მიწაზე, რაც 1210 წლის ხლათთან დაზავების შემდგომ უნდა განმტკიცებულიყო (იხ: III თავის $ 1): "გარდა ამისა, აღმოსავლეთის მხარეში ძალზე მეომარი სხვა ქრისტიანი ხალხიც ცხოვრობს, ბრძოლაში გამობრძმედილი, მამაცი, ძლიერი, უზარმაზარი ლაშქრის პატრონი. სარკინოზებისათვის ძალიან საშიშნი არიან, სპარსელების, მიდიელებისა და ასირიელებისთვისაც, რომელთა შორის ცხოვრობენ; ყოველი მხრიდან ურწმუნოებით გარშემორტყმულნი, ძალიან ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაბმულან მათთან. ამ ხალხებს გეორგიანებს უწოდებენ იმიტომ, რომ წმინდა გიორგის, რომელიც მფარველად და დამცველად ჰყავთ ურწმუნო ტომებთან ბრძოლაში (იგი თითქოსდა წინამძღოლობს მათ), სხვა წმინდანებს შორის გამორჩეულად სცემენ პატივს და ეთაყვანებიან. ისინი საეკლესიო საიდუმლოებებს ბერძნულად ასრულებენ. სამღვდელოებას მრგვალი ტონზურები აქვთ, ერისკაცებს კი ოთხკუთხა. როცა უფლის საფლავის მოსანახულებლად მიეშურებიან, არავითარ ბაჟს არ იხდიან, წმინდა ქალაქს გაშლილი დროშებით უახლოვდებიან. სარკინოზებს ვერ წარმოუდგენიათ დააბრკოლონ ისინი, რადგან მათ სამშობლოში დაბრუნებისას შეუძლიათ სხვა მეზობელ სარკინოზებზე შური იძიონ" (226. 30).

ქართველების ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობას წმინდა მიწაზე XIII_XIV სს-ის არაერთი მოგზაური აღნიშნავს. 1217 წ. მაგისტრი თეტმარიუსი იერუსალიმში კონფესიების რაოდენობის მიხედვით ქართველებს მეოთხე ადგილზე ასახელებს: "სირიელები, ლათინები, იაკობიტები, ქართველები, სომხები, ბერძნები, ნესტორიანები". 1219 წ. ანგარიშში აღნიშნულია: "სირიელები, ეთიოპელები, სომხები, ქართველები იერუსალიმში ცხოვრობენ დიდი რაოდენობით,.. მათ მიიღეს ჯერ წმ. ნიკოლოზის (1187 წ.), შემდეგ კი ჯვრის მონასტერი. ვინაიდან ქართველები ძალიან ბევრნი იყვნენ, ჩვენგან მიიღეს წმ. იაკობის, იოანე ღვთისმეტყველის, თევდორეს, დემეტრეს, თეკლას და ეკატერინეს სახელობის მონასტრები (226. 36).

## 12. მონღოლთა პირველი გამოჩენა საქართველოში

მონღოლთა საქართველოში პირველი შემოჭრის შესახებ მრავალი წყარო მოგვითხრობს, მათ შორის: ჟამთააღმწერელი, ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე, იბნ ალ-ასირი, ჯუვეინი, რაშიდ ად-დინი, აბულ-ფედა, ნასავი, კირაკოს განძაკეცი, ვარდან არეველცი, გრიგოლ აკანცი, ანონიმი სებასტიელი. მათ ცნობებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობებია მონღოლთა შემოჭრის რაოდენობასთან, ბრძოლის ადგილსა და შედეგთან დაკავშირებით.

*ა) პირველი ბრძოლები მონღოლებთან (1220 წ.):* ჩინგიზ-ყაენმა (1153-1227) ხვარაზმშას მოსაკლავად დაადევნა სამი ნოინი: ჯებე (ჰისუტის ტომიდან), სუბუდაი ბაყათური (ურიანყათის ტომიდან), თოღაჩარ ბაყათური (ყუნღირათის ტომის ამირა) და სამ წელიწადში უკან დაბრუნება უბრძანა. ამათგან თოღაჩარ ძარცვა-გლეჯას გადაყვა და ნიშაბურთან მოკლეს. ლტოლვილი ხვარაზმშაჰი მუჰამედი კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე კუნძულზე დაიღუპა.

ჯებეს და სუბუდაის ლაშქარი ირანში ომებით საგრძნობლად შემცირდა, თუმცა დამორჩილებული ხალხითაც შეივსო. იასე ცინცაძის აზრით მონღოლებს "ჰაშარში" (დაპყრობილი მოსახლეობიდან გამოყვანილი) დაყენებული ხალხიც უნდა ჰყოლოდათ (მართლაც რაშიდ ად-დინის ცნობით, მონღოლები ბრძოლაში მეწინავედ ტყვე-მუსლიმებს უშვებდნენ და მათგან უკანდახეულთ ხოცავდნენ-37. 227). ამასთან მონღოლთა მხარეზე გამოვიდა ილდეგიზიანთა ათაბაგ უზბეკის ვასალი აკუში, თურქებით და თურქმანებით. ამრიგად 20 000-ზე მეტი უნდა ყოფილიყო მათი საერთო რაოდენობა (242. 118). ჟამთააღმწერლის ცნობით მონღოლებს კავკასიაში შემოსვლისას 12 000 კაცი ჰყავდათ მშვილდით, უხმლოდ, ხოლო ვარდანის ცნობით 20 000 მხედარი (242. 112).

ყველაზე დაწვრილებით მონღოლთა კავკასიაში ლაშქრობას აღწერს არაბი მემატიანე იბნ ალ-ასირი. იგი იცნობს მონღოლთა და ქართველთა პირველ ორ შეტაკებას, რაც სხვა წყაროში არ გვხვდება. მათგან პირველი ბრძოლა, როგორც ჩანს, მონაპირეთა ძალების მონაწილეობით, 1220 წლის გაზაფხულზე საზღვრისპირა რეგიონში მოხდა. ამას უნდა მიუთითებდეს ჯარის სიმცირე (მხოლოდ 10 000 კაცი-გ. ა.), რაც მოუმზადებლობის აშკარა მანიშნებელია. დამარცხების შემდეგ გიორგი ლაშა შეეცადა ანტიმონღოლური კოალიციის შეკვრას, თუმცა წარუმატებლად (იხ: III თავის $ 1), და საკუთარი ძალებით მოუწია მონღოლებთან დაპირისპირება მეორე ბრძოლაში, 1220 წლის დეკემბერში.

"მოვიდნენ ისინი [თათრები] მუკანში და გზად შეუხვიეს გურჯების ქვეყანაში. მათ წინააღმდეგ გამოემართა გურჯების მრავალრიცხოვანი ჯარი - ათი ათასამდე მებრძოლი და გააჩაღეს მათთან ბრძოლა. მაგრამ გურჯები გაიქცნენ და მათი უმრავლესობა დახოცილ იქნა. გურჯებმა გაგზავნეს

უზბეკთან, აზერბაიჯანის მფლობელთან [შიკრიკი], რომ ეთხოვათ მისთვის მშვიდობა და თანხმობა თათრებზე ერთად გალაშქრებისა. ისინი შერიგდნენ და შეთანხმდნენ შეკრებილიყვნენ ზამთრის გასვლის შემდეგ. გურჯებმა გაგზავნეს [შიკრიკი] აგრეთვე მეფე ალ-აშრაფთან, მეფე ალ-ადილის ძესთან, ხლათისა და ჯაზირის მფლობელთან, თხოვნით, შეერთებოდა მათ,.. ისინი ფიქრობდნენ რომ თათრები დარჩებოდნენ საზამთროდ, გაზაფხულამდე, მაგრამ ისინი სხვანაირად მოიქცნენ: გაემართნენ გურჯების ქვეყანაში. მათ შეუერთდა თურქთა მამლუქი, ერთ-ერთი უზბეკის მამლუქთაგან, სახელად აქუში. მან შეკრიბა დიდი რაოდენობით მცხოვრებნი იმ მთებისა და უდაბნოსი, თურქმენთა, გურჯთა და სხვათაგან. მან დაიწყო მიწერ-მოწერა თათრებთან, სთავაზობდა მათ გაერთიანებულიყვნენ მასთან. ისინი დათანხმდნენ და დაიჭირეს მისი მხარე, მათი საერთო წარმომავლობის გამო. ისინი [აქუშის ჯარი] შეიკრიბნენ და გამოილაშქრეს თათართა ავანგარდში, გურჯების წინააღმდეგ. მათ ხელთ იგდეს [გურჯების] ერთი გამაგრებული ციხეთაგანი დაანგრიეს ის; მათ გაძარცვეს ქვეყანა, დააცარიელეს ის, გაჟლიტეს მისი მცხოვრებლები და დაიტაცეს მათი ქონება. როცა ისინი [თათრები] მიუახლოვდნენ ტფილისს, გურჯები შეიკრიბნენ ყველა და კბილებამდე შეიარაღებულებმა გამოილაშქრეს მათ წინააღმდეგ. მათ ჯერ დაუხვდა აკუში თავისიანებით, გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, სადაც ყველა მეომარმა უჩვენა დიდი სიმტკიცე. აქუშის ჯარიდან მრავალი დახოცეს, მაგრამ თათრებმა დროზე მიუსწრეს მათ საშველად. ამასთან გურჯები დაიღალნენ ბრძოლისაგან და მათ მხარეზეც მრავალი იქნა მოკლული. ამის გამო მათ ვერ გაუძლეს თათრებს და უწესრიგოდ გაიქცნენ. თათრები მიეტევნენ მათ ყოველი მხრიდან და ჩეხავდნენ ხმლებით, ისე რომ დახოცეს ურიცხვი რაოდენობა მათგან. ეს ბრძოლა მოხდა ამავე წლის ზუ-ლ-ყადს (1220 წლის დეკემბერი-1221 წლის იანვარი). დაიტაცეს თათრებმა ქვეყანაში ყველაფერი, რაც კი დარჩათ ადრე დაუტაცებელი" (38. 137-138).

რაშიდ ად-დინის (1247-1318) თხზულებაში ჩინგიზ-ყაენის 1219-1227 წწ-ის ლაშქრობებია აღწერილი. მონღოლთა 1220 წლის სამხედრო კამპანიის აღწერისას მისი ცნობები იბნ ალ-ასირის ცნობათა იდენტურია, მხოლოდ პირველ ბრძოლაზეა საუბარი: "მონღოლებმა დადეს ზავი უზბეკთან, დაბრუნდნენ უკან და გაემართნენ არანს, რომ გაეტარებინათ იქ ზამთარი. მათი გზა იყო გურჯისტანზე. ათი ათასი გურჯის კაცი გამოემართა [მონღოლთა] შესახვედრად და გაუმართეს ბრძოლა. გურჯებმა განიცადეს მარცხი და უმრავლესობა [მათგან] დახოცილ იქნა. იმის გამო რომ [მონღოლებმა] ნახეს გურჯისტანში ტყიანი გზები და ძნელად გასავალი ადგილები, ისინი დაბრუნდნენ უკან და აპირებდნენ მარაღაში წასვლას..." (37. 227).

მონღოლებთან პირველ შეტაკებაზე უნდა იყოს საუბარი რუსუდან მეფის წერილში რომის პაპისადმი: "ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა. ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი

ქრისტიანები გვეგონა" (27. 176). შესაძლებელია სწორედ იმ 10 000 მებრძოლისგან დაეცა ბრძოლაში 6000. აღმოსავლური წყაროებიც აღნიშნავენ, რომ უმრავლესობა დაიღუპაო.

მონღოლებთან მეორე შეტაკება 1220 წლის დეკემბერში მოხდა გაგის ციხის მახლობლად, კოდმანის თუ საგიმის ველზე. ქართველთა ჯარი 60-დან 90 000-მდე უნდა ყოფილიყო. მონღოლების რიცხოვნობა ორ დუმანზე (20 000 კაცი) ნაკლები არ იქნებოდა. დამპყრობელმა ტრადიციული საფარის ("წინა-უკანა") ხერხი გამოიყენა ქართველთა დასამარცხებლად და ამჯერადაც წარმატებით.

ჟამთააღმწერლის ცნობით მეორე ბრძოლას სამეფო კარი უფრო მზადყოფნით შეხვდა, გიორგი ლაშამ დიდი ლაშქარი შეკრიბა (ალბათ, მართლაც ჯვაროსნული ომისთვის გამზადებული ჯარი). შესაძლებელია იბნ ალ-ასირთან ნახსენები მონღოლთაგან აღებული ციხე იყოს გაგის ციხე, რადგან სწორედ გაგის ქვეყანა მოაოხრეს მეორედ შემოჭრისას მონღოლებმა. "ჩინგიზ-ყაენმან წარმოავლინა ორნი თავადნი ზემოხსენებულნი, იამა და სალპიანი, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდიან,... ხოლო ესენი წარმოვიდეს ათორმეტითა ათასითა მხედრითა, თვინიერ საჭურველისა და საზრდელისა ქონებისა, არამედ მშვილდი ოდენ, უხრმლოდ...

და მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, იწყეს დარბევად ქუეყანა გაგისა. ცნა ესე ვარამ გაგელმან და ივანე ათაბაგმან, და აცნობეს მეფესა ლაშას უცხოსა ნათესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა, ოხრებად სომხითისა. ხოლო მეფემან მოუწოდა სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი ათასი მხედარი. და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი, ზაქარიას ძე ამირსპასალარისა, შანშე, და ვარამ გაგელი მსახურთ-უხუცესი მოერთნეს დიდითა ლაშქრითა, და წარემართნეს.

ხოლო იგინი, დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა, მყის ამხედრდეს და ეწყვნეს ურთიერთას. და იქმნა ძლიერი ბრძოლა. ნახევარნი ივლტოდეს თათარნი, და ნახევართა მზირი ეყო, და უკანით მოუხდეს. მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდამო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენთათვის, და ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თვით მეფე ლაშა, და ურიცხვი სული ქრისტიანე მოკუდა, სადა-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით ცოცხალი განერა, და მეჭურჭლეთ-უხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი" (20. 164).

ამავე ბრძოლაზე საუბრობს სომეხი მემატიანე გრიგოლ აკანცი. მისი ცნობით, გიორგი ლაშა 60 000 მხედრით გამოვიდა კოდმანის ველზე, რომელიც მდებარეობს ტერუნაკანის ციხის წინ. მანასაგომის უფალმა ჰამიდოლამ შურისძიების გამო ძარღვი დააკვეთა ივანე ათაბაგის ცხენს (6. 9). "როცა მოაღწია თათრების მოსვლის ამბავმა, როგორც ზემორე იყო ნათქვამი, მაშინ ივანემ წაიყვანა საქართველოს სამეფო სახლიდან მხედარნი და მოვიდა გაგში, დიდსა და ბრძენ მთავარ ვარამთან, ბლუ ზაქარიას ძესთან, და წაიყვანა რა ის თავისი ჯარით, გაემართა თათრების წინააღმდეგ.

მარჯვენა ფრთა მიიღო მლიერმა და დიდმა მთავარმა ვარამმა, ხოლო მარცხენა-ივანემ. როგორც კი შეუტიეს ერთმანეთს [ქართველებმა და თათრებმა], ჩადენილ იქნა ის ბოროტმოქმედება წყეულ ჰამიდოლას მიერ, რომელიც ზემოთ აიწერა. როგორც კი დაინახა მოისართა ტომმა განხეთქილება მათ შორის, გაძლიერდნენ და შეუტიეს ქართველ მხედრებს და უწყალოდ წყვეტდენ მათ. ხოლო დიდმა მთავარმა ვარამმა, გაგის უფალმა, მიიღო მარჯვენა ფრთა და საღამომდის მიდიოდა და დაუზოგავი შეტევით სპობდა თათრებს, სანამ საერთოდ არ აივსო საგიმის ველი ამოწყვეტილი თათრებით. ხოლო როცა გაიგო გაგის მთავარმა ვარამმა ჯარის შემუსრვა, დიდად დამწუხრდა, მიატოვა ბრძოლა და დაბრუნდა თავის ციხე-სიმაგრეში, რომელსაც ჰქვია ქარჰერძი" (6. 9-10).

ლაშასდროინდელი მემატიანის ცნობით: "შემოვიდეს უცხოთესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა" (16. 370).

კირაკოს განძაკეცის ცნობით: "1220 წ. ალბანეთსა და საქართველოში გამოჩნდნენ თათრები. მათ შესახებ ხმა გავრცელდა, თითქოს ისინი ქრისტიანები იყვნენ... შეკრიბეს ჯარი ქართველთა მეფემ ლაშამ და დიდმა მხედართმთავარმა ივანემ და წავიდნენ მათ წინააღმდეგ საომრად. გავიდნენ ველზე, რომელიც ხუნანად იწოდება, რადგან იქ შეხვდნენ მტრის რაზმს. ეწყვნენ ერთმანეთს და მტრის მეწინავეები გააქციეს. მაგრამ, რადგან ჩასაფრებულნი იყვნენ [თათრები], თავს დაესხნენ უკანა მხრიდან და იწყეს ქართველთა ჯარის ხოცვა. შემობრუნდნენ აგრეთვე გაქცეულებიც, აქედან და იქიდან შუაში მოაქციეს და უბედურება დააწიეს ქართველთა ჯარს. გაიქცა [ქართველთა] მეფე და ყველა მთავარი. მტრებმა შეკრიბეს ნადავლი და წაიღეს თავიანთ ბანაკში".

სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველციც მონღოლთა პირველი შემოჭრისას ორ ბრძოლაზე საუბრობს. მისი ცნობით: "670 (1221) წლის დამდეგს რომელიღაც ჯარი, უცხო სახისა და უცხო ენის, გამოეშურა ჩინისა და მაჩინის ქვეყნიდან: მუღალს და თათარს უწოდებდნენ სახელად. მოვიდნენ, შემოვიდნენ გუგარელთა ქვეყანაში, ველზე, ალვანთა მხარეს, 20 000 კაცი. გაანადგურეს ყოველივე ცოცხალი, რაც კი ნახეს და სწრაფად უკუიქცნენ. მათ გამოუდგა მთელი ძალით ლაშა, დაეწია მდინარე კოდმანთან და, მათგან დამარცხებულმა, თავს უშველა ივანესთან ერთად, გაქცევით. ივანეს ცხენს [ფეხის] ძარღვი გადაუჭრა რომელიღაც მისგან ნაწყენმა მთავარმა. მაგრამ ვაჰრამი, უფალი [იმ] ქვეყნისა, დიდი სიმამაცით მიიწევდა წინ და სასტიკად ჰგმირავდა [მტრებს], ვიდრე გარდამანამდე, არ იცოდა რა სხვების გაქცევა" (7. 160).

სებასტიელი ანონიმი: "669 (1220) წელს გამოვიდა თათარი ჩინ-მაჩინიდან და მოვიდა გუგარელთა ქვეყანაში, ველზე, ალვანთა მხარიდან, 20 000 კაცი. მრავალი გაჟლიტეს, მიაღწიეს ტფილისს და სწრაფად უკუიქცნენ. მათ უკან მისდევდა ქართველთა მეფე ლაშა და დიდი მხედართმთავარი ივანე. მიაღწიეს მდინარე კოტმანს, დამარცხდნენ მეფისაგან და გაიქცნენ. შემდეგ კვლავ შემოიქცნენ, შეკრიბეს ჯარი ქართველთა მეფემ ლაშამ და ივანემ თათრებთან

საბრძოლველად, ხოლო მათ, მთელი თავიანთი სახლეულით, მოისურვეს დარუბანდის კარის გავლა და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნება. ტაჭიკთა ჯარებმა, რომლებიც დარუბანდში იყვნენ, არ მისცეს მათ გზა. მათ [თათრებმა] გადალახეს კავკასიის მთა, გაიარეს გაუვალი ადგილები და წავიდნენ. მათი მეთაური იყო საბათა ბაჰადური".

მონღოლთა პირველი შემოსევა 1221 წლის დასაწყისში დასრულდა, დამპყრობელმა დატოვა ქვეყანა. იბნ ალ-ასირის ცნობით: "618 წლის საფარს [1221 წლის მარტს] თათრები წავიდნენ გურჯების ქვეყნიდან, რადგან დაინახეს, რომ მათ ჰქონდათ დიდი ძალა და ვიწრო ხეობები, რომელთა დასაუფლებლად საჭირო იყო ბრძოლები. მათი წესია, როდესაც ხედავენ წინააღმდეგობას და თუ დაპყრობას დიდი დრო სჭირდება-ისინი ტოვებენ ასეთ ქვეყანას..."

ბ) მონღოლთა მეორე ლაშქრობა (1222 წ.): მონღოლთა მეორე, უფრო მასშტაბური და შედეგების თვალსაზრისით საზიანო შემოსევა 1222 წლის გაზაფხულზე მოხდა. ამ შემოსევის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს იბნ ალ-ასირი. მისი ცნობით: "1221 წლის მარტში თათრებმა აიღეს მარაღა, შემდეგ ჰამადანი. წავიდნენ ადარბადაგანში, იქიდან არანში. აიღეს და დაანგრიეს ბაილაყანი. შემდეგ გაემართნენ დარუბანდისა და შირვანისკენ. აიღეს და დაანგრიეს ქალაქი შემახა. აქედან გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, გაფანტეს ყივჩაღები. ყივჩაღთა ნაწილი რუსების ქვეყანაში წავიდა, ნაწილიც შირვანს შეესია. შემდეგ თათრებმა დახარკეს უზბეკის სამფლობელოები, თავრიზი და ნახიჩევანი, ძირფესვიანად მოაოხრეს ბაილაყანი და არანის მთავარ ქალაქს-განძას მიადგნენ, როცა გაიგეს ამ ქალაქის მრავალრიცხოვნება და მათი ვაჟკაცობა, შეძენილი ქართველებთან მრავალრიცხოვან ბრძოლებში, მიატოვეს იგი და ხარკი აიღეს.

მოათავეს რა საქმე მუსლიმანურ ქვეყნებთან აზერბაიჯანსა და არანში, ზოგან დაპყრობით და ზოგან მშვიდობიანად, თათრები გაემართნენ გურჯების ქვეყანაში, რომელიც იმავე მხარეში მდებარეობს. გურჯები მოემზადნენ რომ სათანადოდ დახვედროდნენ მათ. მათ გაგზავნეს მრავალრიცხოვანი ჯარი თავისი ქვეყნის საზღვრებზე, რომ არ შეეშვათ იქ თათრები. მაგრამ როცა თათრები მივიდნენ და შეებრძოლენ მათ, გურჯებმა ვერ გაუძლეს და გაიქცნენ, ხოლო მათ აამუშავეს მახვილები და არავინ გადარჩა მათგან [გურჯთაგან], იმათ გარდა, ვინც მოასწრო გაქცევა. ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ მოკლულთა რიცხვმა მათ შორის მიაღწია ოცდაათი ათასს. თათრებმა დაიტაცეს მათ ქვეყანაში ყველაფერი, რაც კი იპოვეს. დააცარიელეს ის და მოექცნენ ისე, როგორც მათი ჩვეულებაა.

როცა გაქცეულები მივიდნენ თბილისამდე, სადაც ცხოვრობს მათი მეფე, მან შეკრიბა ახალი ჯარი და გაგზავნა ის კვლავ თათართა წინააღმდეგ, რომ არ მიეცა მათთვის საშუალება ქვეყნის სიღრმეში შეჭრისა. მაგრამ როცა დაინახეს, რომ თათრები უკვე შევიდნენ მათ ქვეყანაში და ამაში მათ ხელი ვერ შეუშალა ვერც მთებმა, ვერც ხეობებმა და ვერც სხვა რამემ, ისინი [ქართველთა ჯარები] დაბრუნდნენ ტფილისში და მიატოვეს ქვეყანა, ხოლო თათრებმა მოიმოქმედეს მასში, რაც

სურდათ: ძარცვავდნენ, კლავდნენ და ანგრევდნენ. მაგრამ, ნახეს რა, რომ ქვეყანაში მრავალი ხეობები და ვიწროებია, მათ ვერ გაბედეს მასში ღრმად შეჭრა და წავიდნენ იქიდან დარუბანდისკენ" (38. 139-140).

მეორე შემოსევაზე საუბრობს რაშიდ ად-დინიც: "1221 წლის სექტემბერში მონღოლებმა დალაშქრეს ნახჭევანი, არანის დედაქალაქი ბარდავი, არდებილი, ბაილაყანი, შემდეგ ისინი თავს დაესხნენ განძას, ყველაზე დიდ ქალაქს არანში, აიღეს ის და მთლიანად დაანგრიეს. გამოიზამთრეს არანში და გასწიეს გურჯისტანს, ხოლო მათ მოიყვანეს ჯარი წესრიგში და მოემზადნენ საბრძოლველად. როცა ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ჯებე ხუთი ათასი კაცით ჩაჯდა [საფარში] ერთ დაფარულ ადგილს, ხოლო სუბედაი ჯარით წავიდა წინ. ბრძოლის დასაწყისშივე მონღოლები გაიქცნენ; გურჯებმა დაუწყეს მათ დევნა, ჯებე გამოვიდა საფარიდან; ისინი მოაქციეს შუაში და ერთბაშად გაჟლიტეს ოცდაათი ათასი გურჯი. იქიდან მონღოლები გაემართნენ შირვანის დარუბანდისაკენ, გზაზე მათ ალყის შედეგად აიღეს ქალაქი შემახა, და გადაიარეს დარუბანდი. შირვანშაჰ ფარუჰზად იბნ-მანუჩეჰრს მძევლები გამოართვეს და მათი დახმარებით გაიარეს დარუბანდის კარი... ჩრდილოეთში გადასული მონღოლები შეეჩეხნენ ყივჩაღებს და ალანებს. პირდაპირ ვერ დაამარცხეს, ამიტომ ცალ-ცალკე მოლაპარაკებები გამართეს. ორივე მხარეს დაპირდნენ ზავს და საჩუქრებს, გათიშეს და ცალ-ცალკე დაამარცხეს. ყივჩაღთა გადარჩენილმა ნაწილმა რუსეთის სტეპებს შეაფარა თავი. მონღოლებმა აქ გამოიზამთრეს და 1223 წლის გაზაფხულზე რუსეთში შეიჭრნენ (37. 228-229). რაშიდ ად-დინის ცნობაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საფარის გამოყენება ("წინა-უკანას" საბრძოლო ხერხი), რაც 1220 წლის დეკემბრის ბრძოლაში უნდა მომხდარიყო ჟამთააღმწერლის და სომხურ წყაროთა ჩვენებით, მას 1222 წლის ბრძოლაზე გადააქვს.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის (1162-1231) ცნობით: "ჰიჯრის 618 წ. (1221 წ.) თათრებს გამოეყო ორი რაზმი. ერთი არანისკენ გაემართა, მეორე ჰამაზან-ისპაჰანზე და ბაღდადზე გალაშქრებას ფიქრობდა. ქართველებმა შეყარეს თავისი რაზმები, შეეგებნენ მათ, მაგრამ დამარცხდნენ. მოიკლა 8 000 რჩეული მეომარი. ქართველების მეფე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მის დასასხნელად მოვიდნენ დიდებულები და იხსნეს ის თათართა მძლავრი კბილებიდან. მეფე ერთ-ერთ ციხესიმაგრეში გამაგრდა, ხოლო თათრები ქვეყანაში დათარეშობდნენ, და ვინც გადარჩა სიმწრისგან თითებს იკვნეტდა... ქართველებმა შეკრიბეს სხვა ჯარი და დახმარებისათვის არზან არ-რუმის ლაშქარს მიმართეს, მაგრამ თათრებმა უცნობი მიზეზის გამო 618 წ. გაბრუნდნენ, შირვანი დედაბუდიანად მოსრეს, გადაიარეს დარუბანდი და ალან-ყივჩაღები დალაშქრეს" (263. 135).

მუვაფაქ ად-დინ იბნ ალ-ლაბადის "ქითაბ ათ-თარიხი": თათრების ჯარი ორად გაიყო. ერთი ნაწილი დაიძრა აზერბაიჯანი-არანი-საქართველოსკენ. მეორე ნაწილი ჰამადანი-ისპაჰანი-ბაღდადისაკენ. ქართველებმა შეკრიბეს ჯარი, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ, მოიკლა 8000

მხედარი, მრავალი ქვეშევრდომი და გლეხი. ქართველთა მეფე დარდს მიეცა, მისმა სარდლებმა გაარიდეს სიმაგრეებში და იხსნეს მონღოლთაგან. ქართველებს მხარი დაუჭირა არზრუმის მხედრობამ, ისინი გაძლიერდნენ... ხალხი ამბობდა მონღოლები აღარ დაბრუნდებიანო. თათრები წავიდნენ ყოველგვარი მიზეზის და საფრთხის გარეშე... ეს იყო 618 წელს (25. 02. 1221-14. 02. 1222). თათრები წავიდნენ და დაიპყრეს შირვანი, ხმლით გაიკაფეს გზა დარუბანდისკენ, იქიდან კი ყივჩაღთა და ალანთა მიწები დალაშქრეს. (273).

ლაშასდროინდელი მემატიანე, რომელსაც ზოგადად ახასიათებს მონღოლებთან შეტაკების ნათელ ფერებში წარმოდგენის ტენდენცია, აღნიშნავს, რომ 1222 წელს ქართველთა და მონღოლთა შორის ბრძოლა აღარ გამართულა, მონღოლებმა შეტაკების გარეშე დატოვეს საქართველო. "მეორესა წელიწადსა კულაცა მომართეს და დადგეს ბარდავის ჭალასა. შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთა-გორსა და აგარათა შუა და ვიდრე ზედამისლვადმდე გაექცნეს და გარდაიხუეწნეს, განვლეს დარუბანდისა გზა" (16. 370).

მეორე ქართული წყარო, ჟამთააღმწერელი ასევე უარყოფს 1222 წელს მომხდარ ომს და მონღოლების უბრძოლველად ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლაზე საუბრობს. "ხოლო თათარნი მოიწივნეს ვიდრე სამშვილდემდე და მიერ უკუნ იქცეს, რომელთა ქმნნეს საკვირველნი ესე საქმენი: წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შარვანშა წინააღუდგა და ვერცა დარუბანდელნი, განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაღეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი, და ყოველგან თათარნი მძლე ექმნნეს, და წარვიდეს ესრეთ ომითა... განვლეს ყივჩაღეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე. და მიიწივნეს ხელმწიფესა მათსა ჩინგიზ-ყაენს წინაშე ყარაყურუმს" (20. 164).

სომხური წყაროებიც უარყოფენ 1222 წელს შეტაკებას ქართველებსა და მონღოლებს შორის. სებასტიელი ანონიმის მიხედვით: "671 [1222] წელს მოისურვა თათარმა დაბრუნება ქართველთა და სომეხთა ქვეყანაში და რადგან მომზადებული იყვნენ სომეხთა და ქართველთა ჯარები, ვეღარ გაბედეს".

ვარდან არეველცის ცნობით: "671 (1222) წელს მათ სურდათ კვლავ დაბრუნება, მაგრამ თავისი დესპანებისგან შეიტყვეს სომხების და ქართველების მზადება და ვეღარ გაბედეს მისულიყვნენ მეორედ და წავიდნენ, სადაც კი წაესვლებოდათ" (7. 161).

კირაკოს განძაკეცის ცნობით: "კვლავ მეორედ შეკრიბა ქართველთა მეფემ იმაზე მეტი ჯარი, ვიდრე პირველად და სურდა ბრძოლის გამართვა მტრებისათვის. ხოლო მათ წაიყვანეს ცოლები, შვილები, მთელი ქონება და მოისურვეს გაევლოთ დარუბანდის კარი და დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში. მაგრამ ტაჭიკთა ჯარმა, რომელსაც ეპყრა დარუბანდი, არ მისცა მათ გზა. მაშინ მათ კავკასიის მთის გაუსვლელ ადგილებში ამოავსეს უფსკრულები შეშით, ქვით, ქონებითა და

საომარი საჭურვლით. გაიარეს და მივიდნენ თავიანთ ქვეყანას. მათი მეთაურის სახელი იყო საბადა ბაჰადური".

ჩვენამდე მოღწეული ორი წყაროს ინფორმაციით საქართველოს ჯარმა წარმატებას მიაღწია მონღოლებთან ბრძოლაში. რუსუდან მეფის წერილში რომის პაპისადმი აგრეთვე იხსენიება მონღოლების კიდევ ერთი შემოჭრა: "მაგრამ როგორც კი მივხვდით, რომ ისინი კეთილი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინვე შეერთებული ძალებით შევუტიეთ მათ, ოცდახუთი ათასი კაცი დავუხოცეთ, ბევრი ხელთ ვიგდეთ, დანარჩენი გავდევნეთ ჩვენი მიწებიდან" (27. 176). მონღოლებთან წარმატებულ ბრძოლაზე საუბრობს აგრეთვე ლაშასდროინდელი მემატიანე: "შემდგომ მოხედვითა ღმრთისათა და ლმობიერ-ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყვიდნეს გაქცეულნი" (16. 370).

ამ ცნობებში ალბათ უფრო გამიზნული ტენდენციურობა უნდა ჩანდეს, რაც ჯვაროსნული სამყაროს წინაშე რეაბილიტაციისათვის დასჭირდა საქართველოს სამეფო კარს. მოტანილი ცნობების შეჯამებით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ 1220 წელს ქართველებმა ორი ბრძოლა გადაიხადეს მონღოლებთან. პირველი მათგანი საზღვრისპირა რაიონში მოხდა და ქართულმა ჯარმა 6-8 ათასი მხედარი დაკარგა. მეორე ბრძოლა მოხდა 1220 წლის დეკემბერში გაგის ციხის მახლობლად, კოდმანის თუ საგიმის ველზე. ქართველთა ჯარი 60-დან 90 000-მდე უნდა ყოფილიყო. მონღოლების რიცხოვნობა ორ დუმანზე (20 000 კაცი) არანაკლები. დამპყრობელმა ტრადიციული საფარის ("წინა-უკანა") ხერხი გამოიყენა ქართველთა დასამარცხებლად, მრავალი დაეცა ამ ბრძოლაში.

მონღოლებთან მესამე შეჯახება საქართველოს სამეფოს ლაშქარს 1222 წლის გაზაფხულზე მოუხდა. ამის თაობაზე აღმოსავლური წყაროები გვამცნობენ, ბრძოლაში 30 000 ქართველი დაიღუპა. მონღოლებთან მესამე ბრძოლას უარყოფენ ქართული და სომხური წყაროები, მათი ვერსიით მონღოლებმა უბრძოლველად დატოვეს საქართველო და დარუბანდის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ.

# დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომში ჩვენს მიერ მიღებულია შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. გიორგი ლაშას მოღვაწეობის ამსახველ წყაროებში აშკარად შეინიშნება “მედასეობით” გამოწვეული ტენდენციურობა. ამასთან წყაროთა გარკვეულ ნაწილს ატყვია რევიზიის კვალი. ამ ნიშნით წყაროები ორ ნაწილად გავყავით: ა) ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე, ფარსადან გორგიჯანიძე, იოანე ბატონიშვილი; ბ) ჟამთააღმწერელი.

2. გიორგი IV ლაშას მოღვაწეობის ძირითადი ეტაპების ქრონოლოგია ამგვარად წარმოგვიდგენია: მეფე დაიბადა 1192/1193 წლის მიჯნაზე. 1201 წელს ის უკვე საუფლისწულო დომენის (ჯავახეთის) მფლობელია და “ჯავახთ უფალის” ტიტულს ატარებს. მამამისის გარდაცვალებისთანავე, 1205 წლიდან გიორგი ლაშა თამართან ერთად შეუდგა თანამეფობას, მაგრამ მისი თანამოსაყდრედ კურთხევა მოხდა 1206 წელს. 1210 წლის 27 იანვრიდან გიორგი IV ლაშა საქართველოს მეფეა. 1223 წლის 18 იანვარს, ოთხშაბათ დღეს გიორგი ლაშა 30 წლის ასაკში გარდაიცვალა ქალაქ ბაგავანში. წამოასვენეს და დაკრძალეს გელათის სამეფო საძვალეში.

3. მეფის სახლობის წევრებს შორის განსაკუთრებით ხაზგასმულია გამზრდელი დეიდის რუსუდანის როლი. გამოთქმულია ფრთხილი ვარაუდი გიორგი ლაშას და “ველისციხელი ქალის” შესაძლო ქორწინებაზე. ეს საკითხი გადაჯაჭვულია ტახტისმემკვიდრეობის პრობლემასთან. ლაშას მეფობაში და მისი გარდაცვალების შემდეგაც სამეფო კარზე არსებობდა ურთიერთდაპირისპირებული ორი დაჯგუფება. 1227 წლიდან რუსუდანმა დაარღვია ლაშას ანდერძი და თავისი შვილის სასარგებლოდ განიმტკიცა ხელისუფლება, ეკურთხა მეფედ.

